საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№18 (156)
16 - 22 მაისი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

**მიშა, დოკუ და გაზაფხულის ჩვილმეტი გაელვება** 4

მამა კირიონი:

# ეს სამშობლოს ღალატია! 3

ნიკოლოზ რურუა:

**სამწუხაროა, რომ უდაბნოს მონასტერი სადავო არ არის, იგი აზერბაიჯანს ეკუთვნის**




ნინო კალანდაძე:

**დავით გარეჯის იმ ნაწილს რაც შეეხება, საბჭოთა დროიდან არ იმყოფება საქართველოს საზღვრებში და არის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე**

ედუარდ შევარდნაძე: 2

**არც 1994 წელს, არც შემდგომ დავით გარეჯის საქართველოს კუთვნილება ეჭვქვეშ არავის დაუყენებია... 2003 წლის ნოემბერში გადავდექი და რა მოხდა მას შემდეგ, ჩემთვის გაუგებარია**

ვალერი ჩხეიძე: 2

**დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სანახები აზერბაიჯანისთვის არავის გადაუცია!**

**«საკუთარი თვალით ვნახე რუკა, რომელზეც თურქეთი და აჭარა ერთ ფერშია»**




**«თურქეთს არა მარტო აჭარაზე, არამედ მთელ საქართველოზე აქვს პრეტენზია»** 6

**მელაძეების ოჯახი ივანიშვილს ქონების წართმევაში ადანაშაულებს** 12

«ქართუ ჯგუფი» პრეტენზიებს არ იზიარებს

მანანა კობახიძე: 14

**«მეცოდება «ნაც-მოძრაობა», ასეთი ლიდერი რომ ჰყავს!»**

**«მავრი» სოხუმისა და ცხინვალის აღიარების გარეშე არ წავა...** 16

**გამოხმაურება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე** 20



გურამ ფირცხალავა: 7

**სააკაშვილის ერთგულმა მღვდლებმა, ანაფორას რომ არცხვენენ, სჯობს, ის ფორმა ჩაიცვან, რომელიც მათთვის ზედგამოჭრილია...**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილი და მისი უმეცარი მოხელეები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ბულგაკოვის კომედიის გმირი. საქართველოს მორღვეული საზღვრები მთლიანად მათ კისერზეა, თუმცა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა არ იკმარეს და ახლა უკვე კახეთის მიწებსაც გადასწვდნენ.**



# სააკაშვილს სამშობლო «უსაზღვროდ» უყვარს

**საბჭოთა კინოკომედია „ივან ვასილევიჩი პროფესიას იცვლის“ მიხეილ ბულგაკოვის 1935 წელს დაწერილი პიესის მიხედვით გადაიღო „კავკასიელი ტყვე ქალის“ რეჟისორმა ლეონიდ გაიდაიმ. მისი ერთ-ერთი გმირი — ქურდი ჟორჟ მილოსლავსკი მეფის მანტიამორგებულ „უპრავდომს“ ქურდულად „აწვება“: — Да ты что, самозванец, казенные земли разбазариваешь?! ქურდსაც კი ესმის, რომ სახელმწიფო მიწის გაჩუქების უფლება არავისა აქვს — არც მეფეს და არც „უპრავდომს“. სააკაშვილი და მისი უმეცარი მოხელეები კი ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ბულგაკოვის კომედიის გმირი.**

საქართველოს მორღვეული საზღვრები მთლიანად მათ კისერზეა, თუმცა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა არ იკმარეს და ახლა უკვე კახეთის მიწებსაც გადასწვდნენ. 6 მაისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტურისტებსა და მლოცველებს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში აზერბაიჯანელი მესაზღვრეები არ უშვებენ. ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ უაპელაციოდ განაცხადა, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის უდაბნოს მონასტრის ნაწილი სადავო ტერიტორიას არ წარმოადგენს და ის საბჭოთა კავშირის დროიდან აზერბაიჯანის ტერიტორიად ითვლება.

ნინო კალანდაძეს თანაგუნდელმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა **ნიკა რურუამ** უმალ მეორე ხმა მისცა და დაუდასტურა, რომ დავით გარეჯის კომპლექსში შემავალი უდაბნოს მონასტერი აზერბაიჯანს ეკუთვნის: **„სამწუხაროა ის, რომ უდაბნოს მონასტერი სადავო საკითხს არ წარმოადგენს. სამწუხაროა, მაგრამ ის, 1994 წლის შეთანხმების თანახმად, აზერბაიჯანის ტერიტორიას ეკუთვნის“.**

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ისტორიკოსმა ჯაბა სამუშიამ, როგორც ეს „ქრისტიან-დემოკრატებს“ სჩვევიათ, თან კვერი დაუკრა მმართველ პარტიას და თან კბილიც გაჰკრა: **„1921 წლიდან არსებობს საზღვრის გამიჯვნის დოკუმენტი, რომლის მიხედვით, დავით გარეჯის მცირე ნაწილი აზერბაიჯანულ მხარეს ნამდვილად ეკუთვნის, თუმცა გადასახედია თავად დოკუმენტი, რადგან 1921 წლის შემდეგ მასში რამდენიმე ცვლილება შევიდა“.** საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ამ ისტორიული (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ტყუილის გამო აღშფოთება ვერ დამალა: **„ნინო კალანდაძე რომ გვიცხადებს — დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი არ იყო საქართველოს საზღვრებში — ეს ტყუილია“,** — წერს სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ თავის გვერდზე. — **„ჩემი მინისტრობის გამოცდილებიდან ძალიან კარგად მახსოვს, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში იდგა: ორი მონაკვეთი დაუდგენელი იყო — დავით გარეჯა და წითელი ხიდისა და პრეზიდენტების დონეზე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი. იყო ჩემი წინადადება მეტადრე, რომ ჩვენ არა ერთი არგუმენტი გვქონდა საჩვენოდ! სამწუხაროა და სამარცხვინო, როცა მინისტრის მოადგილემ არ იცის განსხვავება დაუდგენელი საზღვრის მონაკვეთისა და „ჩვენ საზღვრებში არშემავალ ტერიტორიას“ შორის! სკანდალურია, როცა ხელისუფლების მთავარი დღევანდელი საქმე იმაში მდგომარეობს, ამტკიცოს, რომ არც სოხუმი და არც დავით გარეჯა საქართველოს ტერიტორიაში არ შედიოდა“,** – წერს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი და ხაზგასმით აღნიშნავს: **„ხან ომით ასხვისებენ ტერიტორიებს და ხან სიტყვით... მოღალატეობა სხვა კი არაფერია“!**

**„საქართველო და მსოფლიო“ იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს მმართველი გუნდის განცხადება 1994 წელს აზერბაიჯანისთვის დავით გარეჯის ტერიტორიის გადაცემის შესახებ, ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს დაუკავშირდა.**

## ედუარდ შევარდნაძე: არც 1994 წელს, არც შემდგომ დავით გარეჯის საქართველოს კუთვნილება ეჭვქვეშ არავის დაუყენებია...



— საქართველოში ჩემი პირველ პირად ყოფნის დროს, — **თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში,** — ჩვენ მიერ წამოწყებული სახალხო მოძრაობის „მთას დაუბრუნდა მთიელი“ მიზანი სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, საქართველოს მთაში მოსახლეობის დაბრუნება იყო. ამ მოძრაობას კიდევ ერთი, თანმდევი მიმართულება იყო ქართული მოსახლეობისგან მიტოვებულ ძირძველ ქართულ მიწებზე ჩვენი თანამემამულეების დასახლება. მანამდე სხვებს თავისად მიაჩნდათ იქაურობა. ამ რამდენიმე წლის წინ სოფელ უდაბნოში მომიწია ჩასვლა, სხვათა შორის, იმ დღეს, როცა ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის შენაწირით განახლებული დავით გარეჯის პრეზენტაცია გაიმართა. მაშინ ერთმა სვანმა მითხრა: ცხვრის ფარა სადაც გაივლის, იქ გველის სახსენებელი ისპობაო. რაც ჩვენ აქ დავსახლდით, უცხოტომელებმა უდაბნოდან ფეხი ამოიკვეთესო. **უდაბნოს ველს თავზე გვირგვინად ადგას დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც კარგა ხანს ყველასგან მივიწყებული იყო. ჩვენ დავადგინეთ სახალხო დღესასწაული „გარეჯობა“. გაკეთდა მისასვლელი გზა ლავრამდე, ხალხი დაიძრა ამ ქრისტიანული სიწმინდისკენ.**

ამით რა მინდა ვთქვა, იცით? ის, რომ საზღვრის დემარკაციასა და დელიმიტაციას სათანადო არიერგარდის მოწესრიგება სჭირდება, შენი სახელმწიფოებრივი ბასტიონის აგება სასაზღვრო სივრცეში, რათა ყოველგვარი საეჭვო სიტუაცია აიცილო თავიდან.

თუმცა გულახდილად გეტყვით: ის ურთიერთობა, რომელიც მაშინ ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ხელმძღვანელებს შორის, ასეთ სიტუაციებს გამორიცხავდა. ჩვენ — მე, ჰეიდარ ალიევი და კარენ დემირჭიანი ყოველ თვე ვხვდებოდით ერთმანეთს საქმიან ვითარებაში, განვიხილავდით მიმდინარე ვითარებას, საკითხებს, რომლებიც ამ პერიოდში წამოიჭრებოდა. **არც ერთხელ, ვიმეორებ, არც ერთხელ არ დასმულა, არავის ეჭვქვეშ არ დაუყენებია საკითხი, არც ერთხელ — არც უწინ, არც დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ — არ დასმულა საკითხი დავით გარეჯის კუთვნილების შესახებ, ამ ტერიტორიის საქართველოს კუთვნილების შესახებ.**

დიდი და სერიოზული სამუშაო ჩაატარა საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის სამთავრობათაშორისო კომისიამ. საზღვრის დადგენა მხოლოდ ხაზის გავლება არ არის. სამუშაო ურთულესია, ამას უდიდესი შრომა და უამრავი დრო სჭირდება, მაგრამ არა უაზრო გაჭიანურება. კიდევ უფრო მიუღებელია მივიწყება და სახვალიოდ გადადება.

საქმე თანდათან საერთო შეთანხმებამდე მიდიოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, 2003 წლის ნოემბერში გადავდექი და რა მოხდა მას შემდეგ, ჩემთვის უცნობია.

ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ: არც 1994 წელს, არც შემდგომ წლებში სახელმწიფოთა შორის შეთანხმება დავით გარეჯის მიმდებარე საზღვრის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის არ შემდგარა.

**„საქართველო და მსოფლიო“ ასევე ესაუბრა სასაზღვრო დეპარტამენტის უფროსს 1993-2004 წლებში — ვალერი ჩხეიძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავით გარეჯის მონაკვეთთან დაკავშირებულ კონფლიქტურ სიტუაციასთან დაკავშირებით.**

## ვალერი ჩხეიძე: დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სანახები აზერბაიჯანისთვის არავის გადაუცია



**— ბატონო ვალერი, თქვენ ეგებ არც იცით (ვალერი ჩხეიძე უცხოეთშია წასული), რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის უდაბნოს მონასტრის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი მესაზღვრეები 6 მაისიდან მართლმადიდებელ მომლოცველებს აღარ უშვებენ — აზერბაიჯანის ტერიტორია არისო, და როგორც ყველა სხვა უცხო ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას, აქაც დაცული უნდა იყოსო საერთაშორისოდ მიღებული წესები. ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ, კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ დაადასტურეს, რომ 1994 წლიდან საქართველო-აზერბაიჯანის სამთავრობო შეთანხმების საფუძველზე ეს ტერიტორია აზერბაიჯანს ეკუთვნის.**

— თუ მართლა ასე თქვეს, ისინი აბსოლუტურად არ ყოფილან საქმის კურსში.

1994 წელს არავითარი შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრის შესახებ, რომელიც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე გადიოდა, არ შემდგარა.

ამ პერიოდში და შემდეგაც, როცა მე საზღვრის დეპარტამენტის უფროსობიდან წავედი, ფუნქციონირებდა საქართველო-აზერბაიჯანის მთავრობათაშორისი კომისია, რომელიც საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის საკითხებზე მუშაობდა. ამ კომისიაში საქართველოს მხარეს ხელმძღვანელობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. თუ არ ვცდები, მაშინ ეს თანამდებობა მიხეილ უკლებას ეკავა.

უნდა გითხრათ, საზღვრის საკითხი ყველაზე უფრო მოწესრიგებული საქართველოს ჰქონდა, თავისთავად ცხადია, თურქეთთან (ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან) და შემდეგ — რუსეთთან.

კარის მეზობლებზე, მათ შორის, აზერბაიჯანზე იმავეს ვერ ვიტყვი.

**— ცალკეულ დეტალებზე შეთანხმებული ვიყავითო, რომ თქვით, რას გულისხმობდით?**

— მაგალითად, საზღვრის დაცვის რეგლამენტს. თუ რომელიმე მონაკვეთზე საზღვრის დადგენა გართულდებოდა, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ჩვენს პოსტებს პირობითი საზღვრიდან ერთნაირი მანძილით — 1,5-2 კილომეტრით გადავწევდით და ისე განვაგრძობდით სამსახურს.

**— დავით გარეჯშიც?**

— დიახ, დავით გარეჯშიც ასე იყო.

**— ესე იგი, თქვენც და აზერბაიჯანელებსაც გქონდათ პოსტები იქ დაყენებული.**

— დიახ, გვქონდა.

**— ამას იმიტომ ვაზუსტებ, რომ ამჟამად ქართული პოსტი იქ აღარ არსებობს. აზერბაიჯანელების — არის.**

— ესე იგი, ან დაარღვიეს უწინდელი შეთანხმება, ან, ჩემთვის გაუგებარია, რატომ დათმო ჩვენმა მხარემ. ჩვენი იქ ყოფნის დაფიქსირება ყოველთვის აუცილებელია.

**— დავთმეთ?**

— შემიძლია მხოლოდ ვარაუდი გამოვთქვა ამ საკითხზე. დაბეჯითებით ვერ გეტყვით, თუმცა გარედან ასე ჩანს.

**— ახლა, როგორც გავრცელდა ინფორმაცია, ჩვენი მეზობლების მესაზღვრეები დავით გარეჯის თხემზე პატრულირებენ.**

— ასეთი რამ დაუშვებელია. ეს ნიშნავს, რომ **უხეშად ირღვევა საზღვრის დაცვის საერთაშორისო ნორმები და ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ასეთი შემთხვევებისთვის დადგენილი ღონისძიებები ჯერ საგარეო სამინისტროების მოლაპარაკების დონეზე, თუ საჭირო გახდა, მთავრობათა დონეზე.**

უნდა გითხრათ, რომ დავით გარეჯის მონაკვეთთან ერთად გადაუწყვეტელია წითელ ხიდთან საზღვრის საკითხიც.

**— ესე იგი, ბატონო ვალერი, 1994 წელს საქართველოს ხელისუფლებას დავით გარეჯის სამონატრო კომპლექსის სანახები აზერბაიჯანისთვის არ გადაუცია?**

— დარწმუნებით გეტყვით: **დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სანახები აზერბაიჯანისთვის არავის გადაუცია.** ცუდია, რომ სადავო საზღვრის საკითხი დღემდე გადაუწყვეტელი რჩება, რაც ისტორიული ქართული მიწა-წყლის კუთვნილების საკითხს ასე ჰაერში გამოკიდებულს ტოვებს.

**არმაზ სანებლიძე**

**როდესაც ქვეყანა კარგავს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ტერიტორიას, მიწას, რომელიც მორწყულია ექვსი ათასი გარდაცვლილი ბერის სისხლით და ამ დროს სახელმწიფო პირი ამბობს, ეს ჩვენი მიწა არ არისო, ამას ჰქვია ერის ნამუსის ახდა. ასეთი ერი კი ადგება უღირს გზას და იგი განწირულია ნგრევისთვის, საბოლოო განადგურებისთვის. შეუძლებელია, ამნაირმა ერმა ჩვენისთანა გეოპოლიტიკურ სივრცეში შეძლოს არსებობა, ასეთ ერს მომავალი არ უწერია...**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამა კირიონი:

# ეს სამშობლოს ღალატია!

**სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ტერიტორიების გაყიდვა-გასხვისებას აქტიურად ეწევა, ისედაც დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოს რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთი ისტორიული მიწა და კულტურული ძეგლი მოსწყვიტა. საუბარია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალ უდაბნო მონასტერზე, რომელსაც, უკვე ერთ კვირაზე მეტია, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები აკონტროლებენ. როგორც ცნობილია, ამჟამად მონასტერში ბერების გარდა არავის უშვებენ, მათ შორის, არც ტურისტებსა და მომლოცველებს. მომხდარის შესახებ ადგილობრივმა სასულიერო პირებმა საპატრიარქოს უკვე შეატყობინეს, საპატრიარქომ კი საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩააყენა საქმის კურსში, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა. რა მდგომარეობაა ამ დროისთვის სამონასტრო კომპლექსში და როგორ ხსნის აზერბაიჯანული მხარე საზღვრის გადმოწევის ფაქტს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება დავით გარეჯის მონასტრის მღვდელმონაზონი მამა კირიონი.**



მამა კირიონი

**— მამაო კირიონ, ეს დღეებია, დავით გარეჯში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საზოგადოებაში სკანდალი და მითქმა-მოთქმა არ ცხრება. ყველაფერთან ერთად მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მოსახლეობას ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია არ აქვს. რა ხდება დღეს რეალურად სამონასტრო კომპლექსში?**

— უწინარესად, მინდა, დიდი გულისტკივილით აღვნიშნო ის ფაქტი, რომ, როცა ჩვენ, ბერები, რაღაცას ვამბობთ, რაღაც ინიციატივით გამოვდივართ, ხელისუფლება ყურსაც არ იბერტყავს და რა თარგზე ჭრის საკუთარ პოზიციას, კაცმა არ იცის. რაც შეეხება კონკრეტულად დავით გარეჯში არსებულ პრობლემებს, ეს ძალიან რთული და, ვფიქრობ, საფრთხილო თემაა, ამიტომ, თქვენი ნებართვით, ცოტა შორიდან დავიწყებ.

ზოგადად თუ მივუდგებით საკითხს, პრობლემა ასე იდგა: თავის დროზე, კომუნისტების პერიოდში, აზერბაიჯანელმა კოლმეურნეებმა სთხოვეს საქართველოს, რომ ის ტერიტორია, რომელიც ახლა სადავოა, ეთხოვებიათ მათთვის საძოვრებად. მიაქციეთ ყურადღება, საუბარი იყო მხოლოდ თხოვებაზე, ანუ დროებით გადაცემაზე. ვინაიდან საქართველო მაშინ ამ ტერიტორიას, ფაქტობრივად, არ იყენებდა, ჩვენმა მაშინდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მისცა ეს მიწები აზერბაიჯანელებს და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ისინი სარგებლობდნენ ამ მინდვრებით. მოგვიანებით კი მოხდა ასეთი რამ: 60-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირმა დაიწყო მასში შემავალ რესპუბლიკებს შორის პირობითი სადემარკაციო ზონების დადგენა, საზღვრები გავლებული იქნა გეოგრაფიულ ზონებზე. ეს ჩვენი სადავო ტერიტორია, მოგეხსენებათ, მდებარეობს მთის თხემზე, ამიტომ საკითხი მარტივად გადაწყდა, საზღვრად მიჩნეულ იქნა მდინარე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ზოლი არ იყო მუდმივი, ანუ თუ წყალი გადაიღვრებოდა იქით, მიწა რჩებოდა საქართველოს, ხოლო თუ გადმოიღვრებოდა აქეთ, რჩებოდა აზერბაიჯანს. ერთი სიტყვით, შეიქმნა მდგომარეობა, რომელიც არც ჩვენთვის იყო ხელსაყრელი და არც მათთვის, ვინაიდან მდინარე როდის და როგორ შეუცვლის კალაპოტს და საით გადაიწევს ან გადმოიწევს მომავალში, არავინ იცის. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის საზღვრები, ფაქტობრივად, ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა, ამიტომ **დღეს, როცა საქართველოს სახელმწიფო არ იცავს იმ პოზიციას, რომ ეს ტერიტორია, რომელიც ახლა სადავო გახდა, ჩვენი ისტორიული მიწა-წყალია, უწმინდესი ადგილია და ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ეს არის სამშობლოს ღალატი.** სხვა არაფერი იმას არ ჰქვია, იმიტომ, რომ, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელობა ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე დუმს და, ფაქტობრივად, თვალს ხუჭავს, არანაირი ახსნა ამას არ შეიძლება ჰქონდეს...

**— რამდენიმე დღის წინ საგარეო უწყების წარმომადგენელმა ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ დავით გარეჯის ის ნაწილი, რომელიც სადაო გახდა, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული არ იყო საქართველოს საზღვრებში. რას იტყვით ამაზე?**

— ეს არის მტკნარი და უსირცხვილო ტყუილი, 6 მაისამდე არცერთ აზერბაიჯანელ მესაზღვრეს მონასტერ უდაბნოში ფეხი არ დაუდგამს. უბრალოდ ეს ტერიტორია წარმოადგენდა სადაო საკითხს, მოდიოდნენ აზერბაიჯანიდან კომისიები, ხვდებოდნენ ჩვენებს და იყო მსჯელობა, თუ როგორ მოგვარებულიყო პრობლემა. ჩვენი მხრიდან ვინმე გოცირიძე თაოსნობდა ამ პროცესს (სახელი არ მახსოვს) და მან მოგვცა პირობა, არაფერზე ინაღვლოთ, სანამ რამე არ გაირკვევა, მიწა იქნება ჩვენს მფლობელობაშიო. დეფაქტოდ კი ეს ტერიტორია ყოველთვის იყო საქართველოს სარგებლობაში და იქ მონაცვლეობა მუდმივად ხდებოდა ქართველების მიერ. დღეს აზერბაიჯანულმა მხარემ უკვე დადო თავის სახელმწიფო საიტზე ოფიციალური ინფორმაცია, რომ ეს არის მათი ტერიტორია, ანუ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამას ღალატის გარდა არაფერი არ ქვია, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო ეთანხმება ამ ყალბ და ამაზრზენ პოზიციას.

**— როგორც ვიცი, ბერებს არ ექმნებათ მონასტერში შესვლის პრობლემა.**

— კი, გვეუბნებიან, თქვენ არ გეშლებათ ხელი, შეგიძლიათ, შეხვიდეთ და მოილოცოთ, მაგრამ ეს იცით, რანაირი რაღაცაა, ამას ძალიან დაბალი შინაგანი კულტურის ადამიანი თუ დაეთანხმება მხოლოდ. ჩვენ, ბერები, არანაირი ხარისხით თავს არ ვყოფთ ჩვენი მოქალაქეებისგან იმ უფლებაში, რომ, როგორ მე შემიძლია, მოვილოცო წმინდა ადგილი, ისე შეუძლია ნებისმიერ ქართველს; ასე რომ, მე თუ მიშვებ იქ და ჩემს სისხლხორცს, ჩემს ქართველს, რომელსაც მოლოცვა უნდა, არ უშვებ, ეს ჩემი შეურაცხყოფაა და ამაზე უფრო ამაზრზენი რა უნდა იყოს. ეს ჰგავს დაბალი დონის ვაჭრობის ვაჭრობას, ამას ჰქვია უზნეობა და უგუნურობა...

**— აზერბაიჯანული მხარე აცხადებს, რომ უდაბნო მონასტერი ალბანური კულტურის ნაწილია. რატომ ხდება, რომ საქართველო მუდმივად უპასუხოდ ტოვებს ხოლმე მსგავს აბსურდულ განცხადებებს?**

— დღესდღეობით ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, რაღაცნაირად შეგვიქმნას მტრის ხატი და რაღაცნაირად ტრაგედიად გვიცხადებს, ვთქვათ, იმას, რომ ბედიის ტაძარი აბხაზებისაა. **რა, ტრაგედია არაა ის, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს ალბანური კულტურის ნაწილად ასაღებენ?! ჩვენ, ბერები, მოვითხოვთ, მოიყვანონ აზერბაიჯანელი მეცნიერები, ხელოვნებათმცოდნეები, რომლებმაც იციანი ალბანური კულტურა, მათი დამწერლობა და რომელიმე ფრესკის წარწერა ამოიკითხონ. გვანახონ ამ მხატვრობის თუნდაც ერთი პარალელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და ჩვენ დავდუმდებით...**

ეს მონასტერი, უდაბნო, არის გარეჯული კედლის მხატვრობის სკოლა. ამ მონასტერში იწრთობოდა ხატმწერთა კადრები და გაედინებოდა მთელ საქართველოში, ანუ გარეჯული ხატწერა, მონახაზი და ფერთა გამა, ეს არის უნიკალური. ასე რომ, არავითარი კავშირი მას სხვა კულტურასთან არ აქვს, გარდა წმინდა ქართული ხატწერის სკოლისა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რასაც ესენი ამბობენ, არის მტკნარი ტყუილი და ისეთი სისულელე, რომ ამაზე, უბრალოდ, არც შეიძლება, იდავო...

**— თქვენი აზრით, ის, რაც დღეს დავით გარეჯში ხდება, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგია?**

— რა თქმა უნდა, ეს არის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ოღონდ უპრინციპო. საერთოდ, ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან სახელმწიფოებრივი და ეროვნული ცნება, ვინაიდან, ერთის მხრივ, შეიძლება ვაშენებდეთ სახელმწიფოს, მაგრამ ეს სახელმწიფო არ იყოს ეროვნული... დღეს თუ საქართველო თანახმაა იმაზე, რომ ვაშენოთ სახელმწიფო, რომელიც არ იქნება ეროვნული და რომელშიც ქართულ ისტორიულ ღირებულებებს არ ექნება თავისი ადგილი, მაშინ დავღუპულვართ და ეგაა...

**— ვთქვათ პირდაპირ: რამდენად ჩანს დღეს ხელისუფლების პოლიტიკაში ეროვნულობა?**

— მე მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი, **როდესაც ქვეყანა კარგავს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ტერიტორიას, მიწას, რომელიც მორწყულია ექვსი ათასი გარდაცვლილი ბერის სისხლით და ამ დროს სახელმწიფო პირი ამბობს, ეს ჩვენი მიწა არ არისო, ამას ჰქვია ერის ნამუსის ახდა. ასეთი ერი კი ადგება უღირს გზას და იგი განწირულია ნგრევისთვის, საბოლოო განადგურებისთვის. შეუძლებელია, ამნაირმა ერმა ჩვენისთანა გეოპოლიტიკურ სივრცეში შეძლოს არსებობა, ასეთ ერს მომავალი არ უწერია...**

**— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ დავით გარეჯი დეფაქტოდ ყოველთვის საქართველოს მფლობელობაში იყო. როგორ ფიქრობთ, ახლა რამ განაპირობა აზერბაიჯანის მხრიდან ასე ერთბაშად პრეტენზიების გაჩენა ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით?**

— მიზეზი მარტივია: ჩვენი ხელისუფლების უნიათობამ და უპასუხისმგებლობამ. ადრეც მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე არ ვარ ნაწყენი აზერბაიჯანზე, იმიტომ, რომ ყველა სახელმწიფო ცდილობს, გაძლიერდეს, განმტკიცდეს და განივრცოს. აქ საკითხავია, ჩვენ რას ვცდილობთ, რამდენად ვუფრთხილდებით ჩვენს მიწა-წყალსა და სიმდიდრეებს. ესაა ჩემთვის მთავარი და მნიშვნელოვანი, თორემ უცხო სახელმწიფომ რომ მიწა წაგართვას, მითუმეტეს, რომ შენ შენი ნებით ჩუქნი, გასაკვირი ამაში არაფერია.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, ხელისუფლების პრიორიტეტი არ არის ეროვნული ღირებულებები და არ იცავს ამ ღირებულებებს, მაგრამ რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ საზოგადოების ინერტულობას? მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც დავით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა, არავინ გამოსულა და არ გაუპროტესტებია ის, რაც ხდება.**

— იცით რა, მოდი, ვაღიაროთ სიმართლე: ჩვენი საზოგადოება უკვე მეტისმეტად დაიღალა. მეორე ისიც არის, რომ დღესდღეობით ქართველ ერს არ გააჩნია ჩამოყალიბებული სტრატეგია, რისთვის ვშრომობთ და რისკენ მივდივართ. აი, სწორედ ამ ორიენტირების არქონამ ხალხი დააბნია და აღარ იცის, რა გზას დაადგეს. ამასთან, ასეთი საზოგადოების მართვაც, ბუნებრივია, ბევრად უფრო მარტივია. ამიტომაა, რომ ხელისუფლებამაც, ყველაფერი, რის შემოღება და დამკვიდრებაც სცადა, ძალიან იოლად, ფაქტობრივად, წინააღმდეგობების გარეშე მოგვახვია თავს. შედეგიც სახეზეა — ვითომ ევროპული ოჯახის ნაწილი გვინდა გავხდეთ, მაგრამ სინამდვილეში რა კეთდება ამისთვის? — სიმღერისა და კონცერტების, გაუთავებელი ტაშ-ფაშდურის მეტი არაფერი გვესმის. **იმის ნაცვლად, რომ ამ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ღირებულებებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ვფიქრობდეთ, რეალურად რაღაც ჟონგლიორი ერის ფუნქცია მოვირგეთ.** მორჩა და გათავდა, ეს მდგომარეობა რა მომავალსაც გვიმზადებს, უკვე ამთავითვე ნათელია...

**— თქვენი აზრით, რა გზა არსებობს იმისთვის, რომ დავით გარეჯის პრობლემა ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყდეს?**

— ის, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ საკითხს სერიოზულად არ ეკიდება, უკვე დავრწმუნდით, ამიტომ ხელისუფლების იმედი ნამდვილად არ მაქვს. რჩება მხოლოდ და მხოლოდ ხალხი, ხალხმა უნდა შეაფასოს ეს ფაქტი სწორად და საზოგადოებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება: გადავიდეს უცხო ქვეყნის საკუთრებაში ეს უწმინდესი ადგილი თუ შეუნარჩუნდეს დედასამშობლოს. ასევე მინდა მივმართო ყველას — ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს: დავდგეთ ერი და ბერი ფეხზე და ვაიძულოთ სახელმწიფო, რომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეფაქტოდ უკვე გადაეცა ეს ტერიტორია აზერბაიჯანს და მალე, ალბათ, დეიურედაც მათი გახდება. მერე უკვე, როცა მოხდება საზღვრის დემარკირება, დავა იქნება ძალიან ძნელი და ნუღარ ვიყვირებთ ქართველები, რომ ეს მიწა ჩვენია. მერე ყველა ვიქნებით დამნაშავე ისტორიის წინაშეც და ღმერთის წინაშეც, იმიტომ, რომ დღეს ჩვენ, რაღაც ვირტუალური ლუკმაპურის გამო, თავი არ დავდევით და ამ უწმინდეს ადგილს არ ვუშველეთ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პოლიტიკა
 საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დღეს სააკაშვილის რეჟიმი ყველაზე ნაკლებად დემოკრატიას ჰგავს და მისი დაცვა დასავლეთში საკმაოდ არაპოპულარული გახდა, თუმცა ახალი ომის დაწყების შემთხვევაში, ამ მოდელის რეანიმირება, საკმაო ალბათობით, მაინც მოხდება. მაგრამ, თუ მოსკოვი მოახერხებს და ფართოდ გაავრცელებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი საერთაშორისო ტერორისტებთან თანამშრომლობს, მას სულ სხვა მოდელი ჩაენაცვლება, რომელსაც პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ „პროგრესული კაცობრიობა ნაგიჟარი დიქტატორის წინააღმდეგ“.

# მიშა, დოკუ და გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება

რუსეთის ეროვნულმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მძიმე ბრალდება წაუყენა. ამ უწყების ცნობით, 4-5 მაისს რუსეთის სპეცსამსახურებმა, აფხაზი კოლეგების ხელშეწყობით, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოავლინეს 10 სამალავი, რომლებშიც დიდძალი შეიარაღება ინახებოდა. რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის მტკიცებით, ტერორისტებს ეს იარაღი 2012-14 წლებში სოჭში უნდა გადაეტანათ და ოლიმპიადის წინ და მისი ჩატარების პერიოდში გამოეყენებიათ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამა წლის თებერვალში **აფხაზეთში დააკავეს კურიერი, რომელსაც 300 დეტონატორი აღმოაჩნდა. რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის მტკიცებით, „ისინი აფხაზეთში საქართველოდან ჩაიტანეს“.** იქვე ნათქვამია: **„ოპერატიული მონაცემებით რუსეთში გადაგზავნაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ქართული სპეცსამსახურები და მათთან დაკავშირებული უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები თურქეთის ტერიტორიაზე“.** ამავე განცხადების თანახმად, **მთელ ამ პროცესს „კოორდინაციას უწევდა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის „კავკასიის იმარათი“ თავკაცი უმაროვი, რომელსაც საქართველოს სპეცსამსახურებთან მჭიდრო კავშირი აქვს“.**
საინტერესოა, რა დგას ამ განცხადების მიღმა და რა პერსპექტივას მოასწავებს ეს საქართველოსთვის.




**«უმაროვი არ მიმართავს «სი-ენ-ენს» და «ბი-ბი-სის», რადგან მსოფლიოს უმსხვილესი სპეცსამსახურების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ის ტერორისტია. ის, რომ მას მიეცა შესაძლებლობა, ერთ-ერთი ქართული ტელეარხით გამოსულიყო, ადასტურებს პატრუშევის სიმართლეს იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს კავშირი ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტულ იატაკქვეშეთსა და ქართულ სპეცსამსახურებს შორის»**

## შარო, საიდან მოდიხარო?

ეს არ არის პირველი მსგავსი სულისკვეთების განცხადება, რომელიც მოსკოვიდან გაისმა, თუმცა, თუ თვალს ბოლო წლების პუბლიკაციებს გადავავლებთ, ვნახავთ, **რომ ბრალდებები დროთა განმავლობაში სულ უფრო მძიმდებოდა, ხოლო იმ პირების (ინსტანციების) სტატუსი, რომლებიც მათ აჟღერებდნენ, სულ უფრო მაღალი ხდებოდა.** თავიდან საქართველოს ხელისუფლების კავშირზე უკანონონო შეიარაღებულ ფორმირებებთან რუსეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ჟურნალისტები და მათი რესპონდენტი ექსპერტები საუბრობდნენ. შემდეგ მსგავს პუბლიკაციებში ავანსცენაზე გამოვიდნენ „ანონიმური წყაროები ძალოვანი სტრუქტურებიდან“. 2010 წლის 22 ოქტომბერს საქმეში ჩეჩნეთის ხელმძღვანელი რამზან კადიროვი ჩაერთო შემდეგი განცხადებით: **„საქართველოს გავლით ჩეჩნეთში ბანდიტების მთელ ჯგუფებს აგზავნიდნენ. დღესაც, ოპერატიული მონაცემების თანახმად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად ერთადერთ წყაროდ, რომელიც მათ დახმარებას უწევს, საქართველო რჩება“ („ამერიკის ხმა“). თუმცა ერთგვარ წყალგამყოფად, ალბათ, უნდა ჩაითვალოს არა ეს განცხადება, არამედ რუსეთის უშიშროების საბჭოს წევრებთან დიმიტრი მედვედევის 2011 წლის 18 თებერვლის ოპერატიული თათბირი, რომელზეც სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების საკითხი განიხილებოდა.** მაშინ რუსეთის პრეზიდენტმა შემდეგი რამ თქვა: **„არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებიც ჩვენს მეზობელ საქართველოს უკავშირდება, ამიტომ ყველაფერი, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამართალდამცავი ორგანოებისა და ძალოვანი სტრუქტურების ხაზით, უნდა გაკეთდეს. ნებისმიერი პროვოკაციის გზაზე სათანადო წინაღობა უნდა აღიმართოს“.** „საქართველო და მსოფლიო“ მაშინ წერდა, რომ პროცესი ახალ ეტაპზე გადავიდა: **„მედვედევის განცხადება წარმოადგენდა არა შექმნილი ვითარების მისეულ აღწერას, არამედ შეიცავდა პირდაპირ მითითებას, რომლის შემდეგ შესაბამისმა სტრუქტურებმა კონკრეტული ღონისძიებები უნდა გაატარონ. ეს თვისობრივად სხვა საფეხურია; რუსეთის სახელმწიფო მანქანამ მთავარსარდლისგან მიიღო მითითება — იმოქმედოს; ამ განცხადებამ მას „მწვანე აუნთო“.**

ამ თათბირიდან სულ რაღაც ერთ კვირაში, 25 თებერვალს, რუსეთის მთავრობის ოფიციალურმა ბეჭდვითმა ორგანომ **„როსიისკაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის წევრთან — ალექსანდრე ტორშინთან, რომელმაც განაცხადა, რომ ტერორისტული აქტი „დომოდედოვოს“ აეროპორტში საზღვარგარეთიდან იყო ორგანიზებული და კონკრეტული ქვეყანაც დაასახელა: „ჩემი აზრით, ეს იყო საქართველო და მისი მმართველი რეჟიმი“.** ანტიტერორისტულმა კომიტეტმა მაშინ ტორშინის განცხადებას „ნაადრევი“ უწოდა და დასძინა, რომ **„გამოძიების დასრულებამდე, ნებისმიერი ვერსია... შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ როგორც პირადი მოსაზრება“.** 2012 წლის 10 მაისს კი ამავე უწყებამ ქართულ მხარეს უმძიმესი ბრალდება წაუყენა.

**ყოველივე ამის პარალელურად, რუსულ მედიაში მიმდინარეობდა საუბარი საქართველოს ხელისუფლებისა და დოკუ უმაროვის კავშირზე.** 2010 წლის მარტის ბოლოს მოსკოვის მეტროში მომხდარი სისხლიანი ტერაქტების კვალობაზე (პასუხისმგებლობა მათზე უმაროვმა აიღო) რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა პატრუშევმა განაცხადა, რომ გამოძიების დროს შეიძლება **„ქართული კვალი გამოიკვეთოს“,** ხოლო დიმიტრი როგოზინმა (მაშინ რუსეთის წარმომადგენელმა ნატოში) უმაროვის ქართულ ტელეეთერში გამოჩენა (უმაროვის განცხადების აუდიოჩანაწერი მაშინ „პიკმა“ გაავრცელა) ასე შეაფასა: **„უმაროვი არ მიმართავს „სი-ენ-ენს“ და „ბი-ბი-სის“, რადგან მსოფლიოს უმსხვილესი სპეცსამსახურების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ის ტერორისტია. ის, რომ მას მიეცა შესაძლებლობა, ერთ-ერთი ქართული ტელეარხით გამოსულიყო, ადასტურებს პატრუშევის სიმართლეს იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს კავშირი ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტულ იატაკქვეშეთსა და ქართულ სპეცსამსახურებს შორის“.**

უმაროვის საქართველოში ყოფნის თემა განსაკუთრებით აქტუალური გასული წლის მაისში გახდა; რუსულ მედიაში მას უამრავი პუბლიკაცია მიეძღვნა. **ამ მომენტისთვის** (2011 წლის 11 მარტიდან) **გაეროს უშიშროების საბჭოს უმაროვი უკვე შეყვანილი ჰყავდა „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებული ტერორისტების სიაში. შეერთებულმა შტატებმა ის საერთაშორისო ტერორისტების სიაში 2010 წლის 23 მარტს შეიყვანეს, ხოლო 2011 წლის 26 მაისს ინფორმაციისთვის მისი ადგილსამყოფელის შესახებ 5 მილიონი დოლარის ჯილდო დააწესეს. იმავე დღეს სახელმწიფო დეპარტამენტმა „კავკასიის იმარათი“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.**

მთელ ამ ისტორიაში არის კიდევ ერთი ხაზი, რომელსაც პირობითად შეიძლება „ოლიმპიური“ ვუწოდოთ. საქართველოს ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულება სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის მიმართ საყოველთაოდ ცნობილია. საუბარი ოლიმპიადის შესაძლო ჩაშლაზე თბილისში ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო. **თემურ იაკობაშვილმა** (მაშინ ის რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გახლდათ) 2008 წლის 23 მაისს „ვრემია ნოვოსტეი“-სთან საუბარში განაცხადა: **„მშვიდობა კავკასიაში არ იქნება, თუ საქართველო დანაწევრებული და მოწყვლადი დარჩება. მითუმეტეს ის ჩრდილოეთ კავკასიაში არ იქნება. და პრობლემატური გახდება 2014 წლის ოლიმპიადის ჩატარება სოჭში, გადაუჭრელი კონფლიქტიდან 30 კილომეტრში“.** 2008 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს სთხოვა, სოჭში ოლიმპიადის ჩატარების გეგმებს გადახედოს. ამავე დროს **სააკაშვილის ხელისუფლება მუდამ უარყოფდა მოსკოვის ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ოლიმპიადის ჩაშლის მიმართულებით რაიმე ძალისმიერი საფრთხის შექმნას აპირებს.** გასული წლის 25 თებერვალს „პიკთან“ ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა, რომ **ოლიმპიადისთვის „ფიზიკური საფრთხის შექმნა არც ჩვენს გეგმებში შედის და არც ჩვენს შესაძლებლობებში“.**

დოკუ უმაროვი სოჭში ოლიმპიადის ჩატარების თანმიმდევრული მოწინააღმდეგეა. 2010 წლის აპრილში „კავკასიის იმარათის“ წარმომადგენლებმა გაავრცელეს განცხადება, რომელშიც ოლიმპიადასთან დაკავშირებით ითქვა: **„ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა ეს არ მოხდეს“.** რუსი სამართალდამცავების მტკიცებით, ბრძოლა სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ უმაროვმა უფრო ადრე დაიწყო და ბრძანება ტერორისტული აქტების განხორციელების შესახებ, **„რათა ხელისუფლებამ ოლიმპიური თამაშების ჩატარების გადაწყვეტილებაზე უარი თქვას“** მისმა ერთ-ერთმა ხელქვეითმა აბდულგანი განიშივმა 2008 წლის ივნისში მიიღო (გამოძიების ინფორმაცია, რომელიც განიშივის სასამართლო პროცესზე გაჟღერდა; „კომერსანტი“ 30.09.09).

საბოლოოდ ყველა ეს ხაზი რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადებაში გადაიკვეთა. ეს არ არის „რიგითი“ ან „მორიგი“ ბრალდება; ეს არსებითად მნიშვნელოვანი, ძალზე ავისმომასწავებელი სიგნალია.

## არც ისე ოლიმპიური თამაშები

**იმისთვის, რომ მთელი ამ ისტორიის პოლიტიკური ქვეტექსტი გამოვკვეთოთ, ალბათ, რუკის აღება და 7-8 წლით უკან დაბრუნება დაგვჭირდება. სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც წესი, სოჭის ოლიმპიადას წარმოაჩენენ მხოლოდ როგორც რუსეთისთვის მნიშვნელოვან საიმიჯო პროექტს, თუმცა** ▶

**რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადება ხმლის ტარზე დადებული ხელია და იმ მომენტში, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება ამ ხელს უყურებს და ფიქრობს იმაზე, თუ როდის ამოიღებს ის ხმალს, ფატალური საფრთხე შეიძლება სულ სხვა მხრიდან დაემუქროს. მსგავსი კომბინაცია მაშინ, როდესაც ვაშინგტონი „ვარდოსან ხელისუფლებას“ კბილებით იცავდა, ნაკლებად სავარაუდო იყო, თუმცა დღეს, როდესაც სააკაშვილის პოზიციები დასავლეთში მნიშვნელოვნად შესუსტდა, მანევრისთვის საკმაო სივრცე გაჩნდა.**



საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ამ საკითხს სხვა, შესაძლოა, გაცილებით მნიშვნელოვანი ასპექტებიც აქვს.

ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოში“ გასული წლის თებერვალში ვწერდი და თავს უფლებას მივცემ, იმ პუბლიკაციიდან ორიოდე ციტატა მოვიყვანო: **„გადაწყვეტილება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებაზე სოჭის განაცხადის შეტანის შესახებ რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა 2005 წლის ივლისში მიიღო (კრემლმა, შესაბამისად, ამაზე ადრე). რა პერიოდია ეს? საქართველოსა და უკრაინაში „ფერადი რევოლუციები“ მოხდა, ორივე ქვეყნის სათავეში ბუშის ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი ძალები მოექცნენ. სააკაშვილიც და იუშჩენკოც ნატოში სასწრაფო ინტეგრირების სურვილს გამოთქვამდნენ და ეს პერსპექტივა არცთუ უიმედო ჩანდა.**

**შევხედოთ რეგიონის რუკას და წარმოვიდგინოთ, რომ უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები გახდნენ და რუსეთის გასასვლელი შავ ზღვაზე მარწუხებში მოექცა. ამ საფრთხემ რუსეთის ხელისუფლებას უბიძგა, თავისი პოზიციები შავიზღვისპირეთში მაქსიმალურად გაემყარებია. სოჭის გადაქცევა ოლიმპიურ ქალაქად ამ ამოცანის გადაწყვეტის კარგი საშუალება იყო, რადგან მოსკოვს შესაძლებლობას აძლევდა, რეგიონის ინფრასტრუქტურის ფორსირებული განვითარება მოეხდინა და, ამასთანავე, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ყველა ზომა მიეღო ისე, რომ ეს ლოგიკურ ნაბიჯად წარმოჩენილიყო (ოლიმპიური ქალაქის უსაფრთხოების დაცვა). სავარაუდოდ, ამიტომ კრემლმა მიიღო გადაწყვეტილება, ოლიმპიადის ჩატარებაზე სწორედ სოჭის კანდიდატურა წარედგინა და არა რომელიმე სხვა ქალაქის, რომელშიც გაცილებით მეტი თოვლია და ინფრასტრუქტურაც უკეთაა განვითარებული.**

**2005-ში ნათელი როდი იყო, რით დასრულდებოდა „ფერადი რევოლუციების“ მარში და სავსებით შესაძლებელი იყო, რომ რუსეთის გასასვლელი შავ ზღვაზე ალყაში მოქცეულიყო; უხეშად რომ ვთქვათ, მარჯვნივ და მარცხნივ — ნატოს წევრი უკრაინა და საქართველო, წინ — ნატოს სამხედრო ხომალდები, ზურგს უკან კი — ალმოდებული ჩრდილოეთ კავკასია. ეს შავი (და, შესაბამისად, ხმელთაშუა) ზღვის აუზში გასასვლელის დაკარგვის რეალურ საფრთხეს უკავშირდებოდა, რაც რუსეთისთვის სასიკვდილო დარტყმის ტოლფასია“.**

**„როდესაც სავარაუდო ანგლო-ამერიკულ სტრატეგიებს განვიხილავთ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ საზღვაო ცივილიზაციების (და შესაბამისი გეოპოლიტიკური სკოლების) წარმომადგენლები ათვლის წერტილად და წინსვლის მთავარ სამიზნედ ყოველთვის ზღვასა და სანაპირო ზოლს განიხილავენ. შესაბამისად, კავკასიიდან განხორციელებული ზეწოლის ძირითადი ვექტორი მათ გეგმებში, სავარაუდოდ, მიმართულია არა უშუალოდ ჩრდილოეთით, ანუ ცენტრალური რუსეთის უზარმაზარი სახმელეთო მასივისკენ, არამედ იმ ვიწრო ზოლებისკენ, რომლებიც მას სამხრეთის ზღვებთან აკავშირებს.**

**პირველი რაუნდი კრემლმა მოიგო. უკრაინაში „ნარინჯისფერები“ დამარცხდნენ, ამ მხრიდან საფრთხე რუსეთისთვის განეიტრალდა (თუმცა არ აღმოფხვრილა). ამასთანავე, სააკაშვილის პოლიტიკამ 2008 წლის აგვისტოში მოსკოვს შესაძლებლობა მისცა, გაეფართოებია კონტროლის ზონა შავი ზღვის სანაპირო ზოლში (აფხაზეთი), სავარაუდოდ, სწორედ ამას ვერ პატიობენ დღემდე სააკაშვილს მთელი რიგი მოღვაწეებისა ვაშინგტონში. შესაძლოა, სააკაშვილის ხელისუფლების ახალი კავკასიური პოლიტიკა ამ მხრივ ერთგვარი რეაბილიტაციის მცდელობაა და სურვილი, შეცვლილ პირობებშიც კი გააგრძელოს აქტიური მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა დღეს ის კონტექსტიდან ამოგლეჯილი ჩანს. ობამას ადმინისტრაციამ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები შეცვალა“** (ციტატის დასასრული).

**რა მოხდა ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში?** 2007 წლის ოქტომბერში **დოკუ უმაროვმა** გააკეთა განცხადება „კავკასიის იმარათის“ შექმნის შესახებ. მის ვიდეოდეკლარაციაში შემდეგი სიტყვები იყო: **„ვინც თავს დაესხა მუსლიმებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, ჩვენი საერთო მტრები არიან. ჩვენი მტერია არა მხოლოდ რუსეთი, არამედ ამერიკა, ინგლისი, ისრაელი, ყველა ვინც აწარმოებს ომს ისლამისა და მუსლიმების წინააღმდეგ“.** ამ განცხადებამ გამოიწვია ძალიან სერიოზული კონფლიქტი ჯოხარ დუდაევის ყოფილ თანამებრძოლებს შორის. მაგალითად, **აჰმედ ზაკაევმა** განაცხადა, რომ „კავკასიის იმარათის“ გამოცხადებას **„ჩეჩენი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საერთაშორისო ტერორიზმის ჭრილში გადაჰყავს, რასაც ჩეჩენი ხალხის ინტერესებთან და ისლამურ ღირებულებებთან საერთო არაფერი აქვს“.**

აქ, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1995 წლის მაისში, ცნობილი უკრაინელი ექსპერტის — გიორგი პოჩეპცოვის ცნობით, რუსეთის მთავრობის სპეციალურმა საინფორმაციო-ანალიტიკურმა კომისიამ მოამზადა დოკუმენტი, **„ჩეჩნური კრიზისის მითოლოგია, როგორც რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ინდიკატორი“.** მასში სხვა ყველაფერთან ერთად აღნიშნული იყო, რომ საჭიროა **„ჩეჩნური კრიზისის კონკურენტუნარიანი საინფორმაციო მოდელის შექმნა“,** რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, დასავლეთის ლიდერებს უბიძგებდა კონფლიქტის ორ მხარეს შორის უფრო ახლობლად, „თავისიანად“ მოსკოვი აღექვათ. იმ პერიოდში დასავლეთი დუდაევისა და მისი საქმისადმი საკმაოდ სიმპათიით იყო





**სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც წესი, სოჭის ოლიმპიადას წარმოაჩენენ მხოლოდ როგორც რუსეთისთვის მნიშვნელოვან საიმიჯო პროექტს, თუმცა ამ საკითხს სხვა, შესაძლოა, გაცილებით მნიშვნელოვანი ასპექტებიც აქვს**

განწყობილი და ეს რუსეთს პრობლემებს უქმნიდა. დღეს სიტუაცია აშკარად შეცვლილია, „კავკასიის იმარათი“ ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლება და დასავლეთში არავის მოუვა აზრად, მას სოლიდარობა გამოუცხადოს. ამ მხრივ მოსკოვმა სტრატეგიულ წარმატებას მიაღწია.

იმავე მიდგომის პროეცირება შეგვიძლია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზეც მოვახდინოთ. ერთის მხრივ, არის მოდელი „იმპერია — პატარა დემოკრატიის წინააღმდეგ“, რომელმაც ომის დროს დასავლეთის საინფორმაციო-პოლიტიკურ სივრცეში, რიგი პრობლემების მიუხედავად, ასე თუ ისე იმუშავა. **დღეს სააკაშვილის რეჟიმი ყველაზე ნაკლებად დემოკრატიას ჰგავს და მისი დაცვა დასავლეთში საკმაოდ არაპოპულარული გახდა, თუმცა ახალი ომის დაწყების შემთხვევაში, ამ მოდელის რეანიმირება, საკმაო ალბათობით, მაინც მოხდება. მაგრამ, თუ მოსკოვი მოახერხებს და ფართოდ გაავრცელებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი საერთაშორისო ტერორისტებთან თანამშრომლობს, მას სულ სხვა მოდელი ჩაენაცვლება, რომელსაც პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ „პროგრესული კაცობრიობა ნაგიჟარი დიქტატორის წინააღმდეგ“; ვაშინგტონისთვის ასეთი პარტნიორი ყოვლად უსარგებლო, დისკრედიტირებული გახდება და მას სკამიდან საკუთარი ხელით „მოაძრობს“, მითუმეტეს, რომ მსჯელობა ამ თემაზე დასავლეთში, დიდი ხანია, დაიწყო.**

## ჭერში დაწყობილი კომბლები

ჩვენ მტკიცებულებების საკითხს მივუახლოვდით. „აიფ“-თან საუბარში ფსბ-ს პოლკოვნიკმა, ანტიტერორისტული ქვედანაყოფის — „ალფას“ ვეტერანების ასოციაციის პრეზიდენტმა **სერგეი გონჩაროვმა** თქვა, რომ შესაბამისი დადასტურების გამოქვეყნებამდე ქართული მხარის დადანაშაულება არ ღირს. მან აღნიშნა, რომ **„მოსკოვი და თბილისი ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ადანაშაულებენ ერთმანეთს მომიჯნავე ტერიტორიებზე ტერაქტების მომზადებაში, მაგრამ დამტკიცების გარეშე ეს ბრალდებები მხოლოდ ცარიელი სიტყვები და საინფორმაციო ომის ნაწილია“.** რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უსაფრთხოების კომიტეტის წევრმა **ნიკოლაი მაკაროვმა** კი თქვა (ზოგიერთ ქართველ კომენტატორს ის რუსეთის გენშტაბის უფროსში აერია): **„განცხადებები, რომელსაც კომიტეტი აკეთებს, სპეცსამსახურების მონაცემებს ეფუძნება და მტკიცებულებებით დასტურდება“.**

საქართველოში ხშირად მიიჩნევენ, რომ კრემლი მსგავსი განცხადებებით, უბრალოდ, „კომბლებს თლის და ჭერში აწყობს“ და ამას იმიტომ აკეთებს, რომ, როდესაც რუსეთში (თუნდაც სოჭში) ტერაქტი მოხდება, განაცხადოს „ხომ ვამბობდით“ და საქართველოს სრული ძალით შეუტიოს, თუმცა ჩანაფიქრი ამ შემთხვევაში შეიძლება უფრო ნატიფი იყოს.

**პაუზა ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადების შემდეგ, შესაძლოა, იმას ნიშნავს, რომ რუსული მხარე მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელ პარტნიორებს მიაწვდის. რა შეიძლება ჰქონდეთ მათ?** აფხაზეთში დაკავებული პირების აღიარებები? რაიმე საეჭვო დოკუმენტები ან ჩანაწერები? ჰიპოთეტური ჩანაფიქრის ფარგლებში, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, **მთავარია, რომ მათ შეიძლება ისეთი ტიპის ინფორმაცია გამოაჩინონ, რომელიც ამერიკელებს იძულებულს გახდის, ის საქართველოში გადაამოწმონ.**

მეორე ეტაპი: წარმოვიდგინოთ, რომ ამის შემდეგ ამერიკელმა მზვერავებმა, სააკაშვილის ხელისუფლების „შიგნიდან“ მიიღეს ინფორმაცია უმაროვთან საეჭვო კავშირების შესახებ. შეუძლებელი ამაში არაფერია, 2010 წლის 14 ოქტომბერს **ირაკლი ოქრუაშვილი** ადგა და ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა: **„ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი ჩეჩნებისათვის ტრანზიტისა და კორიდორების მიცემისა; ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი იმისა, რომ ინგუშები მომზადებულიყვნენ ჩვენს სამხედრო ბაზებზე; ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი, რომ ჩვენი ბანკების მეშვეობით გატარებულიყო ჩეჩნეთში შესაგზავნი ფული“.** ამ შემთხვევაშიც შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც რომელიმე მაღალჩინოსანი, რომელიც სააკაშვილის გემიდან გაქცევას ლამობს და დამატებითი მოტივებიც აქვს (ასეთი კი, სავარაუდოდ, არც ისე ცოტაა), მსგავსი შინაარსის საბუთებს ამერიკელებს დიდი სიამოვნებით გადასცემს (ნამდვილს თუ ზომიერად ყალბს ან კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ).

თუ ჩვენ გავიხსენებთ საინფორმაციო მოდელებთან დაკავშირებულ მონაკვეთს, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ **რუსებისთვის სასურველია, ამერიკელებმა დამოუკიდებლად** (ან თითქმის დამოუკიდებლად) **მოიპოვონ ქართული წყაროებიდან ინფორმაცია, რომელიც მათ სოლიდარობას სააკაშვილთან შეუძლებელს გახდის.** რუსეთში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის ასეთი ხანგრძლივი, რთული და, სავარაუდოდ, მიზანმიმართული მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება საჭირო არ არის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სააკაშვილთან დაკავშირებით ის რუსეთში, დიდი ხანია, ჩამოყალიბებულია. ამისთვის ასეთი კოზირის („კავშირი უმაროვთან“) „დახურდავება“ რაციონალური ნამდვილად არ არის, ისევე, როგორც ანტიტერორისტული კომიტეტის, საინფორმაციო თვალსაზრისით, „ნედლი“ განცხადების მეშვეობით დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების მოხდენის მცდელობა. კრემლი, დიდი ალბათობით, ამ კარტის გათამაშებას ცოტა უფრო ეფექტური კომბინაციის ფარგლებში შეეცდება.

მესამე ეტაპი: **ქართული არჩევნების წინ ბარაკ ობამას კაბინეტში** (ცხადია, ეს უტრირებაა) **შევარდებიან აშშ-ის სადაზვერვო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები შეძახილებით „გამორიცხული არაა, რომ მას უმაროვთან კავშირი აქვს“. საერთოდ, დაზვერვამ მმართველს სიმართლე უნდა უთხრას, თუმცა დროდადრო მას იმის თქმაც უწევს, რის გაგონებაც მმართველს სურს** (შესაძლოა, ქვეცნობიერად, და ამას ამოცნობა უნდა). **ცხადია, ამ მომენტში დასრულდება ყოველგვარი ორჭოფობა სააკაშვილის შესაძლო მხარდაჭერასთან დაკავშირებით და ასეთ ვითარებაში მისი მეგობრები ვაშინგტონში ხმის ამოღებას ვერ გაბედავენ.** შემდეგ კი აშშ-ის პრეზიდენტი, დაახლოებით ისე, როგორც ამას თავის რომანებში ტომ კლენსი აღწერს, ხელში ტელეფონის ყურმილს აიღებს, შემდეგ... თუმცა ამის შემდეგ არანაირი „შემდეგ“ არ იქნება.

ტანკი, ზოგადად, ძალიან სერიოზული რამ არის, თუმცა სუნ ძი ამბობდა, რომ გაცილებით გონივრულია მოწინააღმდეგის დამარცხება ქარქაშიდან ხმლის ამოღების გარეშე.

**რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადება ხმლის ტარზე დადებული ხელია და იმ მომენტში, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება ამ ხელს უყურებს და ფიქრობს იმაზე, თუ როდის ამოიღებს ის ხმალს, ფატალური საფრთხე შეიძლება სულ სხვა მხრიდან დაემუქროს. მსგავსი კომბინაცია მაშინ, როდესაც ვაშინგტონი „ვარდოსან ხელისუფლებას“ კბილებით იცავდა, ნაკლებად სავარაუდო იყო, თუმცა დღეს, როდესაც სააკაშვილის პოზიციები დასავლეთში მნიშვნელოვნად შესუსტდა, მანევრისთვის საკმაო სივრცე გაჩნდა.**

**ცხადია, თუ ჰიპოთეტური საიდუმლო ოპერაციის მეორე ეტაპზე გამოჩნდება ასე თუ ისე დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომლებიც საეჭვო კავშირებზე მიუთითებენ, ამერიკელებს სხვა გზა, მესამე ეტაპზე გადასვლის გარდა, პრაქტიკულად, არ დარჩებათ.**

შეიძლება განვიხილოთ სცენარები, რომელთა ფარგლებში მსგავსი ინფორმაცია არჩევნების წინ საჯარო გახდება, მაგრამ ეს ტაქტიკური დეტალებია. ამასთანავე, **ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამერიკელმა პარტნიორებმა სააკაშვილის დაცვით თავი მოიკლან, მითუმეტეს, თუ დასკვნების გამოტანა და მოქმედება შეზღუდულ დროში მოუწევთ.**

ეს ერთობ კონსპიროლოგიური კონსტრუქცია, ცხადია, არ გამორიცხავს, რომ საქმე პირველ ვარიანტთან, ანუ, უბრალოდ, „კომბლების მომარაგებასთან“ გვაქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, ისეთ განცხადებებს, როგორიც მოსკოვში 10 მაისს გაკეთდა, ყოველთვის ისტორიის გაგრძელება მოსდევს.

ვერაფერს ვიზამთ, არის ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს პირველი სტადია აშკარად არ დაუსრულებია, მეორე შეიძლება ძალიან მალე დაუდგეს.

**დიმიტრი მონიავა**

## ვაი ჭკუისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველო პატარა სახელმწიფოა, თურქეთი კი — დიდი, ამას 10-15 წლის შემდეგ შეიძლება სერიოზული გართულება მოჰყვეს. მალე შესაძლებელია ამ პატარა ქალაქში სუბკულტურის ელემენტები შემოვიდეს, რაც ნიშნავს იმ ენაზე საუბარს, იმ მანერებით საუბარს (ვგულისხმობ თურქულს). არის საფრთხე, რომ ქართული იდენტობა ბათუმის ტერიტორიაზე დაიკარგოს.“

# მურმან დუმბაძე: თურქეთს არა მარტო აჭარაზე, არამედ მთლიანად საქართველოზე აქვს პრეტენზია

**მურმან დუმბაძის განცხადებით, ძველ ბათუმში თითქმის ყველა შენობის პირველი სართული თურქ ინვესტორებს ეკუთვნით. სუპერმარკეტების, კაფე-ბარების, რესტორნებისა და სხვადასხვა გასართობი ადგილების შემდეგ ისინი ახლა სასაფლაოებსაც ისაკუთრებენ. ამ ექსპანსიის შესაჩერებლად კი არა მარტო ბათუმელებმა, არამედ მთელმა საქართველომ უნდა ვიბრძოლოთ.**



**— ბატონო მურმან, ბათუმში, იქ, სადაც აზიზის მეჩეთი უნდა აშენებულიყო, ტერიტორია შემოღობეს, რა ხდება ღობის მიღმა?**

— აზიზის მეჩეთის საკითხი თითქმის მოხსნილია. მარტში ჩატარებულმა მიტინგებმა შედეგი გამოიღო და არა მარტო ბათუმის საზოგადოებამ, არამედ საქართველოს მთელმა მოსახლეობამ დიდი ზეწოლა მოახდინეს ხელისუფლებაზე. მე მგონი, ხელისუფლება ამ განზრახვაზე ხელს აიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროტესტი გაგრძელდება და უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს. **დოკუმენტებით დასტურდება, რომ ეს ტერიტორია, სადაც მაზნიაშვილის ჯარისკაცებია დაკრძალული, სადაც დაახლოებით 3 ათასი მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა, რომელსაც თავისუფლების მოედანი ეწოდება, 1 ლარად თურქ ინვესტორს გადასცა აჭარის მთავრობის თავჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ. ეს ტერიტორია უკვე მესრით შემოიღობა და დაგეგმილია მშენებლობა.**

**— მაინც რა შენდება ამ ადგილას?**

— როგორც გავიგეთ, თურმე ამ ტერიტორიაზე თურქი ინვესტორი აპირებს 40-სართულიანი მრავალფუნქციური შენობის აშენებას. ჩვენ საპროტესტო აქცია ჩავატარეთ, რომ არ შეიძლება მამულიშვილთა საფლავებიდან, რომლებმაც ბათუმი შეუნარჩუნეს საქართველოს, 2 მეტრში აშენდეს შენობა. გამოდის, რომ იგი შენდება საფლავებზე. აჭარის მთავრობა ამბობს, რომ საფლავებს არ შევეხებით და ისე ავაშენებთო, მაგრამ ეს აბსურდია. აჭარის მთავრობამ არა მარტო სკვერი გაყიდა, არა მარტო ქუჩები, ბულვარი და მდინარეები, არამედ საფლავებიც. **ბათუმში, თავისუფლების მოედანზე, მდებარე მამულიშვილთა საფლავი თურქ ინვესტორზე 1 ლარად არის მიყიდული. ჩვენ ამგვარი ხელშეკრულების კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ. ეს მშენებლობა უკანონოა და თქვენი გაზეთის მეშვეობით ვაფრთხილებ თურქ ინვესტორს, ხელი აიღოს ამ მშენებლობაზე.** მალე ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, დიდი ალბათობაა, რომ ხელისუფლება დამარცხდება, შეიცვლება და შემდეგ ჩვენ მოვითხოვთ უკანონო პრივატიზაციის დეპრივატიზაციას. ეს არის გაფრთხილება. რაც შეეხება ამ ტერიტორიის შემოღობვას, ეს მოხდა ღამით, რამდენიმე დღის წინ — ღამით. უჩუმრად აშენებენ, პროექტი არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობასა და აჭარის მთავრობას არ აინტერესებთ ბათუმელთა აზრი. ბათუმელები კი მოითხოვენ, ამ ადგილას მოეწყოს დალუპულ მამულიშვილთა სკვერი. თუ თურქი ინვესტორი ჯიუტად გააგრძელებს 40-სართულიანი შენობის მშენებლობას, ვფიქრობ, ოქტომბრამდე ვერ დაასრულებს და მისი დეპრივატიზაცია გარდაუვალი იქნება. **თქვენი გაზეთის საშუალებით, მთელი ბათუმის მოსახლეობის სახელით მოვუწოდებ საქართველოს მოსახლეობას, რომ მხარი დაგვიჭირონ ამ საკითხში. აჭარის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბულვარი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, მაღალი სასტუმროები, ინფრასტრუქტურული პროექტები პრაქტიკულად თურქეთის ხელშია. ყველა სასტუმრო, რესტორანი, ძველი ბათუმის თითქმის ყველა შენობის პირველი სართული დაკავებული აქვთ თურქებს, იქ გახსნილი აქვთ სუპერმარკეტები, რესტორნები, კაფე-ბარები და გასართობი ობიექტები.**

საქართველო პატარა სახელმწიფოა, თურქეთი კი — დიდი, ამას 10-15 წლის შემდეგ შეიძლება სერიოზული გართულება მოჰყვეს. მალე შესაძლებელია ამ პატარა ქალაქში სუბკულტურის ელემენტები შემოვიდეს, რაც ნიშნავს იმ ენაზე საუბარს, იმ მანერებით საუბარს (ვგულისხმობ თურქულს) და არის საფრთხე, რომ ქართული იდენტობა ბათუმის ტერიტორიაზე დაიკარგოს. აქ დგება საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხი. მთელმა საქართველომ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ეს ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს, ხოლო ამ ექსპანსიის შეწყვეტის უებარი საშუალება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებია.

**— თურქი ინვესტორის ვინაობა თუ არის ცნობილი?**

— ეს არის თურქული კომპანია „სისტემ ინშაათი“. ამ კომპანიის დირექტორი ვინმე ბაშკილარია.

**— აცხადებენ, რომ ძველ ბათუმში შენობების უმეტესობა თურქ ინვესტორებს ეკუთვნით...**

— სამწუხაროდ, ეს სიმართლეა. ამ ობიექტების დაბრუნების უებარი წამალი ამ ხელისუფლების შეცვლა და თურქი ინვესტორების გაყრა კი არა, ჩვენს ინვესტორებთან თანაბარ პირობებში ჩაყენებაა. თურქეთის მოქალაქეს აქვს ფული და მას აფინანსებს თურქეთის სახელმწიფო, ხოლო ჩვენს მოქალაქეებს არც ფული აქვთ და არც ბანკები აფინანსებენ. **თურქეთის სახელმწიფო ზოგჯერ აქეზებს, ზოგჯერ ავალდებულებს და ზოგჯერაც ახალისებს მათ იმისთვის, რომ თურქულ ბანკებთან ურთიერთობა დაამყარონ და ამ ბანკების საშუალებით შემოვიდეს თურქული ფული საქართველოში. ეს არის ძალიან სახიფათო და ნომერ პირველი პრობლემა.** მე ვიცი, რომ ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა და, როდესაც ბათუმელებს დაუსვეს შეკითხვა, თუ რა იყო მათი პრობლემა, მათ სწორედ თურქული კაპიტალის შემოდინება დაასახელეს.

**— თქვენ საუბრობდით რუკაზე, რომელზეც აჭარა და თურქეთი ერთ ფერშია. სად ნახეთ ეს რუკა?**

— **აჭარაში უამრავი მედრესეა გახსნილი და ერთ-ერთში საკუთარი თვალით ვნახე რუკა, რომელზეც თურქული სახელმწიფო და აჭარა ერთ ფერშია წარმოდგენილი, და ამას ასე ხსნიან: ეს ორივე ქვეყანა ერთი და იმავე აღმსარებლობისააო. ეს არის ქართული სახელმწიფოსთვის სახიფათო პოლიტიკური რუკა.**

**— თქვენ ფიქრობთ, თურქეთს აჭარაზე აქვს პრეტენზია?**

— თურქეთს არა მარტო აჭარაზე, არამედ მთლიანად საქართველოზე აქვს პრეტენზია და ჩვენ უნდა ვიყოთ ღირსეული ერი, რომ ასეთი პრეტენზიები ძირშივე მოვსპოთ.

**— როგორ ფიქრობთ, დღეს თურქეთსა და საქართველოს შორის არის დაძაბული ურთიერთობა?**

— ვერ ვიტყვი, რომ დაძაბული ურთიერთობაა. თურქეთს კარგი მთავრობა ჰყავს და თავის ქვეყანას კარგად ავითარებს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩემი სახელმწიფოს ღირსების დაკნინების ხარჯზე. ბათუმში არსებული თითქმის ყველა ინვესტიცია არის თურქული. არ შეიძლება ერთი და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეს ჩააბარო აეროპორტიც, პორტიც, სასტუმროებიც, სკვერებიც და ლამის სასაფლაოებიც. თურქული ინვესტიციები უნდა შეჩერდეს და, თუ არ შეჩერდება, ჩვენ შევაჩერებთ.

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

# სად — ველოტრასა და სად... ბოტანიკური ბაღი?!

## რატომ იჩეხება ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში უნიკალური ჯიშის ხეები?

**საქართველოში რომ ხელისუფლება ცენტრალიზებულია და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უძლური და უფუნქციო, ამის დადასტურებაა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებული პროცესები.**

**ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, დაანგრიეს ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი, ხოლო მის გვერდით არსებულ ბოტანიკურ ბაღში დაიწყო უნიკალური ჯიშის 100-150 წლის ხეების გაჩეხვა. დაგეგმილია ბოტანიკური ბაღის შესასვლელიდან პრეზიდენტის რეზიდენციამდე „მეგრული ოდა“ ერთკილომეტრიანი 8 მეტრი სიგანის ველოტრასის გაკეთება.**

სამუშაოები ისე დაიწყო, რომ არაფერი უკითხავთ არც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის, არც საკრებულოსთვის და არც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელო ზემო სავნეთის გუბერნატორად, ფაქტობრივად, ისევ რჩება სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია.

**ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძემ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გააშენა და სადაც უნიკალური ჯიშის ხეები ხარობს, ამჟამად განადგურებული და გაჩანაგებულია.** რამდენიმე წელი ბაღს არ ჰყავდა პატრონი, ფორმალურ მფლობელად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ითვლებოდა, რომელიც, მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, ჯიუტად არ თმობდა ბაღს და არ აძლევდა ადგილობრივ მმართველობას. სწორედ ამან მიიყვანა ბაღი გავერანებამდე. **შარშან, დეკემბერში, ეკონომიკის სამინისტრომ „კეთილი ნება“ გამოიჩინა და ბაღი ადგილობრივ მმართველობას გადასცა. გაიხარეს ზუგდიდელებმა: აწი მაინც ეშველება უნიკალურ ბაღსო, მაგრამ ამ ქმედებაში მზაკვრული გეგმა იყო ჩადებული.**

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ბაღი ფორმალურად გადაეცა და არც არანაირი კეთილმოწყობითი და აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებულა. **ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი მიაბეს ე. წ. ანაკლია-გამუხურის რესორტიას, ანუ ბოტანიკური ბაღი, ანაკლიისა და განმუხურის ინფრასტრუქტურა მოაქციეს ერთ სტრუქტურაში, ერთ დაქვემდებარებაში.** რა სტუქტურაა ეს, სად მდებარეობს მისი ოფისი, ვინ არის მისი ხელმძღვანელი, გაურკვეველია. სწორედ ამ **„ანაკლია-განმუხურის რესორტიას“ დაკვეთით სამშენებლო ფირმა „სანი“ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში შეუდგა ხეების გაჩეხვას და ველოტრასის მშენებლობას. გავრცელებული ვერსიით, ანაკლიის, განმუხურისა და ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, ბოტანიკური ბაღის გაჩეხვასა და ველოტრასის მშენებლობას ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია ხელმძღვანელობს.**

ვინაიდან ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ოფიციალურად ეკუთვნის ზუგდიდის მუნიციპალიტეტს და არის მის დაქვემდებარებაში, „ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“ სწორედ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სრულიად სამართლიანად ადანაშაულებს კულტურული მემკვიდრეობის განადგურებაში. **„ბოტანიკური ბაღი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს და მშენებლობის პროცესი კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან უნდა იყოს შეთანხმებული“,** — ნათქვამია „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ განცხადებაში. ეს ასეც უნდა კეთდებოდეს ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ. ბოტანიკური ბაღი ხომ ფორმალურად ეკუთვნის ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, ხოლო ვინც მართავს მას, ამის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

სად — ველოტრასა და სად — ბოტანიკური ბაღი?! — კითხულობენ გაკვირვებული ზუგდიდელები. თუ მაინცდამაინც ჰოლანდიას გვინდა დავემსგავოთ, რა აუცილებელია მაინცდამაინც ბოტანიკური ბაღის გაჩეხვა და მის ტერიტორიაზე ველოტრასის გაკეთება, ნუთუ სხვაგან ადგილი ვერ გამოიძებნა?

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

**P.S. ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის არც ქალაქის ცენტრში მილიონ ორასი ათას ლარად ღირებული შადრევნის გაკეთება უკითხავთ, რომელსაც ფონად საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ადევს. შადრევანი უმეტეს წილად არ მუშაობს და ხალხი ამ დროშასა და ჯვრებზე მიდი-მოდის, რაც მკრეხელობაა.**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ ქართველ ხალხს ოდნავ მაინც შერჩა ღირსების გრძნობა, დიდ-პატარა უნდა გამოვიდეს ქუჩაში და რა ფორმითაც იქნება საჭირო, ხელი შევუშალოთ ამ უმსგავსობას. არ დავუშვათ საქართველოში ქართველების სისხლის მსმელის, ჩვენი წინაპრების შემმუსვრელის, ვინმე აზიზის თუ აზიზიეს სახელობის მეჩეთი აშენდეს, თორემ ესენი თუ მივუშვით, აქაოდა ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობას ვამყარებთო, მალე შაჰ-აბასის ძეგლსაც წამოგვიჭიმავენ. ამათთვის არაფერს ნიშნავს ქრისტიანობა — მართლმადიდებლობა, წარსული და ისტორია.“



## გურამ ფირცხალავა:

# სააკაშვილის ერთგულმა მღვდლებმა, ანაფორას რომ არცხვენენ, სჯობს, ის ფორმა ჩაიცვან, რომელიც მათთვის ზედგამოჭრილია...

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსახიობი გურამ ფირცხალავა.**

**— ბატონო გურამ, გასულ კვირას, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში სიტყვით გამოსვლისას, სააკაშვილმა, ფაქტობრივად, არ დატოვა საკითხი თუ მოვლენა, რომელსაც არ შეეხო. სულ რაღაც ოცწუთიან საუბარში, ბეჭდური მედიიდან დაწყებული, დამთავრებული პოლიტიკური ოპონენტებით, ყველა მწვავედ გააკრიტიკა. როგორ შეაფასებთ ამ გამოსვლას?**

— ყველაფერს, რასაც ახლა ეს გიჟი აკეთებს, ნახევარი ჭკუის დატანებით შვება. მთლიანი ჭკუა ხომ არ აქვს! არჩევნების მოახლოებასთან ერთად მთლად გადაირია. გახსოვთ, ალბათ, **თავის დროზე დავით აღმაშენებელს ედრებოდა, ახლა კიდევ ილია ჭავჭავაძე ჰგონია თავი: რაც მაგან რეფორმები გაატარა, ახლა რომ იყოს, ჩემსავით გააკრიტიკებდნენო.** ჯერ ერთი, მაგან, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ილიას თავის დროზე კრიტიკა არ აკლდა, მაგრამ ეგ არაფერი. უბედურება ისაა, რომ ამ ავადმყოფს მართლა ჭავჭავაძე ჰგონია თავი, ამიტომაცაა ასეთი პრინციპული და თავდაჯერებული, ფიქრობს, რომ კრიტიკა ყველა რეფორმის, ნოვაციის განუყოფელი ნაწილია... სულ მკიდია, ხალხს მოვწონვარ თუ არა, გავა წლები და ხალხი ძეგლს დამიდგამს, — აი ესაა მთელი მისი პოლიტიკა და ფსიქოლოგია; მოკლედ, სრულ აგონიაშია ეს ადამიანი, ცალი ფეხი სამარეში აქვს ჩადგმული (პოლიტიკურ სამარეს ვგულისხმობ, რასაკვირველია)...

**— ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გამართულ შეხვედრას სასულიერო პირებიც მრავლად ესწრებოდნენ. სააკაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ მისი რეფორმების წარმატებულობა დიდწილად მათი დამსახურებაა. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე და საერთოდ, იმ კატეგორიის მამაოებზე, რომლებიც „ბელადის“ განცხადებებს ტაშით აგვირგვინებენ ხოლმე?**

— **მე მგონი, ეს ე. წ. ერთგული მღვდლები გადაცმულები არიან, იმიტომ, რომ, თუ მღვდელი ხარ, რასაც ესენი კადრულობენ, ასეთი რამ არ უნდა იკადრო, მაგრამ, თუ არ ხარ, მაშინ მით უარესი, მღვდლობას რომ იბრალებ.**

რა განცხადებებსაც ეს ადამიანები აკეთებენ და როგორც იქცევიან, ეს არის ანაფორის შეურაცხყოფა. ამიტომ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ ხალხმა უნდა გაიხადოს ანაფორა და ჩაიცვას ის ფორმა, რომელიც მათი შინაგანი მრწამსისთვის ზედგამოჭრილია. ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ, მერწმუნეთ, **დღეს ძალიან ბევრი ისეთი პიროვნება იმალება წმინდანის მანტიაში, რომელიც ხელისუფლებასთან პირდაპირ კუდითაა გადაბმული. ბევრი მათგანი ცნობილია და საზოგადოებამ იცის, ვინ არიან ისინი, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ ფარულად მოქმედებს. აი, ის ხალხია ყველაზე მეტად საშიში, სწორედ მათი ძალისხმევით ანგრევს ხელისუფლება ერის სულიერებას და ხალხს ეროვნულ საყრდენს აცლის. ესაა ყველაზე დიდი საფრთხე, რომლისაც მართლა უნდა გვეშინოდეს.**

**— რამდენიმე დღის წინ „გერმანულ სახლში“ გამართული ინტერრელიგიური ჯგუფის სხდომა ხმაურიანად დასრულდა. სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს პატრიარქის განცხადებას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საჯარო გახდეს თურქეთ-საქართველოს შორის ოშკისა და ზარზმის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების სამუშაო ვერსია. თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა ჰქონოდათ ამ ინიციატივის საწინააღმდეგო სხვა კონფესიებს?**

— მინდა, ვკითხო ყველა იმ კონფესიის წარმომადგენლებს, რომლებიც გაალიზიანა საპატრიარქოს განცხადებამ: მასში რამე ეწერა ისეთი, რაც თქვენს უფლებებს ლახავს? ჩვენ რა, არ შეიძლება, ვიცოდეთ, რა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ქვეყანამ? ამ ყველაფრის უკან დგას ხელისუფლების პოლიტიკა, ანუ ხელისუფლება უწყობს ხელს იმათ, რომ რელიგია, სულიერება რაც შეიძლება დაკნინდეს. შეხედეთ, რა ხდება: მიდის პატრიარქის გამალებული დისკრედიტაცია, იმ სასულიერო პირებს კი, რომლებიც „ნაცმოძრაობის მრწამსზე“ არ მოექცა, მოსაკლავად დასდევენ, კულტურულ მემკვიდრეობას, ძეგლებს ასხვისებენ. ახლახან, სულ რამდენიმე დღის წინ, კიდევ დავით გარეჯი დავკარგეთ... ხშირად მომისმენია მწვავე განცხადებები აზერბაიჯანული მხარის მისამართით, მიწას გვართმევენო. მე კი, სიმართლე გითხრათ, ვერ გამიგია, რა შუაშია აზერბაიჯანი — უპატრონოდ მიგდებულ სიმდიდრეს რომ მიიტაცებს ვინმე, რა გასაკვირია...

# «აქედან აზერბაიჯანი გვიპყრობს, იქიდან — სომხეთი, თურქეთს ისედაც ნაყიდი ვყაავართ და ვრჩებით მხოლოდ ისტორიის ფურცლებზე»

**— გასულ კვირას აზიზის მეჩეთის ასაშენებელი ტერიტორიაც შემოიღობა და ახლა იქ არავის უშვებენ. ამაზე საერთოდ ხმაც არ ამოუღიათ არც პოლიტიკოსებს და არც საზოგადოებას.**

— ინდაურებივით რომ ვყლაპავთ ყველაფერს, იმიტომაა ეს იდიოტი, რასაც სიზმარში ნახავს, ეგრევე რეალობად აქცევს ხოლმე. ჯერ კიდევ სად ვართ, მაგის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. აქედან აზერბაიჯანი გვიპყრობს, იქიდან — სომხეთი, თურქეთს ხომ ისედაც ნაყიდი ვყავართ და რაღა დარჩა — ვიქნებით მარტო ისტორიის ფურცლებზე. ესაა ამათი მიზანი და აღწევენ კიდეც ამ მიზანს.

რაც შეეხება აზიზის მეჩეთს, არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ, **თუ ქართველ ხალხს ოდნავ მაინც შერჩა ღირსების გრძნობა, დიდ-პატარა უნდა გამოვიდეს ქუჩაში და რა ფორმითაც იქნება საჭირო, ხელი შევუშალოთ ამ უმსგავსობას. არ დავუშვათ საქართველოში ქართველების სისხლის მსმელის, ჩვენი წინაპრების შემმუსვრელის, ვინმე აზიზის თუ აზიზიეს სახელობის მეჩეთი აშენდეს, თორემ ესენი თუ მივუშვით, აქაოდა ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობას ვამყარებთო, მალე შაჰ-აბასის ძეგლსაც წამოგვიჭიმავენ. ამათთვის არაფერს ნიშნავს ქრისტიანობა — მართლმადიდებლობა, წარსული და ისტორია.** მათთვის ყველაფერი იქმნება ახლა, დღეს და მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობენ ეს ადამიანები. ამიტომ ებრძვიან ისინი ყველაფერს, რაც ისტორიის ფესვებთანაა დაკავშირებული; როგორმე უნდა ამოთხარონ და ამოძირკვონ ეს ფესვები, აქეთაა მიმართული მთელი მათი ძალისხმევა.

**— ისტორიის ფესვებიახსენეთ და დაახლოებით ერთი თვის წინ პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში ამბობდა, რომ უკვე 20 წელიწადზე მეტია, ერი დამანგრეველ იდეოლოგიურ თავდასხმას განიცდის. მისი თქმით, წლების მანძილზე ინერგებოდა უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი ერის წარსულისადმი, როგორც არასწორისა და მსოფლიო ცივილიზაციიდან ამოვარდნილის მიმართ. თქვენი აზრით, ის, რასაც დღეს სააკაშვილის ხელისუფლება აკეთებს, ამ პროცესის გაგრძელებაა?**

— ალექსანდრე ჭაჭია ჭკვიანი ადამიანია და მისი შეფასებები ყოველთვის რეალურ საფუძველს, მიზეზს ემყარება ხოლმე. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ნაწილობრივ უკვე გიპასუხეთ ამაზე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ამ **ხელისუფლებისთვის ისტორია არაფერს ნიშნავს. პირიქით, ეს ყველაფერი ერთგვარი ბორკილია სააკაშვილისთვის,** ვინაიდან სწორედ ისტორიაა ის, რაც გვახსენებს და გვეუბნება, რომ, ვთქვათ, აბდულ აზიზი ჩვენი მოყვარე კი არა, დაუძინებელი მტერი იყო; რომ თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარი არასდროს ყოფილა, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი სულიერი საზრდოა და ა. შ. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, სავსებით ლოგიკურია ის, რომ **ხელისუფლება ებრძვის ისტორიას. თუმცა ამათ ისიც კარგად იციან, რომ საბოლოოდ მაინც არაფერი გამოუვათ და პირადად სააკაშვილისთვის ამის გაფიქრებაც კი ტრაგედიის ტოლფასია...**

**— მოახლოებულ არჩევნებზეც, მინდა, გკითხოთ. გასულ კვირას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ეკონომიკურ კონფერენციაზე სააკაშვილმა განაცხადა, ოპოზიციას აქვს საკმარისი თანხა იმისთვის, რომ ჩამოიყვანოს ე. წ. თავისი დამკვირვებლები და არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ არ დადგეს. როგორ ფიქრობთ, რამდენად მისაღებია ეს ინიციატივა და, საერთოდ, რას ელოდებით მომავალი არჩევნებისგან?**

— ჩვენ გვაქვს წარსულის გამოცდილება, თუ როგორ ტარდებოდა არჩევნები აქამდე და რას ვიღებდით შედეგად. იმ გამოცდილების გათვალისწინებით, უკვე იმთავითვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს რეჟიმი ყველაფერს გააკეთებს, რათა როგორმე მოიგოს და შეინარჩუნოს ძალაუფლება. რაც შეეხება სააკაშვილის გამოსვლას, აბსურდია ის განცხადება, რომ, თუ ოპოზიცია თავის დამკვირვებლებს ჩამოიყვანს, გაყალბება იქნება შეუძლებელი. ისე გააყალბებენ, როგორც დაგიბარებია, და ხახვსაც ვერავინ დააჭრით ყურებზე. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, მოსახლეობა დადგეს მოწოდების სიმაღლეზე და ხელისუფლებამ იგრძნოს, რომ საზოგადოებას აქვს ძალა. დღესდღეობით სააკაშვილი ამას ვერ გრძნობს, იმიტომ, რომ რამდენჯერაც გამოვედით ქუჩაში, შემოგვისია თუ არა თავისი ჯალათები, მაშინვე დავიშალეთ და ყველაფერი დამთავრდა. ეს არ უნდა განმეორდეს. ხომ გაგიგონიათ, ძალა აღმართს ხნავსო. ძალას თუ შეგვატყობენ, ადრინდელივით აღარ გაუვათ მაიმუნობა.

**— ქუჩაში გამოსვლა ახსენეთ და, რაც დრო გადის, ყველა ოპოზიციური სუბიექტი, მათ შორის ბიძინა ივანიშვილიც, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ გზით პროცესების წარმართვა მომავალშიც გარდაუვალია. თქვენი აზრით, დღეს, როცა ხელისუფლება ფაქტობრივად პოლიტიკურ ისტერიკაშია, რამდენად დიდია საფრთხე, რომ, ქუჩის გამოსვლების შემთხვევაში, „ნაცმოძრაობამ“ ადრინდელივით ძალა გამოიყენოს?**

— ვფიქრობ, მსგავსი რამ ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტითაა მოსალოდნელი, ვინაიდან ის პირსისხლიანი ჯალათები, სააკაშვილის გულისთვის საკუთარ დედასაც რომ არ დაინდობენ, მართლა ყველაფერზე არიან წამსვლელები. ბრეივიკის საქმე ხომ იცით, უდანაშაულო ხალხი რომ დახოცა? აი, ზუსტად მაგ კატეგორიის ადამიანები არიან ისინიც... რა, **26 მაისს ბრეივიკები არ იყვნენ, მომიტინგეებს დამიზნებით რომ ესროდნენ და ახალგაზრდები რომ დახოცეს?!** მოკლედ, რა თქმა უნდა, სააკაშვილისნაირი გიჟისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საზოგადოება თუ მტკიცედ დადგება, ხალხზე დიდი ძალა არ არსებობს. ეს ძალიან კარგად იცის თვითონ ხელისუფლებამაც და ამიტომაა, რომ ახლა ყველაფერს აკეთებს, რათა მოსახლეობა რაც შეიძლება დაქსაქსოს, გათიშოს ერთმანეთისგან.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებას აქვს საერთაშორისო მხარდაჭერა. იგივე ამერიკელი დიპლომატების ბოლოდროინდელი განცხადებებიც ამაზე ნათლად მეტყველებს. ასეთ პირობებში, როგორ ფიქრობთ, ხალხის პოზიციას რამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება?**

— თქვენ თუ დასავლეთის მხარდაჭერას ეძახით ჯონ ბასის, მაილსისა და რუმბივით თავგასიებული ნავაროს განცხადებებს, თავისი ქოჩრით ოროსან მოსწავლეს რომ ჰგავს, ეგ არ ვიცი! თუ არა და, რაში ჩანს, რომ ამათ ვინმესგან სერიოზული მხარდაჭერა აქვთ, ვერ ვხვდები. **არავითარი მხარდაჭერა დღეს სააკაშვილის რეჟიმს არსაიდან არ აქვს. ერთადერთი, რასაც იგი ემყარება, არის პოლიცია და მთლიანად ძალოვანი სტრუქტურები.** ესაა მისი უკანასკნელი საყრდენი და საძირკველი. ასე რომ, ეს ბარიერი თუ გადაილახება, დამიჯერეთ, ამ რეჟიმის რღვევა ისე დაიწყება, რომ ამ პროცესს თვით მამაზეციერიც ვერ შეაჩერებს. მაგრამ, ამასთანავე, ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად, იმიტომ, რომ ამ აწყვეტილი გიჟების ხროვას უკვე არაფერი მოეკითხება. კაცი რომ ილია ჭავჭავაძეს შეადარებს საკუთარ თავს და დავით აღმაშენებელს, ასათიანზეა მაგის ადგილი... ერთი სიტყვით, **ხელისუფლება თავისი საქციელით თვითონ გვკარნახობს, რა გამოსავალიც არსებობს — ხალხი უნდა აჯანყდეს და გამოვიდეს ქუჩაში.** ვიღაცას შეიძლება ცუდად ხვდება ყურში ეს სიტყვა, მაგრამ ამ რეჟიმმა ხალხს სხვა გზა არ დაუტოვა. ხალხმაც ის გზა უნდა აირჩიოს, რომელიც რეალურია...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როდესაც მონიტორებზე „3D მინისტრები“ გამოჩნდებიან და მათთვის „გულის გადაშლის“ სადემონსტრაციო სეანსები ჩატარდება, მთელი მსოფლიო, სავარაუდოდ, მივა დასკვნამდე, რომ სააკაშვილის ხელისუფლების იდეოლოგიური ბაზისი ალალი და შეუბღალავი შიზოფრენიაა.**

# სააკაშვილი მატრიცაში გაიჭრა




**დავით ბაქრაძე უნდა მოემზადოს. გასაგებია, რომ არ უნდა და, შესაძლოა, ეშინია კიდეც, მაგრამ სხვა გზა, როგორც ჩანს, აღარ დარჩა. საზოგადოებაში ძალიან ფართოდ გავრცელდა ეჭვი, რომ მენტალური მდგომარეობა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი იმყოფება, მის მიერ ქვეყნის პირველი პირის მოვალეობის შესრულებას გამორიცხავს. მსგავს სიტუაციებში კი, კანონის თანახმად, დროებით პარლამენტის თავმჯდომარე ხდება პრეზიდენტი.**

ცხადია, ბაქრაძეს გაუჭირდება, თუმცა ფორსმაჟორის გამო, მხარში, ალბათ, მთელი ერი ამოუდგება და სულ რაღაც თვე-ნახევარს როგორმე გააძლებინებს. შემდეგ ჩატარდება არჩევნები და ხელისუფლებას ახალი პრეზიდენტი გადაიბარებს. მოგვიანებით კი მთელ ამ ეპოპეას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ალბათ, თავის მემუარებში აღწერს. სათაურად ამ წიგნისთვის ის ისტორიული მესიჯი გამოდგება, რომელიც ბაქრაძემ სააკაშვილს 2009 წლის იანვარში საავადმყოფოდან მისწერა, ხოლო ადრესატმა რატომღაც პირდაპირ ეთერში წაიკითხა. წარმოვიდგინოთ ყდა, ზედ პარლამენტის ფოტო და მიკი-მაუსივით მომღიმარი ბაქრაძე, ქვემოთ კი ოქროს ასოებით: **„გამპარსეს, რაღაცები დამკიდეს, სისხლისგან დამცალეს, მაწვალეს...“**. გრძელი სათაური კია, მაგრამ არა უშავს, ასოები პატარა იქნება. თუმცა ეს ნიუანსებია, მთავარია, რომ ბაქრაძე, როგორც ჩანს (დავტოვოთ ეს ბუნდოვანი „როგორც ჩანს“, რადგან შედარებით მკაფიო ფორმულირების გამოყენების შემთხვევაში, ნერვიულობისგან შეიძლება თმების დაპუტვა დაიწყოს), მართლაც უნდა მოემზადოს.

იმის ხელახალ აღწერას, თუ როგორ გამოიყურებოდა სააკაშვილი მახათას მთაზე ან მისი ბოლოდროინდელი განცხადებების მასირებულ ციტირებას, ალბათ, აზრი არ აქვს, ყველამ ყველაფერი ისედაც ნახა და მოისმინა. საინტერესოა, რომ forum.ge-ზე **ბოლო დღეებში მიმდინარეობდა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, გადაიქცა თუ არა სააკაშვილი საყოველთაო, დამამცირებელი შეფერილობის მქონე დაცინვის ობიექტად.** კითხვა ასე იყო ფორმულირებული: **„გადაიქცა თუ არა პრეზიდენტი „პასმეშიშჩედ“?** 15 მაისისთვის პასუხი ამ კითხვას 590-მა ფორუმელმა გასცა. **280-მა (47,46%) აირჩია პასუხის ვარიანტი „გადაიქცა“, 78-მა (13,22%) — ვარიანტი „არ გადაქცეულა“, 232-მა კი (39,32%) შემდეგი მოსაზრება გაიზიარა: „როდის არ იყო რო?“.**

აქ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ forum.ge ყველაზე პოპულარული ქართული ფორუმია, რომელზეც სააკაშვილის აპოლოგეტები მუდამ ცდილობდნენ თანამოაზრეების რიცხვი მაქსიმალურად გაეზარდათ, თუმცა, როგორც ვხედავთ, ამ გამოკითხვაში მათი ბელადისთვის აბსოლუტურად კატასტროფული შედეგი დაფიქსირდა.

**— რა მოჩანს იქ — ჰორიზონტზე? კონტრრევოლუციის თეთრი ბაირაღი მასზე გამოსახული ამაყი შროშანით? — არა, ეს მთავარი ექიმის ქათქათა ხალათია. ჩვენ ნამდვილად გამორჩეულები ვართ, არც ერთ რევოლუციას კაცობრიობის ისტორიაში ასეთი კლინიკური ფინალი არ ჰქონია.**

„ვთქვათ, გინდათ მინისტრთან ლაპარაკი სასწრაფოდ, გულის გადაშლა, დააჭერ ღილაკს და მინისტრი ამოვა 3D გამოსახულებით, ძალიან მოცულობითი, მაგალითად, მოცულობითი ზურაბ ადეიშვილი (არ ვიცი, რა მოემატება მოცულობაში, რაც არ უნდა დიდი გააკეთო, მაგრამ რაც იქნება) გამოჩნდება შენ წინ. ეს არ არის ფანტაზია“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. შეიძლება ვინმემ მისაყვედუროს, რომ წაქცეულს ვურტყამ და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ სააკაშვილს დავცინი, თუმცა ეს მეტისმეტად სახასიათო შემთხვევაა იმისთვის, რომ ის გამოვტოვოთ. ის შესაძლებლობას მოგვცემს, დავადგინოთ, თუ რა ტრანსფორმაციას განიცდის გარე სამყაროდან მიღებული ინფორმაცია მის გონებაში, ვიდრე ესოდენ უცნაური იდეების სახეს მიიღებს. მოკლედ, არაფერი პირადული, უბრალოდ, სევდიანი ფიქრები პათოგენეზზე.

**სააკაშვილი მიმავალი, სატელევიზიო ეპოქის ლიდერია, რომელმაც ინტერნეტის ძალა და მნიშვნელობა დროულად ვერ შეაფასა. მან ქართულ ტელესივრცეზე კონტროლის დამყარებას უამრავი რესურსი და ენერგია დაახარჯა, მაგრამ აშკარად ვერ შეამჩნია მომენტი, როდესაც ქართული საზოგადოების კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერნეტში „წავიდა“.** დღეს მოკლე, მკვახე კომენტარები სოციალურ ქსელებში, youtube-ზე ატვირთული სკანდალური ვიდეოჩანაწერები, კრიტიკული სტატიები ინტერნეტ-გამოცემებში მის რეჟიმზე დაახლოებით ისეთ ზემოქმედებას ახდენენ, როგორც მოუხელთებელი პართიელი მშვილდოსნები ერთ მუშტად შეკრულ, თუმცა მოწინააღმდეგესთან შედარებით, ფრიად მოუქნელ, რომაულ ლეგიონებზე კრასუსის საბედისწერო ლაშქრობის დროს. თუნდაც ბოლო თვის მატიანეს გადავხედოთ; **რომ არა ინტერნეტი, საზოგადოების დიდი ნაწილი, ალბათ, ვერასოდეს გაეცნობოდა მიხეილ სააკაშვილის განცხადებებს იმის თაობაზე, რომ სოხუმი საქართველოს შემადგენლობაში არ იყო, რომ ის მზად არის, მოიკვეთოს და კრემლში გააგზავნოს თავისი სხეულის გარკვეული ნაწილები, რადგან სახელისუფლო არხების სიუჟეტებიდან ეს მონაკვეთები საგულდაგულოდ ამოჭრეს.**

ჩვენ, დიდი ალბათობით, ვერაფერს შევიტყობდით იმ ზეწოლაზე, რომელსაც ძალოვანები რეგიონებში ოპოზიციასა და მედიაზე ახორციელებდნენ, **ვერ ვიხილავდით ფოტოებს, რომლებიც პატიმრებს წამებაზე მიანიშნებენ და ა. შ.** ყოველივე ეს ინტერნეტის მეშვეობით გავრცელდა და საყოველთაო განხილვის საგნად იქცა, განსხვავებით სააკაშვილის ტელემონოლოგებისგან და სიუჟეტებისგან თემაზე „გუბერნატორმა განახლებული საპონჩიკე მოინახულა“.

რაღაც მომენტში ხელისუფლება, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ მისი პოზიციები ინტერნეტ-სივრცეში სუსტია, თუმცა მეთოდები, რომლითაც მათ გამყარებას შეეცადა, ცოტა არ იყოს, ღიმილისმომგვრელი იყო. დასაწყისისთვის სააკაშვილმა აიღო ჩვენი ჯიბიდან (ბიუჯეტიდან) 75732 ლარი და „ფეისბუკზე“ საკუთარი გვერდის რეკლამას დაახარჯა. სპეციალისტები ცუდად დაფარული ირონიით აღწერდნენ იმ ხერხებს, რომელთა მეშვეობით სააკაშვილი ცდილობდა, „ლაიქების“ რაოდენობით ბიძინა ივანიშვილისთვის გაესწრო. „ლაიქომანია“ მთელ ხელისუფლებას მოედო. მაგალითად, **შსს-ს ოფიციალური საიტი მასზე შესულ სტუმარს ფრიად მოზრდილ ფანჯარას „უგდებს“ და სთავაზობს მინისტრის, სამინისტროსა და საპატრულო პოლიციის „ფეისბუკის“ გვერდები მოიწონოს** (რჩევა მათ, ვისაც ამის გაკეთება არ სურს და არ იცის, როგორ მოაშოროს ეს მომაბეზრებელი ფანჯარა, გვერდით, თავისუფალ სივრცეში, უნდა დააწკაპუნონ). **გამოქვეყნდა არაერთი პუბლიკაცია იმის თაობაზე, თუ როგორ აიძულებდნენ სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებს და სკოლის მოწაფეებს ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენლის გვერდი „დაელაიქებიათ“.** მოგვიანებით ეპიდემიის მასშტაბი შედარებით შემცირდა, რადგან ხელისუფლება, სავარაუდოდ, მიხვდა, რომ „იძულება მოწონებისადმი“ კარგს არაფერს მოუტანს.

თუ იდეას „3D მინისტრების“ შესახებ ამ ასპექტში განვიხილავთ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ეს ასევე გახლდათ ინტერნეტსივრცეში პოზიციების გამყარების მცდელობა, ოღონდაც ის იმ ადამიანის თავში დაიბადა, რომელსაც ინტერნეტკომუნიკაციის არაფერი გაეგება. ეს ძალიან ჰგავს სატელევიზიო „მოლაპარაკე თავების“ ინტერნეტში გადატანის მცდელობას, რომლის მიღმა ჯორჯ ორუელის „დიდი ძმის“ გამჭოლი მზერა იგრძნობა (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეკრანიზაციას გავიხსენებთ).

თავის იდეებს სააკაშვილი „ელექტრონული მთავრობის“ კონტექსტში ავითარებდა. ამასთან დაკავშირებით, სავსებით ნეიტრალურმა უცხოელმა ექსპერტმა, „DPAPსაქართველოს“ დირექტორმა სანიტა მეიჯერემ შემდეგი აზრი გამოთქვა: **„ურთიერთობა მინისტრებთან „3D ფორმატში“ ელექტრონულ მმართველობას არ ნიშნავს და პრაქტიკულადაც, მინისტრებთან ამ საშუალებით კონტაქტი აზრს მოკლებულია. „ელექტრონული მმართველობის ფარგლებში მსგავსი პრაქტიკის შესახებ არც ერთ ქვეყანაში არ მსმენია. შეუძლებელია, ყველა ადამიანი, რომელსაც ამის სურვილი ექნება, მინისტრს პირადად ესაუბროს. ეს განცხადება, ალბათ, პიარის ნაწილი იყო და ელექტრონულ მთავრობასთან საერთო არაფერი აქვს“** (commersant.ge). სანიტა მეიჯერემ, ალბათ, ვერც კი წარმოიდგინა, რომ სააკაშვილი (99%-იანი ალბათობით ეს ასეა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უბრალოდ ვიდეოზარზე ისაუბრებდა) არა მინისტრთან, არამედ მის ციფრულ ორეულთან გაბაასებას გულისხმობდა, 80-იანების ფილმების სტილში, რომლებმაც ფიგურანტის წარმოსახვაზე, სავარაუდოდ, მიწისძვრისმაგვარი ზემოქმედება მოახდინეს.

ცხადია, შემდგომი სვლა „ელექტრონული მთავრობისკენ“ (დაახლოებით ისე, როგორც ეს ესტონეთში ხდება) ადრე თუ გვიან ხელისუფლების გამჭვირვალობამდე და არჩევნების გაყალბების გამორიცხვამდე მიგვიყვანს. შესაძლოა, პრიორიტეტის გადატანა „3D მინისტრების“ ჩიხურ, სრულიად უსარგებლო მიმართულებაზე მათ შორის ამის გამო მოხდა.

**ალბათ, ოპოზიციის ინტერესებშია, ამ პროექტის განხორციელებას ხელი არ შეუშალოს და საუბარი ფულის ფლანგვაზე ამჯერად არ დაიწყოს, რადგან, როდესაც მონიტორებზე „3D მინისტრები“ გამოჩნდებიან და მათთვის „გულის გადაშლის“ სადემონსტრაციო სეანსები ჩატარდება, მთელი მსოფლიო, სავარაუდოდ, მივა დასკვნამდე, რომ სააკაშვილის ხელისუფლების იდეოლოგიური ბაზისი ალალი და შეუბღალავი შიზოფრენიაა**. წარმოვიდგინოთ კომუნიკაციის ეს აქტი და ეფექტი, რომელსაც ის გამოიწვევს: **ეკრანზე „3D ადეიშვილი“ ან, მაგალითად** (პირადად მე ეკონომიკის სამინისტროსთან დაკავშირებას ვაპირებ), **„3D მერაბიშვილი“ გამოჩნდება და ნაზი ელექტრონული ხმით იკითხავს: „გამარჯობა, მოქალაქევ, მითხარი რა გნებავს“.**

თუმცა, მეორე მხრივ, ხარჯების თემას გვერდს ვერ ავუვლით. ჩვენ უნდა ჩავრთოთ კომპიუტერი, დავხარჯოთ ფული ინტერნეტსა და ელექტროენერგიაზე და, შესაბამისად, ნაგავზე, რომელიც მასზეა მიბმული, იმისთვის, რომ დავუკავშირდეთ ადამიანს, რომელსაც ხელფასს ჩვენი ჯიბიდან ვუხდით, რათა „გული გადავუშალოთ“ მის ციფრულ ორეულს, რომლის შექმნა ასევე ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება. ფაქტობრივად, ეს დენზე ნაგვის (ამჯერად „3D ნაგვის“) მიბმის მეორე, და, ალბათ, უკანასკნელი მცდელობაა.

მთავარ თემას ოდნავ ავცდით; **სავარაუდოდ, არსებობდა რამდენიმე ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორი (მათი ნაწილი არ ჩამოგვითვლია), რომლებიც სააკაშვილის განხილული განცხადების უკან იდგა და აშკარაა, რომ მან ვერ მოახერხა მიღებული ინფორმაციის დამუშავება, მისგან ლოგიკური დასკვნების გამოტანა, ყოველივეს საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი მიუმატა და, საბოლოოდ, ისეთ რამ თქვა, რის გაშიფრვა ექიმებმა, პოლიტოლოგებმა და (ამ შემთხვევაში) საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებმა საერთო ძალისხმევით დღემდე ვერ მოახერხეს. ამავე დროს საქართველოში და საზღვარგარეთ მას უამრავი ადამიანი დასცინოდა.**

ასე გაგრძელება, ცხადია, აღარ შეიძლება და დავით ბაქრაძე, როგორც ჩანს, მართლაც უნდა მოემზადოს. **რაც შეეხება სააკაშვილის მომხრეებს, რომელთაც პოლიტიკიდან მისი წასვლა გულს დასწყვეტს, შეგვიძლია გულისხმიერება გამოვავლინოთ და სპეციალურად მათთვის „3D სააკაშვილი“ შევქმნათ. ისინი შევლენ საიტზე GOODBYEMYMISHA.GE, დააჭერენ ღილაკს, მოუსმენენ თავიანთ ბელადს და გულსაც გადაუშლიან. ამ საიტის ადმინისტრატორად შეგვიძლია თავად სააკაშვილი დავნიშნოთ, რათა მან ბოლოს და ბოლოს მიიღოს სივრცე, რომელშიც, ერთის მხრივ, ყველა მისი სურვილი თვალის ერთ დახამხამებაში შესრულდება, ხოლო მეორე მხრივ, ეს ქვეყანას არ დააზარალებს.** იმედია, ის არ შევა კონფლიქტში თავის ციფრულ ორეულთან, რის გამორიცხვაც ნამდვილად არ შეიძლება, თუმცა, პრინციპში, ეჩხუბოს, თუ უნდა, მთავარია, რომ ეს საქართველოს პრობლემა უკვე აღარ იქნება.

**მთავარი მაინც ის არის, რომ პედერასტობა საქართველოში მხოლოდ კაცის (ფუი, ეშმაკს), უფრო სწორად, მამრის მამრთან სექსუალურ ურთიერთობას არ ნიშნავს, ანუ რამდენ ვინმეზე გვითქვამს, პედერასტიაო, რომელთაც სოდომის ცოდვა არც გაუფიქრებიათ, მაგრამ მაინც მათ კატეგორიას ვაკუთვნებთ, რადგანაც ეს, პირველ რიგში, სულიერი კატეგორიაა და მხოლოდ შემდეგ ხორციელი გარყვნილება...**

მაინც ამოვთხრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დემოკრატიის პალო და მამათმავალთა ხმებზე მონადირე ბარაკ ჰუსეინი

**ერთხელ უკვე დავწერე, რომ მომბეზრდა ე.წ. სექსუალური უმცირესობების, (ჩვენებურად და მოკლედ — პედერასტების) თემაზე წერა და ის პუბლიკაცია სათაურით „ბარემ პედოფილებსაც გადაეფარეთ, შალვა ბატონო“ ამ თემაზე მართლაც ბოლო იქნებოდა, მეგონა. არა იმიტომ, რომ შინ თუ გარეთ დაილეოდნენ პედერასტების გულშემატკივრები, არამედ იმიტომ, რომ უაზროდ ჩავთვალე ამ თემაზე წერა, რადგანაც ჩემი და ჩემნაირების წერა-კითხვას ამასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის, გულის ფხანის გარდა, სხვა შედეგი არ მოაქვს.**



თუმცა ბოლო ხანს გადავხედე ჩემს პოზიციას და იმ დასკვნამდე მივედი, რომ არც ერთი გამოხდომა თავად პედერასტების თუ მათი უფლებადამცველებისა რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს, ანუ მათ „სიყვარულში დაღლის“ უფლება არ გვაქვს. საზოგადოებას არამც და არამც არ უნდა გაუჩნდეს ამ ყველაფრის მიმართ შეგუების, ხელის ჩაქნევის, გნებავთ, სულერთიაობის განცდა, რადგანაც პედერასტობის ზღვარგადასული პროპაგანდა-აგიტაცია (რაც ამ ბოლო დროს დაუფარავად და ურცხვად მიმდინარეობს დასავლეთში და დასავლეთიდანვე წაქეზებულ, ხშირად დაფინანსებულ ქართულ ელექტრო (გადაცემები: „აუდიტორია“, „ნანუკას შოუ“, „პროფილი“ და სხვა) თუ ბეჭვდით ( გამოცემები: „ტაბულა“, „ლიბერალი“ და ა.შ.) მედიაში), დიდი ხანია, აღარ აღიქმება, როგორც ბანალური „ადამიანის უფლებების“ დაცვად. დიახ, აღარ, რადგანაც უკვე ცხადია, რომ ეს ყველაფერი გაცილებით გლობალური მასშტაბის მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება.

**ეს რომ ასეა, ამაში აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას ბოლო განცხადებამაც დამარწმუნა, როცა მან პირველად ისტორიაში და არა მხოლოდ აშშ-ის ისტორიაში, არამედ ზოგადად, როგორც სახემწიფოს პირველმა პირმა მსოფლიოში, ღიად დაუჭირა მხარი ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას აშშ-ში!**

ბარაკ ობამა, რომელიც აშშ-ის ისტორიაში მხოლოდ მეორე კათოლიკე პრეზიდენტია (პირველი ჯონ კენედი იყო), სამაგიეროდ სხვა რამეშია პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი.

პირველმა აფროამერიკელმა (სიტყვა შავკანიანს შეგნებულად ვერიდები, ემანდ რასისტობა არ დამწამონ) პრეზიდენტმა შარშან პირველმა ისაუბრა გეების ისტორიულ (!!!) დამსახურებაზე ამერიკის წინაშე; გამოაცხადა ყოველი წლის ივნისი სექსუალური უმცირესობების, ე. წ. ლგბტ-ს თვედ, რა დროსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნდა გაიმართოს ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსსექსუალთა (ასე იშიფრება ლგბტ) აღლუმები; **ბარაკ ობამამვე გააუქმა ჯერ კიდევ რონალდ რეიგანის დროინდელი რესპუბლიკელების მიერ მიღებული კანონი, რომელიც აშშ-ის არმიაში პედერასტების სამსახურს კრძალავდა;**

**აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურად და თანმიმდევრულად მოჩანს ბარაკ ობამას ზემოთ ხსენებული განცხადება ამერიკაში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების შესახებ!**

ახლა, სანამ ზემოთ აღნიშნულ გლობალურ საფრთხეებზე ვისაუბრებ, „მცირე ლირიული გადახვევა“...

რატომ არის, რომ ჩვენში ცოტა ვინმე თუ იწუხებს თავს ლგბტ აბრევიატურის „ცივილურად“ გაშიფრვისთვის და ქართული საზოგადოების „ბნელი“, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ აბსოლუტურად უმრავლესი ნაწილი ლგბტ ყველა სუბიექტს პედერასტებად მოიხსენიებს?

იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის გამო ხომ არა, რომ პედერასტად მოხსენიებას შეურაცხყოფად მიიჩნევენ ეს „თავმოყვარე და ღირსეული“ ხალხი? ალბათ, არც უმაგისობაა, მაგრამ **მთავარი მაინც ის არის, რომ პედერასტობა საქართველოში მხოლოდ კაცის (ფუი, ეშმაკს), უფრო სწორად, მამრის მამრთან სექსუალურ ურთიერთობას არ ნიშნავს, ანუ რამდენ ვინმეზე გვითქვამს, პედერასტიაო, რომელთაც სოდომის ცოდვა არც გაუფიქრებიათ, მაგრამ მაინც მათ კატეგორიას ვაკუთვნებთ, რადგანაც ეს, პირველ რიგში, სულიერი კატეგორიაა და მხოლოდ შემდეგ ხორციელი გარყვნილება...**

აბა, სულით პედერასტის გარდა სხვა ვინ იზამდა იმას, რაც სანდრო გირგვლიანს, ზურა ვაზაგაშვილს, ბუტა რობაქიძეს, გიორგი გამცემლიძეს უქნეს, რაც 26 მაისს იკადრეს?

ანდა სულით პედერასტის გარდა სხვა ვინ იზამდა იმას, რაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა ჩაიდინეს, როცა დახოცილ ავღანელებს კოლექტიურად დააშარდეს? ყურანის დაწვაზე აღარაფერს ვიტყვი...

და ამ სულიერ პედერასტებთან (ობამას მიერ შეცვლილი კანონის შემდეგ, ალბათ, უკვე ხორციელ პედერასტებთანაც) ერთად „იცავენ“ მსოფლიო დემოკრატიას ავღანეთის სასაკლაოზე ჩვენი შვილებიც.

**სამწუხაროა და გაუგებარი, რომ ამ თემას გვერდს უვლიან საქართველოში არსებული მოოპოზიციონერო ელემენტები...**

ზემოთ ხსენებული გლობალური საფრთხეების უკეთ საილუსტრაციოდ, რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან ბატონ არმაზ სანებლიძის ვრცელი სტატიიდან — „გზა მიეცით ჰომოსექსუალებს! როგორ იქმნება მსოფლიო რელიგია“ — იხ. „საქართველო და მსოფლიო“ 2010 წ. 13-19 იანვარი).

**„გლობალიზაცია მიმართულია ტრადიციული ეროვნული სუვერენიტეტის, ეროვნული სახელმწიფოების ნანგრევებზე ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნისკენ... რაშიც მათ (გლობალისტებს) ეხმარებიან ე.წ. მესამე სექტორი — ...„სოროსის ფონდის, ბრიტანეთის საბჭოს, ანტიშიდსის კოალიციის სტრუქტურების სისტემა, რომელიც მთელ მსოფლიოსაა მოდებული. სწორედ ეს სტრუქტურები გვევლინება „ფერადი რევოლუციების“ ორგანიზატორებად, ხელს უწყობს ეკონომიკურად წამგებიანი და კულტურულად უცხო იმიგრანტების მოზღვავებას, ქადაგებს სექსგანათლებას, მამათმავლობას მრავალი ქვეყნის მეტად სერიოზულ დაწესებულებებში, რასაც შედეგად მოსდევს მოსახლეობის გადაგვარება და გადაშენება“;**

რა ნაცნობი სურათია, არა, ჩემო მკითხველო? ე.წ. ერთიან მსოფლიო სახელმწიფოს ახალი მსოფლიო რელიგიაც, ანუ იდეოლოგიური ბაზისიც სჭირდება.

ჰოდა, **... „მართლმადიდებლობის შიგნით წარმოქმნილი ჭუჭყიანი დინებები, რომლებიც ცრუ ლიბერალიზმს, რწმენის დოგმატებისგან, ნების კანონებისგან განთავისუფლებას ქადაგებს, ფაქტობრივად, მიმართულია, ერთგვარად ლიბერალური, კომკავშირზე უარესი ანალოგიის შესაქმნელად, რომელიც ქრისტიანულ სიმბოლიკას იყენებს (დღევანდელი საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა. — დ.მ.), მაგრამ შინაგანად გახრწნილი და ანტიქრისტიანულია“.**

დაახლოებით იმავეს აკეთებს ტრადიციული ისლამისა და კათოლიციზმის მიმართ ე. წ. ევროისლამი — მრუშობის, მამათმავლობის, ლოთობა-ნარკომანიის ნებას რთავს „მორწმუნეებს“, ხოლო ევროპა უკვე პრაქტიკულად გაწმენდილია ჭეშმარიტი კათოლიციზმისგან...

**...„ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელი თეოდორ ადრიანი წერდა, რომ ყოველი ჰომოსექსუალი პათოლოგიური დევიანტია, რომელსაც ბელადისადმი უსიტყვო მორჩილება აუცილებელ მოთხოვნად აქვს გადაქცეული... რიტუალურ ჰომოსექსუალურ აქტს მასობრივი ორგანიზებული ხასიათი რომ ჰქონდეს, საჭიროა, ჰომოსექსუალიზმი ჩვეულებრივი ნორმატიული ინსტიტუტის რანგში ავვაზევოთ (ანუ ერთსქესიანი ქორწინებები. — დ.მ.)“ და იქვე ... „ჰომოსექსუალების არმია იდეალური სახელისუფლო პარტიაა, რომელიც შედუღაბებულია ერთიანი საიდუმლო სამარცხვინო კავშირებითა და სექსუალური დამოკიდებულებით, სადაც ერთმანეთს არნახულად მხარს უჭერენ“.**

## აშშ-ის პრეზიდენტი პედერასტებს ღიად მფარველობს!

და ბოლო ამონარიდი ბატონ არმაზ სანებლიძის სტატიიდან, რაც სენატორ ჯოზეფ მაკკარტის კომისიას ეხება, რომელიც თავი დროზე ამერიკელი პედერასტების ძირგამომთხრელ საქმიანობას იკვლევდა:

**... „მამათმავლები, რაც კი შესაძლებლობა გააჩნიათ, ერთმანეთს მაღალი საფეხურებისკენ ექაჩებიან. თუ რომელიმე მათგანი რომელიმე დაწესებულებაში მოიკიდებს ფეხს, სულ მალე იქ სხვა მისნაირებიც გამოჩნდებიან, დროთა განმავლობაში კი მთელი ძალაუფლება მათ ხელში აღმოჩნდება. ბუნებრივია, რომ ისინი კორუმპირებულები და არაპატრიოტები არიან“.**

ამ დასკვნიდან გამომდინარე მაკკარტის კომისიამ დაადგინა ყველა სახელმწიფო მოხელის შემოწმება პედერასტობაზე, რათა პედერასტები ხელისუფლებას ახლოსაც არ გაკარებოდნენ!

**მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც ამერიკა ჯერ კიდევ პურიტანულ-კონსერვატიული ფასეულობების მატარებელ ქვეყნად ითვლებოდა. ახლა კი აშშ-ის პრეზიდენტი პედერასტებს ღიად მფარველობს!**

ევრონიუსის ეთერში ბარაკ ობამამ არ დამალა, რომ დიდი ხანი ფიქრობდა ამ საკითხზე. უფრო მეტიც, ოჯახის წევრებთან, მეგობრების წრეშიც მსჯელობდა ამ თემაზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთსქესიანი ქორწინებები უნდა კანონით იყოს დაცული და გარანტირებული ამერიკაში...

და ეს ყველაფერი ევრონიუსზე გადიოდა პედერასტების „ზასაობის“ ამაზრზენი კადრების ფონზე. ეს რა წამომცდა! პედერასტების გულშემატკივრებს რომ ჰკითხო, თუ ამ სიბინძურეს სიყვარულით და პატივისცემით არ მივიღებთ, ფაშისტის, ქსენოფობის იარლიყი განაღდებული გვაქვს...

წერილზე მუშაობისას ისევ ევრონიუსისკენ გამექცა თვალი და ამ თემის გაგრძელება ვიხილე ისევ ბარაკ ობამას და ამჯერად მისი კონკურენტის, რესპუბლიკელი ნიკ რომნის შესრულებით. ნიკ რომნიმ, ობამასგან განსხვავებით, დაუფარავად განაცხადა, რომ ქორწინება მას მხოლოდ კაცსა და ქალს შორის წარმოუდგენია, რაზეც ბარაკ ობამამ მიუგო — ჩვენ უკან ვერ დავბრუნდებით. ამერიკის ჯარიდან ვეღარავინ გაგაგდებს იმისთვის, რაც ხარ, ანუ ვინ გიყვარს და ვის უყვარხარ!

ორივეს თავისი აუდიტორია ჰყავდა, სადაც ორივეს მხურვალე აპლოდისმენტები ერგო. ორივე არჩევნებისთვის ემზადება და ორივე ამამრჩეველთა ხმებზე ნადირობს — ნიკი ნორმალური საზოგადოების, ხოლო ბარაკი პედერასტების ხმებზე. შემოდგომაზე გახდება ცნობილი, თუ ვისი აჯობებს, ანუ საით წავა ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირე“, „უკან“ — წესიერება-ზნეობისაკენ თუ „წინ“ — პედერასტობა-სიბინძურისკენ...

მანამდე კი ერთადერთი, სადაც პედერასტები ჯერჯერობით ვერ ჯეჯილობენ, ეს პოსტსაბჭოთა, გნებავთ ევრაზიული სივრცეა და, უპირველესად, რუსეთში „უყვართ“ პედერასტები ჩვენსავით. რას, რას და ამ თემას ვერაფრით „გადატვირთავენ“ რუსეთთან ვერც ამერიკა და ვერც ლიბერასტული ევროპა, რადგანაც რუსეთი ჯერჯერობით მსოფლიო მართლმადიდებლობის უპირველესი ციტადელია — ეს ისე, როგორც ცხონებული შტირლიცი იტყოდა, „ინფორმაცია განსჯისთვის“...

რაც შეეხება საქართველოს, ამერიკის არ იყოს, ჩვენთანაც ბევრი რამ შემოდგომაზე გაირკვევაო, ამბობენ. თუმცა ერთ რამეში გარკვევა არც ახლა გაუჭირდება მკითხველს — პედერასტები გვიტევენ და ისინი არა მხოლოდ იმის კანონით გარანტიებს ითხოვენ, ვისაც ვისზე უნდა გათხოვდეს, არამედ სახეზეა ლგბტ ექსპანსია, რომლის შედეგადაც, დემოკრატიის შუქურისა და ჩირაღდნის რა გითხრათ, მაგრამ კაი გვარიან პალოს გამოვკრავთ ხელს...

**დავით მხეიძე**

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისის სიამაყე სააკაშვილისთვის უკვე „წასული ნატურაა“: დღეს მისი დაპროგრამებული სიამაყის საგანი ბათუმია, რომელზეც ამოსდის მზე და მთვარე. თუმცა სინამდვილეში ჩადის, შავ ზღვაში ეშვება!**

# წყალწაღებულები

## «ქვეყანა თუ იქცეოდა, შენ რა გიხაროდა, შე აბდალა!»



**ოცდაათიოდ წლის წინათ თბილისში გამოდიოდა მოსახლეობის გარკვეულ ფენებში ფრიად პოპულარული გაზეთი „სოფლის ცხოვრება“. ამ გამოცემას ჰქონდა რუბრიკა „ამას შენზე ამბობენ, ჩემო სამშობლოვ!“. უცხოელების ნათქვამ ქებათაქებას ბეჭდავდნენ, ზოგჯერ — ცოტა პროვინციულ აღტაცებას. თანდათან მივიწყებას მიეცა ეს გაზეთიც და მისი რუბრიკაც. მაგრამ ამოქმედდა პრინციპი „კარგად დავიწყებული ძველის“ შესახებ, რისი მოწმეც გაგვხადა თბილისის მერიამ წინასაარჩევნო პრიალა მაკულატურის გამოცემით, რომელსაც ჟურნალის სახე მისცეს, ჩიხტიკობში გამოაწყვეს და ფერუმარილიც ბლომად წაუსვეს: „თბილისური ამბები. ასე აშენდა თბილისი“.**

უწინ ყველა ჟურნალისა თუ გაზეთისთვის აუცილებელი იყო ლოზუნგის მიწერა: **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.** ამ საპატარძლო მზითევსაც რეფრენად გასდევს მერის უკვდავი ლოზუნგი: **„გასაკეთებელი კიდევ ბევრია“...** ესეც „კომუნისტიდან“ მოპარული ფრაზაა.

მაგრამ ასეთ სიძველეზე არ ვლაპარაკობ, სხვა მაქვს მხედველობაში: ლენინთან სააკაშვილის ჩადრასტება, როცა მიხეილ ნიკოლაევიჩმა ვლადიმერ ილიჩისებურად ახალგაზრდების დამოძღვრა მოინდომა და მოწოდების **„სწავლა, სწავლა და სწავლა“**-ს ახალი, რეფორმირებული ვარიანტი შესთავაზა ბათუმის უნივერსიტეტის გაოგნებულ სტუდენტებს: **„იკატავეთ, ისწავლეთ, იჭამეთ!“**

რუბრიკის თემა რომ არ დაგვეკარგოს, ახლავე მივხედოთ: **რას ამბობენ ჩვენს დედაქალაქზე უცხოელები?**

უწინარეს ყოვლისა, იტალიელ დიზაინერს, არქიტექტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს — **მიქელე დე ლუკის** მივცეთ სიტყვა: **„...მივხვდი, რომ ეს არის ქალაქი, რომელშიც ყველაფერი შესაძლებელია...“** *(გვერდი 10).*

ბრავო, მიქელე, შენ არა მარტო მიხვდი, არამედ შეძელი კიდეც ყველაფერი: მათ შორის, მიითვისე ცნობილი ქართველი არქიტექტორის — გიგა ბათიაშვილის იმ სასახლის პროექტი, რომელსაც ავლაბრის რეზიდენციად მოიხსენიებენ თბილისელები, და კარგა გვარიანი ჰონორარიც მოტეხე. ამას ხომ არ გულისხმობ, ძმაო, ქართული **„რენესანსის სხვა გზაზე“** რომ ლაპარაკობ, რომელიც **„მომაჯადოებელი და პოტენციალით აღსავსეა“?**

ამას შენზე ამბობენ, ჩემო თბილისო!

და კიდევ აი, რას: **„თბილისსა და თბილისელებში იგრძნობა დიდი ტრადიცია... თბილისში არის დახვეწილი გემოვნება“, — ჯონ მალკოვიჩი,** თეატრისა და კინოს მსახიობი *(გვერდი 10).*

შემდეგ?

შემდეგი მთქმელი შემოკლებიათ, უთუოდ იმიტომ, რომ დანარჩენი სისულელეები ვასიკო ოდიშვილს ან უკვე გამოყენებული აქვს, ან გამოიყენებს „აბების“ კონკურსში გასაჟღერებლად — „იცინიან და კისკისებენ პოლიტიკოსები“.

მიშაზე რას ამბობენ, მე ნუ მათქმევინებთ...

გადაშლი ამ **„თბილისის მერიის 2011-2012 წლების ანგარიშის“** საჟურნალო ბრწყინვალებას და, რა თქმა უნდა, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში უპირველესი პოლიტიკოსის (როგორადაც ოქროსთმიანმა ბიძია ტრამპმა მოიხსენია იგი აშშ-ში სტუმრობის დროს) — მიხეილ სააკაშვილის სიტყვები გეცემა თვალში და აგიმღვრევს გონებას:

**„ჩვენი პროგრამა ყოველთვის იყო ის, რომ გვეამაყა ჩვენი ქალაქით, ჩვენი თბილისით“** *(გვერდი 2).*

დაპროგრამებული სიამაყე რა უბედურებაა, ანუ ამაყობთ თბილისით იმიტომ, რომ ასეთი იყო თქვენი პროგრამა?!

გინდა ასე ატრიალე, გინდა ისე, თბილისის სიამაყე სააკაშვილისთვის უკვე „წასული ნატურაა“: **დღეს მისი დაპროგრამებული სიამაყის საგანი ბათუმია, რომელზეც ამოსდის მზე და მთვარე. თუმცა სინამდვილეში ჩადის, შავ ზღვაში ეშვება!**

**იმრე ორბანი,** ბუდაპეშტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამ პროგრამას სხვა განზომილებაში აღიქვამს და წერს: **„პრაქტიკულად, ეს მარშალის გეგმაა“** *(გვერდი 3).*

ვისთვის — მარშალის, ვისთვის — მიშარის... მაგრამ უგულავა — ქალაქის მერი, რა შუაშია?!

შუაში კი არა, სუფრის თავში ზის და ისეთ ბრტყელ-ბრტყელ დებულებებს გამოსცემს, დროა, მაო ძედუნის ციტატების წითელი წიგნაკივით უნდა აიკინძოს და ცალკე გამოიცეს, რისი პრიმიტიული, მაგრამ ამბიციური მცდელობაც ამ ჟურნალში აშკარად შეინიშნება. ▶



დასრულდა ათეულობით შენობის რეაბილიტაცია



გამწვანდა და კეთილმოეწყო გამზირზე მდებარე სკვერები



ქუჩის მთელ სიგრძეზე დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე გარე განათების სისტემა

**ვინც ეძებს, ის პოულობსო. სცადე და ეძებე, ჩვენო მკითხველო, ჟურნალის მე-7 გვერდზე გამოქვეყნებულ ამ ფოტოზე ის, რაც წარწერაშია მითითებული. თუ ან აქ, ან იქ — ალმაშენებელზე მსგავს რამეს იპოვი,ფეშქეშ, შენი იყოს!**



**შეიძლება გეგონოთ, რომ აქ აღბეჭდილია ფსიქოთერაპიის სახელდახელო სეანსი, რომელსაც მხცოვანი მკურნალი უტარებს თვითკმაყოფილების ზენიტში მყოფ პაციენტს გამოკვეთილი ნარცისიზმის ნიშნებით**

## პუტინი: ჩვენ გვაქვს მორალური უფლება, პოზიციები დავიცვათ

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვის წითელ მოედანზე 9 მაისისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმის გახსნისას განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარების მიერ ნაცისტური გერმანიის დამარცხებამ რუსეთს უდავოდ მიანიჭა მორალური უფლება, მსოფლიო ასპარეზზე თავისი პოზიციები დაიცვას.** „რუსეთი მსოფლიოში უსაფრთხოების გაძლიერების პოლიტიკას აწარმოებს. ჩვენ გვაქვს დიდი მორალური უფლება იმისა, რომ საკუთარი პოზიციები დავიცვათ, რადგან ჩვენმა ქვეყანამ ნაციზმს მთავარი დარტყმა მიაყენა, მტერს გმირული წინააღმდეგობა გაუწია, განსაზღვრა ომის შედეგი, გაანადგურა მტერი და მსოფლიოს ხალხებს თავისუფლება მოუტანა“, — განაცხადა პუტინმა.



**მიშას რას ეუბნები, ქალაქის მერო?! ან საზეიმოდ მისი გახსნილი საავადმყოფოების ხუთვარსკვლავიანობაა ბლეფი, ან ხელმისაწვდომობის დაქადნებაა სიცრუე, როგორც ყველა წინასაარჩევნო დაპირება!**

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დედაქალაქი მიტოვებული იყო უპატრონოდ და იყო მიუხედავი, უთავო საკრებულოს და გაქსუებული მერიის ანაბარა მიგდებული, რომელთა მოღვაწეობის აზრი და არსი მიხეილ სააკაშვილის მმართველობის გაპიარება, ხოტბა და განდიდება იყო









◀ აბა, ყური დაუგდეთ გაუმჯობესებულ მიშას: **„ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ ძალიან გაჭირვებულია, ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ სჭირდება დასაქმება, მაგრამ ერთადერთი გზა უკეთესი მომავლისკენ, დასაქმებისკენ, ვითარების გაუმჯობესებისკენ, თითოეული ოჯახის შემოსავლის ზრდისკენ გადის ინვესტიციებზე, საკრედიტო რეიტინგზე, სტაბილურობაზე, რეფორმებზე, არაკორუმპირებულ და არაკრიმინალურ გარემოსა და ყოველივე იმაზე, რითაც ყველანი ერთად ვამაყობთ „ვარდების რევოლუციისა“ და შემდგომი პერიოდის ცვლილებებისა და წინსვლის ფონზე“** *(გვერდი 5).*

იამაყეთ, იამაყეთ! მით უფრო, რომ ეს სიამაყე აღმოცენებულია თქვენ მიერ დეკლარირებულ „სამოქმედო ფილოსოფიაზე“: **„მოქალაქე უნდა აღწევდეს წარმატებას მხოლოდ იმით, რომ სწავლობს, შრომობს, არის კანონმორჩილი და არავითარი სხვა ფაქტორი მის წარმატებას არ უნდა განსაზღვრავდეს, მით უმეტეს, აფერხებდეს. ეს არის ჩვენი პოლიტიკური გუნდისა და, დარწმუნებული ვარ, მთელი ჩვენი საზოგადოების იდეალი“** *(გვერდი 31).*

ხოლო როცა ეს იდეალი მიღწეულია, **„ჩემთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სამუშაოს შესრულებისას მიღებული გამოცდილება და თბილისელების მოსაზრებების გაზიარება, რადგან ჩემი მთავარი პრიორიტეტი სამუშაო ადგილების შექმნაა. შესაბამისად, ყველა ქმედება და აქტივობა თბილისელების დასაქმებაზეა ორიენტირებული“** *(გვერდი 45).*

აი, ხედავთ, როგორი დამიწებულია თბილისის მერის ოცნება და იდეალი: ხალხზე ზრუნვა, დასაქმება და არავითარ შემთხვევაში საკუთარი მაღალი ხელფასი უფრო მაღალი პრემიალურებით და სხვა ნაკადები, რომლებიც ერთ დროს ოქროთი განთქმული სვანეთის ელდორადოს პატარა მდინარეებს მოჰქონდა და რისი დამტკიცებაც ჩვენს ძალას და შესაძლებლობას აღემატება.

მაშ, რატომ ვლაპარაკობთ? იმიტომ, რომ არ გვჯერა! იმიტომაც, სხვათა შორის, რომ, როგორც ბატონი მერი გვასწავლის, **„სოლიდარული პასუხისმგებლობის გარეშე საბოლოო წარმატების მიღწევა მაინც შეუძლებელია“** *(გვერდი 47).*

სოლიდარული პასუხისმგებლობა არავინ იკისრა.

დაბოლოს, თუ გსურთ, სამედიცინო ტურიზმზე მზრუნველი უგულავას დამადასტურებელი ფოტო იხილოთ, გადაფურცლეთ „თბილისური ამბების“ 48-ე გვერდი.

ერთი შეხედვით, შეიძლება გეგონოთ, რომ აქ აღბეჭდილია ფსიქოთერაპიის სახელდახელო სეანსი, რომელსაც მხცოვანი მკურნალი უტარებს თვითკმაყოფილების ზენიტში მყოფ პაციენტს გამოკვეთილი ნარცისიზმის ნიშნებით, რაც აშკარად დასტურდება ამ ჟურნალის თითქმის ყველა გვერდზე (გარდა გულუხვად გაღებული სარეკლამო-კომერციული გვერდებისა).

შეიძლება.

მაგრამ სინამდვილეში ეს არის თავდაჯერებული კეკლუცობის კიდევ ერთი გამობრწყინების საილუსტრაციოდ გამოყენებული ფოტო — **„შეჩერდი, წამო, შენ მშვენიერი ხარ!“**

მშვენიერმა წამმა კი აღბეჭდა ქალაქის თავის მორიგი სიბრძნე:

**„ჯანდაცვის სფეროს განვითარება, სამედიცინო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, გამართული სადაზღვევო სისტემის არსებობა, პროფესიონალიზმის ამაღლება და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ჩვენი მთავარი პრიორიტეტია“.**

„ხუთვარსკვლავიან საავადმყოფოებში“?! მიშას რას ეუბნები, ქალაქის მერო?! ან საზეიმოდ მისი გახსნილი საავადმყოფოების ხუთვარსკვლავიანობაა ბლეფი, ან ხელმისაწვდომობის დაქადნებაა სიცრუე, როგორც ყველა წინასაარჩევნო დაპირება!

**„დაჰკარ გრძნობით დაირასა!“**

ფურცლა და ფურცლა, ათვალიერა და ათვალიერა კერძო კომპანიების მიერ სრულად დაფინანსებული თბილისის მერიის ანგარიში ჩვენმა კოლეგამ ლევან ზანგურაშვილმა, უყურა და უყურა ჭრელა-ჭრულა ფოტოსურათებს და ამოიოხრა: **„მითხარით, თუ შეიძლება, სადაა ეს ქალაქი, იქ მინდა ვიცხოვროო“...**

მე შემიძლია, ბატონო ლევან, მხოლოდ მიგანიშნო ამ გამოცემის პირველი გვერდი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ეს ის ქალაქია, რომელიც **„არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბდა“,** რომელიც საბურთალოს „ხრუშჩოვკების“ შენი კვარტლიდან არ ჩანს და რომლის დანახვას, სამგანზომილებიანი ფილმის აღქმისა არ იყოს, სპეციალური სათვალე სჭირდება.

ამ სათვალის შესაძენად კი დიდი ფულია საჭირო ან ჭკუის სრული დაკარგვა.

ამნეზია — საერთოდ.

**„გიჟი ქალაქს მიდიოდა“,** გაჰყევი და მიგიყვანს!

* * *

**ეს ჟურნალი მოსახლეობას შაბათ დღეს, 12 მაისს, ჩამოურიგეს და ორიოდ საათში დაიწყო წარღვნა თბილისში.**

ხომ არ იდგა ამ, ერთი შეხედვით, მარტივი და უწყინარი მექანიკური ქმედების — წინასაარჩევნო მაკულატურის დარიგების უკან ისეთი ძალა, რომლის შედეგად **„იმატა უკეთურებამ ამქვეყნად“, „წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით“?**

თავისთავად იბადება პარალელები ბიბლიურ წარღვნასთან და უფლის რისხვის უკიდურეს გამოხატვასთან: **„შვიდი დღის შემდეგ მოვიდა წარღვნა ქვეყნად... ამ დღეს მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმელები.**

**აწვიმდა ქვეყანას ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“** *(დაბადება, 6, 10-12).*

**ტრაგედიად დაგვატყდა თავს 12 მაისის ღამეს თბილისის წარღვნა...**

„მატულობდა წყალი დედამიწაზე ას ორმოცდაათი დღე“ *(დაბ. 6, 24).*

**თბილისურმა წარღვნამ ორიოდ საათში წალეკა ყველაფერი და ხუთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

**არ ღირს არავითარი მმართველობა ასეთ მსხვერპლად!**

ხომ არ იყო სტიქიის ამ შემოტევაში რაღაც საკრალური ნიშანი?

არ ვიცი!

მაგრამ ხომ ვიცით ყველამ ის, რაშიც აქამდეც ეჭვი არ გვეპარებოდა: **დედაქალაქი მიტოვებული იყო უპატრონოდ და იყო მიუხედავი, უთავო საკრებულოს და გაქსუებული მერიის ანაბარა მიგდებული, რომელთა მოღვაწეობის აზრი და არსი მიხეილ სააკაშვილის მმართველობის გაპიარება, ხოტბა და განდიდება იყო.**

...მატერიალური შეხიდებაც.

**რისი ინფრასტრუქტურა, რა კეთილმოწყობა! რისი ლაზიკა და რა ევროპისთვის თვალის დამავსებელი წყალტუბო! კოლექტორები ვერ გაუწმენდიათ თბილისში!**

არადა, აქვე ჰყავთ ამ საქმის დიდი სპეციალისტი და საერთაშორისო ავტორიტეტი ჯონ ბასი, რომელიც ერაყის დედაქალაქში კანალიზაციის სისტემას კურირებდა.

ამ საქმეში დახმარებაზე ვითომ უარს ეტყოდა?

**არმაზ სანებლიძე**

P.S. 10 მაისს „გერმანულ სახლში“ ინტერრელიგიური ჯგუფის შეხვედრაზე ბათუმში აზიზის მეჩეთის მშენებლობისა და ახალციხეში ახმედის კომპლექსის რესტავრაციის საკითხი განიხილეს, რაც გათვალისწინებულია საქართველო-თურქეთის ხელშეკრულების პროექტით ოშკისა და იშხანის ტაძრების აღდგენის სანაცვლოდ.

სხდომას საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლების გარდა ესწრებოდნენ სომხეთის სამოციქულო ეკლესიის, რომის კათოლიკე ეკლესიის, ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის, ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის, ხსნის არმიის, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის, მუსლიმური თემის წარმომადგენლები.

საპატრიარქოს წარმომადგენელმა თეა გოგოტიშვილმა წარადგინა განცხადება, რომლის მიხედვითაც **საპატრიარქო**



**მოითხოვს, რომ საჯარო გახდეს საქართველო-თურქეთის ხელშეკრულების სამუშაო ვერსია, საზოგადოებას მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია დოკუმენტის შესახებ და უზრუნველყოფილი იყოს მოლაპარაკებების პროცესში საქართველოს საპატრიარქოს ჩართულობა.**

აღნიშნულ განცხადებას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს. მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელმა, შეიხმა ვაგიკ აკბეროვმა კი პროტესტის ნიშნად შეხვედრა დატოვა. აკბეროვი გოგოტიშვილის განცხადებამ გააღიზიანა, რომელმაც აღნიშნა, რომ **აზიზი ქრისტიანებს ხოცავდა და მისი მეჩეთის საქართველოში აღდგენა იგივეა, რაც ისრაელში ჰოლოკოსტის ძეგლების დადგმა.**

პარალელურად აზერბაიჯანელები დავით გარეჯს გვართმევენ:

6 მაისის შემდეგ იქ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან. ამის შესახებ „ინტერპრესიუნსს“ დავით გარეჯის მონასტრის მღვდელმონაზონმა კირიონმა უთხრა.

**„აზერბაიჯანელი მესაზღვრეები და აზერბაიჯანის ხელისუფლება თავის ინტერესებსა და პოლიტიკას ახორციელებენ. ჩვენ რას ვშვრებით, რატომ არ ვუფრთხილდებით ჩვენსას და არ ვდგავართ პრინციპულ პოზიციაზე?! ჩვენი სახელმწიფო, ხელისუფლება ჯერჯერობით არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაიცვას უწმინდესი ადგილი, ისტორიული მიწა-წყალი, სადაც 6 ათასი გარეჯელი ბერი მოისრა“,** — დასძინა მამა კირიონმა.

ესეც, დამატებით, საკითხისთვის თბილისური წარღვნის საკრალური მინიშნების შესახებ.

მოკლედ

## ვლადიმერ პუტინი ლეონიდ თიბილოვს შეხვდა

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სამხრეთ ოსეთის დეფაქტო პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვს შეხვდა. რუსული მედიის ინფორმაციით, პუტინი თიბილოვს დახმარებას დაჰპირდა.** „ყველამ ვიცით, რა უძლოდა წინ თქვენს არჩევას. ვიმედოვნებ, რომ სიტუაცია გამოსწორდება. რესპუბლიკაში ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ბევრი პრობლემაა. რუსეთი უახლესი ისტორიის მანძილზე, ყველაზე რთულ პერიოდში, სამხრეთ ოსეთისა და ოსი ხალხის გვერდით იდგა. აუცილებლობის შემთხვევაში, მშვიდობიან დღეებშიც მათ გვერდით ვიქნებით, რათა დაჩქარებულად აღდგეს სოციალური და ეკონომიკური სფეროები“, — განაცხადა პუტინმა.

## მეკობრეებმა 135 ათასი ტონა ნავთობი გაიტაცეს

**ბერძნულ ტანკერზე, რომელიც მეკობრეებმა არაბეთის ზღვაში 10 მაისს გაიტაცეს, 135 ათასი ტონა ნავთობი იყო ჩატვირთული.** ნავთობი აზერბაიჯანიდან ინდონეზიაში გადაჰქონდათ. ტვირთის საბაზრო ღირებულება 130 მილიონი დოლარია. ლიბერიის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერის ეკიპაჟის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ გავრცელებულა, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან და ბორტზე, სავარაუდოდ, 26 ადამიანი იმყოფება. მეკობრეების მოთხოვნები ამ დრომდე ცნობილი არ არის.

კონფლიქტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ბიძინა ივანიშვილი რამენაირად დაკავშირებულია ქეთი მელაძის სახლის დანგრევასთან. შესაძლოა არ ჰკითხეს, უკანონოდ სახლი რატომ ააშენეთო, მაგრამ იმას მაინც ხომ უნდა ჩასძიებოდნენ, სად გაქვთ საბუთი, რომ სახლი ივანიშვილმა დაგინგრიათო?! ამ კითხვებზე პასუხებით რომ დაინტერესებულიყვნენ, ბიძინა ივანიშვილის გვარი შემდეგ აღარც კი უნდა ეხსენებინათ.**

# მელაძეების ოჯახი ბიძინა ივანიშვილს ქონების წართმევაში ადანაშაულებს



ქეთევან მელაძე

## «ქართუ ჯგუფი» მელაძეების პრეტენზიებს არ იზიარებს

**ეს ამბავი ერთი ოჯახის პრობლემას ეხება, რომელსაც ქართულ კულტურაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს და რომელიც, ერთი ხანია, დაუპირისპირდა ბიძინა ივანიშვილს.**

ქეთი და ბადრი მელაძეების გამომცემლობა ტიპიური მცირე ბიზნესია, უნიკალური საქმის მკეთებელი — მინიატურული წიგნების გამოშვებაზე სპეციალდება. სულ ახლახან პარიზის წიგნის 32-ე საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა (პირველი შემთხვევაა ჩვენი ქვეყნის საგამომცემლო საქმის ისტორიაში) და წარმატებითაც: მათი გამოცემული პროდუქცია ყურადღების ცენტრში მოექცა. შედეგად — მიწვევა ნიუ იორკის საერთაშორისო გამოფენაზე „ამერიკენ ბუქს ექსპორტ".

მოკლედ, ამ მცირე ბიზნესის პატრონები კარგ და სასარგებლო საქმეს აკეთებენ საქართველოს კულტურული პოტენციალის საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოსაჩენად.

მეორე მხარე, როგორც ვთქვით, ბიძინა ივანიშვილია, ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი. ამჯერად ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნება" ლიდერი, პარტიათა იმ გაერთიანებისა, რომელიც პოლიტიკურად და სულიერად დანაგვიანებული ქართული სივრცის ავგიას თავლების გაწმენდის საქმეს არის შეჭიდებული.

ესეც — მოკლედ, რადგან ბიძინა ივანიშვილს წარდგენა არ სჭირდება.

**ჩვენი გაზეთი ორივე მხარის პოზიციას წარმოგიდგენთ, ხოლო დასკვნას, ანუ სამართალს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო იქმს, სადაც მელაძეებმა სარჩელი შეიტანეს საქართველოს ხელისუფლების, ქალაქის მერიისა და ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ.**

ამ კონფლიქტის შესახებ წერდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა; ვისაც ხელეწიფებოდა, ჟურნალისტური გამოძიებაც კი ჩაატარა.

ჩვენ რატომ ავიტკიეთ თავი, რა გვრჯიდა?

— ორი რამ.

პირველი. როცა მკითხველი საქმეში გარკვევას გვთხოვს, თუ დემოკრატიის პრინციპების დაცვას ვჩემულობთ, არ ეგების წაყრუება, ვისაც გინდა ეხებოდეს პრობლემა, თუნდაც „ქართუ ჯგუფს", ბიძინა ივანიშვილს.

მეორე. ვინ და როგორ გამოიყენა რამდენიმე წლის წინათ ბიზნესის გოლიათის დაპირისპირება ბიზნესის შეუმჩნეველ დავითთან, გაიზიარეს ამ უკანასკნელის პოზიცია, „სიმართლის დროშა გაშალეს" და დღევანდელ დღეს ბიძინა ივანიშვილის გვერდით აღმოჩნდნენ არცთუ მეორეხარისხოვან როლში.

მკითხველი რომ არ დაიბნეს დახლართული კოლიზიის აბლაბუდაში, უამრავ დეტალს გვერდს ავუვლით და მხოლოდ პრინციპულ საკითხებზე შევჩერდებით.

### რა მოხდა ე.წ. წყნეთის ხევში?

**წყნეთის ხევში, ანუ მდინარე ვერეს ხევის ერთ მონაკვეთში, ვაკის „გამარჯვების პარკის" გასწვრივ, რომელსაც „ბანკი ქართუს" შენობა გადაჰყურებს, 1976 წლიდან, როცა არც ეს ბანკი და არც ეს შენობა არ არსებობდა, ერთ, 961 კვადრატული მეტრის ფართობს მელაძეების ოჯახი ფლობდა, მისდევდა საბაღე მეურნეობას და ედგა ფარდულის ტიპის ნაგებობა. 2003 წელს კი ამ ფარლალალა შენობის ადგილას ააგეს საცხოვრებელი სახლი (340 კვადრატული მეტრი ფართობის).**

ფლობით კი ფლობდნენ, მაგრამ არანაირი ნებართვა, საბუთი არ გააჩნდათ არც მიწით სარგებლობის, არც სახლის ასაგებად.

იმ ხანად მიწების ასეთი მიტაცება საკმაოდ გავრცელებული იყო თბილისის თვალსმოფარებულ უბნებში: ნაძალადევში, ვერეს ხეობაში, „აფრიკაში", ორთაჭალის ბოლოში და ა. შ. უამრავი ამგვარი „მეურნეობა" ფუნქციონირებდა, და არც ქალაქის ხელმძღვანელობა იკლავდა თავს ასეთი კანონდარღვევების აღსაკვეთად — მიწა უქმად არ ცდებოდა და გარკვეულ შეღავათსაც აძლევდა უმეტესად სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეებს.

ახლა დაედო ფასი და მაზანდამაც არნახულად აიწია.

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, 2006 წლის 10 დეკემბერს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მელაძეების სახლი დაანგრია.

ახალგაზრდებმა ააშენეს დროებითი საცხოვრებელი, რომელიც მერიამ დაანგრია 2007 წლის 22 მაისს. მიწაც, ცხადია, ჩამოერთვათ. ეს მოხდა მაშინ, როცა სახელმწიფოში ამოქმედდა კანონი, რომლის ძალითაც 2007 წლის პირველ იანვრამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები, ზედ მდებარე შენობა-ნაგებობები უკანონდებოდა ფაქტობრივ მფლობელებს.

**2007 წლის 12 ოქტომბერს სს „იუნიონმა" მიმართა დედაქალაქის მერიას წყნეთის ხევის ქუჩაზე ტერიტორიის შეძენის თხოვნით.**

**იმავე წლის დეკემბერში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც „იუნიონმა" მერიისგან მიწა დაწესებულ ნორმატიულ ფასად შეიძინა. მელაძეების „მამულიც" „იუნონის" მფლობელობაში გადავიდა.**

**„იუნიონმა" მერიასთან დადებული ხელშეკრულებით იტვირთა ვალდებულება 100 მილიონი ინვესტიციის განხორციელების შესახებ, მასვე დაეკისრა შეძენილი მიწის მიმდებარე ტერიტორიაზე მწვანე ზოლის გაშენება.**

ასეთია მშრალი ფაქტები.

ახლა კი გავშიფროთ ეს ფაქტები მოდავეთა პოზიციებიდან.

მელაძეების აზრით, კონფლიქტი დაიწყო 2006 წლის ივნისიდან, როცა მათ „ინტენსიურად სტუმრობდა" „ბანკი ქართუს" ვიცეპრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილის სიძე (დის შვილის ქმარი) გია ჭანკვეტაძე და **„რამდენიმე თვის განმავლობაში აიძულებდა 340 კვადრატული მეტრი ფართის ორსართულიანი სახლის და 961 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთის 10.000 დოლარად გაყიდვას".**

მელაძეები გაყიდვას არ აპირებდნენ. **„უკმაყოფილო გია ჭანკვეტაძე დაგვემუქრა, მაშინ ზედამხედველობას ელაპარაკეთ, იმათგან კაპიკს ვერ მიიღებთო. ბოლო საუბრიდან რამდენიმე დღეში მოდის ზედამხედველობის სამსახური და მიწასთან ასწორებს სახლს",** — აღნიშნავენ მელაძეები.

შემდეგ გია ჭანკვეტაძეს 15 ათასი შეუთავაზებია **„და მორჩეს ლაპარაკიო".**

კვლავ უარი მიიღო და „2008 წლის 10 მარტს ამათ სარგებლობაში არსებული მიწა ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი კომპანიის სს „იუნიონის" საკუთრება გახდა.

**ასეთია განმცხადებლის მიერ გადმოცემული კონფლიქტის ქრონიკა.** ბარემ იმ ემოციურ ნაწილსაც გაეცანით, რომელიც ყოველთვის თან სდევს მსგავს მწვავე სიტუაციებს:

**„ბატონო ბიძინა,** — წერდნენ ქეთი და ბადრი მელაძეები ბიძინა ივანიშვილს 2010 წლის 10 თებერვალს (მას შემდეგ ორ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ მათ პოზიციას ფაქტობრივად ცვლილება არ განუცდია. გთავაზობთ წერილის ფრაგმენტებს), — **სახლის ნგრევის პირველივე დღიდან არ დაგვიკლია მცდელობა თქვენთან შეხვედრისა, რადგან ვიცოდით, რომ თქვენს ინტერესს წარმოადგენდა ჩვენი მიწის ნაკვეთი. თავიდან ეს იყო ეჭვი, რაც წელიწად-ნახევრის შემდეგ ოფიციალურად დადასტურდა...**

**თქვენი თანამშრომლების მხრიდან ჩვენი ოჯახის მიმართ, სამი წელია, მიმდინარეობს დაუფარავი ლანძღვაგინება. წინათ ეს ღიად არ ხდებოდა, ლანძღვაც და მუქარაც, ისიც, რომ თურმე თქვენ გიჟები გეგონეთ, ჭორი გვეგონა ან ვინმეს მეტიჩრობა და საკუთარ თავზე ზედმეტის აღება...**

**ყველაზე დიდი შეურაცხყოფა ჩვენი ოჯახის ამორალურ ოჯახად მოხსენიება გახლავთ. ასევე ის, რომ თითქოს 300 000 შემოგვთავაზეთ, რაც, თქვენც იცით, რომ წმინდა წყლის სიცრუეა. ასეთ ბრალდებაზე ბრალმდებელს ან საბუთი უნდა ჰქონდეს, ან საჯაროდ ბოდიში უნდა მოიხადოს...**

**ბატონო ბიძინა, ჩვენი ოჯახი მორწმუნე ოჯახია. წლების მანძილზე აღფრთოვანებული ვიყავით თქვენი ღვაწლით, რისთვისაც, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ სამების აღმშენებლობაა საკმარისი. გვესმოდა ბევრი ცუდიც, როგორც ადრე, ისე ახლა... ერთს გეტყვით: ჩვენ, სხვა ოჯახების მიმართ როგორ მოიქეცით, არ გვაინტერესებს და არც ანალოგიებს ვეძებთ. ჩვენთვის საკმარისია, რაც ჩვენს ოჯახს დამართეთ. რომელი უფრო მეტი მადლია და ფარავს თუ არა ცოდვა-მადლი ერთმანეთს, ეს თავად განსაჯეთ.**

**დიდი ეჭვი გვაქვს, რომ თქვენ ეს ამბავი ძალიან გვიან გაიგეთ, როცა გამოსწორება თითქმის აღარ შეიძლებოდა და თქვენმა ქვეშევრდომებმა, სამსახურის დაკარგვის შიშით, საგულდაგულოდ დაგარწმუნეს, რომ ნამდვილად შემოგვთავაზეს ფული, ჩვენ კი გაუმაძღარი და ამორალური ხალხი ვართ, რის გამოც აღარაფერს არ ვიმსახურებთ თქვენგან.**

**...თქვენგან გაქილიკებულები, რომ სტრასბურგი არ მიიღებდა ჩვენს საქმეს, დაველოდეთ გზავნილის პასუხს და მოხდა უპრეცენდენტო რამ — 21 დღეში საქმე წარმოებაში მიიღო ევროსასამართლომ, ორ თვეში კი პრიორიტეტი მოგვანიჭა, სწრაფად განსახილველ საქმეთა შორის მოვხვდით...**

**იკითხავთ, რას ვითხოვთ? — გაგიკვირდებათ და — არაფერს...**

**ჩვენ არ ვიცით, თქვენ რად გიღირდათ ჩვენი მიწასთან გასწორება და ის 300 000-იანი ტყუილი, რომელიც არასოდეს არ შემოგითავაზებიათ. ჩვენ კი ეგ თანხა და ასჯერ მეტიც ვერ დაგვავიწყებს იმ ტკივილს, რაც თქვენ მოგვაყენეთ... სახლთან ერთად ღირსება არ დაგვიკარგავს.**

**ჩვენ ერთი თხოვნა გვაქვს და ერთი სურვილი... თხოვნა — იმ შეურაცხყოფაზე, რაც მოგვაყენეთ, გაზეთის მეშვეობით ბოდიში მოგვიხადოთ.**

**სურვილი — თქვენთან შეხვედრა, რაც გამორიცხულია, როგორც ვიცით...**

**თუ ეს წერილი თქვენამდე მოვა და არ შეგვეხმიანებით, ესე იგი, ყველაფერი კარგად იცით, ესე იგი, თქვენი სახელით არ ჩაუდენია ვინმეს ეს სისასტიკე, ყველაფერი იცოდით და შეგნებულად აგვაწიოკეთ. ესე იგი, შეგძლებიათ ერთნაირად კარგად სიკეთის და ბოროტების კეთება.**

**...თუ წერილი თქვენამდე ვერ მოაღწევს, გულწრფელად გითანაგრძნობთ, თქვენი თანამშრომლებისა და ხელქვეითების გამო, რომელთაც თქვენი სახელი არაფრად უღირთ".**

მელაძეების ოჯახის მცდელობას, რომელიც მათ მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსით იყო წარმოდგენილი — ბიძინა ივანიშვილის ნათესავებთან შეხვედრები, საპროტესტო აქციები, მათ შორის, ჭავჭავაძის პროსპექტის ერთი საათით გადაკეტვა მეზობლებთან ერთად, სასამართლო, რომელსაც სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ მათ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს 2009 წელს მიმართეს. 2010 წლის ოქტომბერში პროცედურული საკითხები დამთავრდა.

ამჟამად მოლოდინის რეჟიმში იმყოფებიან, რადგან მომჩივანთა რიგი გრძელია: მარტო საქართველოდან 7 ათასი საქმეა შესული.

### „თქვენია, მაგრამ თქვენი არ არის"

**ქალბატონი ქეთი მელაძე ყვება, რომ ნასახლარზე მათი ხელახლა აგებული ხუხულის დანგრევის შემდეგ, სხვა გზა რომ აღარ დარჩათ, მიმართეს მასმედიას და პოლიტიკურ პარტიებს.**

მისულან: თინა ხიდაშელი, ჯონდი ბაღათურია, რეზო შავიშვილი, კოკო გამსახურდია, ლაშა ჩხარტიშ-



**ხელისუფლებას კანონი მაშინ კი არ დაურღვევია, როცა ქეთი მელაძის უკანონოდ აშენებული სახლი დაანგრია, არამედ მაშინ, როცა გაუგებარი და დღემდე გაუგონარი თეზისი მოიგონა და საჯაროდ გამოაცხადა, სასწრაფოდ მობრძანდით და, რაც კი უკანონოდ გქონდათ მითვისებული, ყველაფერი კანონიერად დაიმტკიცეთო. ხელისუფლებამ თავის გადასარჩენად მოიგონა ეს აქცია. თანაც ამ ისედაც სულელურ აქციას ასევე ყოვლად სულელური სახელი მოუძებნა — „რაც შენია, შენიაო“.**

## კონფლიქტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვილი და სხვები. მათი პროტესტი საინფორმაციო საშუალებებში გაჟღერდა. აქციაზე გამოტანილი პლაკატები **„ივანიშვილო, შენ ხარ მეცენატი?!“, „მეცენატობა უბედურების ხარჯზე“** შესაბამის გარემოს ქმნიდა.

**„ადგილობრივი არჩევნების წინა დღეს,** — განაგრძობს ქალბატონი ქეთი, — **ქალბატონმა თინა ხიდაშელმა, მაშინ იგი თბილისის საკრებულოში იყრიდა კენჭს, ჩვენი სახლის ნანგრევებიდან მოაწყო საგანგებო ბრიფინგი, ამოგვიდგა მხარში, რითაც ოპონირება გაუწია თავის კონკურენტს საკრებულოში, სახელისუფლო კანდიდატს, ჩვენს მოგვარეს — გიორგი მელაძეს“.**

**ესე იგი, თინა ხიდაშელი იმ პერიოდში მელაძეების აქტიური მხარდამჭერი და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი იყო.**

მას შემდეგ, რაც ბატონი ბიძინა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შემოვიდა, მელაძეები ბრძოლის ახალ ეტაპს იწყებენ: ხვდებიან თინა ხიდაშელს, ზაქარია ქუცნაშვილს, ალა კახნიაურს, „უცნობს“ — „საკანში“, ნოდარ ხადურს, თეა წულუკიანს, ნოდარ ჯავახიშვილს. ამ უკანასკნელის რეაქცია ასეთი იყოო: ბიძინა ისეთი კარგი კაცია, რომ არ არსებობს, ეს ამბავი სცოდნოდა და მაინც გაეკეთებიაო.

საკითხის დადებითად გადაწყვეტაში იგულისხმებოდა არა მიწის დაბრუნება, არამედ ფინანსური კომპენსაცია, დაგვიზუსტეს მელაძეებმა.

მოწინააღმდეგე მხარეს ამათი მეზობლებისთვის დაუფარავად უთქვამს: თუ მელაძეებს გვერდით არ დაუდგებით, მიწებს თქვენ გაგიფორმებთო.

**„ეს ადამიანები, ვინც მაშინ ჩვენი მხარე დაიჭირა,** — ასკვნის ქეთი მელაძე, — **ვერ პოულობენ გამბედაობას, რომ პირში უთხრან ოლიგარქს მისი ჩადენილი დანაშაული. განსაკუთრებით თინა ხიდაშელი სარგებლობდა წლების წინ ჩვენი პრობლემით.“**

ქალბატონ თინას რეაქცია ასეთი ყოფილა: სხვას ვინ რას ეკითხება და მე მომანდეთ ამ საქმის მოგვარებაო.

მიანდეს. მაგრამ ის დღე იყო და ის დღე: ქალბატონი ხიდაშელი ამათი ხელმისაწვდომობის არეალიდან გაქრა.

ჩვენი კორესპონდენტები შეეცადნენ, შეხვედროდნენ ქალბატონ თინას, აქ დასახელებულ პირებს, სამწუხაროდ, ამაოდ. და კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ვერ შევძელით პოზიციაშეცვლილ ადამიანებთან საუბარი. არ ისურვეს.

### „ქართუ ჯგუფი“ უარყოფს

„ქართუ ჯგუფის“ პოზიცია ამ კონფლიქტთან დაკავშირებით დაფიქსირებულია გაზეთ „კვირის პალიტრის“ 2009 წლის 5 აპრილის ნომერში. „ქართუ ჯგუფში“ გვითხრეს, რომ მათი პოზიცია მას შემდეგ არ შეცვლილა და შეგვიძლია დღესაც გამოვიყენოთ, როგორც ოფიციალური პასუხი.

მოგვყავს მხოლოდ ამონარიდები ამ პუბლიკაციიდან, რომლებიც კონფლიქტის პრინციპულ მომენტებს ეხება.

წერილის სათაური: **„დაუნგრია თუ არა სახლები ბიძინა ივანიშვილმა მოსახლეობას“.**

ეს წერილი, ძირითადად, 2009 წლის 21-22 მარტს ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ დემონსტრირებულ სტუდია „მონიტორის“ ფილმს განიხილავს და, ამასთან, აანალიზებს გადაცემას „პროფესია ჟურნალისტი“, რომელშიც თავმოყრილი იყო ყველა ადრინდელ პუბლიკაციაში გამოთქმული შენიშვნები, მაშასადამე, სრულად მოიცავდა მელაძეების ოჯახის პრობლემას და მასთან დაპირისპირებულად მოაზრებული ბიძინა ივანიშვილის მოქმედებასაც.

**„ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას,** — ხაზგასმულია წერილში, — **რომ ივანიშვილი გადაცემაში კრიმინალად თუ არა, ისეთნაირად წარმოაჩინეს, რომ უკეთეს შემთხვევაში, კარგი კაცი ნამდვილად არ არის. გადაცემის მსვლელობისას ჩამოთვალეს მცირე ნაწილი იმ საქველმოქმედო პროექტებისა, რომლებსაც ივანიშვილი საქართველოში ახორციელებს. თუმცა ფილმისა და გადაცემის თემად შერჩეული ამბავი და ერთი ოჯახის თავს დამტყდარი უბედურება მისი ქველმოქმედების (თუნდაც ყველა პროექტი ჩამოეთვალათ) საპირწონედ ვერ გამოდგება: ჟურნალისტები ცდილობდნენ, ივანიშვილი წარმოეჩინათ ადამიანად, რომელიც ხალხს სახლებს უნგრევს და ამ ნანგრევებიდან ამოღებული ფულით საკუთარ ბიზნესს ეწევა, მსგავსი ბიზნესიდან ამონაგები ფულით თვითონ მდიდრდება, მცირე ნაწილს კი ქველმოქმედებას ახმარს...“**

**„ობიექტური დასკვნებისთვის,** — ნათქვამია შემდეგ წერილში, — **სავსებით საკმარისია ის, რაზეც მომჩივანმა მელაძემ ილაპარაკა. ამასთანავე, მოგაწვდით დამატებით ინფორმაციასაც, რაც უთუოდ დააფიქრებს ობიექტურობის მოსურნე დაინტერესებულ მკითხველს...**

**როგორც ქალბატონი ქეთი მელაძე ყვება (და ჩვენი ინფორმაციითაც), მისი ოჯახი წყნეთის ხევში მდებარე მიწის ნაკვეთით 1976 წლიდან სარგებლობდა — მიტაცებულ მიწაზე ჰქონდათ საბაღე მეურნეობა და ფარდულის ტიპის ნაგებობა, ხოლო 2003 წელს ააშენეს სახლი (საერთო ფართობი 340 კვ.მ.), თუმცა არანაირი ნებართვა-საბუთი არ გააჩნდათ არათუ მშენებლობისთვის, მიწით სარგებლობისთვისაც კი. ისე ააშენეს სახლი, რომ არც მიწის მესაკუთრენი გამხდარან, არც არქიტექტურული პროექტი ჰქონიათ და არც მშენებლობის ნებართვაზე უზრუნიათ(!).**

...გადაცემის მსვლელობისას არც ერთ ჟურნალისტს ერთი შეკითხვაც კი არ დაუსვამს, **რატომ გაბედეს და სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე, ანუ მიტაცებულ ნაკვეთში რატომ ააშენეს ნაგებობა, თანაც ასეთი სოლიდური ფართობის. დაკვირვებულ მაყურებელს გადაცემით შექმნილი შთაბეჭდილება, რომ მათ ამ ყველაფერზე ეთერს მიღმა მოილაპარაკეს, და ერთი შეკითხვაც კი კადრს გარეთ შეთანხმებულ სცენარს მთლიანად დაურღვევდა.**



...ქეთი მელაძე შეეცადა, მისი ოჯახის პრობლემების განსახილველად სხვადასხვა გაზეთი გამოეყენებია, მაგრამ, ერთადერთი გამოცემის გარდა, ყველამ უარით გამოისტუმრა, რადგან მას სწორედ ის შეკითხვები დაუსვეს, რაც ტელესტუდიაში ვერ მოვისმინეთ.

უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ბიძინა ივანიშვილი რამენაირად დაკავშირებულია ქეთი მელაძის სახლის დანგრევასთან. შესაძლოა, არ ჰკითხეს, უკანონოდ სახლი რატომ ააშენეთო, მაგრამ იმას მაინც ხომ უნდა ჩასძიებოდნენ, სად გაქვთ საბუთი, რომ სახლი ივანიშვილმა დაგინგრიათო?! ამ კითხვებზე პასუხებით რომ დაინტერესებულიყვნენ, ბიძინა ივანიშვილის გვარი შემდეგ აღარც კი უნდა ეხსენებინათ.

...ქეთი მელაძე იხსენებს, რომ შეხვდა ბიძინა ივანიშვილის ძმასაც, რომელმაც უთხრა, თქვენს მიწასთან არანაირი ინტერესი არა გვაქვსო. ეს ნათქვამიც არ იღეს ყურად ჟურნალისტებმა და ასეთი ქვეტექსტით „გაატარეს“: ბიძინა დიდი კრიმინალია, შესაბამისად — ძმაც არანაკლები იქნება. ისე გამოჰყავთ, რომ კრიმინალი კრიმინალს იცავს... მელაძე ამბობს, ბიძინას ძმამ მითხრა, არანაირი კავშირი არა გვაქვს ამ საქმესთანო და მათთვის ეს თურმე იმის მტკიცებულებაა, რომ ბიძინა ივანიშვილი მართლაც დაინტერესებულია ამ ტერიტორიით...

**ჟურნალისტებისთვის არ აღმოჩნდა საინტერესო, რომ მიწის პატარა ფართობზე 100 მილიონის (!) ინვესტიციის ჩადება გადაწყდა, ამაზე ყურადღება არ გაამახვილეს, თითქოს ასეთი პროექტი საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო.** თანაც, ინვესტორს, დამატებით, სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე, ათეულობით ჰექტარზე, გამწვანების ზოლი უნდა გაეშენებია. აშკარა იყო, რომ მთავრობა ამ მიწის გასხვისებას აპირებდა და გამწვანების შემდეგ, ბუნებრივია, უფრო ძვირად გაიყიდებოდა. დარწმუნებული ვართ, არც ბურჯანაძის მოუწერია მსგავსი პროექტისთვის ხელი, ჟურნალისტებმა კი ისე წარმოაჩინეს, რომ ეს იყო ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება, რაც მას მიუღია, და რატომღაც ამ საქმეში ბიძინა ივანიშვილი დაადანაშაულეს.

ქეთი მელაძე აცხადებს, რომ კომპანიებს „იუნიონსა“ და „ინტერსერვისს“ ერთი და იგივე დირექტორი ჰყავს და ამიტომაც ეს უკანასკნელი ბიძინა ივანიშვილის საკუთრებააო. თუნდაც ერთი დირექტორი ჰყოლოდა, რა შუაშია ივანიშვილი? სინამდვილეში, არც „იუნიონია“ ივანიშვილის და არც „ინტერსერვისი“. **რატომ დაუჯერეს ჟურნალისტებმა ქეთი მელაძეს, რატომ ენდნენ მას სიტყვაზე, რატომ არ ჩაეძიენ, რატომ არ მოსთხოვეს საბუთი, რომელიც მის ნათქვამს დაადასტურებდა?..**

აუდიტის დასკვნით, 2003 წელს 340 კვ.მ ფართის სახლის აშენებას 80-დან 100 ათას დოლარამდე დასჭირდებოდა. ჩვენ მინიმუმი ავიღოთ, 80 ათასი. ეს თანხა ცოტა როდია, 2003 წელსაც და დღესაც საქართველოს მოსახლეობის 99 პროცენტისთვის ამ რაოდენობის თანხის მოგროვება შეუძლებელია. ასე რომ, მელაძეების ოჯახი საქართველოს შეძლებული მოსახლეობის 1 პროცენტში ხვდება. **ამიტომ ქეთი მელაძისა და მისი ოჯახის გათანაბრება დევნილებთან, მართლაც გაუბედურებული ადამიანების ტრაგედიასთან, ყოვლად წარმოუდგენელია...**

ნებისმიერი მიტაცება თავისთავად დაზარალებულსაც გულისხმობს. იტაცებენ იმას, რასაც პატრონი ჰყავს, ანუ დაზარალდა მიწის პატრონი. ქვეყანა დაზარალდა და ქალაქი. მაგრამ არც ქვეყანა და არც ქალაქი არაა აბსტრაქტული ცნებები, ერთსაც და მეორესაც მოქალაქეები ქმნიან, ანუ ჩვენ — საზოგადოება. ჰოდა, **ცოტა უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ ქეთი მელაძისგან ზუსტად ამ საზოგადოებისგან თანაგრძნობის გამოძალვა?! ჯერ საზოგადოება არაფრად ჩააგდო, მიწა მიიტაცა და დააზარალა, ახლა კი სწორედ ამ საზოგადოებას სთხოვს თანადგომას. ჩვენ ამას უცნაურობის ნაცვლად თავხედობას დავარქმევდით.**

თავგასულობის გარდა რა უნდა ვუწოდოთ მის ქცევას, როცა ქვეყანა ააწრიალა, გაზეთები და ტელევიზია, ჭორვილაში სამჯერ ჩავიდა, „ქართუ ჯგუფის“ სამსახურები დაატერორა, ნინო ბურჯანაძეს დასდევს, 100-მილიონიან ინვესტიციაზე ხელის მოწერა როგორ გაბედეო, არადა, ამ საბუთზე ხელის მოწერა მისი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.

...ხელისუფლებას კანონი მაშინ კი არ დაურღვევია, როცა ქეთი მელაძის უკანონო სახლი დაანგრია, არამედ მაშინ, როცა გაუგებარი და დღემდე გაუგონარი თეზისი მოიგონა და საჯაროდ გამოაცხადა, სასწრაფოდ მობრძანდით და, რაც კი უკანონოდ გქონდათ მითვისებული, ყველაფერი კანონიერად დაიმტკიცეთო. ხელისუფლებამ მანამდე ბევრი უკანონობა ჩაიდინა (თაბუკაშვილის ქუჩაზე სახლის დანგრევის მსგავსი) და როდესაც ხალხისგან აგრესია და ზიზღი იგრძნო, მიხვდა, რომ მისი რეიტინგი საშინლად დაეცა და სავარძლების დაკარგვის რეალური საფრთხე გაჩნდა. ამიტომ თავის გადასარჩენად მოიგონეს ეს აქცია. თანაც ამ ისედაც სულელურ აქციას ასევე ყოვლად სულელური სახელი მოუძებნეს — „რაც შენია, შენიაო“. თუმცა სინამდვილეში სულ სხვა რამ მივიღეთ — რაც შენი არ არის და არც არასოდეს ყოფილა, ის შენია. მე თავი დამანებეთ, ოღონდ მე თავი დამანებეთ და საახალწლოდ ინდაურებს კიდევ დაგირიგებთ და ა. შ. ყველაფერ ამას, იცით, რა ჰქვია? საკუთარი გამწარებული, დევნილი, გალატაკებული და „ჩარეცხილი“ მოსახლეობის ტოტალური მოქრთამვა ხელისუფლების მიერ. ქრთამი გადაუხადეს საზოგადოების „აქტიურ“ მცირე ნაწილს, მელაძეების მსგავსს და ვის ხარჯზე? ისევ კანონმორჩილი მოსახლეობის ხარჯზე...

ახლა ვნახოთ, რა დანაშაული ჩაიდინა ივანიშვილმა: იურიდიული, ეკონომიკური თუ მორალური.

იურიდიული? ყველაფერი წესრიგშია. ნებისმიერ ადამიანს აქვს სახელმწიფოსგან მიწის ყიდვის უფლება, ოღონდ კანონიერად.

ეკონომიკური? იქნებ სახელმწიფო მოატყუა ამ მხრივ? ვერ ნახავთ საქართველოში ვერც ერთ პროექტს, რომ პატარა ფართობზე 100-მილიონიან ინვესტიციას დებდეს ვინმე და იმავე დროს მიმდებარე მიწის გაკეთილშობილებაზეც ზრუნავდეს (ტყის ზოლის გაშენება). ეკონომიკურად უაღრესად ხელსაყრელი გარიგებაა. ეს სახელმწიფოს რჩება, ქვეყნისთვის კეთდება. საქართველოში რჩება ინვესტიცია, რომლის მოზიდვაზე ამდენს ლაპარაკობენ და ვერ შემოაქვთ. ესე იგი, ეკონომიკურადაც ვერაფერში შეედავები. სანამ საზოგადოებაში ერთი ადამიანი მაინც იარსებებს ისეთი, რომელსაც კანონიერების აღდგენის მცდელობისთვის ადამიანის მორალზე კითხვები გაუჩნდება, მანამ ასეთ საზოგადოებას ყოველთვის მოექცევიან ისე, როგორც დღეს გვექცევა ჩვენი ხელისუფლება.

ყოველთვის ეყოლება ისეთი პრეზიდენტი, რომელსაც არასოდეს გაუაზრებია თავისი ვალდებულება და ქვეყნის უზენაეს კანონად საკუთარი განწყობა და ხასიათი გადაუქცევია...

ყოველთვის ეყოლება ისეთი ჟურნალისტები, რომლებიც ხელისუფლების თუ მავანის დაკვეთით მზად არიან, შავი თეთრად მოგვაჩვენონ და პირიქით...

ყოველთვის ეყოლება ისეთი მოსამართლეები, რომლებსაც თავი მსაჯული კი არა, ორკესტრის მუსიკოსები ჰგონიათ და მხოლოდ სადირიჟორო ჯოხის აქნევა-დაქნევით ჭრიან და კერავენ ადამიანთა ბედს...

ყოველთვის იქნება რიგები უცხო ქვეყნების საკონსულოებთან, რომ ტურისტად კი არა, საერთოდ წავიდნენ ამ ქვეყნიდან და თავი დააღწიონ ამ ჯოჯოხეთს.

ჩვენ კი ერთხელ ნათქვამს ცოტა სხვანაირად გავიმეორებთ: **ქვეყანაში, სადაც საზოგადოებას ამდენ რამეს უბედავენ, ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც უკანონობას თანაუგრძნობენ.**

ამ ვრცელი წერილის ავტორები არიან ჟურნალისტები თემურ ჭკუასელი და ელზა ნიბახტეველი, „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელი.

**ჟურნალისტებისთვის არ აღმოჩნდა საინტერესო, რომ მიწის პატარა ფართობზე 100 მილიონის (!) ინვესტიციის ჩადება გადაწყდა, ამაზე ყურადღება არ გაამახვილეს, თითქოს ასეთი პროექტი საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რუსეთუმეობას რომ გვაბრალებენ, ნახონ ჩვენი დეკლარაცია, რომელშიც ცალსახად გვაქვს გაცხადებული საგარეო ვექტორი, ჩვენ დასავლური კურსი გვაქვს არჩეული, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების გარეშე დევნილების საკითხი ვერ გადაწყდება. დევნილები დასაბრუნებელია და ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენი, რისთვისაც ამ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია. მისგან ჯერჯერობით მარტო დაპირებები გვესმის.“



# მანანა კობახიძე: მეცოდება «ნაციონალური მოძრაობა», ასეთი ლიდერი რომ ჰყავს

**27 მაისს „ქართული ოცნების“ ლიდერები ფართომასშტაბიან აქციას გეგმავენ. საზოგადოების ინტერესი აღნიშნული აქციის მიმართ ძალიან მაღალია, რადგან ბევრი სწორედ ამ დღეს ელოდება პასუხს შეკითხვებზე, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობასთან, ზოგიერთ მის პარტნიორთან, საგარეო-პოლიტიკურ ხედვასთან და პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკასა და სტრატეგიასთან დაკავშირებით გაჩნდა. ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა, რომ ჯერჯერობით გაუგებარია, როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ივანიშვილისეული სტრატეგია და მთელი რიგი სხვა შენიშვნებიც გამოთქვა. ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელი მანანა კობახიძე ესაუბრა.**

**— ქალბატონო მანანა, მიუხედავად იმისა, რომ დადიხართ რეგიონებში, ხსნით ოფისებს, მართავთ პრესკონფერენციებს, როგორ აპირებთ, აჯობოთ ხელისუფლებას, რომელიც, თუ ხელისუფლების წარმომადგენლების გამოსვლებს გავითვალისწინებთ, დარწმუნებულია გამარჯვებაში და არსად წასვლას არ აპირებს. ამის დასადასტურებლად სააკაშვილის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გამოსვლის გახსენებაც საკმარისია, როცა მან ბრძანა, რომ, ვინც ხელისუფლებაში მოსვლას ეპოტინება, არანაირი შანსი არ აქვს, რადგან, „მთელი იმ ქვეყნის ფულიც რომ შეაგროვონ, რომელიც ამითაა დაინტერესებული, ხელისუფლებაში მოსვლას მაინც ვერ შეძლებენ“. თქვენ რას აპირებთ?**

— ბიძინა ივანიშვილის რუსული ფულის გარდა, ხელისუფლებას სხვა სალაპარაკო თემა აღარ დარჩა, მაგრამ ამ ყველაფერზე ჩვენი პასუხი მარტივია: **როცა ბიძინა ივანიშვილი მრავალმილიონიან პროექტებს უანგაროდ აფინანსებდა, ეხმარებოდა უამრავ გაჭირვებულ ადამიანს, რომლებიც სახელმწიფოს დავიწყებული ჰყავდა, მაშინ ამ ხელისუფლებას რატომ არ ახსენდებოდა, რომ ეს ფული რუსული ბიზნესიდან იყო?** ამას გარდა, როგორც ჩანს, ხელისუფლება ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რადგან, თუ ისინი ბიძინა ივანიშვილსა და მის პარტიას სერიოზულად განიხილავენ იმ ძალად, რომელიც სხვა ქვეყანასთან არის შეკრული და სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმიანობას ეწევა, მაშინ რას აკეთებს ეს სახელმწიფო? სად არიან ძალოვანი სტრუქტურები? რატომ არ გვიჭერენ, თუ სხვა ქვეყნის ჯაშუშები ვართ?

**ხელისუფლებას ახასიათებს მუდმივად მტრის ხატის შექმნა, რომელსაც, როგორც წესი, რუსეთს უკავშირებს. არადა, რუსეთის საქმეს, ჩვენ კი არა, სწორედ ხელისუფლება აკეთებს. ძალიან დაბნეულები არიან. დააკვირდით, სააკაშვილი ხელს იშვერს ჩვენკენ და ბიძინა ივანიშვილის სახელისა და გვარის ხსენების თავი და ვაჟკაცობაც არ აქვს.**

რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, ამ ხელისუფლების დამარცხებას ძალიან დიდი აქტიურობით ვაპირებთ. ჩვენი კოალიციის წარმომადგენლები ყოველდღიურად ხვდებიან რეგიონებში მოსახლეობას. ჩვენი სტრატეგია ძალიან კარგად გვაქვს გაწერილი. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენს გეგმებსა და ტაქტიკურ ნაბიჯებს ხელისუფლებას არ გავუმხელთ.

**— ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით გამოწვეული მუხტიც შესუსტდა. არ ფიქრობთ, რომ საზოგადოება მეტს ელოდება თქვენგან?**

— ვერ დაგეთანხმებით, მუხტი არ შესუსტებულა. ბატონ ბიძინას შეეძლო, როგორც კი პოლიტიკაში მოვიდა, მისი მომხრეები ქუჩაში გამოეყვანა, მაგრამ ასე არ მოიქცა. 27 მაისს ოფიციალურად ვიწყებთ საარჩევნო კამპანიას და თავისუფლების მოედანზე ძალიან ბევრ მხარდამჭერს ველოდებით. ყველა ის ადამიანი მოვა, რომელთაც მობეზრდათ ამ ხელისუფლების უსამართლო ქმედებები. ეს იქნება შეხვედრა ჩვენს ამომრჩეველთან, მაგრამ, ვინაიდან ამდენ ხალხს ვერც ერთი დარბაზი ვერ დაიტევდა, შეხვედრა ქუჩაში გადავწყვიტეთ.



«ნატოს წევრი ბევრი ქვეყანა მშვენივრად აგვარებს რუსეთთან ურთიერთობას და, როცა ჩვენც ძლიერი ქვეყანა ვიქნებით, ასევე მოვიქცევით»

**— რა არის ამ აქციის მიზანი, ეს არის მხოლოდ შეხვედრა ამომრჩეველთან? და რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, 100 ათასი კაცი გამოვა ქუჩაში?**

— **27 მაისი არის ამომრჩევლისთვის ჩვენი კონკრეტული გეგმის, საარჩევნო პროგრამის გაცნობის დღე. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია და, ბუნებრივია, ასეთი ფართომასშტაბიანი შეხვედრები ხალხთან გაგრძელდება. ასეთივე შეხვედრები გაიმართება რეგიონებში, რათა ხალხს მივაწოდოთ ინფორმაცია, რას ვაპირებთ სოციალური პოლიტიკის, ჯანდაცვის, განათლების, სამართლებრივ სფეროში, ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში.** როცა პრეზიდენტი გამოდის და ამბობს, რომ თურმე აფხაზეთი საქართველოსი არასდროს ყოფილა და თბილისის ისტორია ბერიათი და სტალინით იწყება და ისეთ სისულელეებს ლაპარაკობს, რომ თბილისს ქუთაისს უპირისპირებს და ქუთაისს — ზუგდიდს, მგონი, ამ ადამიანს მთელი საქართველოს დაშლა უნდა. სააკაშვილს თბილისი ეზიზღება, ვინაიდან აქ ქრონიკულად აგებს არჩევნებს.

«ხელისუფლებამ შექმნა ტოტალიტარული რეჟიმი, რომელსაც გარედან ვარდისფერი ფასადი შემოარტყა და ცდილობს ჩვენი დასავლელი პარტნიორების ამით მოტყუებას, მაგრამ არ გამოუვა»

ვაკის მიმართ აქვს აგრესია და ხშირად მას სხვა უბნებს უპირისპირებს.

**სააკაშვილი ამ ქვეყნის სირცხვილია და მე მეცოდება „ნაციონალური მოძრაობა“, რომ ასეთი ლიდერი ჰყავს.** არ მინდა, შალვა ნათელაშვილს დავემსგავსო და შეურაცხყოფაზე გადავიდე, მაგრამ ყველა მისი არაადეკვატური გამოსვლა ადასტურებს, რომ სააკაშვილი ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს.

**— თუმცა აქციის 27 მაისს გადატანა ბევრმა ხელისუფლებასთან დათმობაზე წასვლად შეაფასა...**

— არაფერი არ დაგვითმია, რადგან ხელისუფლებამ ჩვენზე ადრე გამოაცხადა, რომ 26 მაისს აპირებდა აქციის გამართვას სახელწოდებით „დამზადებულია საქართველოში“ და რომ მთელი რუსთაველის პროსპექტი მათ სჭირდებოდათ გამოფენისთვის, ჩვენ ხელისუფლებას თავიდანვე ამიტომ შევთავაზეთ ორი თარიღი.

**— ქალბატონო მანანა, დამეთანხმებით, ალბათ, გაცილებით ლოგიკური იქნებოდა, თქვენი აქცია 26 მაისს გაგემართათ...**

— გასაგებია, მაგრამ საქმე ისაა, რომ მაშინ ხელისუფლებას ექნებოდა სათქმელი, თქვენზე ადრე გამოვაცხადეთ, რომ რუსთაველზე ღონისძიების ჩატარებას ვაპირებდითო. ამას გარდა, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით, თუ ეს გამოფენა ასეთი მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. გამოფენაში მონაწილე მეწარმეებიც ხომ ჩვენი მოქალაქეები არიან და მათი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

ჩვენ ხელისუფლება იმიტომ ჩავაყენეთ საქმის კურსში, რომ 27 მაისს, შესაძლოა, გზის გადაკეტვაც მოგვიხდეს. ეს რომ მცირერიცხოვანი აქცია ყოფილიყო, გაფრთხილებაც არ იქნებოდა საჭირო. ვინ ვის რას დაუთმობს, ახლო მომავალში გამოჩნდება.

**— კოალიციის ლიდერები ყოველთვის აცხადებენ, რომ მხოლოდ არჩევნების გზით შეცვლით ხელისუფლებას. ამ პირობებში, როცა ხელისუფლებამ ოპოზიციისთვის არცთუ სახარბიელო საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა, როგორც იურისტი, რას ფიქრობთ, ხელისუფლებამ ოპოზიციას გამარჯვების შანსი საერთოდ დაუტოვა?**

— ზუსტად ასეთი საკანონმდებლო ცვლილებები მიუთითებს, რომ ხელისუფლება აგონიაშია. თუნდაც ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ერთი კაცისთვის ცვლის კონსტიტუციას, ვინ ვისთან მიდის დათმობაზე, უკვე კარგად მეტყველებს. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან კარგად ვიცით, **სააკაშვილს უკან დახევა არ სჩვევია. თუნდაც ძალიან აბსურდული რამ თქვას, ცდილობს, თავისი ბოლომდე გაიტანოს. ახლა კი უკან იხევს და ქვეყნის უზენაეს კანონს მხოლოდ იმიტომ ცვლის, რომ საზოგადოების დაკვეთა შეასრულოს.**

ვინაიდან სწორედ საზოგადოების დაკვეთა იყო, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა მიეღო და სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობისა და ქართული საზოგადოების ზეგავლენით, ხელისუფლება მიდის იქამდე, რომ კონსტიტუციას ცვლის, რათა ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცეს. ეს ძალიან დიდი გამარჯვებაა.

**— მაგრამ ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილს მაინც არ აძლევს მოქალაქეობას...**

— ეს უკვე ხელისუფლების სირცხვილია, რომ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობას არ აძლევს. მთელი რიგი უკანონო გადაწყვეტილებებისა მიიღეს, მაგრამ ახლა ამ ყველაფრის გამოსწორებას ცდილობენ. აბა, რას ნიშნავს მათი საქციელი? **ვერ დამისახელებთ ქვეყანას, სადაც ერ-** ▶

---

მოკლედ

## რუსეთი აშშ-ს პრო-ს ისკანდერებით უპირისპირდება

რუსეთმა, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, „ისკანდერი“ აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ელემენტების სისტემის გასანადგურებლად გამოიყენოს. ეს განცხადება რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ანატოლი სერდიუკოვმა სოჭში გააკეთა. „აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ელემენტების სისტემის განთავსება ჩვენს შეშფოთებას იწვევს. შესაბამისად, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას გავანადგურებთ“, — განაცხადა სერდიუკოვმა და დასძინა, რომ უკვე არსებული შეიარაღება ამ ამოცანის შესასრულებლად საკმარისია. „თუ ისინი მოგვცემენ იურიდიულად სავალდებულო გარანტიას, მზად ვართ, ამას სხვა თვალით შევხედოთ. აქამდე მხოლოდ სიტყვიერი დაპირება გვაქვს მიღებული“, — აცხადებს სერდიუკოვი.



„ძალიან ბევრ შემთხვევაში ირღვევა ადამიანის უფლებები. დღეს მარტო პატიმარი კი არა, მათი ოჯახებიც იხდიან სასჯელს. ეს ყველაფერი კარგად იცის საზოგადოებამ და, რაც ხალხს არ მოსწონს, ყველაფერი გამოსწორდება. დანაშაულთან ბრძოლა იქნება კანონის ფარგლებში და არა პოლიტიკური ნიშნით.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თი კაცის გამო კონსტიტუციას ცვლიდნენ და დიახ, მე ამაყი ვარ, რომ ამ ადამიანის გუნდში ვარ. რა თქმა უნდა, ცალკე საკითხია, რომ კონსტიტუციის ასეთი ცვლილებები არ არის მისასალმებელი, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლებას კანონიერებასთან საერთო არაფერი აქვს.**

**— თუ ხელისუფლებამ გააყალბა არჩევნები, როგორ მოიქცევით ამ შემთხვევაში?**

— ხელისუფლებამ არჩევნები ვერ უნდა გააყალბოს, რადგან საზოგადოება უნდა იყოს მზად და ყველამ უნდა დავიცვათ ჩვენი ხმები. ეს არ უნდა დავუშვათ. საქართველოში უნდა მოხდეს ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა.

**— როგორ მოახერხებთ ამას?**

— ხალხმა შიშის სინდრომი დაამარცხა. ჩვენ მობილიზებულები ვართ, რომ ყველა უბანი და საარჩევნო ყუთი დავიცვათ და, თუ გაყალბება მაინც მოხდა, არსებობს საკუთარი ხმის დაცვის კონსტიტუციური უფლება და ჩვენ ამ უფლებას გამოვიყენებთ.

**— ლიბერალური ინტერნაციონალის დელეგაციამ, რომელიც „ქართული ოცნების“ მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში, საარჩევნო კოდექსის ზოგიერთი პუნქტი შემაშფოთებლად მიიჩნია. რა შედეგს ელით ამ ვიზიტისგან?**

— საქართველოში არჩევნების პერიოდში, როგორც ეუთოს მანდატით, ასევე არასამთავრობოების მანდატით, ძალიან ფართომასშტაბიანი სადამკვირვებლო მისია განხორციელდება. საარჩევნო გარემოს ისინი გააკონტროლებენ არამხოლოდ არჩევნების დღეს, არამედ გრძელვადიან რეჟიმში, რაც იმას ნიშნავს, რომ დააკვირდებიან, როგორია ქვეყანაში არსებული მედიაგარემო, როგორ ექცევიან ჩვენს მხარდამჭერებს, როგორი დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას ოპოზიციის მიმართ. **თუ ასეთი დემოკრატიული ქვეყანა ვართ, რატომ ვერ იტანს ხელისუფლება ოპოზიციურ ძალებს და რატომ იწყება ყველა ნაციონალური ეთერი ოპოზიციის პირდაპირი დისკრედიტაციითა და ლანძღვით? ვინაიდან ნაციონალური არხები ხელისუფლებას მონოპოლიზებული აქვს, ჩვენ ძალიან დიდი დაბრკოლებების გადალახვით ვახერხებთ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას ამომრჩევლებისთვის.**

ხელისუფლებამ შექმნა ტოტალიტარული რეჟიმი, რომელსაც გარედან ვარდისფერი ფასადი შემოარტყა და ცდილობს ჩვენი დასავლელი პარტნიორების ამით მოტყუებას, მაგრამ არ გამოუვათ, უკვე ყველა კარგად იცნობს ამ ხელისუფლებას და იცის, რომ ძალიან ცუდად აქვს საქმე.




**— თუმცა, მეთიუ ბრაიზას განცხადებით, სააკაშვილი საქართველოში კვლავ ყველაზე პოპულარულ ლიდერად რჩება და ბიძინა ივანიშვილი, გიორგი თარგამაძესთან შედარებით, სუსტი პოლიტიკოსია.**

— ვინ არის მეთიუ ბრაიზა? დღეს მას არანაირი პოლიტიკური სტატუსი და თანამდებობა არ გააჩნია და ყველამ კარგად იცის, რომ ის ამ ხელისუფლებასთან შეხმატკბილებულია; იმასაც კი ამბობენ, რომ ქორწილი სააკაშვილმა გადაუხადა.

**— რაც შეეხება ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ კურსს, თქვენი კოალიციის ლიდერების იდეა, რომ რუსეთთანაც დაალაგებენ ურთიერთობას და ქვეყანა ნატოშიც გაწევრიანდება, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ?**

— აშშ, გერმანია და საფრანგეთი ვერ აგვარებენ ურთიერთობას რუსეთთან? ეს არის საკითხი, რომელსაც მოგვარება სჭირდება. **ქვეყნები, რომლებიც მუდმივად იბრძოდნენ რუსეთთან, მათ დაალაგეს ურთიერთობა, რადგან მიხვდნენ, რომ არ შეიძლება მუდმივად კონფრონტაციის რეჟიმში ცხოვრება. ჩვენც მოვახერხებთ ამას, რადგან ურთიერთობის ნორმალიზება აუცილებელია.** ეს ქვეყანა ჩვენს მეზობლადაა და ვერც ჩვენ გადავსახლდებით და ვერც რუსებს გადავასახლებთ სადმე.

**— მაგრამ არა ნატოზე უარის თქმის სანაცვლოდ? როგორ მოახერხებთ ურთიერთობის მოგვარებას? ცნობილია და რუსეთიც აღიარებს, რომ ნატოს საკითხი მას ძალიან აღიზიანებს.**

— ნატოს წევრი ბევრი ქვეყანა მშვენივრად აგვარებს რუსეთთან ურთიერთობას და, როცა ჩვენც ძლიერი ქვეყანა ვიქნებით, ასევე მოვიქცევით. უამრავი ჩვენი თანამემამულე დღეს რუსეთში ცხოვრობს, იქ მუშაობს და ამით არჩენს სამშობლოში მიტოვებულ ოჯახს. რუსეთთან გვქონდა ეკონომიკური ურთიერთობები, გადიოდა ქართული პროდუქცია და ჩვენთვის ყველაზე დიდი ბაზარი იყო რუსეთი. საქართველოს ჰყავდა ისტორიული მტრები, რომლებიც დღეს საქართველოს მეგობრები არიან. ქვეყნებს შორის დაპირისპირება ხშირად ხდება, მაგრამ გონიერი პოლიტიკის წყალობით ყველანაირი დაძაბული ურთიერთობა შეიძლება დარეგულირდეს.

**რუსეთუმეობას რომ გვაბრალებენ, ნახონ ჩვენი დეკლარაცია, რომელშიც ცალსახად გვაქვს გაცხადებული საგარეო ვექტორი, ჩვენ დასავლური კურსი გვაქვს არჩეული, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების გარეშე დევნილების საკითხი ვერ გადაწყდება. დევნილები დასაბრუნებელია და ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენი, რისთვისაც ამ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია. მისგან ჯერჯერობით მარტო დაპირებები გვესმის.**

არ უნდა დაჰპირდე შენს ხალხს, რომ შემდეგ ახალ წელს სოხუმში შეხვდები. ხალხს ანაბრების დაბრუნებას ჰპირდებოდნენ, ას დოლარამდე პენსიის გაზრდას, უმუშევრობის დაძლევას... რა შეასრულეს? შუქს და გაზს გვამადლიან, ამასაც ჩვენი ჯიბიდან ვყიდულობთ და რატომ გვამადლიან? საიდან ვყიდულობთ, მოდი, ესეც ვთქვათ: თუ მტერია რუსეთი და უვარგისია, მაშინ რატომ გვაქვს ეკონომიკური კავშირები და რატომ ჩავაბარეთ ჩვენი ენერგეტიკა?

# «27 მაისი არის ამომრჩევლისთვის ჩვენი კონკრეტული გეგმის, საარჩევნო პროგრამის გაცნობის დღე... ასეთი ფართომასშტაბიანი შეხვედრები ხალხთან გაგრძელდება»

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ნინო ბურჯანაძე და კახა კუკავა გაერთიანდნენ და ქვეყანაში ე. წ. მესამე ოპოზიციური ცენტრი შეიქმნას. რატომ აღმოჩნდა მაინც და მაინც ეს ორი ძალა თქვენთვის მიუღებელი, როცა კოალიციაში არიან ერთმანეთისგან განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე პარტიები?**

— მინდა განვაცხადო, რომ პიროვნულად მათ არ ვუპირისპირდებით და ჩვენ არ ვებრძვით ოპოზიციურ ძალებს, მაგრამ გვაქვს მათგან განსხვავებული პოლიტიკური კურსი. როცა ჩვენ ვაცხადებთ, რომ გვსურს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, კახა კუკავა კი ამბობს, რომ ნეიტრალიტეტის მომხრეა, ცხადია, ვერ გავერთიანდებით. რაც შეეხება კოალიციის სხვა წევრების პოზიციას, გოგი თოფაძეს ან სხვებს არ მახსოვს, რომ ასე კატეგორიულად გამოეცხადებიოთ, რომ ნეიტრალიტეტის მომხრეები არიან. ამას გარდა, მანამდე რა იყო ერთია და დღეს, როცა ხელი მოეწერა პოლიტიკური კოალიციის დეკლარაციას, პარტიების ლიდერების ხელმოწერა ნიშნავს, რომ ისინი იზიარებენ აღნიშნულ პოლიტიკურ კურსს.

**— იყო თუ არა გადამწყვეტი რესპუბლიკელების გადაწყვეტილება, ვინ მიეღოთ კოალიციაში?**

— არანაირად, ყველას თანაბარი უფლებები აქვს, ბატონი ბიძინას გარდა.

**— კოალიციის გარეთ დარჩენილ პარტიებთან რა სახის თანამშრომლობას აპირებთ?**

— ვიდრე მე გავხდებოდი ამ პარტიის თავმჯდომარე, ბატონმა ბიძინამ გასცა პასუხი უკვე, რომ შესაძლებელი იყო მაჟორიტარებთან ან საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით მათთან თანამშრომლობა. სხვა სახის გაერთიანებაზე საუბარი აღარ განიხილება.

**— ლეიბორისტებმა საკმაოდ სერიოზული ბრალდება წაუყენეს ბიძინა ივანიშვილს და მას შალვა ნათელაშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის განზრახვაშიც დასდეს ბრალი.**

— არ ვაკეთებთ ამაზე კომენტარს, რადგან ამ განცხადებაზე კომენტარის გაკეთებაც კი არასერიოზულად მიგვაჩნია. ცოტა არ იყოს, სასაცილოა და არ შეეფერება ბატონ შალვას ასეთი განცხადებები. ვერ გეტყვით, ასე რატომ მოიქცა, შეიძლება დიდი თანხა რომ მიეღო ივანიშვილისგან, ასეთი განცხადება აღარ გაეკეთებია.

**— მრავალი წელი უფლებადამცველად მუშაობდით, ყველაზე მეტად რა პრობლემებს აწყდებოდით ამ სფეროში და რას შეცვლიდით ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში?**

— ყველაზე მძიმე პრობლემად სასამართლოს დამოუკიდებლობის არარსებობა რჩება. ძირეული ცვლილებებია გასატარებელი როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში. ძალიან მძიმე ვითარებაა სასჯელაღსრულების სისტემაში, უამრავი ადამიანი უკანონოდ იხდის სასჯელს. აუცილებელია ფართომასშტაბიანი ამნისტია გამოცხადდეს ნაკლებად მძიმე დანაშაულზე და აუცილებლად გადაიხედოს განაჩენები. აუცილებელია, ამოქმედდეს პირობითი მსჯავრის სისტემა, რომელიც დააკნინეს, და პატიმარს მხოლოდ საპროცესო გარიგების შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა, პირობითი მსჯავრით ისარგებლოს. ამას გარდა, სასჯელის ინდივიდუალიზაცია პრაქტიკულად წაშლილია და მოსამართლის როლი დაკნინებულია. ასევე პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ინსტიტუტი სამართლებრივი კონტროლიდან გასულია და დამოკიდებულია ვიღაც ციხის უფროსის ნებაზე და კომისიის წევრ ჩინოვნიკებზე.

**ძალიან ბევრ შემთხვევაში ირღვევა ადამიანის უფლებები. დღეს მარტო პატიმარი კი არა, მათი ოჯახებიც იხდიან სასჯელს. ეს ყველაფერი კარგად იცის საზოგადოებამ და, რაც ხალხს არ მოსწონს, ყველაფერი გამოსწორდება. დანაშაულთან ბრძოლა იქნება კანონის ფარგლებში და არა პოლიტიკური ნიშნით.**

**— თქვენი დანიშვნა პარტიის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ხელმძღვანელად ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. რამდენად დამოუკიდებლად იღებთ გადაწყვეტილებებს?**

**— ამ პარტიის ლიდერი არის ბიძინა ივანიშვილი და ჩვენ, ყველანი, მის გადაწყვეტილებებსა და არჩევანს პატივს ვცემთ. საზოგადოებისთვისაც ცნობილია, რომ ეს არ არის მანანა კობახიძის პარტია, ეს არის ბიძინა ივანიშვილის პარტია და ხალხი, ვინც ჩვენთან მოდის, სწორედ მას უჭერს მხარს. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, ამ ეტაპზე მე ვარ პარტიის თავმჯდომარე, პარტიას ჰყავს პოლიტსაბჭო, რომელიც აბსოლუტურად დემოკრატიულად, ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებებს.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

მსოფლიო

## ავღანელმა სამხედრომ ნატოს ჯარისკაცი მოკლა

**აღმოსავლეთ ავღანეთში ნატოს ჯარისკაცი ავღანურ სამხედრო უნიფორმაში ჩაცმულმა მამაკაცმა იარაღიდან გასროლით მოკლა. ნატოს ინფორმაციით, მიმდინარეობს ინციდენტის გამოძიება.** ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ავღანელი ჯარისკაცი მასთან ერთად მომსახურე საერთაშორისო ძალების წარმომადგენელს თავს ესხმის. ასეთი შემთხვევების რაოდენობა თანდათან იზრდება. დამკვირვებლების თქმით, აღნიშნულმა ფაქტმა უცხოელი ჯარისკაცების თავდაჯერებულობა შეამცირა. ნატო პარასკევს მომხდარის შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ ავრცელებს და არც მოკლული ჯარისკაცის ეროვნებას ახმაურებს.

## «ალ ქაიდას» ბომბმეიკერმა უჩინარი ბომბი შექმნა

**30 წლის ასაკში „ალ ქაიდას“ გამოცდილმა ბომბმეიკერმა იბრაჰიმ ალ-ასირიმ, რომელიც ცნობილია თავისი მოხერხებულობით ბომბების შექმნასა და დამონტაჟებაში, გამოიგონა ბომბი, რომლის აღმოჩენაც სხვებზე გაცილებით რთულია.** მის მიერ გამოგონილი ბომბები უსაფრთოების კონტროლს თავისუფლად გადის და ის შეიძლება შეუმჩნევლად ჩამონტაჟდეს ვიდეო კამერებში, კომპიუტერის გარე მყარ დისკებსა და შინაური ცხოველების სხეულში. ქირურგიული ჩარევით ცხოველების მსგავსად ბომბი ტერორისტთა სხეულშიც ინერგება. მსგავსი ბომბის შექმნით, ალ-ასირი ცდილობს შექმნას ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც შეაღწევს თვითმფრინავებში და მარტივად და შეუმჩნევლად გაივლის უსაფრთხოების კონტროლს.

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ პოლიტიკური პროცესები ისე განვითარდება, როგორც ამერიკულ სტრატეგიაშია გათვლილი, და საქართველო ნატოში ტერიტორიების დათმობის ხარჯზე გაწევრიანდება, მაშინ ქართველებს მოგვიწევს, სამუდამოდ დავემშვიდობოთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს...**

# «მავრი» სოხუმისა და ცხინვალის აღიარების გარეშე არ წავა...

**მიხეილ სააკაშვილის მიერ 2 მაისს ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გაკეთებულმა განცხადებამ შოკში ჩააგდო პატრიოტულად განწყობილი ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი. საქმე ეხება პრეზიდენტის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა აფხაზეთი არა თუ ახლა, არც მანამდე ყოფილიყო საქართველოს შემადგენლობაში: „ჩვენ ილუზორულად ვაკონტროლებდით აფხაზეთს საბჭოთა პერიოდში, თორემ სოხუმში არ ისმოდა ქართული ენა... არ იყოს ის საქართველოს შემადგენლობაში“.**
**შეუძლებელია, ასეთი ტიპის განცხადება პრეზიდენტს შემთხვევით წამოსცდენოდა.**



**სააკაშვილის განცხადება, შეიძლება ორი კუთხით განვიხილოთ: პირველი ის, რომ იგი, ფაქტობრივად, წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებს და აქედან გამომდინარე, სურს, ამომრჩევლის თვალში ჩამოირეცხოს დანაშაული, რომელიც ძირძველი ქართული მიწების დაკარგვაში მიუძღვის. და მეორე, ეს არის გარე ძალების დავალებით გაკეთებული განცხადება, რათა გაეგოთ საზოგადოების რეაქცია და რამდენად მზად არის ქართული საზოგადოება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სამუდამო დაკარგვასთან შესაგუებლად.**

დღითიდღე იკვეთება, რომ სეპარატისტული რეგიონების დათმობის გარეშე საქართველოს ნატოში გაწევრიანება ვერ მოხერხდება. ასევე ცხადი ხდება, რომ ხელისუფლების ბედი ქვეყნის შიგნით არ წყდება, ხოლო პოლიტიკური ელიტის ფორმირება და ხელისუფლებაში აღზევება ამერიკელების კომპეტენციას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე კი მართებული იქნებოდა პრეზიდენტის განცხადება მეორე ფაქტორისთვის დაგვეკავშირებია. მაგრამ ამისთვის აუცილებელია რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების ანალიზი გლობალური პოლიტიკის ჭრილში.

**ორპოლუსიანი მსოფლიო პოლიტიკური სისტემის რღვევის შემდეგ, ამერიკულ გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, ევრაზიის კონტინენტზე არ დაეშვათ მძლავრი ევრაზიული სახელმწიფოს შექმნა,** რომელიც მათ ხელს შეუშლიდა კონტინენტის ბუნებრივი რესურსების დაუფლებაში და ამავე დროს საწინდარი იქნებოდა გლობალური ამერიკული იმპერიის ფორმირებისა უნიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში. **კავკასიაც, როგორც ნებისმიერი სხვა რეგიონი, ამერიკელი სტრატეგების თვალთახედვის არეში მოხვდა რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარე.**

ეს მიზეზებია:

**1) კასპიის აუზის ენერგორესურსების დაუფლება და შუა აზიის თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევა;**

**2) აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი დერეფნის გაკონტროლება;**

**3) რუსეთთან პირდაპირი საზღვარი, რომელსაც საჭიროებისამებრ გამოიყენებდნენ, როგორც პლაცდარმს რუსეთის წინააღმდეგ. კავკასია უნდა გამხდარიყო ატლანტისტური სამხრეთის რკალის უმნიშვნელოვანესი რგოლი.**

„დიდი საჭადრაკო დაფა. ამერიკის გეოსტრატეგული იმპერატივები“ ბჟეზინსკის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული, სტრატეგიული დატვირთვის მქონე ნაშრომია. **კავკასიაზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია ამ რეგიონის რუსეთის ერთპიროვნული გავლენის ქვეშ დატოვება.** ბჟეზინსკის კონცეფციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აზერბაიჯანზე ამერიკული სტრატეგიული კონტროლის დაწესებას. იგი ამ ქვეყანას შემდეგნაირად ახასიათებს: **„აზერბაიჯანს შეიძლება ვუწოდოთ სასიცოცხლო მნიშვნელობის საცობი, რომელიც აკონტროლებს მისასვლელს ჭურჭელთან, რომელიც სავსეა კასპიის ზღვისა და შუა აზიის ბუნებრივი სიმდიდრეებით“**. მართალია, აზერბაიჯანი მდიდარია ენერგორესურსებით, მაგრამ ამ სიმდიდრეებს დასავლეთისკენ ტრანსპორტირებისთვის გზები სჭირდება. ირანის გავლით ენერგორესურსების ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო, ვინაიდან 1995 წლიდან ემბარგო ჰქონდათ გამოცხადებული ამერიკელებს ამ სახელმწოფოსთვის. რუსეთიც გამოირიცხებოდა, როგორც ატლანტისტების ნომერ პირველი მოწინააღმდეგე ევრაზიული ქვეყანა, აქედან გამომდინარე, — სომხეთიც, როგორც რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე რეგიონში.

**ორპოლუსიანი მსოფლიო პოლიტიკური სისტემის რღვევის შემდეგ, ამერიკულ გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, ევრაზიის კონტინენტზე არ დაეშვათ მძლავრი ევრაზიული სახელმწიფოს შექმნა**

**მაშ, რომელ ქვეყანაზე უნდა გაეტარებიათ აღნიშნული ნავთობსადენი? — რა თქმა უნდა, საქართველოზე. თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი, როგორც ჩანს, ამერიკული გეოპოლიტიკისთვის მკაცრად გადაჯაჭვული ქვეყნებია.**

შეიძლება ითქვას, რომ ატლანტისტური სტრატეგიისთვის, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელიც ბჟეზინსკია, იმ პერიოდში უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა მერიდიანული გეოპოლიტიკური ღერძის საწინააღმდეგოდ, რომელიც რუსული გეოპოლიტიკის ამოსავალი წერტილია სამხრეთ მიმართულებით, ჰორიზონტალური ღერძის შექმნა ატლანტისტური ანკარის-თბილისის-ბაქოს მონაწილეობით, რომლის განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა კასპიური ენერგომატარებლების კონტროლი და ტრანსპორტირება დასავლეთისკენ.

თუ რამდენად წონადი და გავლენიანი გეოპოლიტიკოსია ზბიგნევ ბჟეზინსკი და რამდენად მონაწილეობს იგი ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში, ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ძალიან საინტერესო ეპიზოდის მოყვანა, რომელიც მას თავის ერთ-ერთ წიგნში აქვს აღწერილი. იგი ამ წიგნში ეხება იმ მომენტს, თუ რა წვლილი მიუძღვის ბაქო-ჯეიჰანის პროექტის განხორციელებაში: **„1995 წლის ოქტომბერში კლინტონმა და მისმა მრჩეველმა ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში მთხოვეს (ვფიქრობ, იმიტომ, რომ მე უფრო ადრე გამოვდიოდი ასეთი ამერიკული ინიციატივით), პრეზიდენტ კლინტონის პირადი წერილი გადამეცა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევისთვის და შევსულიყავი დიალოგში მასთან, ამეხსნა, თუ რა სარგებლის მოტანა შეეძლო ამ ნავთობსადენს (საუბარია ბაქო-ჯეიჰანზე) გრძელვადიან პერსპექტივაში აზერბაიჯანისთვის“.** ამავე წიგნში აღნიშნავს, რომ ეს ნავთობსადენი უნდა გამხდარიყო რუსეთის ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორი სამხრეთში.

**ამერიკული გეოპოლიტიკური სტრატეგიის უმთავრეს ამოცანას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოადგენდა რეგიონში გეოპოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფა, რათა რეგიონზე სრული კონტროლი ერთ რომელიმე გეოპოლიტიკურ მოთამაშეს არ დაეწესებია.** რადგან ამერიკა შორს იყო და პირველ წლებში გაუჭირდებოდა თავისი დომინანტური მდგომარეობის უზრუნველყოფა, ისინი ცდილობდნენ, რეგიონულ თამაშებში მონაწილეობა მიეღო ნატოს წევრ და მათ მიერ კონტროლირებად თურქეთს. ამის შემდეგ ეტაპობრივად დაიწყებოდა მათი შემოსვლა რეგიონში და ტოტალური კონტროლის დაწესება; მაშინ ხომ ამერიკელი სტრატეგები ერთპოლუსიანი მსოფლიო სისტემისთვის დამახასიათებელი კატეგორიებით აზროვნებდნენ. თუმცა დღეს მოღვაწე ზოგიერთ საკმაოდ გავლენიან გეოსტრატეგში იგივე პათოსი შენარჩუნებულია.

**საერთოდ, ამერიკული საგარეო პოლიტიკა კავკასიაში და განსაკუთრებით რეგიონის საკვანძო ქვეყანაში, საქართველოში შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ:**

**პირველი ეტაპი** მოიცავს პერიოდს, როდესაც ადგილი აქვს რუსეთის ექსკლუზიური მონოპოლიის შესუსტებას და მხარდაჭერა ხდება გეოპოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფისა რეგიონში, ძირითადად, მათ მიერ კონტროლირებადი მოთამაშის მეშვეობით.

**მეორე ეტაპს** შეიძლება მივაკუთვნოთ პერიოდი, როდესაც ამერიკელები ააქტიურებენ თავიანთ საგარეო პოლიტიკას, რათა უშუალოდ მონაწილეობა მიიღონ რეგიონულ პოლიტიკაში და ამით სხვა გეოპოლიტიკურად აქტიური სუბიექტების ეტაპობრივი გამოდევნა მოხდეს კავკასიური პოლიტიკური პროცესებიდან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეორე პერიოდი დასასრულს უახლოვდება და ძალიან მალე მომსწრე გავხდებით მესამე პერიოდის დაწყებისა.

ჯერ არ დამდგარი **მესამე ეტაპი.** იგი, სავარაუდოდ, მოიცავს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და ამერიკელების ერთპიროვნული ჰეგემონობის დამკვიდრებას კავკასიაში სხვა მოთამაშეების გამოდევნის ხარჯზე. დღეს არსებული ტერიტორიული პრობლემებიდან გამომდინარე კი, საქართველოს ნატოში გაწევრიანება შეუძლებელია (ამაზე ქვემოთ).

ამერიკული საგარეოპოლიტიკური ეტაპებიდან გამომდინარე, შეიძლება საქართველოს საგარეო პოლიტიკაც სამ ფაზად დავყოთ და დავაკვირდეთ, როგორ ხდება პროამერიკული კურსის ევოლუცია:

**პირველი ფაზა მოიცავს ედუარდ შევარდნაძის პერიოდს, რომელიც ასევე შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად: პირველი ეტაპი იწყება შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებიდან და გრძელდება პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევამდე. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა შევარდნაძის მხრიდან ორაზროვანი, დამაბნეველი საგარეო პოლიტიკის წარმოებას და რუსეთისგან ეტაპობრივ დისტანცირებას** (თუმცა ამაში ლომის წილი რუსეთის მაშინდელ ხელისუფლებასაც მიუძღვის) **და მეორე ეტაპი, როდესაც ნელ-ნელა პროამერიკული გეზის აღებას იწყებს საგარეო პოლიტიკაში. რაც მთავარია, შევარდნაძის მმართველობის დროს დაკარგული ტერიტორიები, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივად, დაკონსერვებულ მდგომარეობაში იყო.** ▶

**ამერიკული გეოპოლიტიკური სტრატეგიის უმთავრეს ამოცანას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოადგენდა რეგიონში გეოპოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველყოფა, რათა რეგიონზე სრული კონტროლი ერთ რომელიმე გეოპოლიტიკურ მოთამაშეს არ დაეწესებია**

**სოხუმისა და ცხინვალის აღიარების შემდეგ, დიდი ალბათობით, სააკაშვილის რეჟიმს წასვლა მოუწევს ხელისუფლებიდან, მაგრამ გამზადებული ეყოლებათ ახალი ძალა. როგორც ჩანს, ამისთვის ისინი „ქართული ოცნების“ ქურქში გახვეულ რესპუბლიკელებს ან თარგამაძე-„ქრისტიან-დემოკრატებს“ ამზადებენ...**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სავარაუდოდ, ამერიკელთა დახმარებით «ნაციონალური მოძრაობა» გაიხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნას მანამ, სანამ მათზე დაკისრებულ გეოპოლიტიკურ მისიას ბოლომდე არ მიიყვანს

მეორე ფაზა იწყება 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა მკვეთრად პროამერიკული, პრონატოური „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ ჯგუფი სააკაშვილის ხელმძღვანელობით. **არავისთვის საიდუმლოს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ეს ახალგაზრდები პირდაპირ კონტროლდებოდნენ შესაბამისი ამერიკული სტრუქტურების მიერ. თუ პირველი ფაზის განხორციელებისას კონფლიქტები დაკონსერვებულ მდგომარეობაში იყო, მოხდა მისი გაღვივება ამ „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მიერ, რაც საბოლოოდ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით და რუსეთის მხრიდან სეპარატისტული რეგიონების აღიარებით დაგვირგვინდა.**

შეუძლებელია, მათ არ ცოდნოდათ, რომ, თუ საქართველო შეეცდებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ძალისმიერი მეთოდებით და რუსეთის ინტერესების იგნორირებით, აუცილებლად ადგილი ექნებოდა ამ უკანასკნელის ჩართვას კონფლიქტში და საბოლოოდ მისი მხრიდან სეპარატისტული რეგიონების აღიარებას, რადგან, აღიარების გარეშე, რუსეთი ვერ უზრუნველყოფდა თავისი სამხედრო შენაერთების განთავსებას კავკასიის ქედს გადმოღმა, რაც რუსული გეოპოლიტიკის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს.

**საქართველოს ხელისუფლებას თუ არა, ამერიკელებს უნდა სცოდნოდათ, რომლებმაც არაფერი გააკეთეს არა თუ ომის თავიდან ასაცილებლად, არამედ უფრო მეტიც — ისინი თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობდნენ აღნიშნული შედეგის დადგომას. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ 2008 წლის გაყალბებულ არჩევნებში ამერიკელთა როლი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დადებული ცსკო-ს საბოლოო მონაცემები, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, ფაქტობრივად, პირველმა მოახდინა არალეგიტიმური სააკაშვილის ლეგიტიმაცია. ყველასთვის ცხადია, რომ 2008 წლის არჩევნებში სააკაშვილის რეჟიმი რომ შეცვლილიყო, არც ომი მოხდებოდა და არც აღიარებას ექნებოდა ადგილი რუსეთის მხრიდან. ალბათ, გარკვეულ ძალებს ხელს აძლევდა ეს ომი, უპირველესად, იმათ, ვის გარეშეც სააკაშვილი ერთ ნაბიჯსაც არ დგამს საგარეო პოლიტიკაში.**

მეორე ფაზის დასასრული და ჯერარდამდგარი მესამის დასაწყისად უნდა იქნეს მიჩნეული სააკაშვილის მიერ ქუთაისში გაკეთებული განცხადება. **სავარაუდოდ, ამერიკელთა დახმარებით „ნაციონალური მოძრაობა“ გაიხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნას მანამ, სანამ მათზე დაკისრებულ გეოპოლიტიკურ მისიას ბოლომდე არ მიიყვანს. ამერიკელებს რომ ამ ხელისუფლების დარჩენა აწყობთ, ამაზე მეტყველებს IRI-სა და NDI-ს მიერ გამოქვეყნებული შედეგები, რომლითაც ორივე კვლევითმა ორგანიზაციამ თითქმის იდენტური შედეგები შემოგვთავაზა და რომელთა მიხედვითაც ლიდერობს „ნაციონალური მოძრაობა“.**

ხელისუფლების შენარჩუნების შემდეგ, მმართველი ელიტა შეეცდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების მიმართულებით მუშაობას, ნატოში გაწევრიანების სანაცვლოდ. ეს ორი ფენომენი დღევანდელ სიტუაციაში ურთიერთგამომრიცხავია და, რადგან დღევანდელ ხელისუფლებას ამ მიმართულებით არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ამიტომ ისინი დაჰყვებიან ამერიკელთა ნებას, როგორც ყოველთვის, და აღიარებენ ამ პოლიტიკური სუბიექტების დამოუკიდებლობას საქართველოს ნატოში გაწევრიანების სანაცვლოდ, რაც შედის ამერიკელების ინტერესებში.

**სხვათა შორის, ამ საფრთხეზე პირველად ყურადღება გაამახვილა ცნობილმა პოლიტოლოგმა, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ:**

**„საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართულ საზოგადოებაში. ვფიქრობ, არჩევნების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდება და შეკვეთილი პლებისციტით დასრულდება. მაგრამ, როგორც კი გავხდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მოწყვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადალახვაც უკვე შეუძლებელი გახდება“.**

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ, ასეთი დაინტერესება ამერიკელების მხრიდან, შეიძლება დავუკავშიროთ ამერიკელი სტრატეგების მიერ შემუშავებულ სტრატეგიას, რომელიც ცნობილია „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ სახელწოდებით (Greater Middle East Project). **ამ კონცეფციის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს შუა აზიის, რომელსაც გეოპოლიტიკაში უწოდებენ „ევრაზიის გულს“, ხელში ჩაგდება თავისი ბუნებრივი რესურსებით და, აგრეთვე, მისი გამოყენება, როგორც სამხედრო პლაცდარმი პოტენციური მოწინააღმდეგეების მიმართ ევრაზიის კონტინენტზე. ეს სტრატეგია მიმართულია ევრაზიის კონტროლისკენ, ხოლო გეოპოლიტიკაში ევრაზიის კონტინენტის კონტროლი მსოფლიო ბატონობის საწინდარია.**




საქართველოს ნატოში ინტეგრირებისა და ამერიკული სამხედრო სტრატეგიისთვის პირდაპირ მიბმის შემთხვევაში, ერთის მხრივ, სომხეთი სრულ იზოლაციაში ექცევა და იძულებული იქნება, გაწყვიტოს კავშირი თავის სტრატეგიულ მოკავშირე რუსეთთან, ამერიკისკენ შემობრუნდეს და პროამერიკული კურსი გაატაროს რეგიონში. **ამ შემთხვევაში, რუსეთი დაკარგავს თავის დასაყრდენს სამხრეთ კავკასიაში და მთლიანობაში მისი გავლენა ნულს გაუტოლდება. მეორე მხრივ, საქართველო-სომხეთის რკალი შუა აზიისკენ გზას გადაუღობავს მუდამ ამბიციურ და შუა აზიის რეგიონით დაინტერესებულ თურქეთს, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნელ-ნელა ცდილობდა ამერიკის გავლენისგან თავის დაღწევას და დამოუკიდებელი რეგიონული პოლიტიკის გატარებას. ამ სტრატეგიის განხორციელების შემთხვევაში თურქეთი მთლიანად ექცევა მკაცრად პროამერიკული სახელმწიფოების ალყაში, რაც იძულებულს გახდის თურქეთს, სრული ამერიკული გავლენის ქვეშ მოექცეს და რეგიონული ამბიციები მოთოკოს, რა თქმა უნდა, თუ ამერიკელებმა იგი არ დაშალეს. სხვათა შორის, პროექტი „დიდი ახლო აღმოსავლეთი“ ქურთული სახელმწიფოს შექმნასაც ითვალისწინებს.**

ზემოთ აღნიშნული გეოპოლიტიკური ამოცანის განსახორციელებლად აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მის ფარგლებში ვერ ხვდება. დღეს არსებულ საზღვრებში მოქცეული საქართველო სრულად აკმაყოფილებს ამერიკულ გეოპოლიტიკურ ინტერესებს, ამიტომ აუცილებელია ამ ორი სეპარატისტული ტერიტორიის ეტაპობრივი მოცილება შემდგომში საქართველოს ნატოში ინტეგრაციისთვის. დასავლეთში ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გაურკვეველი სტატუსი. ამაზე მიუთითებს ამერიკაში საკმაოდ გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის — Heritage Foundation-ს ანალიტიკოსი ლიუკ კოფი: **„საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე მთავარი დაბრკოლება, დასავლეთის აზრით, რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდინარე ოკუპაციაა“.**

საინტერესოა, როგორ უნდა მიიღონ ქვეყანა აღნიშნულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში, რომლის საზღვრები, ფაქტობრივად, დაუდგენელია დღევის მდგომარეობით. **იურიდიული აღიარება იმისა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენელი პოლიტიკური სუბიექტებია, რეალურ პოლიტიკაში დიდად არაფერს ცვლის, ე. ი. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია საქართველოს ნატოში გაწევრიანება, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ძალიან უნდა საქართველოს ნატოში ინტეგრაცია თავისი გეოპოლიტიკური ამოცანების განსხორციელებლად, რათა საქართველოც მიაბას თავის პირდაპირი სამხედრო გავლენის სფეროს, რასაც კონტინენტური ევროპის ქვეყნები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.** ამისათვის მიზეზიც აქვთ. დიდ ევროპულ სახელმწიფოებს არ სურთ ამერიკის სამხედრო გავლენის გაფართოება, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მათ სუვერენიტეტზე. კერძოდ, იგი გამოიწვევს მათი სუვერენიტეტის შეზღუდვას. წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს კარგად ახსოვთ ბიპოლარიზმის დროს, თუ როგორ ილახებოდა მათი სუვერენიტეტი ამერიკის მხრიდან, რომელიც, ფაქტობრივად, ამერიკელთა პროტექტორატს წარმოადგენდა: **„სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ცივი ომის განმავლობაში ევროპა დე ფაქტო წარმოადგენდა ამერიკის პროტექტორატს“ (ზბიგნევ ბჟეზინსკი).** ეს — იმ მიამიტი ქართველებისთვის, რომლებსაც საქართველოს დამოუკიდებლობისა სჯერათ. ამიტომაც ევროპელები ყველანაირ მიზეზს ეძებდნენ, დაებლოკათ საქართველოს ნატოში გაწევრიანება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით კი მათ ამერიკელები ყოველგვარ საბაბს გამოაცლიან.

**საქართველოს ნატოში გაწევრიანებით კავკასიაში ძალთა ბალანსი საგრძნობლად შეიცვლება ამერიკელთა სასარგებლოდ, რაც რეგიონში არსებული პოლიტიკური წარმონაქმნების არსებობაზეც იმოქმედებს.** კერძოდ, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ წარმოადგენენ სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს; მათ არსებობას შედარებით დამოუკიდებელ მდგომარეობაში განაპირობებს დღეს არსებული ძალთა ბალანსი. რუსეთს ეს პოლიტიკური სუბიექტები სჭირდება, როგორც ბუფერული სახელმწიფოები დასავლური გეოპოლიტიკური ექსპანსიის წინააღმდეგ. მის საწინააღმდეგოდ ძალთა ბალანსის შეცვლის შემთხვევაში ამ წარმონაქმნებს პირდაპირი ფორმით შეიერთებს. **„პატარა სახელმწიფოების არსებობა შესაძლებელია მაშინ, როცა დიდ სახელმწიფოს იგი სჭირდება როგორც ბუფერი... როგორც კი იცვლება ძალთა ბალანსი, პატარა სახელმწიფო ქრება პოლიტიკური რუკიდან“** (ნიკოლა სფიქმენი).

ბევრი საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უკავშირებს რუსეთის დაშლას, რა თქმა უნდა, ამერიკელების მეშვეობით. მაგრამ მინდა შევახსენო ყველას, რომ **რუსეთის დაშლა მაინცდამაინც არც ატლანტისტური გეოპოლიტიკის ინტერესებში ჯდება. რუსეთი მათთვის უფრო მისაღებია ერთიანი, მაგრამ დასავლეთზე უფრო სუსტი და ატლანტისტური სამყაროს გავლენის ქვეშ მყოფი. ვინაიდან რუსეთის დაშლის შემთხვევაში მოხდება რუსეთის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი რეგიონებისკენ ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით აღმავლობის გზაზე მდგარი ჩინეთისგან ტერიტორიული ექსპანსია, რაც ამერიკელების ინტერესებში სულაც არ შედის.** ამერიკელებს, როგორც უკვე აღვნიშნე, სჭირდებათ ერთიანი, მაგრამ მათზე გარკვეულწილად დამოკიდებული რუსეთი ჩინეთის შესაკავებლად. ამაზე პირველმა გაამახვილა ყურადღება გეოპოლიტიკის ფუძემდებლად აღიარებულმა ინგლისელმა მეცნიერმა ჰელფორდ მაკინდერმა: **„თუნდაც ჩინელებმა რომ დაარბიონ რუსეთის იმპერია და დაიპყრონ მისი ტერიტორია, ისინი შექმნიან ყვითელ საშიშროებას მსოფლიო თავისუფლებისთვის იმით, რომ უდიდესი კონტინენტის რესურსებს მიამატებენ საოკეანო სივრცეებს და მოიპოვებენ ისეთ უპირატესობას, რომელიც აქამდე არ ჰქონდა ამ ღერძული რეგიონის რუს მეპატრონეს“.**

**თუ პოლიტიკური პროცესები ისე განვითარდება, როგორც ამერიკულ სტრატეგიაშია გათვლილი და საქართველოს ნატოში გაწევრიანება მოხდება ტერიტორიების დათმობის ხარჯზე, მაშინ ქართველებს მოგვიწევს, სამუდამოდ დავემშვიდობოთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს.**

ცნობისათვის უნდა ითქვას, რომ ამერიკელებს საგარეო პოლიტიკის წარმოებისას ძალიან საინტერესო მიდგომა ახასიათებთ საკუთარი მარიონეტების მიმართ: როგორც კი ისინი მათზე დაკისრებულ მისიას პირნათლად შეასრულებენ, მათ, უბრალოდ, იშორებენ. **აღიარების შემდეგ, დიდი ალბათობით, სააკაშვილის რეჟიმს მოუწევს წასვლა ხელისუფლებიდან, მაგრამ გამზადებული ეყოლებათ ახალი ძალა. როგორც ჩანს, ამისთვის ისინი „ქართული ოცნების“ ქურქში გახვეულ რესპუბლიკელებს ან თარგამაძე-„ქრისტიან-დემოკრატებს“ ამზადებენ.**

ახალი ხელისუფლება სრულიად თავისუფალი იქნება წინა ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებისგან და აღებული ვალდებულებებისგან. პოსტსააკაშვილისეული ხელისუფლება კი თავისუფლად შეუდგება მკვეთრად პრომაერიკული კურსის გატარებას, ოღონდ სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში.

**ირაკლი უბილავა**



**ალექსანდრე ჭაჭია:**

**«...აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართულ საზოგადოებაში. ვფიქრობ, არჩევნების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდება და შეკვეთილი პლებისციტით დასრულდება. მაგრამ, როგორც კი გავხდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მოწყვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადალახვაც უკვე შეუძლებელი გახდება»**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოზიცია**

**ქართველებს ჩვენს ქვეყანაში უკვე არაფრად გვაგდებენ, არავინ არაფერს გვეკითხება და ყველაფრის უფლება ჩამორთმეული გვაქვს, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის არჩევის უფლებასაც, რომ ის აუცილებლად ვიღაცის პროექტი უნდა იყოს, მაშინ პირადად მე მაკკეინის პროექტს ისევ პუტინის პროექტი მირჩევნია. ეს ის მაკკეინია, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის რუსეთთან ომის პროვოცირებაში, რომელმაც, სამხედრო დახმარების ნაცვლად, წყალი და პამპერსები გამოგვიგზავნა.**



# როგორც ხარს წითელი ფერი, ისე აგიჟებს ამერიკელებს რუსეთის სიძლიერე

**ჩვენი დასავლელი მეგობრების, კერძოდ „მაკკეინისა და ძმათა მისთა“ გულის მოსაგებად ჩვენი ხელისუფლება კიდევ დღითიდღე აძლიერებს ანტირუსულ კამპანიას და ყველანაირად ცდილობს, რუსეთი საქართველოს ყველაზე დიდ მტრად წარმოაჩინოს. საკმარისია, „ნაციონალებისგან“ განსხვავებული ხედვა გქონდეს, რომ მაშინვე რუსეთის აგენტად, მოსკოვის პროექტად მოგნათლავენ და ქვეყნის მოღალატედ გამოგაცხადებენ. ე. წ. სამთავრობო არხები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ხალხს შთააგონონ, თითქოს ძველთაგანვე სპარსეთი და ოსმალეთი საქართველოს უფრო დიდი მეგობრები არიან, ვიდრე რუსეთი. ამ პროპაგანდის წყალობით ბევრს, განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ლომაიასეული „რეფორმირებული“ სკოლები აქვთ დამთავრებული, მართლა სჯერა ამ ილუზიების.**

**«თუ ამერიკის მონა და ლაქია ხარ, თუნდაც ქვეყანა დააქციო, კანიბალივით ყელამდე სისხლის გუბეში იდექი, მაინც დემოკრატი და პირველი რეფორმატორი ხარ»**

ტვინის გამორეცხვის მძიმე შედეგები, სამწუხაროდ, განსაკუთრებით თვალშისაცემია ახალგაზრდებში. ეს იმის ბრალიცაა, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში წიგნის მოხმარების დეფიციტმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. სამწუხაროდ, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი განათლებას, ძირითადად, ტელევიზიის, ინტერნეტისა და ყვითელი პრესის საშუალებით ღებულობს. ბუნებრივია, ამ ფონზე ძალზე გაფერმკრთალებულია ფუნდამენტალური აკადემიური განათლების მიღება. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში იმ მოტივით, რომ სტუდენტებისთვის უფრო მოსახერხებელი იყოსო, ლექციების წაკითხვა სავალდებულო აღარ არის, რადგან ის ინტერნეტშია განთავსებული და სტუდენტს მისთვის ხელსაყრელ დროს შეუძლია ნახოს და წაიკითხოსო, არგუმენტად მოჰყავთ ამ სიახლის ავტორებს. როგორც სახელმწიფო სტრუქტურების ნებისმიერი დარგი, **განათლების სისტემაც არაპროფესიონალი და უცოდინარი ხალხით აავსეს, დისერტაციების დაცვა ისე გააუბრალოეს, რომ ხშირ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული დონე წინანდელი ГПИ-ის, არა თუ სადიპლომო, საკურსო პროექტის დონესაც ვერ აკმაყოფილებს და საკურსო სამუშაოს უტოლდება. უმაღლეს სასწავლებლებში ლექტორების შტატები, ძირითადად, ახალგაზრდა, 25 წლის, დოქტორ-პროფესორი გოგობიჭებით დააკომპლექტეს, რომელთა უმეტესობამ საგანი, რომელსაც კითხულობს, წესიერად არც კი იცის, მაგრამ ლექტორობა უნდა.** უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავარდეს და თავისი უცოდინარობა დამალოს, მშვენიერი გზა აირჩიეს. რომელიმე სახელმძღვანელოდან რაღაცას გადაჯღაბნიან, დადებენ ინტერნეტში და მერე იმტვრიონ თავი სტუდენტებმა. ეს რომ ასეა, დასტურად თსუ-ს სტუდენტთა ამასწინანდელი გამოსვლაც კმარა, როცა ისინი უნივერსიტეტში სწავლების დაბალ დონეს და დაბალი ხარისხის განათლების მიღებას აპროტესტებდნენ.

განათლების სისტემაში გატარებული მახინჯი რეფორმების შესახებ რომ ყველაფერი იცის და ყველაფრის საქმის კურსშია, ბატონმა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ თბილისსა და ბათუმში პედაგოგებთან შეხვედრაზე გამოსვლისას თავისი ადეკვატური და მაღალპროფესიონალური გამოსვლით დაამტკიცა. უნდა ვაღიარო, რომ მისი პრეზიდენტობის მთელი პერიოდის განმავლობაში, მისგან ასეთი ღრმაშინაარსიანი გამოსვლა არასოდეს მომისმენია. მართალია, შედეგი არაფერი მოჰყოლია, მაგრამ გამოსვლა ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი მაღალპროფესიული გამოსვლა არც ერთი დარგის მიმართ მას არასოდეს ჰქონია.

ამის შემდეგ, უბრალოდ, გაკვირვებული ვარ, მისი ახლახან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ასეთი უპასუხისმგებლო და არასერიოზული განცხადების გამო, რაც მან ყოფილი ГПИ-ის მიმართ გააკეთა. **თურმე ნუ იტყვი და, ყველაზე წყალწაღებული და ძლივს სამიანებზე სკოლადამთავრებული აბიტურიენტები ვერსად რომ ვერ ჩააბარებდნენ, მერე „შეტენიდენ“ ГПИ-ში. პირდაპირ სასაცილოა მისი ეს განცხადება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა ГПИ-ის ავტორიტეტისა და პოპულარობის შესახებ არაფერი იცოდეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ წყალწაღებული სტუდენტებისგან ისეთი მაღალკვალიფიციური ქართველი ინჟინრები მზადდებოდნენ, რომლებსაც არა მარტო კავშირის მასშტაბით, არამედ მთელ მსოფლიოში უწევდნენ ანგარიშს. ჩვენი ინჟინრების მიერ აშენებული კაშხალებითა თუ სამრეწველო ობიექტებით დღესაც თავს იწონებენ და ამაყობენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ირანი, ეგვიპტე, ინდოეთი, სირია, პაკისტანი, ჩინეთი.** ამის შესახებ იცის ნებისმიერმა საქართველოს მოქალაქემ და პრეზიდენტმა არ იცის? თანაც პროფესორების ოჯახში აღზრდილმა კაცმა? იცის, როგორ არ იცის, მაგრამ არ ამბობს! იმიტომ, რომ **2003 წლამდე ქვეყანაში თუ კი რაიმე კარგი გაკეთებულა, ამ კაცს ცოცხალი თავით არ უნდა. არ უნდა და მოკალი, თუ გინდა! 2003 წლამდე გენიოსიც რომ ყოფილიყავი და ცაში ვარსკვლავების მწყვეტი, მისთვის მაინც ყველა ჩარეცხილია და ყველა მტერია.**

ბატონო პრეზიდენტო, უნდა გაგაწბილოთ და პირდაპირ გითხრათ: თქვენ ამ ბოლო დროს იმდენ არაადეკვატურ და შეუსაბამო განცხადებებს აკეთებთ, რომ აშკარად აწმყო გეშლებათ წარსულში. ზუსტად დღეს არის არამარტო ტექნიკური უნივერსიტეტი, არამედ ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებელი იმ მდგომარეობაში, რაზედაც თქვენ წარსულ დროში ილაპარაკეთ. ზუსტად დღეს ტენიან ГПИ-ში 20 და 30 ინსტიტუტგამოვლილ წყალწაღებულ სტუდენტებს და მაჩანჩალა აბიტურიენტებს, თორემ წარსულში, თუ არ ვცდები, 50-იანი წლებში, იყო პერიოდი, როცა ამხელა ინსტიტუტი მხოლოდ ოქროს მედალოსნებით ივსებოდა. ხოლო რაც ახლა ხდება, ეს არის განათლების სისტემის იმ მახინჯი რეფორმის შედეგი, რომელიც ბატონმა ლომაიამ თქვენი მხარდაჭერით გაატარა.

**ყოფილი ГПИ, რომელსაც თქვენ ასე აუგად იხსენიებთ, თავისი მატერიალური ბაზით, კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვილობით, პროფესორ-მასწავლებლების მომზადების დონითა და სამეცნიერო პოტენციალით, მსოფლიოს წამყვანი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების სიაში შედიოდა. ახლა კი ამ ინჟინრების ქართულ სამჭედლოსა და ფლაგმანს, თქვენი და ლომაიას მიერ გატარებული რეფორმების წყალობით, იმის საშუალებაც კი არ აქვს, რომ ჯეროვნად გამოიყენოს ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი თაობის პროფესურის მაღალი მეცნიერული დონე და ინტელექტი** და სტუდენტებს ღრმა პროფესიული ცოდნა და განათლება მისცეს. სასწავლო გეგმები ისეა შედგენილი, რომ თვითონაც არ იციან, რა სპეციალისტს უშვებენ და რა კვალიფიკაციას ანიჭებენ მას. რასაც ანიჭებენ, ის კიდევ ძალიან შორსაა ინჟინრობისგან და ტექნიკოსის კვალიფიკაციასაც ძლივს უტოლდება.

**იმ რეფორმების წყალობით, რაც განათლების სისტემაში „მექანალიზატორე“ ლომაიამ და „ციხის ზედამხედველმა“ შაშკინმა გაატარეს, არც არაფერია გასაკვირი.** ინსტიტუტში კათედრები, რომლებზეც, ფაქტობრივად, ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადება და მათში მეცნიერული პოტენციალის ჩასახვა ხდებოდა, გააუქმეს და მის ნაცვლად რაღაც გაუგებარი ცნების მქონე „მიმართულებები“ შემოიღეს. ამ „მიმართულებებს“ ისეთი უფლებები მისცეს, რომ თვითონ წყვეტენ, სპეციალობის სასწავლო გეგმაში რომელი საგანი ამოიღონ და რომელი შეიტანონ. იმისათვის, რომ კარგი მოსწრება ჰქონდეთ, ყველა „მიმართულება“ დაინტერესებულია, სტუდენტისთვის ძნელად ჩასაბარებელი საგნები სასწავლო გეგმიდან ამოიღონ და სხვა, უფრო იოლი საგნებით შეცვალონ. ამიტომ სტუდენტები, ფაქტობრივად, ძირითადად მხოლოდ მარტო სპეციალურ დისციპლინებს სწავლობენ.

**როგორ შეიძლება ინჟინერი გახდე და მასალათა გამძლეობა, ფუძე-საძირკვლები, თეორიული მექანიკა, მანქანათა ნაწილები, ხაზვა, მხაზველობითი გეომეტრია და ელტექნიკა არ იცოდე?! ამ მანკიერი პრაქტიკის ბრალია, რომ სადიპლომო გეგმარების ნაცვლად სახელმწიფო გამოცდები შემოიღეს. ამ ბოლო დროს სახელმწიფო გამოცდებზეც უარი თქვეს და ბედის ანაბარად მიატოვეს ახალგაზრდა სპეციალისტის მომზადების საქმე, რაც საინჟინრო სპეციალობებისთვის ყოვლადმიუღებელი და აბსურდული გადაწყვეტილებაა.**

ძვირფასო მკითხველო, როგორც განათლების პროფესიონალ მუშაკს, კალამი ცოტა გვერდზე გამექცა. ამ საკითხმა ისე გამიტაცა, რომ შორს შევტოპე და ძირითადი თემა კინაღამ დამავიწყდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

**საქართველოს ისტორიისადმი ოდნავ თვალის გადავლებაა საჭირო და, თუ ადამიანს ოდნავ მაინც შერჩენილი აქვს საღად აზროვნების უნარი, დიდი ფილოსოფოსობა არ არის საჭირო იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა დღეში აგდებდნენ ქართულ მოსახლეობას „ჩვენი დიდი მეგობრები“ — ირანი და ოსმალეთი.** „ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ, ირანს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ“. **როგორ მოხდა, რომ ეს 12-მილიონიანი ქვეყანა 5 საუკუნის მანძილზე ნახევარ მილიონამდე დავიდა, ხოლო რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს გადაშენების გზაზე მდგარი ერი საუკუნე-ნახევარში 5,5 მილიონი გახდა? მეფე ერეკლეს რა, საქართველო არ უყვარდა?** თქვენ, ძვირფასო „ნაციონალებო“, ილიას სურათი მარტო კაბინეტებში გიკიდიათ და მისი სურათის წინ ამ კაცის ნააზრევისგან სრულიად განსხვავებულ რიხიან განცხადებებს აკეთებთ, რომლებიც მარტო პიარისთვის, და საქართველოს მოსახლეობის შეცდომაში შესაყვანად გჭირდებათ.

**ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ, უბრალოდ, ფეხის ხმას ხართ აყოლილნი, რადგან გაგიგიათ, ილია დიდი ქართველი იყოო, და თქვენც ამიტომ გაჰყვირით: „ილია, ილიაო“, თორემ მისი ნაწერებიდან, მგონი, არაფერი გაქვთ წაკითხული. რომ წაგეკითხათ და მისეული შეფასება რუსეთის მიმართ გაგეანალიზებიათ და გაგეზიარებიათ, იქნებ ქვეყნისთვის და ქართველი ხალხისთვისაც უკეთესი ყოფილიყო. ის კი არა, ჩვენი პრეზიდენტი იქამდე მივიდა, რომ საქართველოს გასაბჭოებასთან ერთად, ქვეყნის რუსეთთან შეერთებასაც რუსეთის მიერ მისი ოკუპაცია უწოდა, რამაც არა მარტო ჩვენ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც კი გააოცა.**

**მართლაც, რომ საოცარია, როდის იყო, რომ დამპყრობი ოკუპირებულ ქვეყანას ტერიტორიებს უმატებდა, უნივერსიტეტს უშენებდა, ოპერის თეატრს ურემონტებდა, მეცნიერებათა აკადემიას უხსნიდა, ქვეყნიდან გატანილ განძს უბრუნებდა, დაპყრობილი ქვეყნის ყველა დროის უდიდეს პოეტსა და მის შექმნილ შედევრს 750 წლის იუბილეს უხდიდა, მეტროს უშენებდა, დაპყრობილი ხალხის განათლებასა და მათი კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნავდა.**

ღმერთო, შენ უშველე ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანას და მის ჰარალე პრეზიდენტს.

ძვირფასო „ნაციონალებო“, მე მაინც გირჩევთ, წაიკითხოთ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავზე წარმოთქმული ამ დიდი ქართველი ერისკაცისა და სახელმწიფო მოღვაწის სიტყვა.

გინდა-არ გინდა, საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა და ეს ფაქტია. ამას მხო- ▶

**«მოღალატე ლომაიას მიერ დანგრეული განათლების სისტემის შედეგად ხალხს იმდენად გადაუბრუნდა ტვინი, რომ ბევრს მართლა სჯერა, რომ სპარსელსა და ოსმალოზე უფრო დიდი მტერი რუსია»**

**რატომაა, რომ ამერიკა და იქაური ინვესტორები ჩვენთან მხოლოდ სასტუმროების ბიზნესით არიან დაკავებულნი და არც ერთი ქარხანა არ აუშენებიათ? იმიტომ ხომ არა, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი შავი ბიზნესი, სადაც ყველაზე დიდი ფული იშოვება, ეს ნარკოტიკებით, იარაღითა და პროსტიტუციით ვაჭრობაა? დასამალი არაა, რომ საქართველოში სასტუმროების უმრავლესობა პროსტიტუციის ბუდედაა ქცეული.**

პოზიცია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლოდ დემაგოგები თუ უარყოფენ, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, რომ რუსეთისგან მტრის ხატი შექმნან და ამით თავის ოკეანისგაღმელ პატრონებს ასიამოვნონ, მათი გული მოიგონ, ყველა დაკვეთა შეუსრულონ და შემდგომში მეტი ფული დაცინცლონ.

**რა თქმა უნდა, რუსეთს უნდა ვუსაყვედუროთ, რაც ცუდი გაგვიკეთა, მაგრამ უმადურებიც არ უნდა ვიყოთ და სიკეთეც არ უნდა დაგვავიწყდეს. *1828 წელს ვინ განდევნა სამცხე-ჯავახეთიდან თურქები და ვინ შემოუერთა ეს მხარე საქართველოს?***

მართალია ამ ბრძოლაში ქართველებიც და სომხებიც მონაწილეობდნენ და ღირსეულადაც იბრძოდნენ, მაგრამ რუსის ფაქტორი გადამწყვეტი იყო, ეს ფაქტია და უნდა ვაღიაროთ. ამიტომ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და რუსეთის მადლიერი ვიყოთ. **ვინ გაყარა თურქები ბათუმიდან სოხუმამდე და მთელი შავიზღვისპირეთი ვინ გაგვითავისუფლა?**

ახლა გაჰყვირით, — რუსებმა ავტოკეფალია წაგვართვეს და სალოცავებში ფრესკები კირით შეგვითეთრესო! კი, ბატონო, მართალია, მაგრამ რომელი ჯობია: ყოველწლიურად მტკვარს რომ ქართველი ვაჟკაცების სისხლით გვიღებავდნენ, ქართულ ოჯახებს ნამუსს ხდიდნენ, დედებსა და დებს მკერდიდან ჩვილ ბავშვებს გლეჯდნენ და ცეცხლში წვავდნენ, ვაზს გვიჩეხავდნენ, ტაძრებს გვიწვავდნენ, მოსახლეობას ტყვედ ასხავდნენ და მონებად ამუშავებდნენ, თუ იმ ფრესკების კირით შეღებვა (რომელიც რაღაც დროის გასვლის შემდეგ გადავფხიკეთ და ისევ აღვადგინეთ)? ლაპარაკი და განცხადებების კეთება ადვილია, საქმის გაკეთებაა ძნელი. მარტო ის რად ღირს რომ **ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, როცა გეორგიევსკის ტრაქტატზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა, 1768 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I-მა პეტერბურგს ელჩი გაგზავნა და თურქების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა რუსთ ხელმწიფეს. მანაც ერეკლე II-სთან ერთად დახმარება აღუთქვა. 1769 წელს გენერალი ტოტლებენი იმერეთში შევიდა. მისი დახმარებით სოლომონ I-მა ოსმალებისაგან გაათავისუფლა ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადის, ქუთაისის ციხეები და თვით ქუთაისი. უფრო მეტიც, 1774 წელს მან თხოვნით მიმართა იმპერატრიცა ეკატერინე II-ს და რუსეთის მფარველობაში მიღება სთხოვა. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ქუჩუკკაინარჯის ხელშეკრულება ახალი დადებული იყო, ეკატერინე II ოსმალებთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა და სოლომონ I-ს იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღებაზე უარი უთხრა. ისიც მართალია, რომ იმავე ტოტლებენმა მეფე ერეკლე მოატყუა — ასპინძის ომში ოსმალების წინააღმდეგ არ დაეხმარა, მაგრამ ასეთი რაღაცები პოლიტიკაში ხდება და ამას უნდა შევეგუოთ.**

იგივე გაგვიკეთა ამერიკამ 2008 წელს, მაგრამ შეფასებები სრულიად არაადეკვატურია: ტოტლებენი და რუსეთი საქართველოსა და ქართველი ხალხის მტერი და მოღალატეა, ხოლო ამერიკა, ბუში და მაკკეინი — ქართველი ხალხის მხარში მდგომი, ჩვენი ინტერესების დამცველი, მეგობარი და სტრატეგიული მოკავშირე. **რომ გაიძახით, რუსეთის იმპერიაში ყოფნისას ისე დაეცა ქართველი ერი და ისე გადაგვარდა საზოგადოება, რომ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს საქართველოში მოგზაურობისას, 1837 წლის ოქტომბერში, ლოგინში ჩაუგორეს მშვენიერი მაიკო ორბელიანიო, ის იმპერატორი მაინც იყო, მაგრამ იმაზე რატომ არაფერს ამბობთ, რომ დღეს, XXI საუკუნეში, რამდენი ქართველი ქალია გადახვეწილი უცხო ქვეყნებში, რა დამცირებისა და შეურაცხყოფის ფასად უჯდებათ ლუკმაპურის შოვნა და ოჯახის რჩენა? რამდენი ქართველი ქალი, გაჭირვების და არა უზნეობის გამო, იძულებულია, პროსტიტუციას მიჰყოს ხელი და ოჯახი ასე გამოკვებოს?** რამდენი წესიერი ქალი თაღლითების ბადეში ებმება და ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება? უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ის ქართველი ქალებიც კი, რომლებიც გაჭირვებულმა ცხოვრებამ აიძულა, პროსტიტუციით ერჩინათ თავი, თურქეთის ბაზარზე ყველაზე იაფია. ამასთან, ნუ გავიწყდებათ, ისტორიულ წარსულში მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი რამდენი ქალბატონი ხვდებოდა ირანის შაჰის ან ოსმალეთის სულთნის ჰარამხანაში. ეს ქართველი კაცისთვის ყოვლად დამამცირებელი პრაქტიკა, რომ ყოველწლიურად შაჰისთვის რამდენიმე საგანგებოდ შერჩეული ულამაზესი ქალბატონი მიერთმიათ და მისი ჰარამხანა შეევსოთ, დიდი პატივი ყოფილა ჩვენთვის, შეურაცხმყოფელი კი მხოლოდ რუსეთის იმპერატორთან დაკავშირებული ზემოთ ნახსენები ისტორიაა.

ასე რომ, ბატონებო, **მოღალატე ლომაიას მიერ დანგრეული განათლების სისტემის შედეგად ხალხს იმდენად გადაუბრუნდა ტვინი, რომ ბევრს მართლა სჯერა, რომ სპარსელსა და ოსმალოზე უფრო დიდი მტერი რუსია.** ღმერთო, შენ უშველე ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანასა და ხალხს!

თუ მართლა ისე დაეცა და გადაგვარდა ქართველი ერი, მასში ისე გაიდგა ფესვები მონურმა ფსიქოლოგიამ, რომ ჩვენ, ქართველებს, ჩვენს ქვეყანაში უკვე არაფრად გვაგდებენ, არავინ არაფერს გვეკითხება და ყველაფრის უფლება ჩამორთმეული გვაქვს, მათ შორის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის არჩევის უფლებაც, რომ ის აუცილებლად ვიღაცის პროექტი უნდა იყოს, მაშინ პირადად მე მაკკეინის პროექტს ისევ პუტინის პროექტი მირჩევნია. ეს ის მაკკეინია, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის რუსეთთან ომის პროვოცირებაში, რომელმაც, სამხედრო დახმარების ნაცვლად, წყალი და პამპერსები გამოგვიგზავნა და მარტო დაგვტოვა ამხელა ვეშაპის — რუსეთის, წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში. პამპერსებს, ეტყობა, პირდაპირი დანიშნულებაც ჰქონდა, რათა ამ ომში ჩასვრილ ჩვენს ხელისუფლებას გამოეყენებია. პუტინმა კი, მოგწონთ თუ არა, თავისი სიტყვა „გაჭირვების ჟამს ჩვენ ოს მეგობრებს მარტო არ დავტოვებთ" შეასრულა და ოსებს სამხედრო დახმარება აღმოუჩინა, რის შედეგად ქართველებს ცხინვალიდან კუდით ქვა გვასროლინა.

**მე არც პუტინი მინდა და არც ობამა-მაკკეინი, მაგრამ სპარსელებისა და ოსმალების მსგავსად რუსეთი საქართველოს არასოდეს დასხმია თავს. არასოდეს ტყვედ არ წაუსხია ასი ათასობით ქართველი და მონებად არ უმუშავებია რუსეთში; არასოდეს ცეცხლისთვის არ მიუცია ჩვენი ისტორიული ძეგლები; წაგებული ომის სანაცვლოდ ხარკი არასოდეს დაუდვია. რუს ჯარისკაცს ქართველი დედის მკერდიდან ჩვილი ბავშვი არასოდეს მოუგლეჯია და ცეცხლში არ დაუწვავს.** ჩვენი „დიდი მეგობრების" — ირანისა და თურქეთის მიერ დახოცილი ქართველი ვაჟკაცები და გადამწვარი ეკლესია-მონასტრები კი ვეღარაფრით აღვადგინეთ და სამუდამო დაღად დაესვა ქართველი კაცის სულს. ამიტომაა, რომ **ირანსა და თურქეთს ისევ რუსეთი მირჩევნია, ხოლო უსუფაშვილებს, ხიდაშელებსა და ქარდავებს — ნათელაშვილები, ბურჯანაძეები, ბაღათურიები და კუკავები.**

ამ ისტორიული პარალელების შემდეგ ჩემთვის გაუგებარია, რატომაა პროამერიკულობა საამაყო და პრორუსულობა დასაძრახი. ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ხალხისთვის არც ერთია კარგი და არც მეორე. საამაყო კი პროქართულობაა, ყველა ქვეყანასთან თანაბარპარტნიორული, კეთილმოსურნე სამშვიდობო პოლიტიკის გატარება და მისი შენარჩუნება, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან. **რაც შეეხება ივანიშვილს, ის მეტნაკლებად ქართული პროექტი მგონია და ღმერთმა ნუ ქნას, რომ მან ხალხს იმედი გაუცრუოს, ეს ქვეყნის საბოლოოდ დასამარება და ქართველი ხალხის დაღუპვა იქნება.**

ქართული საქმე ამერიკელებმა და რუსებმა კი არა, ქართველებმა უნდა გააკეთონ. რუსებსა და ამერიკელებს თავიანთი იმპერიული ინტერესები აქვთ და, პირველ რიგში, ისინი ამ ინტერესების განხორციელებას ცდილობენ, რომელთაც შემდეგ თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას ახმარენ და არა ქართულ საქმეს, ჩვენი საქმე კი ჩვენი გასაკეთებელია და სხვის იმედად არ უნდა ვიყოთ. სანამ რუსეთთან ურთიერთობა არ დალაგდება, ტერიტორიების დაბრუნებაში ვერც ამერიკა გვიშველის და ვერც ნატო. ზუსტად „ნატოს" ძახილმა დაგვაკარგვინა ტერიტორიები და, თუ დროზე თავს არ დავანებებთ „ნატოს" ძახილს, შეიძლება კიდევ უარეს დღეში ჩავვარდეთ. **ეს ჩვენი „ნაციონალები" დიდი ზარ-ზეიმით რომ გაჰყვირიან, აი ახლა შევალთ ნატოში და აი ახლაო, დავიჯერო, ამ ვაჟბატონებს, რომლებიც თავს დიდ პოლიტიკოსობაზე დებენ, იმდენი არ ესმით, რომ ჩვენი ახლა ნატოში მიღება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სამუდამოდ დაკარგვას ნიშნავს? ნუთუ სერიოზულად ჰგონიათ, რომ ნატო ტერიტორიებს დაგვიბრუნებს ან აშშ ჩვენი გულისთვის რუსეთს ომს გამოუცხადებს, საქართველოს ტერიტორიები რატომ არ დაუბრუნეო?** აფხაზეთსა და სამაჩაბლოს გარეშე თუკი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არ შეიძლება და სრულიად სამართლიანად მათ გარეშე ნატოში შესვლა რატომ შეიძლება, ეს ვერაფრით გამიგია.

რატომაა, რომ ამერიკა და იქაური ინვესტორები ჩვენთან მხოლოდ სასტუმროების ბიზნესით არიან დაკავებულნი და არც ერთი ქარხანა არ აუშენებიათ? იმიტომ ხომ არა, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი შავი ბიზნესი, სადაც ყველაზე დიდი ფული იშოვება, ეს ნარკოტიკებით, იარაღითა და პროსტიტუციით ვაჭრობაა? დასამალი არაა, რომ საქართველოში სასტუმროების უმრავლესობა პროსტიტუციის ბუდედაა ქცეული. ნედლეულიც ხარისხიანი და მსოფლიოს ბაზართან შედარებით საკმაოდ იაფია. იაფი ნედლეული კი დიდ მოგებას იძლევა. მათთვის კი დიდი ფული და დიდი მოგებაა ყველაფერი, მათთვის ფულს ხომ სუნი არ აქვს.

ასე რომ, ამერიკამ მსოფლიო მოინელა და რუსეთის ჩაყლაპვაც მოინდომა, რასაც ნაწილობრივ მიაღწია კიდეც ელცინის პერიოდში მისივე უნიათობით, მაგრამ პუტინის რუსეთი ყელში გაეჩხირა და ვერაფერს უხერხებს. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ელცინის გაპარტახებული რუსეთი პუტინმა აღადგინა, წელში გამართა და ზესახელმწიფოდ აქცია, რუს ხალხს კი დაკარგული ღირსება აღუდგინა. **პუტინს თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი უყვარს და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ყველაფერს აკეთებს მის გასაძლიერებლად. აი რას ვერ პატიობენ პუტინს ეს ჩვენი მეგობარი ამერიკელები. ამიტომაა, რომ გააფთრებით ებრძვიან და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ და ავტორიტეტი შეულახონ მსოფლიოს თვალში.** თუნდაც ის რად ღირს, რომ არჩევნები ჯერ არ ჩატარებულიყო და ამერიკაში უკვე განცხადებებს აკეთებდნენ რუსეთში არჩევნების გაყალბებაზე — პუტინი გაყალბებული არჩევნების გზით მოვა ხელისუფლებაშიო. **თუ ამერიკის მონა და ლაქია ხარ, თუნდაც ქვეყანა დააქციე, კანიბალივით ყელამდე სისხლის გუბეში იდექი, მაინც დემოკრატი და პირველი რეფორმატორი ხარ; თუ არ დაემორჩილე და მისი ინტერესები არ გაატარე, მაშინ უკვე არჩევნების გამყალბებელი, დიქტატორი და თვითმარქვია პრეზიდენტი ხარ.**

რას იზამ, ასეთია მათი ცხოვრების წესი და მათეული ლოგიკა, აქ მხოლოდ ფული წყვეტს ყველაფერს, მხოლოდ თავიანთი ინტერესების განხორციელების გზებს ეძებენ, რომელთა მისაღწევად არაფერს ერიდებიან და ყველაფერზე მიდიან, სხვა დანარჩენი კი მათთვის მეორეხარისხოვანი და ინტერესმოკლებულია. ასე რომ, მათთვის მთავარი მათი ინტერესებია. ამიტომაა, რომ მათი ინტერესების გამტარებელი და თავისი ქვეყნის დამაქცევარი გორბაჩოვი, რომელმაც თავისი ხალხის სისხლში ხელი გაისვარა, კაცი, რომლის კისერზეა თბილისის, ბაქოს, სუმგაითის, ბალტიისპირეთის, ყარაბაღის, ფერგანასა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დატრიალებული ტრაგედიები, მშვიდობიან მოსახლეობაში გაჩაღებული ეთნოკონფლიქტები და ამ ნიადაგზე გამოწვეული სისხლისღვრები, რომელსაც ათი ათასობით უდანაშაულო მშვიდობიანი ადამიანის, მათ შორის ბავშვების, მოხუცებისა და ქალების, სიცოცხლე შეეწირა; კაცი, რომელმაც ასიათასობით ლტოლვილითა და უსახლკარო ადამიანით გაავსო ქვეყანა, თურმე დემოკრატი და მშვიდობის დამცველი ყოფილა, რისთვისაც მას მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაც კი უფეშქაშეს. ხოლო რუსეთის ინტერესების გამტარებელი პუტინი, რომელიც ამერიკის ინტერესებისთვის კი არა, თავისი ქვეყნისა და რუსი ხალხის კეთილდღეობისთვის იბრძვის, თურმე დიქტატორი და გაყალბებული არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსული პრეზიდენტია.

მოკლედ, უნამუსობას საზღვარი არ აქვს, რადგან მათთვის საკუთარი ინტერესების დასაცავად ყველა მეთოდი მისაღებია, რაშიც, სამწუხაროდ, ცუდს ვერაფერს ხედავენ. როგორც ხარს წითელი ფერი, ისე აგიჟებს ამერიკელებს რუსეთის სიძლიერე. ამერიკელები ვერაფრით შეეგუებიან, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს აშშ-ის შტაბის უფროსთა გაერთიანებულ საიდუმლო სხდომაზე კლინტონის ცნობილ თეზას — **„ჩვენ რუსეთს უფლება მივეცით, იყოს სახელმწიფო, მაგრამ იმპერია ერთი ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები იქნება"** — ყავლი გაუვიდა და ისტორიას ჩაბარდა, რადგან ქვეყნის გამყიდველი გორბაჩოვები და ელცინები ქვეყანას მოშორდნენ და რუსეთის ხელისუფლებაში პატრიოტი ხალხი მოვიდა.

**ამერიკა მხოლოდ თავისზე სუსტ ქვეყნებთან არის მაგარი და კიდეც ძარცვავს მათ ულმობლად. იცის, რომ რუსეთთან ძალით ვერაფერს გახდება და ამიტომაა, რომ მის წინააღმდეგ უზარმაზარი სახელმწიფო პროპაგანდისტული მანქანა აქვს ჩართული და გამალებული საინფორმაციო ომი გაჩაღებული.** ცდილობს, ნებისმიერი ტყუილი სიმართლედ გაასაღოს, რასაც ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში არსებული მეხუთე კოლონის წყალობით აღწევს კიდეც. **რატომაა, რომ ამერიკის მსგავსად ჩვენი „ნაციონალების" კიჟინით ყველა რუსი ოპოზიციონერი რუსეთის გულშემატკივარი და პატრიოტია, რუსეთის პრეზიდენტი კი — დიქტატორი და გაყალბებული არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსული არადემოკრატი მმართველი, ხოლო ქართველი ოპოზიციონერები — ქვეყნის მტრები და მესამე სახელმწიფოს აგენტები, პრეზიდენტი კი — „დემოკრატი და ხალხის ნების გამომხატველი, საყოველთაო სამართლიანი არჩევნების გზით არჩეული ხელისუფალი"?**

ამ სიტუაციის ახსნა თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო.

**ომარ გოცაძე,**
**პროფესორი**

**«ნაციონალები» დიდი ზარ-ზეიმით რომ გაჰყვირიან, აი ახლა შევალთ ნატოში და აი ახლაო, დავიჯერო, ამ ვაჟბატონებს, რომლებიც თავს დიდ პოლიტიკოსობაზე დებენ, იმდენი არ ესმით, რომ ჩვენი ახლა ნატოში მიღება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სამუდამოდ დაკარგვას ნიშნავს? ნუთუ სერიოზულად ჰგონიათ, რომ ნატო ტერიტორიებს დაგვიბრუნებს ან აშშ ჩვენი გულისთვის რუსეთს ომს გამოუცხადებს, საქართველოს ტერიტორიები რატომ არ დაუბრუნეო?»**

**«პუტინს თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი უყვარს და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ყველაფერს აკეთებს მის გასაძლიერებლად. აი რას ვერ პატიობენ პუტინს ეს ჩვენი მეგობარი ამერიკელები. ამიტომაა, რომ გააფთრებით ებრძვიან და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ და ავტორიტეტი შეულახონ მსოფლიოს თვალში»**

განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინვესტიციების მოზიდვა მოკლე გზაა ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და წარმოების მაღალ დონეზე განვითარებისათვის, მაგრამ ინვესტიციების მოზიდვას ხომ სათანადო ბაზა ესაჭიროება. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ ბოლი სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ შეადგინა მხოლიდ 45,5 მილიონი აშშ დოლარი. ინვესტიციების სწორედ ასეთი სიმწირის შედეგია ის, რომ სოფლად პრაქტიკულად არ არსებობს მათი ათვისების შესაბამისი პირობები.**

# სოფლის ვერგადარჩენის სტრატეგია

**გამოხმაურება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე (2012-2020წ.წ.)**


პაატა კოლუაშვილი

**სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა გლეხკაცის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირება (მიწასთან მარადიული ურთიერთობა), ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება.**



**ქართველ გლეხკაცს სოფლად ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგია ესაჭიროება და არა პიარ-პოლიტიკა**

**სოფლის მეურნეობისადმი დიდი ყურადღება განვითარებულ ქვეყნებში რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:**

*** სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა. მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და შესაბამისად მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას, ამიტომ სასურსათო უშიშროება სახელმწიფოს სტრატეგიულ გათვლაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს;**

*** მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;**

*** სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. კულტურულად სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ჩვენი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია;**

*** განვითარებული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა.**

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების საჭიროება. ამიტომ ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა. **სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.**

ეროვნული მეურნეობის ნებისმიერი დარგის განვითარების სტრატეგიაში, როგორც წესი, იგულისხმება სრულყოფილი სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების საფუძველზე იმ ძირითადი ჩარჩო პირობების ჩამოყალიბება, რომელთაც დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა უზრუნველყონ დარგის მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ამ მიზნით მასში ასახული უნდა იქნეს როგორც ფუნქციონალური, ასევე დარგობრივი პრიორიტეტები და მათი რეალიზაციის საქმეში სახელმწიფოს ხელშემწყობი ძირითადი ღონისძიებები, როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე (მათ შორის — ბაზრის სტრუქტურული სრულყოფა და მისი ნეგატიური შედეგების ნიველირება ფაქიზი კორექციის გზით).

**თუ ამ მოთხოვნებით მივუდგებით წარმოდგენილ სტრატეგიას, ის ვერ უძლებს კრიტიკას. იგი გადატვირთულია ბევრი ისეთი საკითხით, რომელთა ადგილი სტრატეგიაში არ არის. მათ შორისაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულება, მიზნები და ამოცანები, სსიპ-ეროვნული სააგენტოების ფუნქციები და მოვალეობები (გვ. 16-21).**

მელიორაციის დებულებაში (გვ. 44-47) დეტალებშია მოცემული ამ სტრუქტურის მონაცემთა ბაზის გრაფიკული და ტექსტური ნაწილები, ცხრილური ინფორმაცია, ელექტრონული ნაწილი და სხვა, მაგრამ კონკრეტული დრო ან სამელიორაციო სამუშაოთა მასშტაბი არსად არაა აღნიშნული. მითითებულია მხოლოდ „მელიორაციული სისტემის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია“.

**სტრატეგიის შინაარსი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ის დაიწერა ზემდგომი ორგანოს წინაშე თავის მოსაწონებლად.**

მასში ხშირად შეხვდებით საქებარ სიტყვებსა და წინადადებებს ქვეყანაში გატარებული რეფორმების მნიშვნელობაზე, რა გაკეთდა კარგი ძველთან შედარებით, როგორ დამარცხდა კორუფცია (გვ. 7) და ა.შ. **ქართველ გლეხკაცს სოფლად ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგია ესაჭიროება და არა პიარ-პოლიტიკა.**

სტრატეგიაში აღნიშნულია (გვ.12), რომ მისი მიზანია „სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის (?) განვითარება საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით“... **„მთავრობა ამბობს რა შეგნებულად უარს სახელმწიფო სუბსიდირებაზე, მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის გრძელვადიან განვითარებას ინვესტიციების მოზიდვის გზით“.** ერთადერთი არგუმენტი, რომელიც ასეთი „მიდგომის“ მიზანშეწონილობას ადასტურებს, ავტორების აზრით, ისაა, რომ (გვ. 10) **„ბაზარი თავად გამოკვეთავს კონკურენტულ დარგებს და სექტორებს“** (ასე დღეს მსოფლიოში აღარავინ აზროვნებს. ულტრალიბერალიზმმა კრახი განიცადა. სახელმწიფოს როლი საზოგადოების მართვაში იზრდება). **თეორიულად ეს შეიძლება ასეც იყოს ყოველმხრივ მოწესრიგებულ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენს რეალურ სინამდვილეში რომელი ბაზარი მოახდენს ასეთ სელექციას? ადგილობრივმა ბაზარმა, რომელშიც ადგილობრივი აგრომეწარმე სანთლით საძებარია, საეჭვოა, ასეთი ფუნქცია შეასრულოს და დასმულ ამოცანას ობიექტურად უპასუხოს.**

თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას მხოლოდ თავისუფალი ბაზრის ამარა არ ტოვებს. იგი აყალიბებს მკაფიო პრიორიტეტებს და შემდეგ საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობის ფონზე ახორციელებს მის აღსრულებას. **საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. ჩემი აზრით, პრიორიტეტები ამ სფეროში ორი მიმართულებითაა. პირველი, სოფლის როგორც ყოფის შენარჩუნება და მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.**

სოფლის მოდერნიზაციაში (გვ. 10) ასევე თეორიული მსჯელობაა იმის თაობაზე, რომ **ინვესტიციების მოზიდვა მოკლე გზაა ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და წარმოების მაღალ** ▶

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე სოფლად საქონელმწარმოებელს მაშინ გაუჩნდება მოთხოვნა, როცა ამ მიწაზე წარმოებულ პროდუქციაზე გაჩნდება შესაბამისი მოთხოვნა, რაც დღეისათვის ქვეყანაში დამკვიდრებული მახინჯი საბაზრო სტრუქტურის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია**

მსოფლიო

## სარკოზი საადვოკატო საქმიანობას გააგრძელებს

**საფრანგეთის უკვე ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი თანამდებობის ოფიციალურად დატოვების შემდეგ საადვოკატო საქმიანობას გააგრძელებს და, სავარაუდოდ, ქვეყნის კონსტიტუციური საბჭოს წევრიც გახდება.** ამის შესახებ ინფორმაციას ფრანგული მედია ავრცელებს. როგორც ცნობილია, სარკოზიმ, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანსუა ოლანდთან დამარცხდა, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო.



## ირანში ხელოვნური კანი შექმნეს

**ირანში ხელოვნური კანი შექმნეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, შესაბამისი განცხადება ირანის დერმატოლოგიის ასოციაციის ხელმძღვანელმა, მეცნიერმა პავრი ტოოსმა გააკეთა.** მისი თქმით, ადამიანის ხელოვნური კანის შექმნა დიდი ხნის სამეცნიერო მუშაობის შემდეგ მოხერხდა. ტოოსის თქმით, ხელოვნური კანი დამწვრობამიღებული ადამიანებისთვის გადასანერგად გამოიყენება. „ხელოვნური კანი რამდენიმე პაციენტზე უკვე გამოვცადეთ“, — განაცხადა მან და დასძინა, რომ ამ გამოგონებაზე მუშაობა კვლავ გრძელდება.

განსჯისათვის
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტრატეგიაში არ ჩანს მისი რეალიზაციის მექანიზმი, ანუ როგორ დარეგულირდება ფასწარმოქმნის საკითხები აგროპროდუქციასა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკურ რესურსებზე, არაფერია ნათქვამი აგროწარმოებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ინტეგრაციის, კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის და სხვა იმ საკითხების შესახებ, რომელთა დარეგულირების გარეშე დარგის დაძვრა „მკვდარი წერტილიდან" პრაქტიკულად შეუძლებელია.**

◀ დონეზე განვითარებისთვის, მაგრამ ინვესტიციების მოზიდვას ხომ სათანადო ბაზა ესაჭიროება. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, **რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ შეადგინა მხოლიდ 45,5 მილიონი აშშ დოლარი. ინვესტიციების სწორედ ასეთი სიმწირის შედეგია ის, რომ სოფლად პრაქტიკულად არ არსებობს მათი ათვისების შესაბამისი პირობები** (საჭირო კომუნიკაციები, მათ შორის გზები, შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა, უკიდურესად დანაწევრებული ფართობები, რომლებზეც რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა პრაქტიკულად შეუძლებელია, შიდა ინვესტიციების ნულოვანი დონე და ა. შ.), რასაც თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა.

სტრატეგიის ავტორებს თუ დავუჯერებთ, აგროსექტორში კვლევებს მხოლოდ ორი მიზანი ჰქონია (გვ. 22). **პირველია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა და მეორე — უცხო სახელმწიფოებში არსებული პროგრესული ტექნოლოგიების შესწავლა და საქართველოში შემოტანა**. პირველ ამოცანას (რომელიც უნდა ვივარაუდო, რომ დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრას გულისხმობს), რა თქმა უნდა, ვეთანხმები, მაგრამ ვინ ან როდის უნდა განსაზღვროს ეს პრიორიტეტები? იქნებ ჯობდა, ეს პრიორიტეტები განსაზღვრულიყო და წინამდებარე სტრატეგიაში ასახულიყო (ამით სტრატეგიის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც დაკონკრეტდებოდა)?

რაც შეეხება მეორე ამოცანას, მას არა აგრარული კვლევა, არამედ ის სიძნელეები აფერხებს, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვასთან არის დაკავშირებული. აგროსექტორში კვლევა დღეს არა იმდენად ტექნოლოგიების მექანიკურ გადმოტანასა და დანერგვას სჭირდება, რამდენადაც კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებებისა და სხვა გამოწვევების გათვალისწინებით ისეთი კვლევების ჩატარებას, რომლებიც მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციულ ღონისძიებებთან იქნება დაკავშირებული, მათ შორის, ტექნიკურ-ტექნოლიგიური საკითხები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადვილება და სპეციალიზაცია შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით და ა.შ., რაც წარმოდგენილ სტრატეგიაში საერთოდ არ ჩანს.

საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) ორი გარემოება ასხვავებს: **ა) სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებასა და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად, ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა — სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; ბ) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან.** დასავლური პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს, რადგან, მათი აზრით, „სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა".

სტრატეგიის მე-14 გვერდზე აღნიშნულია, რომ მიწის ბაზრის ფორმირებას ხელს უშლის ის, რომ ჯერ კიდევ ბევრი მაღალნაყოფიერი მიწა სახელმწიფოს საკუთრებაშია, რასაც ვერ გავიზიარებთ, რადგან ქვეყნის სოფლის მეურნეობაში დღეისათვის შექმნილ სიტუაციაში სახელმწიფომ ბაზარზე რამდენი მიწაც არ უნდა გამოიტანოს გასასყიდად, მასზე ადგილობრივი მეწარმის მოთხოვნა ნაკლებად იქნება. ამის მიზეზი ჩვენი არარეგულირებადი ოლიგოპოლური ბაზრის სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ. **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე სოფლად საქონელმწარმოებელს მაშინ გაუჩნდება მოთხოვნა, როცა ამ მიწაზე წარმოებულ პროდუქციაზე გაჩნდება შესაბამისი მოთხოვნა, რაც დღეისათვის ქვეყანაში დამკვიდრებული მახინჯი საბაზრო სტრუქტურის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია.**

**დანგრევის პირას მისული ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხაზი რომ კოოპერაციაზე გადის, ამის თაობაზე დღეს თითქმის აღარ კამათობენ, რადგან ყველასთვის ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ფერმერთა კონსოლიდაციას შეუძლია შედარებით მოკლე პერიოდში ძალიან ბევრი პრობლემის გადაჭრა.** წარმოდგენილ სტრატეგიაში ამ მიმართულებით ნათქვამია (გვ. 26), რომ კოოპერაციულ მოძრაობასთან დაკავშირებით საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რათა არ მოხდეს რესურსების არარაციონალური გამოყენება (?) და შემდეგ... სოფლად კოოპერაციის განვითარების მიზნით, **„მთავრობა პოპულარიზაციას გაუწევს კოოპერაციის იდეას, მოამზადებს ინიციატივებს კოოპერაციული გაერთიანებების შექმნისა და განვითარების მიზნით და ითანამშრომლებს დონორებთან კოოპერატივების ხელშემწყობი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში",** ანუ ითანამშრომლებს, პოპულარიზაციას გაუწევს, მოამზადებს ინიციატივებს და ა. შ. ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე.

სტრატეგიაში მიწის პოლიტიკა ცალკეა გამოყოფილი (გვ. 40) და მასში მიწის პოლიტიკის მხოლოდ ორ ამოცანაზეა აქცენტი გაკეთებული (მიწის ბანკის შექმნა და საკადასტრო რუქების მომზადება). **აქ რატომღაც არაფერია ნათქვამი მიწის პოლიტიკის ისეთ კომპონენტზე, როგორიცაა მიწაზე მონიტორინგი** (რაც სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა), **რომელმაც უნდა გასცეს პასუხი კითხვებს**: რა არასასურველი ცვლილებებია მიწის ნაყოფიერებაში და როგორ უნდა აღიკვეთოს ის, როგორია წყლისმიერი თუ ქარისმიერი ეროზიის დინამიკა, როგორია ჰუმუსის ბალანსი ნიადაგში და სხვა. ამ საკითხებს მიწის ბანკის შექმნა და საკადასტრო რუქების შედგენა, რა თქმა უნდა, ვერ მოაგვარებს.

**ასევე გაუგებარია, რატომ უნდა დაევალოს მიწის მესაკუთრეთა ასოციაციას** (არასამთავრობო ორგანიზაციას) **საკადასტრო რუკების შედგენა** (რაც აგროსექტორში ერთ-ერთი სერიოზული კვლევის საგანი უნდა იყოს) **და მიწის ბანკის შექმნა** (გვ. 41).

სტრატეგიის 49-ე გვერდზე „ახსნილია" ქართველი ფერმერის დაბალი კონკურენტუნარიანობის მიზეზები, რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად აღიარებულია მსოფლიო ბაზრების შესახებ მათი ინფორმირებულობის დაბალი დონე. აქ არაფერია ნათქვამი ისეთ რეალურ პრობლემებზე, როგორიცაა კრედიტის ხელმიუწვდომლობა, ცუდი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სრული უყურადღებობა სახელმწიფოს მხრიდან და სხვ.

**იმისათვის, რომ თავისუფალმა ბაზარმა შექმნას ის, რასაც ზედმიწევნით კარგად ასრულებს** (პროდუქციის სიუხვე), **აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ აქტიური სასოფლო პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.** იგი, პირველყოვლისა, გამოიხატება სპეციალიზირებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნით, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს მოსავლის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას. **ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს აგროტექნიკის, ქიმიური საშუალებების, საწვავისა და ა. შ. უზრუნველყოფის ორგანიზება, წახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კოოპერირების გამოყენება, მარკეტინგული დახმარება და ასევე ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს აგრარულ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვას და გამუდმებით მათი გადამზადების გარემოს შექმნას.**

სტრატეგიის 33-ე გვერდზე იმ სტრატეგიული პროდუქტების ჩამონათვალია მოცემული, რომლებიც თურმე აუცილებელია ადამიანის არსებობისთვის. მათ შორისაა ხორბალი (?), ხილი და სხვა, მაგრამ ამ „სიაში" რატომღაც არაა თევზი და თევზპროდუქტები, კვერცხი და პურპროდუქტები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის.

ვფიქრობ, სტრატეგიაში არა იმდენად პრიორიტეტულ პროდუქტებზე უნდა კეთდებოდეს აქცენტები, არამედ იმ პრიორიტეტულ დარგებზე, რომლებიც შიდა თუ გარე ბაზარზე მოთხოვნად პროდუქტებს აწარმოებს და გარკვეული კონკურენტული უპირატესობით ხასიათდება. არგუმენტულად დასაბუთებული ასეთი დარგები კი სტრატეგიაში არ ჩანს.

**საინტერესოა სტრატეგიის ავტორების დამოკიდებულება ექსპორტის პოლიტიკის მიმართ** (გვ. 52). კერძოდ, მათი აზრით, საექსპორტო პოტენციალის შეფასებისთვის უნდა განისაზღვროს პროდუქტების სია, მათზე მოთხოვნის ტენდენციები, ფასების დონე, იმპორტის პროცედურების სიადვილე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება (?) და ტრანსპორტირების ხარჯები. **რაც შეეხება კონკურენტულ უპირატესობას, როგორც აუცილებელს თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე, ეს, მათი აზრით, ალბათ, არაა საჭირო.**

**დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ «სტრატეგიას» ისეთივე ბედი ელის, როგორიც აგრარული პოლიტიკის კონცეფციას, რომელიც ასევე ხანგრძლივ პერიოდზე იყო გათვლილი, მაგრამ პრაქტიკულად მისი არც ერთი პუნქტი არ შესრულებულა**

**სტრატეგიაში არ ჩანს მისი რეალიზაციის მექანიზმი, ანუ როგორ დარეგულირდება ფასწარმოქმნის საკითხები აგროპროდუქციასა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკურ რესურსებზე, არაფერია ნათქვამი აგროწარმოებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ინტეგრაციის, კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის და სხვა იმ საკითხების შესახებ, რომელთა დარეგულირების გარეშე დარგის დაძვრა „მკვდარი წერტილიდან" პრაქტიკულად შეუძლებელია.**

**დასკვნის მაგიერ:** წარმოდგენილი სტრატეგია (მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, საჯარო განხილვისთვის არ გამოუტანიათ) მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტიკას, მასში არაა მისი რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯები, დასახული ღონისძიებების განხორციელების ვადები, ეტაპები და მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

ყოველივე ზემოაღნიშნული მაფიქრებინებს, რომ **სტრატეგიის სათაურში გამოტანილი ვადები** (2012-2020 წლები) **და თვით სტრატეგია სხვა არაფერია, თუ არა ხანგრძლივვადიანი დაპირება სოფლის მეურნეობის განვითარების თაობაზე.** სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ის დამუშავებული იქნა აგრარიკოს მეცნიერთა და პრაქტიკოს სპეციალისტებთან ყოველგვარი კონსულტაციებისა და განხილვის გარეშე.

სამინისტრო აღიარებს, რომ მომავალში უნდა შეიმუშაოს ეროვნული მარკეტინგული პროგრამა. ამ მიზნით უნდა განსაზღვროს პერსპექტიული და პრიორიტეტული დარგები. გარდა ამისა, **სამინისტრო აღნიშნავს, რომ „მომავალში შეიმუშავებს 3-4 წლიან პროგრამას, რომელშიც დეტალურად გაწერილი იქნება ყველაფერი". მაგრამ, როდის იქნება ეს „მომავალი"? ამ კითხვაზე პასუხი, ისევე როგორც სხვა ბევრ კითხვაზე, ე. წ. სტრატეგიაში არ მოიძებნა.**

**დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ „სტრატეგიას" ისეთივე ბედი ელის, როგორიც აგრარული პოლიტიკის კონცეფციას, რომელიც ასევე ხანგრძლივ პერიოდზე იყო გათვლილი** (იგი თავისი ფორმითა და შინაარსით დიდად უკეთესი იყო წინამდებარე სტრატეგიასთან შედარებით), **მაგრამ პრაქტიკულად მისი არც ერთი პუნქტი არ შესრულებულა.** დარგისადმი ასეთი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგები კი ძალზე სერიოზულად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების როგორც მიკრო, ასევე მაკრო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყანა იმ პროდუქტების იმპორტიორი გახდა, რომელთა ექსპორტსაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თვითონ ეწეოდა, **ყოველწლიურად უარესდება ექსპორტ-იმპორტის საბალანსო მაჩვენებელი.**

აქვე უნდა ითქვას სოფლად შექმნილი რეალური მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი ინდიკატორის შესახებაც. კერძოდ, **დღეს აგრარულ წარმოებაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 54%, რომლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 8,3%-ს შეადგენს.** ამით, ჩემი აზრით, ზოგადად ყველაფერია ნათქვამი, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე აგროსექტორის ეკონომიკური განვითარების შესახებ.

დასასრულ, **საქართველოს სოფლის აღორძინება უნდა მოხდეს ჩვენივე ძალებით და გადამთიელებზე იმედის დამყარება, მათი მოპატიჟება „გადასარჩენად" შეურაცხმყოფელი და ამასთანავე ფუჭი მცდელობა იქნება.** დინამიკური სოფლის მეურნეობა ბურებისა და სხვათა ჩამოსახლებით კი არა, მოქნილი სამოქმედო გეგმით (სტრატეგიით) იქნება შესაძლებელი.

**დღეს აგრარულ წარმოებაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 54%, რომლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 8,3%-ს შეადგენს.**

**პაატა კოღუაშვილი**,
აგრარიკოსი, პროფესორი

მსოფლიო

## მეხიკოს ირგვლივ ქალაქები ვულკანური ფერფლით დაიფარა

**ვულკან „პოპოკატე-პეტლის" ამოფრქვევის გამო, მეხიკოს გარშემო ქალაქები ფერფლით დაიფარა. უცხოური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ვულკანი მექსიკის დედაქალაქიდან 60 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და ის უკვე უკვე მეორე კვირაა აქტიურია.** ბოლო დღეების განმავლობაში კრატერიდან რამდენიმე საკმაოდ ძლიერი ამოფრქვევა მოხდა, რის გამოც ქარს ვულკანური ფერფლის ღრუბელი ახლა შტატ პუებლას მიმართულებით მიაქვს. სპეციალისტების ინფორმაციით, ვულკანზე აქტივობა ისევ შეინიშნება, ამიტომ რეგიონში მობილიზებულია სამოქალაქო თავდაცვის შტაბი, რათა საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის ევაკუაცია მოხდეს.



**აშშ მუდამ იმის ცდაში არიან, თავისი ჰეგემონია განამტკიცონ ამერიკის მთელ კონტინენტზე. ჩრდილო ამერიკის ადგილობრივ მკვიდრთა თანმიმდევრულ გაჟლეტისა და აბსორბირების შემდეგ იგი მოწადინებულია როგორც შუა ამერიკის, ისე სამხრეთ ამერიკის შტატებში დასახლებული ესპანელების, პორტუგალელებისა და ფრანგების დაქვემდებარებისა.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**15 მაისს კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 119 წელი შესრულდა. ისტორიული რომანების, ესსეებისა და ნოველების გარდა, მის კალამს არაერთი პუბლიცისტური წერილი ეკუთვნის. „ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“ ერთ-ერთი მათგანია, რომელიც იმდენად თანამედროვეა, რომ მკითხველს უთუოდ საგანგებოდ გაზეთის ამ ნომრისთვის დაწერილი ეგონება.**



კონსტანტინე გამსახურდია

# ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო გერბზე გამოხატულია მარჯვნისაკენ თავმიდრეკილი არწივი, ამ არწივს ცალ ფეხში ზეთისხილის შტო აქვს ჩაბღაუჭებული, ხოლო მეორეში — ისრების კონა. ზეთისხილის შტო ძველთაგანვე მშვიდობის ემბლემად ჰქონდათ მიჩნეული ხალხებს, ისრების კონა კი — ერთიანობისა.

საკმარისია თვალი გადავავლოთ აშშ-ის არც ისე ხანგრძლივი ისტორიის მთავარ ეტაპებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამ სახელმწიფოს მესვეურთა მთელი პრაქტიკა ემსახურებოდა არა მშვიდობისა და ხალხთა სოლიდარობის მაღალ იდეალებს, არამედ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები იყო მუდამ ომისა და შფოთის ინიციატორი.

თვით ამერიკის აღმოჩენის პირველადი სტიმული იყო დასავლეთ-ევროპული იმპერიალიზმის დაუცხრომელი წყურვილი ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობისა და ახალ სიმდიდრეთა მოხვეჭისა.

ქრისტეფორე კოლუმბზე ადრე, ოქროს მაძიებელთა ოცნებების მესიტყვედ გახდა ფლორენციელი გეოგრაფი და ვარსკვლავთმრიცხველი პაოლო ტოსკანელი, რომელსაც გუმანი ჰქონდა დასავლეთით მიმართული გეზით წაეყვანა თავისი გემი და ინდოეთს ჩასულიყო.

იგი ამ გზით იმედოვნებდა წაწყდომოდა „აზიის უკიდურეს ნაპირთან მდებარე ციპანგუს ქვეყანას“. ეს მრავალნაცადი ფლორენციელი კუბლაი ხანთან მსახურებდა ოდესღაც თურმე და ჩინური წყაროებიდან ამოკითხული ჰქონია, ციპანგუს ქვეყანაში სასახლეებსა და ეკლესიებს ოქროთი ხურავენ, იატაკებზედაც „თითის სისხო“ ოქროს ფენებია დაგებულიო. პაოლო ტოსკანელის ჩანაწერებით ისარგებლა გენუელმა მეზღვაურმა ქრისტეფორე კოლუმბმა და, როგორც ვიცით, მას ერგო წილად ინდოეთისა და „ციპანგუს მოოქროვილ ქვეყნის“ ნაცვლად ამერიკის კონტინენტი აღმოეჩინა. კოლუმბს თან მოჰყვნენ მთელი ევროპის ავანტიურისტები, ოქროს მაძიებელნი, ციხეებიდან გაქცეული რეციდივისტები და უმცროსი შვილები ისეთი ოჯახებისაც, რომელთაც მემკვიდრეობის მაიორატული სისტემა ჰქონდათ შემოღებული. ამ ახალ ხმელეთზე ბედის საძიებლად რომანულ მოდგმის ხალხებმა, სახელდობრ, ესპანელებმა და პორტუგალელებმა დაასწრეს ინგლის-საქსებს ამ ხმელეთის დაპყრობა. ამერიკა ჯერაც მთლიანად აღმოჩენილი არ იყო, როცა დაფაცურდა რომის კურია. კათოლიკური ეკლესიის მამამთავრებისათვის მთლად სასიამოვნო ამბავი არ იყო ბიბლიური კოსმოგონიის დარღვევა. როგორც ცნობილია, ქრისტიან თეოლოგებს მიწა წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ურმის თვალივით ბრტყელი და მრგვალი სივრცე, რომლის ცენტრში იერუსალიმი იგულისხმებოდა. რომის პაპისათვის ამ შემთხვევაში მთავარი იყო კათოლიკური ეკლესიის სუვერენობა განემტკიცებინა ახლადაღმოჩენილ ხმელეთზედაც, ამიტომაც გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ბულლა ალექსანდრე VII და კათოლიკურ ესპანეთს დაუმტკიცა „ყველა კუნძული, როგორც აღმოჩენილი, ისე მემრისშიაც აღმოსაჩენი“.

იტალიელებსა და ესპანელებზე უფრო ადრე, მე-10 ს. ამერიკის ხმელეთს უწიეს ნორმანებმა, სახელდობრ გრენლანდს, ხოლო ამ კუნძულიდან მისწვდნენ ვინლანდს, სადაც ამერიკელთა ჯიშის მწარე ვაზი აღმოჩნდა (ეს ნორმანები იყვნენ ისევ და ის მეკობრეები, რომელნიც „ქართლის ცხოვრებაში“ ცნობილნი არიან, როგორც „ვარანგები“. ეს ახლადმოსულები ამოწყვიტეს ამ კუნძულზე მობინადრე ესკიმოსებმა).

ინგლის-საქსებმა და გერმანელმა პროტესტანტებმა რომის პაპის დაუხმარებლად ჩაიგდეს ხელში ჩრდილო-ამერიკის ტერიტორია. მათ თანმიმდევრულად გასწყვიტეს ამერიკის აბორიგენები, ადგილობრივი ტომები და დაეპატრონენ ჩრდილოეთს. როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, იმ მომენტში, როცა რომანული და ინგლის-საქსური მოდგმის ხალხები დაეპატრონენ ამერიკის ხმელეთს, აბორიგენების რიცხვი 100 მილიონს აღემატებოდა, მაგრამ ოთხი საუკუნის მანძილზე დაუცხრომელი ჟლეტისა და დევნის შედეგად დღევანდელ ამერიკაში აბორიგენი ხალხების რიცხვი ოცდახუთ მილიონს არ აღემატება, სახელდობრ, ჩრდილო ამერიკაში აბორიგენების სულადობა 300.000-მდე დაიყვანეს. ძირითადი მოსახლეობის ამოწყვეტის საკმაოდ ბნელ საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელეს ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. თავის დროზე ინგლისს ეწადა ფეოდალური სახელმწიფო დაეარსებინა ამერიკის ჩრდილოეთში. ამ სახელმწიფოს კონსტიტუციის პროექტის შედგენა კიდევაც დააკისრეს ცნობილ ფილოსოფოსს ლოკს, მაგრამ ეს პროექტი ქაღალდზე დარჩა.

მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ერთმა ინგლისურმა საზოგადოებამ ზანგებით ვაჭრობის პრივილეგიები მიიღო ინგლისის მთავრობისაგან, რათა ამ მუქთი მუშახელის მეშვეობით დაემუშავებინა თვალუწვდენელი პლანტაციები.

რომანულ და ინგლის-საქსურ ხალხთა შორის ატეხილ ინტერესთა ცილობაში ამერიკის კონტიგენტის ათვისების პირველ პერიოდიდანვე ჩაება ეკლესია. ერთ მხარეზე რომის პაპის კურია იბრძოდა თავისი ზეგავლენის სფეროს განსავრცობად, ხოლო მეორე მხრით ინგლისური პროტესტანტული ეკლესიები.

ეს ბრძოლა, როგორც ცნობილია, ჩრდილო ამერიკაში ამ უკანასკნელი ეკლესიების გამარჯვებით დასრულდა.

არც პროტესტანტული და არც კათოლიკური ეკლესიები თავს არ იტკივებდნენ ფერადკანიანი ხალხების არაადამიანური ჟლეტისა და აბსორბირების გამო, რამდენადაც დასავლეთის ქრისტიანებს მუდამ სჯეროდათ, თითქოს შავკანიანები წარმოშობილნი იყვნენ ბიბლიური ევასა და ეშმაკის შეუღლებისაგან. ოდესღაც ამერიკა დიდ სიმპათიებს აღუძრავდა ასე თუ ისე რადიკალურად მოაზროვნე ევროპელებს. 1766 წელს, როცა ინგლის-ამერიკის ომი ატყდა, ლაფაიეტმა საფრანგეთიდან თან წაიყვანა მოხალისეების კორპუსი „აჯანყებული კალონიების“ მისაშველებლად, როცა გენერალი ლაფაიეტი თავის ლაშქრიანად პარიზს მიბრუნდა, პარიზული რადიკალური გაზეთები ხოტბას ასხამდნენ „სციპიო ამერიკანუსს“ — ამერიკელ სციპიონს. არა მარტო იმათ, ვინც პირველად გააკეთებინეს ამერიკული სახელმწიფო გერბი ზეთისხილის შტოთი და ისრების ბღუჯით დამშვენებული, ევროპული ინტელიგენციის რადიკალურად მოაზროვნე წრეებში დიდხანს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ამერიკა იქნებოდა ის ბედნიერი და თავისუფალი ქვეყანა, რომლისთვისაც უცნობი იქნებოდა ევროპის დასავლეთისა და აღმოსავლეთის აბსოლუტური მონარქიებისათვის თანდაყოლილი ტირანია. აშშ-ის პრეზიდენტებმა, რომელნიც პირველი პრეზიდენტის, შესანიშნავი მებრძოლის და სახელმწიფო ტრიბუნის — გეორგ ვაშინგტონის შემდეგ საჭეთმპყრობელნი გახდნენ, თვალნათლივ დაუმტკიცეს მთელს მსოფლიოს, რომ ჩრდილო ამერიკა ეს „ნოვუს ორბის“, „მონდო სუოვო“, თავისუფლების ნავთსაყუდელი როდია, არამედ სიმდიდრის ღვთაების, გაუმაძღარი პლუტუსის ქვეყანაა. თანამედროვე აშშ-ის პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს წარამარა პირზე აკერიათ ე. წ. მონროეს დოქტრინა. ეს დოქტრინა ეკუთვნის ერთ-ერთ პრეზიდენტს ჯემს მონროეს. მონროეს დოქტრინა დღესაც მიჩნეულია, როგორც ათი მცნება ჩრდილო ამერიკის პოლიტიკისა. პირველი მუხლი მონროეს დოქტრინისა ასეთია: ევროპულ სახელმწიფოებს არავითარი უფლება არ აქვთ, ჩაერიონ ამერიკის საქმეებში, იქვე წერია: ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მართებთ თავი შეიკავონ ევროპულ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევისაგან. შემდეგი მუხლი მონროეს დოქტრინისა ასეთია: აღეკვეთოს ევროპის სახელმწიფოებს ამერიკული მიწებისა და კოლონიების მიტაცება, სულ ერთია, შესყიდვის სახით იქნება ეს, თუ ანექსიის ძალით.

**მონროეს დოქტრინის მოგვიანებით დამატებულ მუხლში ვკითხულობთ: ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეკუთვნოს მფარველობა როგორც შუა ამერიკის, ისე სამხრეთ ამერიკის მიმართ.**

## ამერიკა – ამერიკელებს

**მონროეს დოქტრინის ამ მუხლს ჩრდილო ამერიკის ახალმა მესვეურებმა კორექტივი უნდა გაუკეთონ და ამ მუხლს უნდა მიაწერონ: არა მარტო ამერიკა, ევროპაც ამერიკელებს, მთელი მსოფლიო ამერიკელებს. ყოველ შემთხვევაში ატლანტიკის პაქტის ინიციატორები ამას უმიზნებენ, ასე რომ, მონროეს დოქტრინა უკვე მოძველებული ფორმულაა ამერიკული იმპერიალიზმისათვის.**

**აშშ მუდამ იმის ცდაში არიან, თავისი ჰეგემონია განამტკიცონ ამერიკის მთელ კონტინენტზე. ჩრდილო ამერიკის ადგილობრივ მკვიდრთა თანმიმდევრულ გაჟლეტისა და აბსორბირების შემდეგ იგი მოწადინებულია როგორც შუა ამერიკის, ისე სამხრეთ ამერიკის შტატებში დასახლებული ესპანელების, პორტუგალელებისა და ფრანგების დაქვემდებარებისა.**

გასული საუკუნის მიწურულში აშშ-ის პოლიტიკური მესვეურების ინიციატივით გაიმართა პანამერიკული კონგრესი ვაშინგტონში. ამ კონგრესის მიზანი იყო სამი ამერიკის, ე. ი. ჩრდილო ამერიკის, შუა ამერიკის და სამხრეთ ამერიკის გაერთიანება. კონგრესის შეფარვული მიზანი უნდა ყოფილიყო ჩრდილო შტატების მიერ მთელი ამერიკის ნედლეულის ხელში ჩაგდება. მაგრამ ამ ღონისძიებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ჩრდილო შტატებმა მიისაკუთრეს ლუიზიანა და ფლორიდა, მექსიკას წაჰგლიჯეს ტექსასი და კალიფორნია, ანექსია უყვეს ჰავაის კუნძულებს, მიიტაცეს კუბა და პუერტო-რიკო.

ჩრდილო ამერიკული კაპიტალი უპირატესობას ღებულობს ბრიტანული კანადისა და სამხრეთ ამერიკის უმეტეს შტატებში.

ჩრდილო ამერიკის ფლოტი როგორც რიცხობრივად, ისე შეჭურვილობის მხრითაც უთანაბრდება დიდი ბრიტანეთის ფლოტს. ასე რომ, ბრიტანულ ლომს ეს პირველად გაუჩნდა მეტოქე ზღვაზე.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფილიპინების კუნძული მიიტაცა, მრავალი წლის განმავლობაში სისხლში ახრჩობდა თავისუფლების მოყვარულ ფილიპინელებს.

შეერთებული შტატების ფულით მოეწყო აჯანყებები კუბაში, როცა ამ აჯანყებამ გრანდიოზულ მასშტაბებს მიაღწია, ჩრდილო ამერიკის მთავრობა საკმაოდ ცინიკურად მოიქცა: წინადადება მისცა ესპანეთს, დაუყოვნებლივ აელაგმა აჯანყებანი. როცა ესპანეთმა ეს ვერ შეძლო, დრედნოუტი წარგზავნა ჰავანას, აჯანყებულებმა ამერიკული სამხედრო გემი ააფეთქეს, რის გამოც ზარალის ანაზღაურება მოსთხოვეს ესპანელებს. 1901 წელს ტერორისტებმა მოჰკლეს პრეზიდენტი მაკ კინლეი. მისი შემცვლელი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი თუმცა შინაგან საქმეებში შედარებით ჰუმანური სახელმწიფო მოღვაწე იყო, მაგრამ საგარეო საქმეებში განაგრძობდა თავის წინამორბედების იმპერიალისტურ კურსს. ფილიპინების პერმანენტულ აჯანყებებს ბოლო მოუღო რუზველტმა. 1903 წელს ამერიკას დასჭირდა კონცესიები პანამის არხის გასაყვანად. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების აგენტებმა აჯანყება მოაწყეს კოლუმბიის მთავრობის წინააღმდეგ. ბოლოს, როგორც იქნა, თავისი გაიტანეს, საგანგებოდ დააარსეს პანამის მარიონეტული რესპუბლიკა.

**ამერიკულმა დიპლომატიამ ალიასკა და ალეუტის კუნძულები 7 მილიონ დოლარად გამოსტყუა რუსეთის მეფეს.**

**პირველ იმპერიალისტურ ომში, ჩვენი თაობის თვალწინ, აშშ-ის პრეზიდენტმა ვილსონმა ჯვაროსნული ომი გამოაცხადა დემოკრატიის, ერების თავისუფლების, კულტურისა და ცივილიზაციის სახელით.**

**ასეთი უებარი ცინიზმით სავსე ყომარბაზობა ჯერაც არც ერთ სახელმწიფოს მესაჭეს არ უკადრებია.**

**პრეზიდენტი ისეთი სახელმწიფოსი, სადაც ჯერ არ მოშლილა ზანგების დისკრიმინაცია, ისეთი სახელმწიფოსი,** ▶

**ამერიკულ მაშინერიასა და მფრინავ ციხეებზე მეტ საფრთხეს უმზადებს კაცობრიობას ამერიკული ნეოფაშისტური იდეოლოგია, რომელიც წარმოადგენს ევროპული რეაქციის უკუფენას. ამ უკანასკნელის მთავარი შტაბი იყო ბისმარკისა და მოლტკეს მიერ შექმნილი პრუსიული პაოლიციური სახელმწიფო, რომელმაც შეაკოწიწა გერმანიის იმპერია.**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რომელიც უმწეო და უიარაღო ერების ძვლებზეა აგებული, ერთი დაკვრით მოევლინა კაცობრიობას, როგორც მორალის მასწავლებელი და ახალი წესრიგის დამამყარებელი, როგორც ხალხთა დიდი არეოპაგის თავკაცი და სჯულმდებელი.** ანალოგიურ გრიმასებს გვიჩვენებდა ექსპრეზიდენტი ტრუმენი, რომელიც ხშირად მოიშველიებდა ხოლმე მართლმორწმუნე ქრისტიანის ნიღაბს, ღმერთსა და მის ანგელოზებს უხმობდა თავისი ბნელი საქმეებისათვის შუქის მოსაფენად. ეს ნიღაბი უთუოდ სჭიროდა ისეთ პრეზიდენტს, რომელმაც თავი ისახელა უბედური კორეელი ბავშვებისა და უმწეო მოხუცების გაჟლეტით.

პრეზიდენტ უილსონის 14 პუნქტი, მის მიერ განცხადებული კონგრესისადმი გაგზავნილ მორიგ ეპისტოლეში, წარმოადგენდა მონროეს დოქტრინის უხეშ დარღვევას. **ამერიკის მიერ ევროპულ საქმეებში ინტერვენციის შედეგი იყო არა დაჩაგრულთა და უფლებააყრილთა შევრდომება, არამედ მიტაცება იმ ოქროს მარაგისა, რომელიც ამ ომის შემდეგ ევროპიდან ამერიკაში გატანილ იქნა.** ბოლოს უილსონის ამერიკამ მიისაკუთრა პირველობა მექსიკის ნავთის ექსპლოატაციის საქმეში, მიიღო პროტექტორატი ჰაიტის კუნძულისა და ნიკარაგუას მიმართ.

ფაშიზმისა და რასიულ თეორიას გერმანულ ფაშისტებზე ადრე ჰყავდა თავისი აპოლოგეტები ამერიკაში. ოკეანეს გადაღმელ ინგლის-საქსების საარსებო საქმე იყო რუსული თეორიების არა მარტო ქადაგება, არამედ კონსექვენცური, თანამიმდევრული გატარება როგორც წარმოების, ინდუსტრიის, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ყოველ დარგში, რამდენადაც ამ თეორიების პრაქტიკულად განმამტკიცებლებს სერიოზულად სჯეროდათ, რომ, არა მარტო ამერიკული ხმელეთის აბორიგენები — ინდიელები, ესკიმოსები და სხვანი, თვით აზიის უძველესი ხალხები — ჩინელები, კორელეები და მალაელები თავს ვერ გაართმევენო ამერიკის მაშინერიის რთულ მექანიზმებს. მაშასადამე, ეს ხალხები, ამ პანამერიკანისტების აზრით, მოწოდებულნი იყვნენ მოეარათ ჩაის, შაქრის ლერწმის, ბრინჯის პლანტაციებისათვის; ისინი ამტკიცებდნენ, ამ ხალხებს დიახაც შეუძლიათ, თავი გაართვან იმ ელემენტარულ პროცესებს, რომელნიც საჭიროა გუმის, პარაგუმის და კაუჩუკის მისაღები საწარმოებისათვის, მაგრამ ამერიკულ მანქანათმშენებელ ქარხნებში ეს ხალხები ვერ გამოდგებიანო. ამიტომაც ამერიკაში ჩამოსულ ჩინელებს ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში იყენებდნენ, როგორც მრეცხავებს თავიანთ „სტიმლანდრებში“ — სამრეცხაოებში. მაშასადამე, **პანამერიკელები ჩინეთისა და ინდოჩინეთის ძველი კულტურის ხალხებს, რომელთაც ევროპელებზე გაცილებით ადრე გააჩნდათ არა მარტო თავის დროზე მოწინავე კულტურა და დიდი ტექნიკური ცივილიზაცია, თვლიან ისეთ გონებაჩლუნგ ადამიანებად, რომელთაც თითქოს არ შეუძლიათ რომელიმე ავტოქარხნისათვის საჭირო დეტალის გამოჩარხვა.**

ოდესღაც მთელი ქვეყანა იცინოდა იმის გამო, რომ ზოგიერთი ინგლისელი მეტიჩარა, სნობი ჟურნალისტი ყოველი ეროვნების კაცს, ლამანშს გადაღმა წარმოშობილს, უცქეროდა, როგორც უკულტუროსა და ვიგინდარას.

პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ასეთი სნობისტური ყოყოჩობა დასჩემდათ ამერიკელებს, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან ევროპაში ჩამოსულ გაზეთის მჯღაბნელებს, დიპლომატებსა და ვითომდაც მწერლებს: ისინი ზევიდან დასცქერიან არა მარტო აზიელებს, არამედ თვით ევროპელებსაც.

ნურას ვიტყვით ჩინეთის უძველესი ფილოსოფიის, მწერლობის, მხატვრობის, პორცელანის ხელოვნების გამო. ამ დარგებში არამცთუ ამერიკა, დასავლეთი ევროპაც ვერ შეედრება ჩინეთს. ეს არის ოღონდ, ევროპელებს ჯერაც საკმაოდ არა აქვთ შესწავლილი არა მარტო შორეული აღმოსავლეთის, არამედ წინააზიის ხალხთა კულტურები და ენები. რაც შეეხება ამერიკელებს, ისინი ისეთ ქედმაღლურ პოზიციებზე შედგნენ, სხვა ხალხების შესწავლას მათთვის ბომბების თავზედაყრა არჩიეს.

შესაძლოა ბევრმა მათგანმა არც იცოდეს, რომ თვით დენთი, რომლის გამოჩენამ და გამოყენებამ უდიდესი ძვრები მოახდინა მთელი კაცობრიობის ისტორიაში, რამდენიმე საუკუნით ადრე ჩინეთში იყო ცნობილი. კაცობრიული კულტურის მეორე დიდზე დიდ ფაქტორს — ქაღალდს ჩინელები აკეთებდნენ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში. ცნობილია ჩინური სელის ქაღალდები, ბამბუკის ნორჩი ყლორტებისაგან გაკეთებული, ხის მერქნისაგან ნაკეთები ქაღალდი.

ლითონის მჭედლობის ხელოვნება ყველა ხალხზე ადრე ჩინელებს ემარჯვებოდათ, იგივე ითქმის ბრინჯაოს ჩამოსხმაში დახელოვნების შესახებ.

კიდევ ერთი დიდი ფაქტორი, რომელმაც მთელი რევოლუცია მოახდინა კაცობრიული კულტურის ისტორიაში. ეს გახლავთ ბეჭდვისა და სტამბის გამოგონება, რასაც ამაოდ მიაწერდნენ გუტენბერგს. ტვიფარების ამომჭრელი საბეჭდი ხელსაწყონი ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში გამოიყენეს ჩინელებმა. X საუკუნეში ქვის საბეჭდავებს ხმარობდნენ უკვე, ხოლო ე.წ. „ლუტერებით“ ბეჭდვა პრაქტიკულად აითვისეს მათვე.

პირველი თოფი კანტონში გააკეთეს და შეერთებულ შტატებში წაალებინეს ამერიკელებმა. ჩინელებივე იყვნენ უწარჩინებულესი ოსტატები ფაიფურის ფაბრიცირებისა. მათ იგავმიუწვდომელი შედევრები შექმნეს ხის, ნეფრიტის, ბროლის და ვერცხლის მასალებისაგან.

**ამერიკელთა შორის უფრო საქმიანნი და სხვა ქვეყნების ვითარებათა მცოდნენი პირიქით ამტკიცებდნენ: აიის ხალხები უნდა გამოვიყენოთ არა მარტო ჩაის, შაქრის, ლერწმის, ბრინჯის პლანტაციების მოსავლელად, გუმისა და კაუჩუკის მრეწველობაში, არამედ ამერიკული მანქანების ფარეშებადაც გამოგვადგება ჩინელი ყული, მალაელი და მონღოლი გლეხი, რადგან ინგლის-საქსური რასა ერთხელაც იქნება მხოლოდ გამოგონებათა რთულ საქმეებზე გადავა და უსულო და წმინდა მექანიკური მომსახურებისათვის ჩინეთიდან, მონღოლეთიდან და ინდო-ჩინეთიდან ჩამორეკილი აურაცხელი მუშახელის რეზერვები უნდა გამოვიყენოთო. დღეს ეს ხალხები უკვე შესული არიან დემოკრატიული ქვეყნების ძლევამოსილ გაერთიანებაში. ასე რომ, ამერიკელ ნეოფაშისტ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.**

კანიბალიზმი, ე.ი. კაციჭამიობა, რომელსაც ძველი ბერძნები ანთროპოფაგიას უწოდებდნენ, ტაბუსა და ტოტემის ბნელი ეპოქების სამარცხვინო გადანაშთი, ჩვენს დღეებამდის მოჰყვა ავსტრალიის, მელანეზიისა და განსაკუთრებით ცენტრალური აფრიკის ზოგიერთ ჩამორჩენილ ტომებს. ეს საშინელი ჩვეულება არ აღმოიკვეთა ისევ და ისევ იმ ევროპელი ხალხების დაუდევრობით, რომელნიც ავსტრალიისა და აფრიკის ხალხებთან მიდიოდნენ არა როგორც ცივილიზატორები, არამედ როგორც მყვლეფელები და წამგლეჯები. **ჩვენს საუკუნეში გრანდიოზული მასშტაბით გავრცელდა კანიბალიზმი ჩრდილო ამერიკაში არა ესკიმოსების ან ინდიელების წრეებში, არამედ ამერიკული მილიარდერების მთავრობის თეთრ სასახლეში, ამერიკული დიპლომატიის, მწერლობის, ჟურნალისტიკის „მაღალ“ სფეროებში.**

რენესანსის დროს ზოგიერთი ჰუმანისტი საქვეყნოდ ქადაგებდა ცხოველები და ფრინველები ჩვენი უმცროსი ძმები და დებია; ამიტომაც მათ გულმოწყალედ მოვექცეთო.

**ჩვენს საუკუნეში გრანდიოზული მასშტაბით გავრცელდა კანიბალიზმი ჩრდილო ამერიკაში არა ესკიმოსების ან ინდიელების წრეებში, არამედ ამერიკული მილიარდერების მთავრობის თეთრ სასახლეში, ამერიკული დიპლომატიის, მწერლობის, ჟურნალისტიკის «მაღალ» სფეროებში**

## აშშ, რომელიც უმწეო და უიარაღო ერების ძვლებზეა აგებული, ერთი დაკვრით მოევლინა კაცობრიობას, როგორც მორალის მასწავლებელი და ახალი წესრიგის დამამყარებელი, როგორც ხალხთა დიდი არეოპაგის თავკაცი და სჯულმდებელი

ეს ამბავი ჩვენს ეპოქაში ჟღერს როგორც ბალღის მიამიტური ტიტინი. ისეთ ეპოქაში, როცა ვითომდაც ცივილიზებული ქვეყანა, რომელსაც „ახალ სამყაროს“, „თავისუფლების ნავსაყუდელს“ უწოდებდნენ ოდესღაც, გეორგ ვაშინგტონისა და ბენიამინ ფრანკლინის ქვეყანა, კანიბალიზმის კლასიკურ ქვეყნად იქცა.

აშშ სატახტო ქალაქის — ვაშინგტონის ცენტრში, ცხენზე ამხედრებული გეორგ ვაშინგტონის მონუმენტის გავწვრივ აღმართულია ოთხი ქანდაკება — მშვიდობისა, ომისა, კოლუმბისა და ცივილიზაციისა.

ინგლისელი ისტორიკოსი კარლაილი თავის ცნობილ შრომაში „საფრანგეთის რევოლუცია“ მოგვითხრობს: „როცა ერთი იაკობინელი გილიოტინისკენ მიჰყავდათ, მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ნაღვლიანად ჩაუარა თურმე თავისუფლების ძეგლს, პარიზის ერთ-ერთ მოედანზე დადგმულს, და სასოწარკვეთილად წამოიძახა: „ჰოი, თავისუფლებავ, დახე, რას ჩადიან შენი სახელით“. **ჩვენ, თანდამსწრენი ამერიკული კანიბალიზმის გაუგონარი პრაქტიკისა, მაკარტურისა და რიჯუეის მიერ კორეაში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტისა, ისეთი ამაზრზენი ბარბაროსობისა, რომლის ასაწერად არც ერთ დიდოსტატს სიტყვისა და ფერწერის ძალა არ ეყოფა, უფრო მეტი აღშფოთებით შეგვიძლია წამოვიძახოთ:**

**ო, კეთილშობილო რაინდო და დიდო ტრიბუნო, გეორგ ვაშინგტონო, ცივილიზაციავ, კოლუმბო და თავისუფლებავ, დახეთ, რას ჩადიან თქვენი სახელით უოლ-სტრიტის განგსტერები, ცივილიზებული კანიბალები!**

ჩვენ ყოველდღე ვათვალიერებდით გაზეთებს, ვკითხულობდით ამერიკელი ჰაერის მეგობრეების მიერ კორეაში ჩადენილი ამაზრზენი მხეცობის ამბებს. ვათვალიერებდით გასრესილი ბალღების, ქალებისა და მოხუცების ცხედრებს, დანგრეული სოფლებისა და ქალაქების სამწუხარო ფოტოსურათებს და თავს ვეკითხებოდით ხანდახან: ხომ არ მოსულა ისეთი დრო, როცა კაცობრიობამ დასწყევლოს ფლორენციელი ვარსკვლავთმრიცხველი და გეოგრაფი პაოლო ტოსკანელი და მამაცი მეზღვაური ქრისტეფორე კოლუმბი?

გასულ საუკუნეში, როცა ინგლისელები თავს დაესხნენ ბურებს, მთელი ევროპა აღშფოთდა ამ ძალადობისაგან, მრავალი ქვეყნიდან და მათ შორის საქართველოდანაც წავიდნენ ვაჟკაცები ბურების მისაშველებლად. ცივილიზებული ევროპა კი გულგრილად შესცქეროდა, თუ როგორ ანადგურებდა ამერიკის ავიაცია კორეის უბედურ ხალხს, ამას ხედავდა ვითომდაც ქრისტეს მოსაყდრე ამ მიწაზე რომის პაპი, დამშვიდებული განაგრძობდა თავის სანიადაგო ლოცვების ბუტბუტს წმინდა პეტრეს ეკლესიაში, რომში, და უნებურად პირზე მოადგებოდა ადამიანს ციცერონისეული სიტყვები: O tempora, o mores! ო, დრონო, ოი, ჩვევანო!

ინკვიზიციის ეპოქაში შუა საუკუნის ბნელმეტყველები ზანგებს თვლიდნენ ბიბლიური ქამის დაწყევლილ შვილად, სატანის ორეულად, რომელიც სამხრეთში ისევე გაშავდა, როგორც ზოგიერთი ნადირი, მაგალითად, დათვი ყინულისაგან ოკეანეში თეთრდება ხოლმე. **ასეთი ობსკურანტიზმის შედეგია ზანგების დისკრიმინაცია ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის ამბავი, რომ ვითომდაც ცივილიზებულ ქვეყანაში ზანგებს განცალკევებული სათავსოები აქვთ მიჩნეული რესტორანებში, სასტუმროებში, ტრამვაებში და თვით წყაროებზედაც, ასეთ წარწერას აკეთებენ: „This site for white only!“ — „ეს მხარე მხოლოდ თეთრებისათვისაა განკუთვნილი“, სამარცხვინოა!**

გერმანელი მწერალი ჰერდერი, რომელიც ჩვენი თანადროულობის თვალსაზრისით არცთუ რადიკალურ მოაზროვნედაა მიჩნეული, თავის შრომაში „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის“ ასეთ მოსიყვარულე სიტყვებს მიუძღვნის ზანგს: „მე შავკანიანი ვარ, მხოლოდ და მხოლოდ პირველყოფილი კაცი. მე ძალოვანად დამდაღა სიცოცხლის პირველსათავემ — მზემ, ყველაფერი, რაც მე გარს მარტყია, ასევე ძლიერად დაუტვიფრავს მას. დახეთ ჩემს მიწას, მოოქროვილი ნაყოფით აღვსილს, დახეთ ცამდის აწვდილ ჩემს ხეებს, ჩემს ძლიერ ცხოველებს. ყველა კავშირი ჭარბი სიცოცხლითაა აღვსილი ჩემს ქვეყანაში და მეც ამიტომ გავხდი სიცოცხლის ქმედობის ცენტრად“.

დიდმა ლენინმა საკადრისი შეფასება მისცა ზანგების დისკრიმინაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში:

„საერთოდ, ზანგების მდგომარეობა ამერიკაში ცივილიზებულ ქვეყნისთვის შეუფერებელი რამ არის. სირცხვილი ამერიკას ზანგების ასეთი მდგომარეობისათვის!“ (ვ. ლენინი, ტ. 18, გვ. 509).

**ამერიკულ მაშინერიასა და მფრინავ ციხეებზე მეტ საფრთხეს უმზადებს კაცობრიობას ამერიკული ნეოფაშისტური იდეოლოგია, რომელიც წარმოადგენს ევროპული რეაქციის უკუფენას. ამ უკანასკნელის მთავარი შტაბი იყო ბისმარკისა და მოლტკეს მიერ შექმნილი პრუსიული პაოლიციური სახელმწიფო, რომელმაც შეაკოწიწა გერმანიის იმპერია.** თავადმა ბისმარკმა თავი ისახელა პოლონეთისა და ელზასის ხალხთა ჩაგვრით, თავისი ცნობილი თეორიით — „სისხლი და რკინა“ და პანგერმანისტული ილუზიებით, რომელნიც ტრამპლინად გაიხადა მანიაკმა ადოლფ ჰიტლერმა.

იგივე ბისმარკი უნდა ჩაითვალოს ვანდალიზმის ფუძემდებლად; საფრანგეთ-გერმანიის ომის დროს ვილჰელმ პირველის სასახლის შიმუნვარები შემოესივნენ ბისმარკს და შეეკითხნენ: საქმე რომ მისჭირდეს, თავადო, ზარბაზნებს რაიმსის ტაძარს ხომ არ დაუშენთო? — „ალა გერ, კომ ალა გერ, მედამმ“. — „ომში ისევე მოვიქცევით, როგორც ომი მოითხოვსო“, — მიუგო ბისმარკმა.

როგორც ვიცით, ბისმარკს არ დასცალდა რაიმსის დანგრევა, მაგრამ გაცოფებული ჰიტლერის შტურმბატალიონებმა არაერთი ბრწყინვალე ძეგლი დალეწეს საფრანგეთსა და ბელგიაში, მათვე შემუსრეს რუსული არქიტექტურის შედევრები ნოვგოროდში, არც მათ დასცალდათ, თორემ იგივე ბედი მოელოდა მრავალ ბრწყინვალე ძეგლს მთელ ჩვენს კავშირში.

ბისმარკისა და მოლტკეს პანგერმანისტული იდეები ნაკარნახევია გერმანელი ნაციონალისტი ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების მიერ.

ფაშიზმი სწორედ იქ იწყება, სადაც რომელიმე წინამძღოლი რომელიმე ერისა სხვა ერების ძაგებას მოჰყვება და იმის მტკიცებას შეუდგება, ჩემი ხალხი ყველა ხალხზე უფრო მაღლა დგასო. აქვე იბადება ნიცშესეული „ნებისყოფა ბატონობისადმი“ — „დელ ვილლე ცურ მახტ“, ე.ი. სხვაზე გაბატონებისაკენ მიდრეკილი ნებისყოფა, რომელიც თავისთავად თავკიდურია ყოველივე იმპერიალიზმისა და კანიბალიზმისა.

ამავე ნიადაგზე წარმოიშვა გერმანული რასიზმი — „არიელებად და არაარიელებად“ დაყოფა კაცობრიობისა. ფაშისტური იდეოლოგიის გავრცელებას მწერლობაში დიდად შეუწყვეს ხელი ფრიდრიხ ნიცშემ, ჰუსტონ ჩემბერლენმა, გრაფ კაიზერლინგმა, ვენელმა „ფსიქოანალიტიკოსმა“ ზიგმუნდ ფროიდმა. არ დაგვავიწყდეს დონატენ ალფონს ფრანსუა მარკიზ დე სად, რომელმაც სახელი გაითქვა არა თავისი უნიჭო რომანებით „ჟუსტინ“, „ჟიულიენ“ და სხვა, არამედ საკუთარი სხეულისა და თავისი ეროტიული ორგიების ობიექტების წვალებით, რისთვისაც ნაპოლეონ ბონაპარტემ საპყრობილეში ჩააგდო იგი. ამ მარკიზის სახელთან დაკავშირებულია სადიზმი. მისი ღირსეული ორეულია ებრაელი მწერალი ზახერ მაზოხ, რომელმაც თავი ისახელა ულტრა-პორნოგრაფიული მოთხრობებით. ამ უკანასკნელმა წარმოშვა მაზოხიზმი.

**დასასრული
შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საიფ ალ-ისლამ კადაფი ლიბიაში მამამისის რეჟიმის დამხობის შემდეგ დაიჭირეს და მან სწორედ მაშინ განაცხადა: „სარკოზიმ ჯერ ფული უნდა დააბრუნოს, ის ფული, რომელიც ლიბიისაგან მიიღო საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. ჩვენ დავაფინანსეთ იგი, ჩვენ ყველა მტკიცებულება გვაქვს და მზად ვართ ამ მტკიცებულებების დემონსტრირებისათვის.**



# როგორ გაყიდა სარკოზიმ კადაფი

**დაკარგა რა საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ გამარჯვების უკანასკნელი იმედი, საფრანგეთის აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა მიიღო — გამოჩნდა იმის ახალი მტკიცებულებები, რომ პოლკოვნიკმა კადაფიმ 68 მილიონი აშშ დოლარი გაიღო მისი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიისათვის, რის წყალობითაც მოვიდა კიდეც ქვეყნის სათავეში ბატონი ნიკოლა.**



ფრანგული კანონმდებლობა პრეზიდენტობის კანდიდატებს უკრძალავს საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიისათვის ვინმესგან 10 ათას ამერიკულ დოლარზე მეტი შემოწირულობის მიღებას. ერთ-ერთი ინტერნეტ-საიტის მტკიცებით, მსხვილი შემოწირულობა პანამასა და შვეიცარიაში არსებული საბანკო ანგარიშების საშუალებით გათეთრებული ფული იყო. ამჟამად საფრანგეთის საზოგადოება უდიდეს ზეწოლას ახდენს სარკოზიზე, მისი ოპონენტები კი მუდმივად მოითხოვენ, განმარტოს ესოდენ დამაჯერებელი მტკიცებულებები.

დოკუმენტში, რომელიც პარიზში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ და ლიბიის აწ გარდაცვლილმა ლიდერმა დადეს უკანონო ფინანსური გარიგება, რომლის შედეგადაც 2007 წელს ხელისუფლებაში მოვიდა სარკოზი. დოკუმენტში, რომელიც არაბულ ენაზეა შედგენილი და რომელსაც 2006 წელს ხელი მოაწერა იმხანად კადაფის დაზვერვის სამსახურის უფროსმა მუსა კუსამ, შეთანხმების შესახებაა მოთხრობილი. **კუსა წერს, რომ პოლკოვნიკი კადაფი საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატს — ნიკოლა სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიისათვის 50 მილიონზე მეტის გამოყოფას დაჰპირდა.**

ზემოხსენებული მტკიცებულებები სწორედ მაშინ გამოჩნდა, როდესაც სარკოზის პრეზიდენტობისათვის ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა ელოდა. უახლოეს დღეებში უნდა გადაწყვეტილიყო, თუ ვინ გახდებოდა ორი მთავარი კანდიდატიდან საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი. სარკოზის წარმოუდგენელ კრახს უწინასწარმეტყველებდნენ — მისმა ოპონენტმა და ამჟამად უკვე საფრანგეთის არჩეულმა პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა წინასწარ გამოკითხვებში მოქმედ პრეზიდენტზე 10%-ით მეტი ხმა მოიპოვა.

ფრანგული საიტი „Mediapart“-ი იტყობინებოდა, რომ ინფორმაცია სარკოზის მიერ კადაფისაგან დიდძალი თანხის მიღების შესახებ ამჟამად ქვეყნის მმართველი ლიბიის გარდამავალი ნაციონალური საბჭოს მაღალი თანამდებობის პირებისაგან მიიღო.

ოლანდის პრესმდივანი აცხადებდა, რომ ლიბიელი დიქტატორის გარემოცვიდან მიღებული ესოდენ დამაჯერებელი და სერიოზული ბრალდებების პირობებში ნიკოლა სარკოზიმ ახსნა-განმარტებები არ უნდა წარმოადგინოს ფრანგი ხალხის წინაშე. უკანასკნელ პერიოდში საფრანგეთის პრესაში რამდენიმე კონკრეტული მასალა გამოქვეყნდა პოლკოვნიკ კადაფის რეჟიმთან საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ.

ზემოხსენებულ საიტზე ასევე გამოქვეყნდა ინფორმაცია ლიბიაში სარკოზისა და მისი კოლეგების მრავალრიცხოვანი ვიზიტების შესახებ. ამ ვიზიტებიდან ერთ-ერთი 2005 წლის 6 ოქტომბერს შედგა, სწორედ ამ ვიზიტიდან სულ ცოტა ხანში დაფინანსდა ნიკოლას წინასაარჩევნო კამპანია.

**2005 წელს ბატონი სარკოზი საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პერსპექტიულ თანამდებობაზე მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ლიბიელი დიქტატორისგან ნაღდი ფულის მიღება საფრანგეთის კანონმდებლობის უხეშ დარღვევად ითვლება, ბატონი სარკოზი წინასაარჩევნო კამპანიისთვის ფულის შეგროვებით იყო დაკავებული.**

როგორც საიტი ირწმუნება, **ზემოხსენებული 50 მილიონი დოლარი საბანკო ანგარიშების წყალობით გათეთრდა. ამ ანგარიშებს შორის იყო შვეიცარული ანგარიში, რომელიც საფრანგეთის მმართველი პარტიის — „UMP“-ის ლიდერისა და ნიკოლა სარკოზის მარჯვენა ხელის — ჟან-ფრანსუა კოპეს დის სახელზე იყო გახსნილი. შემდეგ ზემოხსენებული ფული გადაიგზავნა იარაღით მოვაჭრე ვინმე ზიად ტაკიედინის ხელით. ეს უკანასკნელი ლიბიელ პოლკოვნიკსა და ფრანგ პოლიტიკოსებს შორის შუამავალი გახლდათ.**

**პირველად ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კადაფიმ დააფინანსა ნიკოლა სარკოზის წინასაარჩევნო კამპანია, გასულ წელს გაავრცელა პოლკოვნიკის ვაჟმა საიფ ალ-ისლამ კადაფიმ. ეს უკანასკნელი ლიბიაში მამამისის რეჟიმის დამხობის შემდეგ დაიჭირეს და სწორედ მაშინ განაცხადა: „სარკოზიმ ჯერ ფული უნდა დააბრუნოს, ის ფული, რომელიც ლიბიისაგან მიილო საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. ჩვენ დავაფინანსეთ იგი, ჩვენ ყველა მტკიცებულება გვაქვს და მზად ვართ ამ მტკიცებულებების დემონსტრირებისათვის. პირველი, რაც ჩვენ გვინდა, რომ ამ ჯამბაზმა გააკეთოს, არის ის, რომ დაუბრუნოს ფული ლიბიელ ხალხს. სარკოზიმ დახმარება მიიღო იმისათვის, რომ თავის მხრივ შეძლებოდა ჩვენი დახმარება, მაგრამ მან იმედი გაგვიცრუა. დაგვიბრუნე ჩვენი ფული!“**

ფრანგული საზოგადოება შოკირებული იყო, როდესაც 2007 წელს კადაფის პარიზში ვიზიტი მოუწყვეს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, კადაფის მიენიჭა წოდება საფრანგეთის პრეზიდენტის „ძმა-ლიდერი“ და ნება დართეს, ელისეის სასახლის გვერდით დაედგა თავისი კარავი.

როგორც ჩანს, მტკიცებულებები, რომლებიც ახლა საფრანგეთის პოლიციას გადაეცემა, მოპოვებულ იქნა ვინმე ტაკიედინის მოღვაწეობის ძიების პროცესში. როგორც იარაღის დილერის ექიმმა დიდიე გროსკოპფმა განაცხადა, ის თავად იყო მოწმე საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისა.

**როგორც ფრანგული სახელმწიფოს ლიდერი, სარკოზი პასუხისგებაში მიცემული ვერ იქნებოდა, მაგრამ ვინაიდან მან უკვე წააგო საპრეზიდენტო არჩევნები, ფრანგ გამომძიებლებს განუმეორებელი შანსი მიეცემათ იმისათვის, რომ სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის მთელი დაფინანსება გამოიძიონ.**

ნიკოლამ თავისი მეგობარი კადაფი გაყიდა „არაბული გაზაფხულის“ გარიჟრაჟზე. მკაცრი სამხედრო კამპანიისას, რომელიც ლიბიის ლიდერის მკვლელობით დასრულდა, ფრანგულმა გამანადგურებლებმა პირველებმა დაუშინეს კადაფის ტანკებს.

**Daily Mail**

# დიდი წმენდა და ახალი წესრიგი

**როგორც ოფიციალურ დოკუმენტებშია ნათქვამი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რიო-დე-ჟანეიროში თავის კონფერენციას „მდგრადი განვითარება“ უპრეცენდენტო მასშტაბების ძალაუფლების აკუმულირებისათვის გამოიყენებს და შეუდგება ცივილიზაციის, გლობალური ეკონომიკისა და თვით ადამიანთა აზრების რეფორმირებას. ეს ყოველივე „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლის ეგიდით განხორციელდება.**



იმ ახალ სფეროებს შორის, რომლებზეც საერთაშორისო ორგანიზაცია თავისი ძალაუფლების გავრცელებას აპირებს, შეგვხვდება ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, „გადასახადი ნახშირორჟანგის გამოყოფისათვის“. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს — ადამიანური ცხოვრების აბსოლუტურად არც ერთი სფერო არ დარჩება ახალი სქემის მიღმა.

გლობალური ტრანსფორმაციის პროგრამა აღწერილია ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ მოხსენებაში, რომლის სახელწოდებაა „მუშაობა ბალანსირებული და ყველაფრის მომცველი „მწვანე ეკონომიკის“ მიმართულებით: გაერთიანებული ერების სისტემის ფართო პერსპექტივები“. დოკუმენტი მომზადებულია გაეროს 35-ზე მეტი სააგენტოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და ის ხსნის გლობალური ორგანოს მომავალი სამიტის ამოცანებს.

**„მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა მოითხოვს ფუნდამენტურ ცვლილებებს ჩვენს ფიქრებსა და ქცევებში“,** — ნათქვამია დოკუმენტში, რომელიც მოუწოდებს „განათლებისა“ და „ინფორმატიზაციის“ ძალისხმევათა გაფართოებისაკენ, რათა განხორციელდეს „ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევის“ ცვლილებები ცხოვრების წესში, ასევე მოხმარებისა და წარმოების მოდელებში.

მკვეთრი გადასვლა „მწვანე ეკონომიკაზე“, რომელიც საკმარისი ხარისხით ამ დრომდეც არაა განსაზღვრული, იაფი სიამოვნება არ იქნება. გაეროს შეფასებებით, ამგვარი გადასვლა წელიწადში ტრილიონობით დოლარს მოითხოვს. მთელ მსოფლიოში გაიზრდება სამომხმარებლო ფასები როგორც სურსათზე, ისე ენერგიასა და უძრავ ქონებაზე.

**„მწვანე ეკონომიკის“ მიმართულებით გლობალური ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს“,** — აღიარებულია დოკუმენტში, რომელიც „ეკოლოგიური გადასახადების“ დაწესების ინიციატივით გამოდის და ადამიანური ცივილიზაციის რესტრუქტურიზაციისათვის საჭირო უზარმაზარი სახსრების ამოღებას ამ გზით გეგმავს.

გლობალური ორგანიზაცია თვლის, რომ მხოლოდ „მწვანე ინფრასტრუქტურის“ სქემას წელიწადში ტრილიონი დოლარი დასჭირდება. ცხადია, სოფლის მეურნეობაცა და მრეწველობაც, გაეროს ჩანაფიქრის შესაბამისად, უნდა „გამწვანდეს“. ინიციატივის საერთო ღირებულება, როგორც მოსალოდნელია, წელიწადში ორ ტრილიონ დოლარს აღემატება. ამ თანხაში არაა გათვალისწინებული ეკონომიკური ნგრევა, რომელსაც გამოიწვევს ცენტრალიზებული დაგეგმარება.

**გაერო მშვენივრად აცნობიერებს, თუ რამდენად რთული იქნება ქვეყნებისათვის თავიანთი მოსახლეობიდან ფულის ამოღება ან ინვესტორების ფულის „მწვანე პროგრამებში“ გადაგზავნა. და ამ ამოცანის გადასაჭრელად მსოფლიოს, შესაძლოა, საერთაშორისო ვალუტაზე გადასვლა მოუხდეს. ეს ხელისუფლების გლობალურ ორგანოებს საშუალებას მისცემს, ბეჭდონ ფული და აფინანსონ საკუთარი ინიციატივები.**

გაეროს ამოცანისათვის მსოფლიო საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად გაეროს ფარგლებში ორგანიზაციებმა განათლების მხარდაჭერა უნდა გააძლიერონ. ასევე უნდა გაძლიერდეს იმ კულტურების მხარდაჭერა, რომლებიც ინტეგრირებულნი უნდა იყვნენ „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლაში. მომავალ კაცობრიობას — ახალგაზრდობას უნდა ასწავლონ ადამიანის ქმედებებით განპირობებული გლობალური დატბობის საშიშროებები. ასევე ბავშვებს უნდა ასწავლონ, რომ გაეროსთვის აუცილებელია ამ სავარაუდო პრობლემის გადაჭრა.

**ცხადია, გლობალური ტრანსფორმაცია უმუშევარს უამრავ ადამიანს დატოვებს და გაერო ამას აღიარებს. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული არსებობის სახსრების არარსებობა, რასაც „მწვანე“ სქემის დანერგვა განაპირობებს, დოკუმენტი ფართო წრეებისათვის სოციალური მხარდაჭერის პროგრამებს ითვალისწინებს. ამ წრეებში სამსახურდაკარგული ადამიანები შედიან.**

„ზომები, რომლებიც მიმართულია ყველაზე სუსტი ჯგუფების მხარდასაჭერად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური ინტეგრაციის მისაღწევად, რესტრუქტურიზაციის ამოცანის უზრუნველყოფისათვის“, — აღნიშნულია მოხსენებაში, — „სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ პოლიტიკებს შორის შეთანხმება აუცილებელია, რათა მოხდეს შესაძლებლობათა მაქსიმალიზება და შეიქმნას ბუფერი ამ გადასვლისათვის საჭირო სოციალური დანახარჯების მხრივ. „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა საჭიროა უფრო „მწვანე“ და უფრო სამართლიანი ეკონომიკისა და საზოგადოების პროექციისათვის“.

**mixednews.ru**

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲐᲠᲐᲐ. ᲐᲨᲨ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲨᲨ ᲥᲛᲜᲘᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ.**



ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკული პოლიტიკური დისკურსი ხშირად გამოდის ამერიკული ჰეგემონიის ძლიერებაზე იმ წარმოდგენებიდან, რომლებიც სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამება. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დღითიდღე რთულდება, ვინმეს თავს მოახვიოს საკუთარი ნება, მაგრამ ჯერჯერობით მას მაინც შეუძლია, გაიყოლოს მსოფლიო. მთავარი საკითხავი ისაა, როგორ უნდა დაარწმუნოს ამერიკამ მსოფლიო, რომ გაჰყვეს მას.**

# ᲓᲐᲘᲭᲔᲠᲡ ᲗᲐᲒᲕᲡ ᲛᲥᲮᲐᲕᲐᲜᲐ ᲙᲐᲢᲐ?

აი, რამდენიმე დიდი გლობალური პრობლემა, რომელთა გადაჭრასაც აშშ ბოლო პერიოდში ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო:

ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ კორეამ მოქმედების შორეული რადიუსის რაკეტა გამოსცადა. ამერიკამ ეს გამოცდა ვერც დიპლომატიითა და ვერც მუქარით ვერ შეაჩერა.

ორ სუდანს შორის გაჩაღებული ახალი ომი იმ მყიფე მშვიდობის ნგრევაა, რომლის დამყარებაზეც ამერიკა რამდენიმე წელი მუშაობდა.

**სირიაში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა გრძელდება და ყველასათვის მისაღები გამოსავალი ამ დრომდე ვერ იპოვეს ვერც ამერიკელმა დიპლომატებმა, ვერც ამერიკელმა გენერლებმა.**

ეგვიპტის სამხედრო რეჟიმი ნელ-ნელა მკაცრდება. საქმე იმდენად ცუდადაა, რომ ამერიკა რამდენიმე კვირის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის დატყვევებული თანამშრომლების გათავისუფლებას.

პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელის ახალი დასახლებები გაჩნდა, არადა, ამერიკა ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო, რადგან მიიჩნევდა, რომ ეს ხელს შეუშლის ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას.

იემენის პრეზიდენტმა უარი განაცხადა თანამდებობის დატოვებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მან ამის შესაბამისი პირობა დადო, ამერიკამ კი ამ პირობის შესრულების გარანტია.

შექმნილი სურათი ასეთია: დაუსრულებელი ომი ავღანეთში და მშვიდობის პერსპექტივების არარსებობა;

ირანის ბირთვული მუშაობა, რომელიც ამერიკის სანქციებისა და მისი ინიციატივით განიარაღების მოლაპარაკებების მიუხედავად ძველებურად გრძელდება.

ამერიკა უძლური არაა. მან მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ კონფლიქტების დაძაბულობა და ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში სათავეში ედგა საერთაშორისო ძალისხმევას. მაგრამ იკვეთება რეალური სურათი, რომელზეც გარკვევით ჩანს, რომ **ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘᲐ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲥᲪᲔᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲑᲝᲡᲐᲓ. ᲔᲡ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲛᲑᲐᲓ ᲛᲝᲔᲩᲕᲔᲜᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲠᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲓᲘᲡᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲰᲔᲒᲔᲛᲝᲜᲘᲐᲖᲔ ᲘᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.**

თავის უმნიშვნელოვანეს საგარეოპოლიტიკურ გამოსვლებში პრეზიდენტი ობამა, ზუსტად ისევე, როგორც მისი წინამორბედები, მსოფლიო საქმეებში ამერიკის დომინირების აუცილებლობასა და აბსოლუტურობაზე საუბრობს. ცუდი არაფერია იმაში, რომ გამოაცხადო, ირანს ბირთვული იარაღის უფლება არ მიეცემა და ახლო აღმოსავლეთში დემოკრატია დამყარდებაო და არც იმაშია რაიმე ცუდი, რომ ამერიკის პრეზიდენტი ამ საკითხებზე ამერიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე მსჯელობს. ბოლოს და ბოლოს, აშშ ხომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და მდიდარი ქვეყანაა და ამის გამო ყველაზე შესაფერისი კანდიდატურაა დამხმარეს როლისთვის. მაგრამ დახმარებასა და პრობლემის მოგვარებას შორის ისეთივე განსხვავება არსებობს, როგორიც ლიდერობის შეთავაზებასა და იმას შორის, რომ მიაღწიო ლიდერობას. როგორც ჩანს, ამერიკელებს მეორე ვარიანტის სჯერათ, ისევე, როგორც ბევრ არაამერიკელს, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატები ბევრად უფრო ძლევამოსილი ჰგონიათ, ვიდრე ის სინამდვილეშია.

ნაწილობრივ ეს წარმოდგენა შიდა პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, მიტ რომნიმ ძალზე გონივრული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, როდესაც შემთხვევით ჩართულ მიკროფონთან პრეზიდენტ ობამას მიერ პრეზიდენტ მედვედევისთვის გადალაპარაკებულ ფრაზას ჩაეჭიდა. **ᲝᲑᲐᲛᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲐᲨᲨ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲣᲡᲢᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲐᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲥᲝᲑᲘᲜᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲠᲐᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲐ ᲡᲮᲕᲐ, ᲐᲠᲪ ᲗᲣ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ.**



ობამას მხრიდან პოლიტიკურად სარისკოა მოწინააღმდეგე ზესახელმწიფოსთან მკაცრი და მტკივნეული მოლაპარაკებების წარმოება იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება რეიგანისდროინდელ იდეას იმის შესახებ, რომ **ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘᲐ, ᲛᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲐᲮᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ, მაგრამ თავად რეიგანიც კი უშვებდა კომპრომისებს და ვაჭრობდა მოსკოვთან, თუმცა ისიც კი გრძნობდა, რომ არჩევნების პერიოდში ამის გაკეთება არ ღირდა.**

ასეთია უდიდესი კონფლიქტი აშშ-ის ლიდერების მიერ წარმოებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკებს შორის. პირველი თავდაჯერებულობას მოითხოვს, მეორე — შემგუებლობას. მაგრამ ისინი განუყოფლად დაკავშირებულნი არ არიან. იმის გამო, რომ ამერიკის პოლიტიკური სისტემა წინა პლანზე აყენებს ამერიკის შესაძლებლობებში მტკიცედ დარწმუნებულ ლიდერებს, იმის გამო, რომ ის აიძულებს ამ ლიდერებს, გამოიყურებოდნენ სინამდვილეში არსებულზე უფრო ძლიერებად, **ხშირად შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ამერიკას არ შეუძლია სასურველის მიღწევა. მას არ შეუძლია ისრაელის დასახლებების რაოდენობის შემცირება პალესტინაში, ირანის ბირთვული პროგრამის, სუდანში სამოქალაქო ომის, აფრიკაში შიდსის და პაკისტანში ტერორიზმის შეჩერება, მაგრამ ამერიკელი პრეზიდენტები ძველებური დაჟინებით ირწმუნებიან, რომ ამერიკა აუცილებლად გაართმევს თავს ყველა დასახულ ამოცანას.**

იყო დრო, როდესაც ჩანდა, თითქოს ამერიკას მეტი გავლენა ჰქონდა სხვა ქვეყნების ქცევაზე. 1980-იან წლებში მრავალი ქვეყანა მზად იყო, მუდამ და უცვლელად ემოძრავა ამერიკული პოლიტიკის მიერ ნაჩვენები კურსის შესაბამისად. ნაწილობრივ ეს იმასთანაცაა დაკავშირებული, რომ იმხანად ამერიკა ამ ქვეყნებს გაცილებით უბრალო მოთხოვნებით მიმართავდა: ერთია პაკისტანელი გენერლებისათვის იმის დავალება, რომ ბოევიკებს საბჭოთა ჯართან ბრძოლა ასწავლონ, და მეორეა, ამავე ქვეყანასა და მის ხელისუფლებას სთხოვო, ძალაუფლება დემოკრატიულ ინსტიტუტებს გადასცენ. **საბჭოთა კავშირის საფრთხე წარმოშობდა საერთო მიზანს, რომელიც თანამშრომლობას ბევრად უფრო მიმზიდველს ხდიდა, ამერიკულ ლიდერობას კი — უფრო სასურველს. დიდი წითელი საფრთხე, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ამერიკის ლიდერობით გააერთიანებდა, აღარ არსებობს. სხვა ქვეყნებს ამერიკა ახლა იმდენად აღარ სჭირდებათ, რამდენადაც ადრე სჭირდებოდათ.**

ამერიკისათვის სასიხარულო სიახლე ისაა, რომ მისი და გლობალური ინტერესები კვლავაც ხშირად ემთხვევა ერთმანეთს და ეს შემთხვევითი არაა. აშშ უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე სხვა ნებისმიერი ქვეყანა მსოფლიოში მშვიდობის თანამშრომლობისა და თავისუფალი ვაჭრობის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მთელ დანარჩენ მსოფლიოს აღარ სჭირდება ამერიკა საბჭოთა კავშირისაგან თავდასაცავად, მაგრამ მსოფლიოს სჭირდება პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგი, რომელსაც აშშ ქმნის. ასეთია ამერიკული ლიდერობა ახალი სახით.

როდესაც ამერიკის ინტერესები გლობალურ ინტერესებს ემთხვევა, აღმოჩნდება ხოლმე, რომ აშშ ძალზე წარმატებულად უძღვება წინ მთელ მსოფლიოს: ირანის იზოლაცია, სუდანის დარწმუნება, გამოეყო ქვეყნის სამხრეთი ნაწილი, ჩინეთის შეზღუდვა ვაჭრობის სფეროში და ასე შემდეგ — საეჭვოა, ამერიკას ეს ყოველივე დამოუკიდებლად მოეხერხებია. მაგრამ ეს ყველაფერი ამერიკის ლიდერობის გარეშეც ვერ მოხდებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲛᲔᲝᲠᲔᲑᲔᲚ ᲘᲓᲔᲔᲑᲡ.** ხანდახან აშშ-ის პრეზიდენტი თავის რუს კოლეგას გადაულაპარაკებს, რომ გარკვეულ დათმობებს შესთავაზებს, თუ რუსეთი თავისი ბირთვული იარაღის უტილიზირებას მოახდენს ან სირიისათვის იარაღის მიწოდებას შეამცირებს. ეს ყველაზე პატრიოტული ხედვა არაა ამერიკელი ლიდერების მხრიდან და მას ნამდვილად არავინ მოიწონებს პოლიტიკური კამპანიისას, მაგრამ ასეთია მსოფლიო, რომელშიც ამერიკა ცხოვრობს.

rus.ruvr.ru

## ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲔᲡ

**რუსული მედიის ცნობით, რესეთის უშიშროების სამსახურმა 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმები აღკვეთა.** ამ ინფორმაციას თავის ვებგვერდზე სიენენი აქვეყნებს. რუსეთის ოფიციალურმა პირებმა აფხაზეთის უსაფრთხოების სამსახურთან ერთად აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში თავდასხმების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავა. ისინი, სავარაუდოდ, ჩრდილო-კავკასიური დაჯგუფების „კავკასიის ემირატის“ რეგიონული ლიდერები არიან. პოლიციამ იარაღი, მათ შორის ორი ტანკსაწინააღმდეგო მოწყობილობა და ცეცხლსატყორცნები, ამოიღო. ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის ინფორმაციით, მებრძოლები იარაღის ზღვისპირა ქალაქ სოჭში გადაზიდვასა და ოლიმპიური თამაშების დროს ტერორისტულ თავდასხმებს გეგმავდნენ.



## ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲡᲐᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲚᲝ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ

**სირიაში გაეროს სადამკვირვებლო მისიის კოლონასთან ახლოს ბომბი აფეთქდა. კოლონას გაეროს დამკვირვებლები და მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი სამხრეთ სირიაში გადაჰყავდა.** სიენენის ინფორმაციით, დამკვირვებელთა შორის არ არიან დაშავებულები, თუმცა, სირიის მთავრობის განცხადებით, 10 სირიელი ჯარისკაცი დაიჭრა. სირიული არმიის ესკორტი გაეროს დამკვირვებლებს დამასკოდან დარაში აცილებდა. გაეროს სადამკვირვებლო მისიების მიზანი იყო, განეხორციელებიათ მონიტორინგი ცეცხლის შეწყვეტასა და კოფი ანანის ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმის შესრულებაზე. სირიაში მომხდარ აფეთქებას გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი გამოეხმაურა. „ეს შეტევა არის მიუღებელი, დღევანდელი ინციდენტი არის მაგალითი იმისა, რასაც სირიელი ხალხი 15 თვის განმავლობაში უძლებს. ეს არის დამამტკიცებელი საბუთი იმ სიძნელეებისა და საფრთხის, რაც გაეროს დამკვირვებლებს აკისრიათ“, — განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

## ᲑᲠᲔᲘᲕᲘᲙᲡ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲔᲡᲠᲝᲚᲔᲡ

**კუნძულ უტოიაზე ანდერს ბრეივიკის მიერ მოკლული ერთ-ერთი ახალგაზრდის ოჯახის წევრმა ნორვეგიელ ტერორისტს სასამართლო დარბაზში ფეხსაცმელი ესროლა.** ფეხსაცმელი ბრეივიკის ადვოკატს მოხვდა. მამაკაცმა, რომელმაც ფეხსაცმელი ისროლა, დაიყვირა: „ეშმაკმა წაგიღოს, შენი ადგილი ჯოჯოხეთშია!“ ინციდენტს დარბაზში შეკრებილების მხრიდან აპლოდისმენტები მოჰყვა, თუმცა მოსამართლე იძულებული გახდა, სასამართლო პროცესი შეეჩერებია. შეგახსენებთ, რომ 77 ადამიანის მკვლელობაში ბრალდებული ანდერს ბრეივიკის სასამართლო პროცესი ოსლოში განახლდა. სასამართლო პროცესზე ტერაქტის შედეგად დაღუპული ქართველი სტუდენტის — თამთა ლიპარტელიანის მამა — ავთანდილ ლიპარტელიანიც დაიკითხება.

## ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲝᲨᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲨᲔᲘᲬᲘᲠᲐ

**სირიაში მომხდარმა აფეთქებებმა ათობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ინფორმაციას ამის შესახებ სირიის ტელევიზია ავრცელებს.** ყველა აფეთქება ქალაქის იმ ტერიტორიაზე მოხდა, სადაც სირიის სპეცსამსახურების შტაბ-ბინებია განლაგებული. სირიის ტელევიზიამ მომხდარს ტერაქტი უკვე უწოდა. მათივე ინფორმაციით, აფეთქებების შედეგად დამწვარია ათობით ავტომობილი. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთ-ერთი აფეთქების ადგილზე 3 მეტრის სიღრმის ორმო დარჩა.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავისი წყაროების საშუალებით ჰაგმანმა დაადასტურა რიკარდსის თეზისები ჩინელებისგან (რომელთაც აშშ-ის სახაზინო ვალდებულებების უდიდესი წილი ეკუთვნით) და რუსებისგან (რომლებიც აცხადებენ, რომ აშშ დოლარის მიმზიდველ ალტერნატივად ოქროთი უზრუნველყოფილ რუბლს გაუშვებენ ბრუნვაში) მომდინარე დოლარის კოლაფსის საშიშროების შესახებ. ეს იქნება ჩინეთისა და რუსეთის პასუხი ამერიკის აგრესიულ საგარეოპოლიტიკურ კურსზე ირანთან და სირიასთან მიმართებაში, რომლებიც ჩინეთისა და რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ.**



# ამერიკა მასშტაბური სამოქალაქო ომისთვის ემზადება



**რადიო „TruNews“-ის ეთერით გადაიცა ინტერვიუ კერძო გამომძიებელ დუგ ჰაგმანთან, რომლის თქმითაც, საიმედო და მაღალი რანგის წყარომ მას უამბო, თუ როგორ ემზადება შიდა უშიშროების სამინისტრო აშშ-ში „მასშტაბური სამოქალაქო ომისთვის“.**

„ჩვენ პრობლემები გვაქვს. ფედერალური ხელისუფლება სამოქალაქო მღელვარებებისთვის ემზადება. ყოველთვის, როდესაც გესმით ჩვენი სამხედრო ძალების ან აღჭურვილობის დისლოკაციის ადგილის შეცვლის შესახებ, პოლიციის მილიტარიზაციის, იარაღის შეძენის ან რაღაც ამგვარის შესახებ, იცოდეთ, რომ შიდა უშიშროების სამინისტრო მასობრივი ბუნტებისთვის ემზადება“.

ჰაგმანი ირწმუნება, რომ მისი წყაროს თქმით, **შიდა უშიშროების სამინისტროს მღელვარება გამომდინარეობს დოლარის დაცემის საფრთხიდან და მთავარი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ჰიპერინფლაციური კოლაფსის მოსალოდნელობიდან.** ამ ყველაფრის შედეგები ამერიკის 311-მილიონიან მოსახლეობაზე აისახება, ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი კი მნიშვნელოვანწილადაა შეიარაღებული.

საბერძნეთში მომხდარი ამბოხებებიც პრობლემაა, მაგრამ შეიარაღებული ამერიკელების აჯანყება ეროვნული უშიშროებისათვის სერიოზული საკითხი გახდება, რასაც დაეთმო კიდეც ყურადღება პენტაგონის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ანგარიშში, და წიგნის „სავალუტო ომები: შემდეგი გლობალური კრიზისის შექმნა“ ავტორის ჯიმ რიკარდსის თანახმად, ეს ყოველივე გამოყოფილ იქნა აშშ-ისთვის საფრთხისა და სუსტი წერტილის სახით გასულ წელს თავდაცვის სამინისტროს სწავლებების დროს მინესოტაში.

**თავისი წყაროების საშუალებით, ჰაგმანმა დაადასტურა რიკარდსის თეზისები ჩინელებისგან (რომელთაც აშშ-ის სახაზინო ვალდებულებების უდიდესი წილი ეკუთვნით) და რუსებისგან (რომლებიც აცხადებენ, რომ აშშ დოლარის მიმზიდველ ალტერნატივად ოქროთი უზრუნველყოფილ რუბლს გაუშვებენ ბრუნვაში) მომდინარე დოლარის კოლაფსის საშიშროების შესახებ. ეს იქნება ჩინეთისა და რუსეთის პასუხი ამერიკის აგრესიულ საგარეოპოლიტიკურ კურსზე ირანთან და სირიასთან მიმართებაში, რომლებიც ჩინეთისა და რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ.**

„ერთ-ერთ წყაროს 1979 წლიდან ვიცნობ. მუშაობა საპატრულო ოფიცრის რანგში დაიწყო და ახლა მუშაობს შიდა უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ფედერალურ სააგენტოში. მისი თანამდებობა საშუალებას აძლევს, იყოს იმის საქმის კურსში, თუ როგორი პოლიტიკა ხორციელდება და როგორი პოლიტიკაა დაგეგმილი. მისი თქმით, ის, რასაც ახლა ვხედავთ, მხოლოდ აისბერგის წვერია. ჩვენ ვემზადებით, ვგულისხმობ, რომ ხელისუფლება ემზადება მასშტაბური სამოქალაქო ომისათვის“, — აცხადებს ჰაგმანი და დასძენს, რომ ამაში გადაჭარბებული არაფერია.

მისი სიტყვები ექოსავით იმეორებს ტრენდების კვლევის ინსტიტუტის ▶

# ინსტრუქცია ინტერვენციისთვის

**23 აპრილს პრეზიდენტმა ობამამ გამოაცხადა, რომ იქმნება საბჭო, რომელიც თავიდან აიცილებს მასობრივ ბოროტმოქმედებებს და განახორციელებს ახალ ინიციატივებს უწყებათაშორისი სტრატეგიების და ჩარევის მეთოდების შესამუშავებლად მასობრივი მკვლელობების თავიდან აცილების მიზნით. პრეზიდენტის დირექტივაში „PSD-10“ და საპრეზიდენტო ბრძანებაში, რომელზეც დაფუძნებულია ეს ქმედებები, სამართლიანად აღინიშნება, რომ აშშ-ის ხელისუფლებას არასდროს ჰქონია ყოვლისმომცველი სტრატეგია მასობრივი ბოროტმოქმედებების თავიდან ასაცილებლად, მიუხედავად იმისა, რომ „კიდევ ერთხელ ამის დაუშვებლობის“ შესახებ მოწოდებები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არაერთხელ გაისმა.**





**ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილების საბჭო, რაც უნდა კეთილშობილური იყოს მისი მიზნები აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მილიტარიზაციის ილუსტრირებაა**

ძალზე ძნელია პრეზიდენტის ნებისმიერი ძალისხმევის გაკრიტიკება, რომელიც მოწოდებულია ადამიანის უფლებათა დამრღვევებზე ზეწოლისაკენ, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როდესაც ამდენი ქვეყნის მოსახლეობა უცხადებს ავტოკრატიულ ხელისუფლებებს, რომ სურს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკუთარი ბედი. ძნელია იმ საერთო ლოგიკის შესახებ დავაც, რომელიც ობამას განცხადების უკან დგას და რომლის თანახმადაც აშშ და მისი მოკავშირეები არასდროს ყოფილან მზად მასობრივი ბოროტმოქმედებების თავიდან აცილებისთვის, თუმცა გაცილებით მარტივია იმ საფრთხის წარმოდგენა, რომელიც ელის მსოფლიოს იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები ბოლოს და ბოლოს გაამყარებს სიტყვას საქმით და ჩარევისათვის ინფრასტრუქტურას შექმნის.

თეთრი სახლის დოკუმენტებში, რომლებიც პოლიტიკის გადახედვას ეხება, გამოვლინდა რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც აშშ-ის მხრიდან მასობრივ ბოროტმოქმედებებზე რეაგირების უუნარობის უკან დგას. ყველა ეს მიზეზი შეიძლება იქამდე იქნეს დაყვანილი, რომ აშშ-ის ხელისუფლებაში არა ერთიანი უწყება, რომელიც პასუხს აგებს ამგვარ ქმედებებამდე მიმავალი სიტუაციების მონიტორინგსა და შესაბამის ზომებზე. ამგვარი სისტემის არარსებობის დროს კი, როგორც კი ხელისუფლება გააცნობიერებს პრობლემის არსებობას, ეფექტური ამერიკული რეაქციის კოორდინაციისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისოზე, უკვე ძალიან გვიანია. ამიტომ პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებული მეთოდები აბსოლუტურად გონივრულია, თუკი მიზანი სხვა ქვეყნების საქმეებში უფრო ხშირი ჩარევაა.

უკიდურეს შემთხვევაში **არსებობს სამი მიზეზი ბოროტმოქმედებების თავიდან ასაცილებელი საბჭოს გამო შეშფოთებისათვის. ჯერ ერთი, თუ ის ისე იმუშავებს, როგორც მისი შემქმნელები იმედოვნებენ, მომავალში ინტერვენციები მნიშვნელოვნად გახშირდება. ხელისუფლებაში გაჩნდება უფრო ძლიერი ინტერვენციული ლობი, გაჩნდება ინსტრუმენტები ინტერვენციის გასამართლებლად, მთელი მსოფლიოს ქვეყნების მცხოვრებთ კი, იგრძნობენ რა საფრთხეს, შესაძლოა, უფრო მეტად გაუჩნდეთ დახმარების იმედი.** როგორც „PSD-10“-შია აღნიშნული, „მასობრივი ბოროტმოქმედებისა და გენოციდის თავიდან აცილება ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმთავრესი ინტერესია ნაციონალური უსაფრთხოების სფეროში და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მორალური ვალდებულება“.

არავის სურს მასობრივი ბოროტმოქმედებების გამეორება, მაგრამ მრავალ ადამიანს ეჭვი ეპარება იმაში, რომ მათი თავიდან აცილება აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სფეროს ან მორალური ვალდებულებების უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს. ის, რისკენაც ობამა მოუწოდებს, სხვა ქვეყნის საქმეებში ჩარევას სხვა ვარიანტის აურჩევლობის შემთხვევაში ერთადერთ გამოსავლად აქცევს.

ახლა იმის ნაცვლად, რომ დამტკიცდეს ჩარევის მიზანშეწონილობა, პრეზიდენტს დასჭირდება ჩაურევლობის მიზანშეწონილობის დამტკიცება. ეს, თავის მხრივ, აყენებს საკითხს, რომელზე პასუხსაც არ შეიცავს პრეზიდენტის უკანასკნელი ბრძანებულება: რომელ მასობრივ მკვლელობებზე გვაკისრია პასუხისმგებლობა? რა ითვლება მასობრივ მკვლელობად? რატომაა, რომ სირიაში 9 ათასი ადამიანის მკვლელობა თითქმის საკმარისია ჩარევისათვის და კონგოს რამდენიმე მილიონი — არა? იმ პირობების მკვეთრი განსაზღვრის გარეშე, რომელთა შემთხვევაშიც იმოქმედებს აშშ მასობრივი მკვლელობების თავიდან აცილების მიზნით, ეს ინიციატივა პოლიტიკურ თეატრს უფ- ▶

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკულ სკოლებში ნამდვილად არ ასწავლიან ბავშვებს კრიტიკულ აზროვნებას, არ აძლევენ იმის გაცნობიერების შანსს, რომ მათ უნდა იცხოვრონ, როგორც თავისუფალმა მოქალაქეებმა ქვეყანაში, რომელიც ერთ დროს თავისუფლების სამშობლოდ ითვლებოდა.**

◀ დამფუძნებლის — ჯერალდ სელენტეს სიტყვებს. სელენტე აშშ-ის დოლარის კოლაფსსა და ამერიკაში არეულობებს მიმდინარე წელს ელის.

„სამოქალაქო ომის“ შესახებ სელენტეს შარშანდელი პროგნოზების შემდეგ პრეზიდენტმა ობამამ ხელი მოაწერა და კანონად აქცია კანონპროექტები „NDAA“ და „NDRP“ (კანონი ნაციონალური თავდაცვის მიზნებისათვის უფლებამოსილების შესახებ და კანონი თავდაცვის შემთხვევაში ნაციონალური რესურსების მომზადების შესახებ).

სულ ახლახან შიდა უშიშროების სამინისტროს მიერ მოთხოვნილმა 450 მილიონმა ექსპანსიურმა ტყვიამ მხოლოდ ნავთი დაასხა ამერიკაში მოსალოდნელი ტრაგიკული მოვლენების ცეცხლზე.

აღმასრულებელი ხელისუფლება და შიდა უშიშროების სამინისტრო აძლიერებს მოსამზადებელ ღონისძიებებს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პატრიოტული აქტის მიღების დროიდან უსასრულო საალმსრულებლო ბრძანებულებებით. ამ ყველაფრის მიზანია, შეუმცირონ ან სულაც ჩამოართვან ამერიკელებს თავიანთი სამოქალაქო უფლებები. ეს ყველაფერი კი, ჰაგმანის თქმით, კოშმარის მხოლოდ დასაწყისია.

მისი განცხადებით, „არჩევნების მოახლოების პარალელურად ყველაფერი კიდევ უფრო მძაფრდება და დარწმუნებული არ ვარ, იქნება თუ არა ამ ქვეყანაში არჩევნები. ყველაფერი ძალიან ცუდად იქნება და ეს ისტორია ჩემი წყაროების მონათხრობია. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა: „შენ ვერც კი წარმოიდგენ, რამდენად ცუდად იქნება ყველაფერი. ეს ყველაფერი სინამდვილეა. შიდა უშიშროების სამინისტროს ხალხი მზადაა, ეომოს ამერიკელ ხალხს“.

ჰეგმანის თქმით, სიტუაცია ახლა უფრო ცუდადაა, ვიდრე ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომის დროს იყო. ეს საერთოეროვნული მასშტაბის მოვლენაა, რომელიც ქვეყნის ვალუტის ირგვლივ დატრიალდება.

**„რასაც ელის შიდა უშიშროების სამინისტრო, ეს ამერიკული დოლარის დამხობაა. ჩვენ ხომ უკვე მშვენივრად ვიცით, რომ აღარ შეგვიძლია საკუთარი ვალის მომსახურება. დადგება ჰიპერინფლაციის პერიოდი... დოლარი დაკარგავს ღირებულებას... ეკონომიკური კრახი იმდენად მძიმე იქნება, რომ ადამიანები, უბრალოდ, არ იქნებიან ამისათვის მზად“.**

**beaconequity.com**

◀ რო ჰგავს, ვიდრე ჯანსაღ პოლიტიკურ ზომას.

მეორე, ჩარევის ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება ზრდის იმის შანსს, რომ აშშ კონფლიქტებში უფრო ღრმად ჩაეფლოს, ვიდრე თავიდან იყო დაგეგმილი. ობამა ირწმუნება, რომ იმგვარი ინფრასტრუქტურის გარეშე, რომლის შექმნასაც ახლა აპირებს, აშშ-ის მოქმედების ვარიანტები შემოიფარგლება სრულმასშტაბიანი ინტერვენციით ან ინტერვენციაზე უარის თქმით. ერთის მხრივ, ეს მართალია, მაგრამ, მეორე მხრივ, ნაწილობრივი ინტერვენციის იდეა მითია. მასობრივი ბოროტმოქმედებების თავიდან აცილება რთული, სახიფათო და შრომატევადი ამოცანაა. იმ კონფლიქტთაგან, რომელთა დროსაც ხდება მასობრივი მკვლელობები, ძალზე ცოტა შეიძლება მოგვარდეს სანქციების ან სისხლისსამართლებრივი დევნის მუქარით. არის შემთხვევები, რომელთა დროსაც შედარებით უმნიშვნელო ყურადღებისა და ქმედებების დაბანდებამ, შესაძლოა, უზარმაზარი დივიდენდები მოიტანოს, ისევე, როგორც ეს რუანდაში მოხდა. მაგრამ თითოეულ რუანდელზე მოდის უამრავი კონფლიქტი, რომელიც ძალიან ჰგავს ბოსნიას, სირიას, სომალსა და სუდანს, სადაც პრობლემები ვერც მრავალმხრივ სამოქალაქო ონფლიქტებში ჩაფლობით გვარდება და ვერც სახელმწიფოს მშენებლობით. ამ შემთხვევებში ჩარევის მცდელობა შესაძლოა მუდმივ ჩარევად იქცეს, მუდმივი ჩარევა კი, თავის მხრივ, — ხანგრძლივ და ძვირადღირებულ ჩარევად. გავითვალისწინებთ რა ჩვენს დამსახურებათა სიას ამგვარი კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ვერავინ იტყვის, რომ ინტერვენციის ინფრასტრუქტურის დახვეწა კარგი იდეაა.

**და ბოლოს, ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილების საბჭო, რაც უნდა კეთილშობილური იყოს მისი მიზნები აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მილიტარიზაციის ილუსტრირებაა. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-მა მილიარდობით დოლარი დახარჯა ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის უამრავ ქვეყანაში ინტერვენციისათვის, ამასთან, ვერ გადაჭრა ვერც ერთი სიღრმისეული პრობლემა და მხოლოდ ამერიკისადმი სიძულვილი დაამკვიდრა. ამ კონტექსტში ახალი ინტერვენციები და ინტერვენციის საფრთხეებიც კი ვერ ჩაითვლება მშვენიერ გეგმად. უფრო მეტიც, შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობა წარმოსახვისა და მორალის უკმარისობაზე მიანიშნებს.** აბსოლუტური უაზრობაა იმის ლოდინი, თუ როდის დაირაზმებიან დიდი რაოდენობით ადამიანები ერთმანეთის დასახოცად და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერიო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობის შეჩერება ამ ადამიანებისგან რამდენიმეს მკვლელობითაა ჩაფიქრებული. დახმარება მანამდეა საჭირო, ვიდრე მდგომარეობა აქამდე მივა. ცხადია, ესეც არაა ყოველთვის შესაძლებელი, მაგრამ ამისათვის საჭირო არაა ადამიანების ხოცვა და ეს, უკიდურეს შემთხვევაში, ლიად ტოვებს მშვიდობისა და სტაბილურობისათვის პირობების შექმნის შესაძლებლობას, მშვიდობისა და სტაბილურობისთვის, რომლის პირობებშიც სამხედრო ჩარევის აუცილებლობა აღარ რჩება.

**The National Interest**

# აშშ-ის განათლების სისტემა თვითმხილველის თვალით



**ვიღაც ფიქრობს, რომ ამერიკაში დემოკრატიაა, სინამდვილეში კი იქ დემოკრატია არც არის და არც არასდროს ყოფილა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კენედების ოჯახი ამოხოცეს. ყოველწლიურად ამერიკის ციხეებსა და სკოლებს შორის განსხვავება სულ უფრო და უფრო მცირდება. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გაიგებს, თუ რა იდიოტური მიზეზებით აკავებენ ამერიკელ მოსწავლეებს, აბსოლუტურად თავზარდაცემული იქნება. ამერიკაში წინა თაობებს არ ახსოვთ, რომ მათი მოსწავლეობის პერიოდში სკოლაში ერთი პოლიციელი მაინც მისულიყოს. დისციპლინას მასწავლებლები და დირექტორი უზრუნველყოფდნენ. მაგრამ ახლა ქვეყანაში არის სკოლები, სადაც მუდმივად მორიგეობენ პოლიციელები. სხვა დანარჩენი სკოლები პოლიციელებს საჭიროების შემთხვევაში იძახებენ. ასეა თუ ისე, ამერიკის ნებისმიერ სასწავლო დაწესებულებაში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს იმის შანსი, რომ პოლიციელმა დააპატიმროს და სკოლიდან ხელბორკილებით გამოათრიოს.**

სამწუხაროდ, ამერიკა გახდა ქვეყანა, სადაც პარანოია სტანდარტულ პროცედურად იქცა. **ამერიკელი ხალხი დარწმუნდა, რომ ერთადერთი ვარიანტი, რომელიც მის „უსაფრთხოებას“ უზრუნველყოფს, გასამხედროებული, ტოტალური, პოლიციური სახელმწიფოს შექმნაა.** ამრიგად, **ამერიკული სახელმწიფო სკოლები ციხეების ანალოგიურად ფუნქციონირებენ, მოსწავლეები კი პატიმრებისაგან არაფრით განსხვავდებიან.**

აშშ-ს დღეისათვის მსოფლიოში არათავისუფლების ყველაზე მაღალი ხარისხი ახასიათებს და სკოლები მომავალ თაობებს ამზადებენ ან პენიტენციალურ სისტემაში სასჯელის მოსახდელად, ან პატარა, სამაგალითო მონის ცხოვრებისათვის უფროსი ძმის რეზერვაციაში. **ამერიკულ სკოლებში ნამდვილად არ ასწავლიან ბავშვებს კრიტიკულ აზროვნებას, არ აძლევენ იმის გაცნობიერების შანსს, რომ მათ უნდა იცხოვრონ, როგორც თავისუფალმა მოქალაქეებმა ქვეყანაში, რომელიც ერთ დროს თავისუფლების სამშობლოდ ითვლებოდა.**

ცხადია, ვერავინ უარყოფს, რომ ამერიკელი მოსწავლეების ხასიათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჯერ კიდევ 1950-იან წლებში სასკოლო დისციპლინის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საღეჭი რეზინი და თმების წიწკნა იყო. **დღეს ბავშვები სკოლაში დადიან დანებით, ცეცხლსასროლი იარაღითა და ნარკოტიკებით. ბანდიტიზმი მრავალ სკოლაში ყვავის.**

ასე რომ, დისციპლინის პრობლემა ნამდვილად სახეზეა. მაგრამ ის, რაც ქვეყნის მრავალ რაიონში ხდება, უბრალოდ სასაცილოა. მაგალითები საკმარისზე მეტია:

ტეხასის ერთ-ერთ სახელმწიფო სკოლაში 12 წლის გოგონა სარა ბასტამანტესი სუნამოს მიპკურების გამო დააპატიმრეს. ნიუ-მეხიკოს შტატში მოსწავლე იძულებული გახდა, ხუთი ადამიანის თანდასწრებით გაშიშვლებულიყო, იმის გამო, რომ ჯიბეში 200 დოლარი უპოვეს.

კალიფორნიის ერთ-ერთ სკოლაში დარაჯმა 16 წლის გოგონას ხელი მოსტეხა იმის გამო, რომ გოგონას ძირს დაუცვივდა ნამცხვრის ნაფხვენები.

ჰიუნსტონში ორმა მოზარდმა ჩხუბისას ერთმანეთს რძე გადაასხა. ორივე დააპატიმრეს.

2010 წლის დასაწყისში ნიუ იორკის ფორესტ-ჰილსის სკოლაში 12 წლის გოგონა პოლიციამ იმის გამო დააპატიმრა, რომ მან სასკოლო მერხზე დაწერა: „მე მიყვარს ჩემი მეგობრები — ები და ფეიტი“. გოგონა სკოლიდან ხელბორკილებით წაიყვანეს.

ფლორიდაში 6 წლის გოგონას ხელბორკილები დაადეს და ფსიქიატრიულში გაამწესეს იმის გამო, რომ პირველ კლასში მისვლისას ისტერიკა გამართა.

ტეხასში ერთ-ერთი მოსწავლე პოლიციამ იმის გამო დააპატიმრა, რომ საკლასო ოთახში ქაღალდის თვითმფრინავი გაუშვა.

ჩრდილოეთ კაროლინაში ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე, სახელად ეშლი სმიტუიკი, პოლიციის მიერ ბრალდებულ იქნა სამართალდარღვევაში. გოგონამ შემთხვევით სკოლაში მამამისის სადილი წაიღო. მასში კი იდო პატარა დანა ბოსტნეულის გასასუფთავებლად, რომელსაც მამა ვაშლის დასაჭრელად იყენებდა ხოლმე. გოგონა სკოლიდან გარიცხეს.

პენსილვანიის შტატის ქალაქ ალენტაუნში 14 წლის გოგონამ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლისგან ელექტროშოკის დარტყმა მიიღო, იმის მიუხედავად, რომ ბავშვმა ხელები ასწია დანებების ნიშნად.

ფლორიდაში 11 წლის მოსწავლე დააპატიმრეს და ციხეში შეაგდეს მესამე ხარისხის დანაშაულის ბრალდებით მხოლოდ იმიტომ, რომ კარაქისათვის სკოლაში პლასტმასის დანა მიიტანა.

მასაჩუსეტსის შტატში 8 წლის ბავშვი სკოლიდან გააგდეს და აიძულეს, ფსიქოლოგიური ექსპერტიზა გაევლო მხოლოდ იმის გამო, რომ მან ჯვარცმული ქრისტე დახატა.

კალიფორნიის სან-მატეოს ერთ-ერთ სკოლაში 7 წლის ბავშვს პოლიციელმა სახეში სპეციალური წიწაკის აეროზოლი მიასხა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი ავეჯზე ადიოდა.

5 წლის სკოლის მოსწავლე პოლიციელებმა ხელებითა და ფეხებით შებოჭეს, ბორკილები დაადეს და რადიატორზე მიაბეს. ამის შემდეგ კი აიძულეს, ფსიქოლოგიურ ექსპერტიზაზე წასულიყო.

კონექტიკუტის ერთ-ერთ სკოლაში 17 წლის ბიჭი იატაკზე დააგდეს და ხუთჯერ მიაღებინეს ელექტროშოკი მხოლოდ იმიტომ, რომ სასადილოში მომუშავეებს დაუყვირა.

ფლორიდაში, დაწყებით სკოლაში, სპორტდარბაზში გოგონამ ბიჭს აკოცა, რის გამოც სკოლაში პოლიცია გამოიძახეს.

6 წლის ბავშვი თამაშის დროს რაღაც „უადგილო შეხებებისთვის“ სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს.

მასაჩუსეტსის პოლიცია გაგზავნეს 5 წლის გოგონასთან იმიტომ, რომ მას ბიბლიოთეკიდან წაღებული ვადაგადაცილებული წიგნები დაებრუნებინა.

**ის, რაც ამერიკის სკოლებში ხდება, იმის ასახვაა, რაც მთელ საზოგადოებაშია გამეფებული. სკოლები ციხეებს ემსგავსება იმიტომ, რომ უკვე მთელი საზოგადოებაც ერთ დიდ ციხეს ჰგავს. ამ საზოგადოების შვილებს არ აქვთ ნათელი მომავალი, რომელსაც მოუთმენლად დაელოდებოდნენ.**

**თუ პოლიციას ნამდვილად სურს დამნაშავეების პოვნა, მაშინ ჯერ მათ შორის უნდა მოძებნოს ავადმყოფები, ვინც სასკოლო კლასებზე აგებს პასუხს. ამ შემთხვევაში ახალ ამბებს მასწავლებელთა გარყვნილი ისტორიების შესახებ ყოველდღიურ ახალ ამბებშიც მოვისმენთ.**

მაგალითად, ლოს-ანჯელესში ახლახან დააკავეს მასწავლებელი, რომელიც ოცამდე ბავშვზე ძალადობდა და ზოგიერთებს სხეულზე ცოცხალ ტარაკანებს ასვამდა. ხელისუფლება იტყობინება, რომ ეს დანაშაულებები კამპუსის ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი.

**vremia.ua**

კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩერჩილის პოლიტიკური მანევრები აღაშფოთებდა საბჭოთა ლიდერს. მაგრამ იგი იძულებული იყო, თავი შეეკავებია. მას სხვა არაფერი რჩებოდა, გარდა იმისა, რომ განემტკიცებია პირადი მეგობრული ურთიერთობა ბრიტანეთის პრემიერთან. მთავარი იყო დარწმუნება, რომ სამი დიდი სახელმწიფოს კავშირი არ დაირღვეოდა და მომავალში შესაძლებელი იქნებოდა, მოკავშირეებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დამყარებულიყო.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-16 (139-154)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### ვინ არის უფრო სანდო პარტნიორი?

ძნელია იმის თქმა, როგორი შთაბეჭდილება დატოვა ჩერჩილმა სტალინზე. საეჭვოა, სასიამოვნო და იმედისმომცემი ყოფილიყო. ინგლისის პრემიერმა, ვისაც სტალინი პატივისცემით ეკიდებოდა, თვალსაჩინოდ გამოხატა, რომ იგი კარგად ფლობდა გამოთქმების ორმაგ გაგებას, რათა შემდგომში უარი ეთქვა თავისსავე დანაპირებზე. ჩერჩილმა იმის დემონსტრირებაც მოახერხა, რომ კარგად უძლებდა დარტყმებს, ამასთან, არ იყო ძაბუნი და შეეძლო მოტყუებულ პარტნიორთან ჩასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ვიზიტის დროს მოუხდებოდა საყვედურების და მწარე-მწარეების მოსმენა. ურთიერთობაში ჩერჩილი ერთგვარად გულწრფელიც კი აღმოჩნდა. თუმცა მასთან საუბარში პარტნიორი ყურადღებით უნდა ყოფილიყო, რათა არ წამოგებოდა მის გადმოგდებულ ანკესს.

**გამოცდილ დიპლომატს, რომელიც მიჩვეული იყო საპარლამენტო დემაგოგიას, უპირატესობაც კი ჰქონდა სტალინთან ურთიერთობის დროს. მაგრამ ეს უპირატესობა სწრაფადვე ნიველირდებოდა, როცა საბჭოთა ბელადის სუფთა და პატიოსან პოზიციას უპირისპირდებოდა. გამორიცხული არ არის, რომ სტალინი საკუთარი ღირსების შეურაცხყოფად მიიჩნევდა ეშმაკობასა და პირმოთნეობაში შეჯიბრებოდა სტუმარს. ღია დიპლომატიურ ორთაბრძოლაში გამარჯვება მის მხარეს იყო, რადგან ამ შემთხვევაში იმარჯვებს სიმართლე.**

შემდგომ და შემდგომ ჩერჩილი სულ უფრო და არაერთხელ რწმუნდებოდა, რომ სტალინი სანდო პარტნიორი იყო, მისი სიტყვა კი — გაუტეხელი. სამწუხაროდ, ინგლისის პრემიერი ამ თვისებებით ყოველთვის არ გამოირჩეოდა. ასე იყო, მაგალითად, როცა სტალინს დაპირდა 1943 წლის გაზაფხულზე ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. მაშინ მოიტყუა. არ გამართლდა მისი ზოგიერთი პროგნოზი, რის მიხედვითაც ჩრდილოეთ აფრიკაში შეჭრას სარგებლობა უნდა მოეტანა წითელი არმიისთვის. მაგალითად, **ჩერჩილი სტალინს ოპერაცია „ტორჩის" გეგმებზე რომ მოუთხრობდა, ირწმუნებოდა, რომ ჰიტლერი ამ ფრონტზე გადაისროდა თავის სამხედრო-საჰაერო ძალებს, რათა გადაერჩინა იტალია. ეს საეჭვო პროგნოზი მცდარი აღმოჩნდა: ჰიტლერს ხმელთაშუაზღვაში არ გადაუსვრია „ლუფტვაფე". მას იმ მომენტისათვის იტალიის ბედი არ აწუხებდა, უფრო ნაკლებად — ჩრდილოეთ აფრიკისა. გერინგის საჰაერო ესკადრები აღმოსავლეთ ფრონტზე რჩებოდა, იქ, სადაც ომის ბედი წყდებოდა.** მაგრამ მაშინ სტალინმა, როგორც ჩანს, ჩერჩილის არგუმენტები სერიოზულად აღიქვა, ან, ყოველ შემთხვევაში, დაიჯერა მისი გულწრფელობა.

ჩერჩილს განსაკუთრებით აინტერესებდა, შეინარჩუნებდა თუ არა წითელი არმია კავკასიას. ბრიტანეთის იმპერიის ოდინდელი მისწრაფებიდან გამომდინარე, მან შესთავაზა სტალინს ინგლისის ჯარების შეყვანა ამიერკავკასიაში ნავთობის საბადოების დასაცავად. სტალინს არ გასჭირვებია მისი ჩანაფიქრის ამოცნობა, განკარგულება გასცა, მოეტანათ კავკასიონის ქედის მაკეტი. ინგლისელ სტუმარს ამ თვალსაჩინოების მოშველიებით დაანახა როგორი მტკიცეა საბჭოთა თავდაცვა ამ რაიონში. ჩერჩილი მოსკოვიდან გაემგზავრა მტკიცე რწმენით, რომ საბჭოთა კავშირი გაუძლებდა გერმანელების შემოტევას.

სტალინის სიმშვიდემ და თავდაჯერებამ ჩერჩილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საბჭოთა ბელადმა განუცხადა:

— ამბობენ, რომ თურქები თურქესტანში თავს დაგვესხმებიან. თუ ეს მართალია, მე შევძლებ, გავუსწორდე მათ.

ბრიტანეთის პრემიერმა მტკიცედ განაცხადა: ასეთი საშიშროება არ არსებობს. თურქებს განზრახული აქვთ, არ ჩაერიონ და, რა თქმა უნდა, არ მოუნდებათ წაეჩხუბონ ინგლისელებს. სტალინი, როგორც ჩანს, ამავე აზრისა იყო.

**მან მიიპატიჟა ჩერჩილი კრემლის თავის ოთხოთახიან ბინაში. ოთახები, რომლებიც, როგორც ჩერჩილი წერდა, „საშუალო ზომისა იყო და უბრალოდ და ღირსეულად იყო მოწყობილი"... მიუხედავად იმისა, რომ სუფრასთან ისინი მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდნენ, სტალინმა ამ მიწვევით აგრძნობინა, რომ სტუმრისადმი არა მარტო პატივისცემით, არამედ სიმპათიურადაც იყო განწყობილი. შეიძლება, ასეც იყო. გამორიცხული არ არის, რომ პატივისცემა და სიმპათია ორმხრივი იყო. თუმცა სტალინის ინტელექტმა და განსწავლულობამ ჩერჩილი აიძულა ფრთხილად ყოფილიყო ასეთ პარტნიორთან ურთიერთობისას.**

როგორც ჩანს, ორივე ეს სახელმწიფო მოღვაწე შეგნებულად ცდილობდა დისკუსიის გამწვავებას, რათა დაკვირვებოდა პარტნიორის რეაქციას, როცა ეს უკანასკნელი ემოციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ნერვები ორივეს მაგარი აღმოაჩნდა... სტალინს არ დაუმალავს თავისი კეთილგანწყობა გავლენიანი სტუმრის მიმართ და ერთგვარი კმაყოფილებაც კი მეორე ფრონტის ჩრდილოეთ აფრიკაში გადატანის გამო.

**სტალინს უეჭველად ესმოდა: ინგლისი უწინდებურად დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის გერმანიასთან პირისპირ დატოვებით, რომელსაც კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა უჭერდა მხარს. არადა, დადგა ომის გადამწყვეტი ფაზა, როცა ჰიტლერელებს შეეძლოთ გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ წითელი არმიისთვის.** ლენინგრადისა და სტალინგრადის დამხობა სერიოზულად დასცემდა საბჭოთა ხალხის მორალურ სიმტკიცეს, რადგან ეს ეხებოდა ქალაქ-სიმბოლოებს. აი, რატომ იყო, რომ ჩერჩილის პოლიტიკური მანევრები აღაშფოთებდა საბჭოთა ლიდერს. მაგრამ იგი იძულებული იყო, თავი შეეკავებია. მას სხვა არაფერი რჩებოდა, გარდა იმისა, რომ განემტკიცებია პირადი მეგობრული ურთიერთობა ბრიტანეთის პრემიერთან. მთავარი იყო დარწმუნება, რომ სამი დიდი სახელმწიფოს კავშირი არ დაირღვეოდა და მომავალში შესაძლებელი იქნებოდა, მოკავშირეებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დამყარებულიყო.

...1942 წლის 30 ნოემბერს ჩერჩილმა კაბინეტის სხდომაზე წაიკითხა სტალინის წერილი მეორე ფრონტის გახსნის აუცილებლობის შესახებ. იმ დღეს ბრიტანეთის პრემიერი 68 წლის გახდა. მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი საჩუქარივით იყო ცნობა სტალინგრადთან გერმანელების ალყაში მოქცევის შესახებ.

ცოტა მოგვიანებით ჩერჩილმა იდღესასწაულა ინგლისელთა დიდი გამარჯვება იტალიელებისა და გერმანელების წინააღმდეგ ეგვიპტეში, ელ-ალამეინთან. ჩერჩილმა განაცხადა, რომ ეს იყო „დიადი გამარჯვება", რომელმაც თითქოსდა, „ფაქტობრივად შემოაბრუნა ბედის ჩარხი" და წარმოდგა „ყველაზე უფრო გადამწყვეტ სახმელეთო ბრძოლად, მოკავშირეთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით".

რა შეიძლება ამაზე ითქვას? თუ მხედველობაში გვექნება ინგლისელების სამარცხვინო დამარცხება დიუნკერკთან 1940 წელს და შემდგომ გერმანელებთან შეჯახების თავიდან აცილების ტაქტიკა, მაშინ ელ-ალამეინი შეიძლება ჩაითვალოს დიდ წარმატებად. მაგრამ ჩერჩილის მიერ ამ წარმატების წარმოუდგენლად გაბერვას მიზნად მხოლოდ ინგლისელთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება არ ჰქონია.

**აქ ჩადებული იყო ცინიზმისა და უნამუსობის არცთუ მცირე ელემენტი. ამავე პერიოდში წითელმა არმიამ მოიპოვა მართლაც დიდი გამარჯვება სტალინგრადის ბრძოლაში, რომლითაც ბრიტანეთის პრემიერს ესოდენი აღფრთოვანება არ გამოუხატავს. მთავარი კი ისაა, რომ ცოტა ხნით ადრე ჩერჩილმა თავისი სამხედრო კაბინეტის წევრებს დაუგზავნა საიდუმლო მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო:**

**„ჩემი ყველა ფიქრი მიმართულია ევროპისკენ, როგორც თანამედროვე ერებისა და ცივილიზაციების წინაპარი დედისკენ. დიდი კატასტროფა მოხდებოდა, რუსულ ბარბაროსობას რომ გაენადგურებინა ევროპის უძველეს სახელმწიფოთა კულტურა და დამოუკიდებლობა..." არ გაგონებთ ეს გამონათქვამი ჰიტლერის ლოზუნგებს, რომლებითაც მან აღმოსავლეთისკენ ლაშქრობა განახორციელა?**

მწერალი და ანალიტიკოსი ვ. კოჟინოვი, რომელიც სტალინგრადისა და ელ-ალამეინის ბრძოლებს ერთმანეთს ადარებს, წერს:

„დასავლურ ლიტერატურაში და ზოგჯერ, მისი გავლენით, რუსულშიც, ამ ორ მოვლენას განიხილავენ ლამის როგორც ერთნაირი მნიშვნელობის მქონეს, თუმცა საკითხის ამგვარი დაყენება სასაცილოა.

**ელ-ალამეინთან ბრძოლაში იტალია-გერმანიის ჯარებში სულ 80 ათასი ადამიანი ითვლებოდა (უმეტესად — იტალიელები), ისინი 60 კილომეტრის სიგრძის ფრონტს იცავდნენ, სტალინგრადის ბრძოლაში კი გერმანელთა და მისი მიკავშირეების მილიონზე მეტი ცოცხალი ძალისგან შემდგარი არმია მოქმედებდა 400 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე. მაგრამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ სტალინგრადის ბრძოლაში მთლიანად განადგურდა მოწინააღმდეგის მთელი მაშინდელი შეიარაღებული ძალების ერთი მეექვსედი — 16,3 პროცენტი, ელ-ალამეინში კი ამ ძალების მხოლოდ 1,3 პროცენტი. უნდა ითქვას ისიც, რომ ელ-ალამეინთან ბრიტანელების რაოდენობა თითქმის სამჯერ სჭარბობდა მოწინააღმდეგეებისას — 230 ათასი 80 ათასის წინააღმდეგ.** დიდად მნიშვნელოვანია, რომ ჰიტლერი, რომელიც ჩვეულებრივ უმკაცრესად სჯიდა თავის გენერლებს დამარცხებისთვის, ამჯერად არა მარტო ასე არ მოქცეულა, არამედ „აფრიკული კორპუსის" სარდალი რომელი დააჯილდოვა „ბრილიანტებით რაინდის ორ- ▶

**ჩერჩილი საბჭოთა კავშირის მტრად დარჩა მას შემდეგაც, რაც სტალინს „აღსარება“ უთხრა. შესაძლებელია, რომ იმ მომენტში, როცა მან საბჭოთა ლიდერს პატიება სთხოვა უწინდელი შეცოდებისთვის, გულწრფელიც კი იყო. მაგრამ ორპირ კაცად დარჩა: ჰიტლერი მას იმ მომენტში უფრო საშიშ მტრად მიაჩნდა. სტალინი მას დროებით მეგობრად სჭირდებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დენისათვის (1943 წლის 17 მარტს), ხოლო მას შემდეგ, რაც 1943 წლის 10 ივლისს ამერიკა-ინგლისის ჯარები სიცილიაში გადმოსხეს, დაავალა არმიების ჯგუფის სარდლობა იტალიაში“.

გასაგებია, რომ თავისთავად ფაქტი, როცა სსრ კავშირის მოკავშირეები ფაშისტების წინააღმდეგ აქტიურად ამოქმედდნენ, მათი პირველი გამარჯვება საკმაოდ დიდი მნიშვნელობისა იყო, უფრო მეტად — მორალური თვალსაზრისით. ელ-ალამეინს დიდად არ დაუზარალებია ვერმახტი და გერმანელთა ჯარები აღმოსავლეთის ფრონტიდან დასავლეთისკენ არ გადაუმისამართებიათ. მეორე ფრონტი დასავლეთში არ გახსნილა.

**ჩერჩილი საბჭოთა კავშირის მტრად დარჩა მას შემდეგაც, რაც სტალინს „აღსარება“ უთხრა. შესაძლებელია, რომ იმ მომენტში, როცა მან საბჭოთა ლიდერს პატიება სთხოვა უწინდელი შეცოდებისთვის, გულწრფელიც კი იყო. მაგრამ ორპირ კაცად დარჩა: ჰიტლერი მას იმ მომენტში უფრო საშიშ მტრად მიაჩნდა. სტალინი მას დროებით მეგობრად სჭირდებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

„პერესტროიკის“ შემდგომ სამხედრო-პოლიტიკურ ლიტერატურაში შეხვდებით იმის მტკიცებას, რომ თითქოს სტალინგრადის ბრძოლაში წითელი არმიის გამარჯვებას მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. და ამის მიზეზი თურმე საბჭოთა სარდლობის შეცდომები ყოფილა, რამაც საშუალება მისცა ფელდმარშალ მანშტეინს 1943 წლის გაზაფხულზე ხელმეორედ დაეპყრო უკვე გათავისუფლებული რამდენიმე დიდი ქალაქი. ჭეშმარიტი მიზეზების შესახებ, რომლებმაც ამ პერიოდში წითელი არმიის წარუმატებლობა გამოიწვია, ლაპარაკია სტალინის წერილში, რომელიც მან ჩერჩილს 1943 წლის 15 მარტს გაუგზავნა:

**„თქვენი ცნობიდან ირკვევა, რომ ინგლის-ამერიკის ოპერაციები ჩრდილოეთ აფრიკაში არათუ ჩქარდება, არამედ გადაიდება უკვე აპრილის ბოლოსთვის. და ეს ვადაც კი საკმაოდ გაურკვევლადაა მინიშნებული. ამგვარად, ჰიტლერელთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლების ყველაზე დაძაბულ პერიოდში, თებერვალ-მარტის პერიოდში ინგლის-ამერიკის შეტევა ჩრდილოეთ აფრიკაში არა თუ არ დაჩქარებულა, არამედ საერთოდ არ ჩატარებულა, ხოლო თქვენს მიერ საამისოდ დანიშნული ვადა გადადებულია. ამასობაში გერმანიამ უკვე მოასწრო 36 დივიზიის გადმოყვანა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, მათგან 6 დივიზია სატანკოა. ადვილი გასაგებია, თუ რა სიძნელეები შეუქმნა ამან საბჭოთა არმიას და როგორ შეუმსუბუქა გერმანელებს მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.**

უწინდებურად მთავარ საკითხად ვთვლი საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნის დაჩქარებას“.

აღშფოთებულ სტალინს თავდაჭერილობა არ დაუკარგავს, თუმცა შესანიშნავად ხვდებოდა თავისი მოკავშირეების ფლიდობასა და ვერაგობას. 1943 წლის 29 მარტს ჩერჩილისთვის გაგზავნილ წერილში საჭიროდ ჩათვალა ეთქვა: „გუშინ კოლეგებთან ერთად ვნახე თქვენი გამოგზავნილი ფილმი „გამარჯვება უდაბნოში“... ფილმში შესანიშნავადაა ნაჩვენები, როგორ წარმართავენ ბრძოლას ინგლისელები, და ზუსტადაა მხილებული ის სალახანები, ასეთები ჩვენს ქვეყანაშიც არიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს ინგლისი არ ომობს და განზე გამდგარი მხოლოდ თვალს ადევნებს ომის მიმდინარეობას“.

ძნელი არ არის ამ წერილის ქვეტექსტის ამოკითხვა: „სალახანებისთვის“ დაბრალებული ინგლისელების უმოქმედება სიმართლესთან ახლოსაა და მიგვითითებს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე უმძიმეს ბრძოლებთან შედარებით, ბრიტანელთა მთავრობის აქციები გერმანელთა წინააღმდეგ კოღოს კბენის ეფექტის მქონე იყო. **ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსი ტეილორი წერდა: „1942 წლამდე იმის ალბათობა, რომ არმიაში მებრძოლი ჯარისკაცი მიიღებდა შეტყობინებას დაბომბვისგან ცოლის დაღუპვის შესახებ, აღემატებოდა იმის ალბათობას, რომ ცოლი მიიღებდა ომში ქმრის დაღუპვის შესახებ ცნობას“.**

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სსრკ არავითარ დახმარებას არ იღებდა მოკავშირეებისგან. უეჭველია, რომ დახმარება იყო და მას, როგორც ინგლისის პასიურ დახმარებას, რაღაც სარგებლობა მოჰქონდა წითელი არმიისთვის. საქმე ის არის, რომ ასეთი დახმარება შედარებით ნაკლები იყო. ხოლო ცრუ დაპირებები ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ ჯერ 1942 წლისთვის, შემდეგ 1943 წლისთვის, საბჭოთა სარდლობას მხოლოდ ურევდა გეგმებს და ნეგატიურად აისახებოდა საბჭოთა ჯარების მოქმედებაზე.

თავის მემუარებში ჩერჩილმა ცინიკურად აღიარა, რომ მარტი „მიიჩნია შესაფერის მომენტად, რათა მისთვის (*ანუ სტალინისთვის. — ავტ.*) ეცნობებინა უსიამოვნო სიახლე ქარავნების შესახებ. საქმე ის არის, რომ მარტის ქარავანი გადაიდო, ხოლო ჩრდილოეთის გზით ქარავნის გაგზავნა სექტემბრისთვის გადაიდო. ეს უსიამოვნო ამბავი იყო. მწარე აბი რომ გაეტკბილებინა, ჩერჩილი უხვსიტყვაობდა სამხრეთის გზით, ირანის გავლით სამხედრო აღჭურვილობის ნაკადის გაძლიერების თაობაზე.

სტალინმა 1943 წლის 2 აპრილს ასე უპასუხა:

**„მივიღე თქვენი 30 მარტის წერილი ცნობით იმის შესახებ, რომ გაჭირვება გაიძულებთ თქვენ და ბ-ნ რუზველტს სექტემბრამდე გადადოთ ბადრაგების** *(სატვირთო ხომალდების ქარავანს სამხედრო გემები იცავდა, ესკორტირებდა. — ა.ს.)* **გამოგზავნას სსრ კავშირში. ეს მოულოდნელი აქტი მიმაჩნია დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მიერ საბჭოთა კავშირისთვის სამხედრო ნედლეულისა და შეიარაღების მიწოდებათა კატასტროფულ შემცირებად, რადგან დიდი ოკეანის გზით ტონაჟი შეზღუდულია და ნაკლებ საიმედო, ხოლო სამხრეთის გზა ნაკლებ გამტარუნარიანია, რის გამოც ამ ორივე გზას არ შეუძლია აანაზღაუროს ჩრდილოეთის**



**გზით მიწოდების შეწყვეტა. გასაგებია, რომ ამ გარემოებამ არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს საბჭოთა ჯარების მდგომარეობაზე“.**

ჩერჩილის პასუხი: „ვაღიარებ ყველაფერს, რაც ბადრაგების თაობაზე თქვენს დეპეშაში თქვით. გარწმუნებთ, რომ ვაკეთებ ყველაფერს, რაც ძალმიძს, რათა შესაძლო ზომები მივიღო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ღრმად მაქვს შეგნებული ის გიგანტური ტვირთი, რომელსაც ეწევიან რუსეთის არმიები, და, აგრეთვე, მათი უბადლო წვლილი საერთო საქმეში“.

**შეგნებული აქვს, მაგრამ მეორე ფრონტი არა და არ იხსნება! ტკბილ-ტკბილი სიტყვებით ცდილობდა ჩერჩილი თავისი უგვანო საქციელის გადაფარვას. იგი კვლავ და კვლავ ღალატობდა მოკავშირეს უძნელეს მომენტში, როცა დახმარება განსაკუთრებით საჭირო იყო. მას ხელს აძლევდა სისხლისმღვრელი შეტაკებები აღმოსავლეთის ფრონტზე.**

სტალინი თავის პოლიტიკას პატიოსნად და განუხრელად განახორციელებდა, არასოდეს ღალატობდა მოკავშირეებს და ეხმარებოდა ურთულეს მომენტებში, არასოდეს უფიქრია მათთვის სამაგიეროს გადახდაზე უმოქმედობისა გამო ჰიტლერელთა 1942 წლის ზაფხულის შეტევის უმძიმეს პერიოდშიც და მომდევნო წელსაც.

1943 წლის 14 თებერვალს სტალინმა მიიღო „პრემიერმინისტრ ბ-ნ უინსტონ ჩერჩილის პირადი და საიდუმლო წერილი“: **„არაჩვეულებრივ გამარჯვებათა ჯაჭვმა, რომლის ერთ-ერთი რგოლია დონის როსტოვის გათავისუფლება, რის შესახებაც ცნობა ამ ღამით მივიღეთ, წამართვა შესაძლებლობა, სიტყვიერად გამოვთქვა ის აღტაცება და მადლიერება, რომელსაც განვიცდით რუსეთის იარაღის მიმართ. ჩემი ყველაზე გულწრფელი სურვილია, რაც შეიძლება მეტი გავაკეთო თქვენს დასახმარებლად“.**

უეჭველია, წითელ არმიას დიდად დაეხმარებოდა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა. მაგრამ ამის თაობაზე ჩერჩილი თავის წინამორბედ წერილში ყრუდ ამბობდა: „ასევე ენერგიულად ვემზადებით ჩვენს ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში განვახორციელოთ არხის (*ლა მანშის სრუტეზეა ლაპარაკი. — ა.ს.*) ფორსირების ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ნაწილები. ტონაჟი და სადესანტო შეტევის საშუალებანი აქაც ასევე იქნება მალიმიტირებელი ფაქტორი. თუ ოპერაცია გადაიდება ამინდის გამო ან სხვა მიზეზით, მაშინ იგი მომზადდება სექტემბრისთვის უფრო მსხვილი ძალების მონაწილეობით. ამ შეტევის ვადები, რასაკვირველია, დამოკიდებული უნდა იყოს იმ შესაძლებლობათა მდგომარეობაზე, რაც გერმანელებს ამ დროისთვის სრუტის მეორე მხარეს ექნებათ“.

თავის პასუხში სტალინმა აღნიშნა: **„თქვენი ცნობიდან ჩანს, რომ თქვენს მიერ ტუნისში თებერვლისთვის დანიშნული სამხედრო ოპერაციების დამთავრების ვადა, ახლა აპრილისთვისაა გადადებული. ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რამდენად არასასურველია გერმანელებისა და იტალიელების წინააღმდეგ ოპერაციების ასეთი გაჭიანურება. სწორედ მოცემულ მომენტში, როცა საბჭოთა ჯარებს ჯერ კიდევ შეუძლიათ თავიანთი ფართო შეტევის გაგრძელება, ინგლის-ამერიკის ჯარების აქტიურობა ჩრდილოეთ აფრიკაში დაჟინებით აუცილებელია“...**

ეს რა, გაუგებარი იყო ჩერჩილისთვის? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ მას უთუოდ სურდა, მაქსიმალურად შეენარჩუნებინა ინგლისის სამხედრო ძალა, საბჭოთა არმია კი სისხლისგან დაცლილიყო.

მისი მიზანი, როგორც ნათქვამი გვაქვს, იყო ის, რომ ომის დასასრულს საბჭოთა კავშირი სრულიად გამოფიტული ყოფილიყო. მაშინ ინგლისს შეეძლებოდა ეკარნახებინა თავისი პირობები მთელი ევროპისთვისაც და საბჭოთა კავშირისთვისაც.

განვაგრძოთ სტალინის წერილის ციტირება:

„რაც შეეხება ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნას, ეს, როგორც თქვენი ცნობიდან ჩანს, დაგეგმილია მხოლოდ აგვისტო-სექტემბრისთვის. მე მგონია, ახლანდელი სიტუაცია მოითხოვს, რომ ეს ვადები მაქსიმალურად შემცირდეს და მეორე ფრონტი დასავლეთში გაიხსნას აღნიშნულ ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე. მტერს მოღონიერების საშუალება რომ არ მიეცეს, ჩემი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანია დასავლეთიდან შეტევა კი არ გადაიდოს წლის მეორე ნახევრისთვის, არამედ დაიწყოს ჯერ კიდევ გაზაფხულზე ან ზაფხულის დადგომისთანავე.

ჩვენს ხელთ არსებული უტყუარი ცნობებით, გერმანელებმა დეკემბრის ბოლოდან, როცა ინგლის-ამერიკის ძალების მოქმედება ტუნისში რატომღაც შეჩერდა, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან და თვით გერმანიიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოისროლეს 27 დივიზია, მათ შორის 5 სატანკო დივიზია. ამრიგად, საბჭოთა კავშირისთვის დახმარების ნაცვლად საბჭოთა-გერმანიის ფრონტიდან გერმანელთა ჯარების ჩამოცილების გზით, შეღავათი მიეცა ჰიტლერს, რომელმაც ტუნისში ინგლის-ამერიკის ოპერაციების შესუსტების გამო რუსეთის წინააღმდეგ თავისი დამატებითი ჯარების გადასროლის შესაძლებლობა მიიღო.

**ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ, რაც უფრო ადრე გამოვიყენებთ ერთობლივად ჰიტლერულ ბანაკში შექმნილ სიძნელეებს, მით უფრო მეტი საფუძველი გვექნება, ვივარაუდოთ უახლოეს დროში ჰიტლერის განადგურება. თუ ყოველივე ამას არ გავითვალისწინებთ ამჟამად და ახალ მომენტს ჩვენი საერთო ინტერესებისთვის არ გამოვიყენებთ, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ გერმანელები, რომლებიც სულისმოთქმისა და ძალის მოკრების საშუალებას მიიღებენ, შეძლებენ წელში გამართვას. ჩვენთვის, თქვენთან ერთად, ცხადია, რომ ამგვარი არასასურველი რამ არ უნდა დავუშვათ.**

აუცილებლად ჩავთვალე ეს პასუხი ბ-ნ რუზველტისთვისაც გამეგზავნა.

გმადლობთ თბილი მოლოცვისთვის როსტოვის გათავისუფლების გამო. ჩვენმა ჯარებმა დღეს დაიკავეს ქალაქი ხარკოვი.

1943 წლის 16 თებერვალი“.

წერილების გაცვლის შემდეგ სტალინი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მოკავშირეები არ აპირებენ ჩაერთონ ჰიტლერელებთან სერიოზულ ბრძოლაში. ამიტომ 13 მარტს მან გულახდილად მიწერა ჩერჩილს: „თქვენი განცხადებების გაურკვევლობა ინგლის-ამერიკის დასახული შეტევის შესახებ არხის მეორე მხარეს მაშფოთებს, რაც არ ვთქვა, არ შემიძლია“.

მისი შიში სრულიად ბუნებრივი იყო.

განვლო 1943 წლის გაზაფხულმა და უცებ გაირკვა, რომ მოკავშირეები არ აპირებენ დაარტყან ჰიტლერელებს საფრანგეთში. 1943 წლის 19 ივნისს ჩერჩილმა სტალინს ვრცელი წერილი გაუგზავნა, სადაც კვლავ შეეცადა, გაემართლებინა მოკავშირის მორიგი ტყუილი დაპირება მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. საბჭოთა კავშირი კვლავ მარტო ებრძოდა ვერმახტს. პრემიერი ცდილობდა, დაერწმუნებინა სტალინი, რომ „ღერძის სახელმწიფოთა მოულოდნელად სწრაფმა დამარცხებამ ჩრდილოეთ აფრიკაში არია გერმანელების სტრატეგია და... სამხრეთ ევროპისთვის წარმოქმნილმა საფრთხემ აიძულა ჰიტლერი შეყოყმანებულიყო, გადაედო რუსეთის წინააღმდეგ დიდი შეტევა, რომელიც ამ ზაფხულისთვის ჰქონდა დაგეგმილი“...

უნდა ითქვას, რომ ვერსია აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანელების დიდი შეტევის გადადების შესახებ, როგორც შემდგომ გაირკვა, დეზინფორმაცია იყო.

ამ ღალატის დიპლომატიურ გამარჯვებად ჩათვლა მხოლოდ ცინიზმი და უნამუსობა იქნებოდა.

სტალინი სავსებით საფუძვლიანად მიიჩნევდა, რომ ფაშისტების საზაფხულო შეტევა გარდაუვალია, და მართალიც აღმოჩნდა. 24 ივნისის თავის წერილში მან გულახდილად და დამაჯერებლად უარჰყო ჩერჩილის მოსაზრებანი ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შეუძლებლობის შესახებ. წერილი ასე მთავრდებოდა:

„თქვენ მე მწერთ, რომ მთლიანად გესმით ჩემი გულგატეხილობა“.

თავის პასუხში ჩერჩილი არა მარტო ეშმაკობდა, არამედ დაშანტაჟებასაც ცდილობდა — შემიძლიაო ჩვენი წინააღმდეგობანი საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოვიტანო. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ჰიტლერი სრულიად თავისუფლად შეძლებდა თავისი ჯარების გაძლიერებას აღმოსავლეთ ფრონტზე... სხვათა შორის, იგი ასეც იქცეოდა, ჩერჩილი კი კვლავ ამტკიცებდა, რომ როცა მტერი დარწმუნებული არ იყო, სად და როდის დაარტყამდა მოწინააღმდეგე, როგორი იქნებოდა მისი შეტევის ძალა, ჰიტლერი იძულებული გახადა გადაევადებინა მესამე შეტევა რუსეთზე, რომლისთვისაც ექვსი თვის წინათ დიდი მზადება მიმდინარეობდა. „შეიძლება ისეც მოხდეს, — წერდა იგი სტალინს, — რომ თქვენს ქვეყანას ამ ზაფხულში არავინ ძლიერ არ შეუტევს“...

**მაგრამ ასე არ მოხდა. ჰიტლერსაც კარგად ესმოდა ჩერჩილის ორპირული პოლიტიკა, რომელიც რუსებისა და გერმანელების ურთიერთგაჟლეტის წახალისებაში გამოიხატებოდა. ინგლისის ავიაცია მუდმივად ბომბავდა გერმანიის ქალაქებს, მაგრამ არა თავდაცვითს ობიექტებს საფრანგეთის სანაპიროზე.**

**ჰიტლერისთვის ცხადი იყო, რომ დასავლეთში მეორე ფრონტი არ გაიხსნებოდა.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ცხრა შვილის მოლოდინში

**მექსიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კოახუილის შტატის მკვიდრი კარლა-ვანესა პერესი ცხრა შვილის გასაჩენად ემზადება. მშობიარობა 20 მაისისთვის არის დაგეგმილი.** კარლა-ვანესა უშვილობის სამკურნალო კურსს გადიოდა და ამ კურსის ფარგლებშიც მას მულტიგანაყოფიერება ჩაუტარდა. შედეგად მექსიკელი მუცლით ექვს გოგონას და სამ ბიჭს ატარებს. ამაჟამად კარლა საავადმყოფოში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. თუ მშობიარობა წარმატებულად ჩაივლის, ეს მსოფლიოში უიშვიათესი შემთხვევა იქნება.

# ყველაზე სახიფათო აეროპორტები

**მსოფლიოში არის არაერთი საერთაშორისო აეროპორტი, რომლებიც სერიოზულ დისკომფორტს უქმნიან მგზავრებსაც და ეკიპაჟის წევრებსაც. ზოგი მათგანის ასაფრენი ბილიკი სიგრძეშია შეზღუდული, ზოგი სხვებზე მეტადაა ამინდის პროგნოზზე დამოკიდებული და ასე შემდეგ, მაგრამ არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, რომელთა მახასიათებლებიც ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს სცდება. მაგალითად, ყველაზე საშიში აეროპორტი ჰიმალაის მწვერვალებს შორის ზღვის დონიდან 4880 მეტრზე მდებარეობს.**



## აეროპორტი პარო

**აეროპორტი პარო, რომელიც მდებარეობს ამავე სახელწოდების პროვინციაში, მხოლოდ ასი კილომეტრით არის დაშორებული ბუტანის დედაქალაქ ტხიმპხუდან. ბუტანში არ არის რკინიგზა, რადგან ქვეყნის ტერიტორიის 90% მდებარეობს ჰიმალაის ქედზე. ეს ერთადერთი აეროპორტი 20 ქვეყნის სპეციალისტებმა დააპროექტეს და ააგეს.**

პაროს განსაკუთრებულობა არის ის, რომ ის ამოჭრილია მთის ხეობაში, რის გამოც მოკლე ასაფრენი ბილიკი აქვს. ირგვლივ მთების სიმაღლე კი 5 000 მეტრს აღწევს.

აეროპორტი პარო გახსნის დღიდანვე განთავსდა მსოფლიოს ყველაზე საშიშ აეროპორტთა შავ სიაში. პაროს აეროპორტში თვითმფრინავის დასმა მხოლოდ უმაღლესი რანგის პროფესიონალების პრივილეგიაა. სწორედ ამიტომ ჰიმალაის ამ მხარეს საჰაერო ტრასპორტირებას მხოლოდ რჩეული ავიაკომპანიები ახორციელებენ.





## პრინცესა იულიანას სახელობის საერთაშორისო აეროპორტი

**სანაპირო ზოლი სახელწოდებით მაჰო კარიბის ზღვის კუნძულ სენ-მარტენზე მდებარეობს. ეს ადგილი მსოფლიოში ერთადერთი და უნიკალურია ასაფრენ ბილიკთან სიახლოვის თვალსაზრისით.**



მაჰოსთან ახლოს მდებარეობს პრინცესა იულიანას სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. თვითმფრინავებმა უნდა განახორციელონ დაშვება ასაფრენი ბილიკის თავთან ახლოს, რადგან ის სიგრძეში ძალიან პატარაა, ამიტომ ისინი იმდენად დაბალ სიმაღლეზე დაფრინავენ აეროპორტამდე, რომ გეგონებათ ეხებიან სანაპიროზე მყოფი ადამიანების თავებს. ამ პლაჟზე ექსტრიმის მოყვარულნი მძაფრი შეგრძნებებისთვის მოდიან და არა გასარუჯად. ირგვლივ მდებარე კაფეებსა და რესტორნებში უკვე არის განთავსებული თვითმფრინავების აფრენა-დაშვების განრიგები, ზოგან პილოტებსა და დისპეტჩერებს შორის გამართული დიალოგებიც კი ისმის.

## რეიგანის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი

**რეიგანის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ვაშინგტონში — პენტაგონსა და CIA-ს შორისაა განთავსებული. აეროპორტი მდებარეობს ორ არასაფრენ ზონას შორის.** აქედან აფრენილმა თვითმფრინავმა გვერდი უნდა აუაროს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებს — პენტაგონსა და CIA-ს. აფრენისას მაქსიმალურად სწრაფად უნდა ავიდეს მაღლა და მოატრიალოს მარცხნივ, რათა არ დაეჯახოს თეთრ სახლს. ამ ყველაფრის გამო პილოტებს ყოველ აფრენა-დაფრენაზე თვითმფრინავების მთელი ტექნიკური შესაძლებლობების დემონსტრირება უწევთ.



## გიბრალტარის აეროპორტი

**გიბრალტარში ასაფრენი ბილიკი განთავსებულია იმ გზატკეცილის გადაკვეთაზე, რომელიც აერთებს ქალაქს ესპანეთთან.** როდესაც თვითმფრინავები ანხორციელებენ აფრენას ან დაფრენას, საგზაო მაგისტრალზე იკეტება გზა ბარიერებით და შუქნიშნებით, როგორც ეს რკინიგზის გადასასვლელებზე ხდება.



## ლუკლა

**ტენცინგისა და ჰილარის სახელობის აეროპორტში მოფრენილ მგზავრებს ადრენალინის ჭარბი რაოდენობა გარანტირებული აქვთ.**

იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 2860 მეტრზე კლდეების ხეობაში (ირგვლივ მთების სიმაღლე 5 კილომეტრს აღწევს), ამიტომ პილოტებს არ აქვთ საშუალება, მეორე წრე შემოიფრინონ, დაფრენამდე კი ვარდნის იმიტირება უწევთ, რათა მთებს არ შეეჯახონ.



## მადეირა

**მადეირას საერთაშორისო აეროპორტი მდებარეობს ამავე კუნძულზე, პორტუგალიაში.** მიუხედავად ცივილიზებული შეხედულებისა, ის კლდეებსა და ოკეანეს შორისაა მოქცეული. ასაფრენი ბილიკი გადაჭიმულია 180 სვეტზე, რომელთა დიამეტრი 3 მეტრია. ზოგიერთი მათგანი ზღვის დონიდან 50 მეტრი სიმაღლისაა.



## მატეკანი

**ასაფრენი ბილიკის სიგრძე 416 მეტრია და ის მდებარეობს მთის ხეობის ზღვარზე.** ზღვის დონიდან 2303 მეტრზე თვითმფრინავი „ვარდება“ დაახლოებით 600 მეტრის სიმაღლიდან, სანამ ფრენას დაიწყებდეს.



## კუნძული ბარრა

**კურშეველი არა მხოლოდ ცნობილი სათხილამურო კურორტია, არამედ აქ არის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო აეროპორტი კერძო თვითმფრინავებისთვის.** პილოტებს უწევთ 18.5 გრადუსით დახრილი ასაფრენი ბილიკიდან ააფრინონ და დასვან რკინის ჩიტები.



## აეროპორტი ჰუანჩო

**ჰუანჩოს აეროპორტი არის ერთადერთი აეროპორტი კარიბის ზღვის კუნძულ საბაზე. ის ცნობილია გამოცდილ პილოტებს შორის მისი ასაფრენი ბილიკის ზომის გამო.**

პილოტებს აფრენა-დაჯდომისას გამკლავება უწევს ძლიერ ქართან და ზღვის შხეფებთან. გარდა ამისა ასაფრენი ბილიკის სიგრძე 396,5 მეტრია.

# 104 წლის მფრინავი



**ჩრდილოეთ კვიპროსში 104 წლის პენსიონერმა პეგი მაკალპინმა პარაპლანით იფრინა. ქალბატონი ფრენისას თავს შესანიშნავად გრძნობდა. „ყოველი წუთით ვისიამოვნე. თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. თუკი ვინმე ჩემს რეკორდს გააუმჯობესებს, მზად ვარ, რეკორდსმენის ტიტულის დასაბრუნებლად ისევ ვიფრინო“,** — ამბობს მოხუცი. 5 წლის წინ ანალოგიური რეკორდი 101 წლის ქალბატონმა მერი ალენ ჰარდისონმა დაამყარა. პეგი, რომელიც ინვალიდის სავარძელს იყენებს, ახლა გინესის წიგნის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ რეკორდის აღიარებას ელოდება.

ქრონოგრაფი
ქართველი და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პატარძალი თოჯინა



**55 წლის ბრიტანელი ევერარდ კუნიონი 9 თოჯინასთან ერთად ცხოვრობს.**

მამაკაცმა პირველი თოჯინა 2000 წელს 5 000 გირვანქა სტერლინგად შეიძინა და მას რებეკა დაარქვა, 2004 წელს კი მეორე თოჯინაც იყიდა.

ის თოჯინების შეძენისას დიდ ყურადღებას აქცევს სათამაშოს თმის ხარისხს და მაკიაჟს, ასევე გულმოდგინედ არჩევს სამოსს. თოჯინებს ხშირად უცვლის ტანისამოსს და მათთან ერთად ფოტოებსაც იღებს.

გარდა ამისა, მამაკაცი ერთ-ერთ თოჯინაზე დაქორწინდა კიდეც. ცერემონია ყველა წესის დაცვით ჩატარდა.

კუნიონი ერთხელ უკვე იყო დაქორწინებული, მაგრამ ცოცხალ ქალთან ქორწინება მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა.

მამაკაცს ნაკლებად ადარდებს, რომ მას შეშლილად თვლიან. ის მშვიდად არის, რადგან თოჯინა განქორწინებას ვერ მოსთხოვს.

# ყველაზე მაღალი მამაკაცი




**ფერმის მუშა, 29 წლის თურქი სულთან კოზენი მსოფლიოში ყველაზე მაღალი მამაკაცია. კოზენის სიმაღლე 2 მეტრი და 51 სანტიმეტრია.**

მას იშვიათი დაავადება — აკრომეგალია სჭირს, რაც ძვლებისა და რბილი ქსოვილის პათოლოგიურ ზრდას იწვევს. მის ორგანიზმში ზრდის ჰორმონის ჭარბი გამომუშავება ხდება.

2008 წელს ექიმებმა მას სიმსივნე ამოაჭრეს, რასაც სიმაღლეში ზრდა უნდა შეეჩერებია, მაგრამ კოზენმა ზრდა მაინც განაგრძო.

მოგვიანებით ვირჯინიის სამედიცინო ცენტრის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ მკურნალობის ახალი კურსი შეიმუშავეს. ორწლიანი მკურნალობის შედეგად ზრდის ჰორმონი მწყობრში ჩადგა და სიმაღლეში ზრდაც შეჩერდა.

კოზენი თურქეთის ქალაქ მარდინში დაიბადა. მისი ოჯახის წევრები ნორმალური სიმაღლისანი არიან. თავადაც 10 წლამდე ნორმალური სიმაღლის იყო, ხოლო შემდეგ სწრაფი ზრდა დაიწყო. გოლიათის შეხედულების გამო სკოლის დამთავრება ვერ შეძლო და გადაწყვიტა, ფერმაში მუშად დაეწყო მუშაობა.

ის ცდილობს, სიმაღლის გამო არ დაკომპლექსდეს და სხვა ადამიანებივით ნორმალურად იცხოვროს.

მას ყველაზე მეტად მეგობრებთან ერთად კომპიუტერის თამაში უყვარს. კოზენი მიიჩნევს, რომ სიმაღლე ცხოვრებას უმარტივებს: ხედავს საგნებს შორეულ დისტანციაზე და სახლში ფარდებს იოლად ასწორებს.

ერთადერთი პრობლემა რომელსაც ხშირად აწყდება, ეს ავტომანქანას უკავშირდება. გიგანტური სიმაღლის გამო მანქანის სავარძელზე კომფორტულად დაჯდომა მისთვის დიდი პრობლემაა.



# ვიოლინოს სიმები ობობის ქსელისაგან

**პოლიმერული ქიმიის სპეციალისტი ნარის სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერი სირესი ოსაკა 35 წელია ობობას ქსელის შესწავლით და მისგან გამძლე ძაფის მიღებით არის დაკავებული და ბოლოს და ბოლოს მიაღწია შედეგს — ობობის ქსელისგან ვიოლინოს სიმები შექმნა.**

მსგავსი ბუნებრივი ბოჭკოები, შესაძლოა, საინტერესო მასალა აღმოჩნდეს ჯავშანჟილეტისთვის და ქირურგიული ძაფისთვის, მაგრამ გამომგონებელმა გადაწყვიტა, მათგან ვიოლინოს სიმები გაეკეთებინა. მას ამისთვის 3-5 ათასი ცალი ქსელის ძაფი დასჭირდა.

წყვეტის გამძლეობაზე გამოცდამ აჩვენა, რომ „ობობას ქსელის სიმები“ ალუმინით დაფარულ ნეილონის სიმებზე გაცილებით ძლიერია. ხოლო მიკროსკოპულმა კვლევამ დაადასტურა, რომ იგი მისი ანალოგებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება — ერთად გადახლართული ბოჭკოვანი სიმები მრგვალ დიამეტრს ინარჩუნებენ და ერთმანეთს შორის ბევრ ცარიელ ადგილს ტოვებენ. ობობის ძაფებმა მრავალკუთხედის ფორმა მიიღეს და მჭიდროდ შეიკრნენ.



# ყველაზე სუფთა მდინარე

**მსოფლიოში ყველაზე სუფთა მდინარე Verzasca შვეიცარიაში მდებარეობს. წყალი თითქმის გამჭირვალეა და ფსკერზე კენჭებიც კი ჩანს. ფოტოგრაფმა კლაუდიო გაზაროლიმ მდინარეში ჩასვლა და რამდენიმე საინტერესო ფოტოს გადაღება მოახერხა. ფოტოები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ მდინარეს დამსახურებულად უწოდებენ კრისტალურად სუფთას.**

მდინარე 30 კილომეტრზეა გადაჭიმული. მისი ხეობა ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ტერიტორიას უამრავი ადამიანი სტუმრობს, რათა საკუთარი თვალით იხილონ თითქმის ფირუზისფერი წყალი. თუმცა Verzasca მკვდარია — მასში თევზები არ ბინადრობენ.



# თანამედროვე რობინზონი

**იორკელმა ბრენდონ გრიმშაუმ სეიშელის კუნძული მოიენე განადგურებისგან იხსნა — 40 წელი კუნძულზე ცხოვრობდა და მისი ველური ბუნების შენარჩუნება შეძლო.**

მამაკაცმა მოიენე 8 000 გირვანქა სტერლინგად 1960 წელს შეიძინა. ამ დროს ის გაზეთის რედაქტორი იყო, თუმცა გადაწყვიტა ახალი ცხოვრება დაეწყო. კუნძულის შეძენიდან 9 წლის შემდეგ კუნძულზე საცხოვრებლად გადავიდა და მოიენე მისთვის სამუდამო ნავსაყუდელად იქცა.

როდესაც გრიმშაუ კუნძულზე პირველად ჩავიდა, ტერიტორია 50 წლის მიტოვებული და განადგურებული იყო. ბუჩქნარი იმდენად ხშირი იყო, რომ თავისუფალი ადგილიც კი არ იყო, რომ ქოქოსი მიწაზე დაცემულიყო.

მამაკაცმა გადაწყვიტა, კუნძულზე ეზრუნა. მოგვიანებით ბრენდონს სეიშელელი რენე ლაფორტუნე შეუერთდა და მისი ასისტენტი გახდა.

მათ დაახლოებით 16 000 ხე საკუთარი ხელით დარგეს, მათგან 700 — ამერიკული წითელი ხეა. კუნძულზე მრავლადაა პალმები და მანგოს ხეები. გარდა ამისა, ბრენდონმა 120 გიგანტური კუ მოიშინაურა.

გრიმშაუს ასისტენტი, ლაფორტუნე, 2007 წელს გარდაიცვალა და მას შემდეგ, გრიმშაუ კუნძულის ერთადერთი მცხოვრებია. ის კუნძულზე პატარა ერთსართულიან ხის სახლში ცხოვრობს. სახლის ეზოში აბრაა, რომელზეც წერია: „გთხოვთ, პატივი ეცით კუებს. ისინი თქვენზე ხანდაზმულები არიან“. **2008 წელს კუნძულს ეროვნული პარკის სტატუსი მიანიჭეს.**

# ცეროდენა სახლი



**მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახლი კანადაში, ტორონტოში, მდებარეობს. სახლი 1912 წელსაა აშენებული. ტურისტებში ეს შენობა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. უჩვეულო ის არის, რომ ცეროდენა სახლი ჩვეულებრივი ზომის სახლებს შორისაა მოქცეული და მისი ზომები კიდევ უფრო თვალშისაცემია.** მიუხედავად მცირე ზომისა, სახლის პროექტი სხვა შენობებისგან არაფრით გამოირჩევა — სახლში არის სასტუმრო ოთახი, საძინებელი, სამზარეულო და სააბაზანო, მისი საერთო ფართობი კი მხოლოდ 28 კვადრატული მეტრია.

## ფილიპ გორდონი: საქართველოს ნატოში შესვლა უახლოეს მომავალში გამორიცხულია

**„ამერიკა არ არის მზად, ისაუბროს საქართველოს მზადყოფნაზე ნატოში შესასვლელად, თუმცა მზად არის, დახმარება განაგრძოს იმ მოთხოვნების შესასრულებლად, რომლებიც საქართველოს ალიანსში გასაწევრიანებლად დაეხმარება,“ — განაცხადა 10 მაისს სენატის საერთაშორისო კომიტეტის სხდომაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში — ფილიპ გორდონმა.**



**„ამერიკა კვლავ დაუჭერს მხარს საქართველოს თავდაცვით რეფორმებს, მისი მონაწილეობის გაფართოებას აისაფის (ავღანეთის) ოპერაციებში. იანვარში მიხეილ სააკაშვილი და ბარაკ ობამა შეთანხმდნენ, რომ გააღრმავებენ ასეთ თანამშრომლობას“,** — აცხადებს გორდონი. მან განმარტა, რომ საქართველოს ნატოში შესასვლელ გზაზე მიღწევები აქვს და ალიანსთან მიერთების სურვილის დემონსტრირებას ახდენს, თუმცა ეს უახლოეს მომავალში გამორიცხულია. **ამერიკამ არაერთხელ განაცხადა იმის თაობაზე, რომ ჩიკაგოში 20-21 მაისისთვის დაგეგმილ სამიტზე საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი არ განიხილება.**

**„საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, თუმცა მას ჯერ არ მიუღწევია იმ დონისათვის, რომელიც ალიანსის კანდიდატ წევრებს უნდა გააჩნდეთ, გარდა ამისა, იყო სიგნალი (ამერიკის ადმინისტრაციიდან), რომ ნატოს გაფართოებას ბევრი მიზეზის გამო ჩვენ შევანელებთ“,** — აღნიშნა გორდონმა.

ამერიკის კონგრესისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ადრე აცხადებდნენ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის ხელისუფლების მიერ დემოკრატიული პრინციპების დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქცენტი შემოდგომაზე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებსა და ადამიანის უფლებათა დაცვაზე კეთდებოდა.

მარტში, საქართველოში ამერიკის ახალი ელჩის დამტკიცებისას, მისი აზრით, **დემოკრატმა-სენატორმა ჯინ შაჰინმა განაცხადა, რომ საქართველომ თავისი სწრაფვა დემოკრატიული რეფორმების ერთგულების გზით უნდა დაამტკიცოს.** კრიტიკული ტესტი დემოკრატიულობაზე სწორედ საპარლამენტო არჩევნები იქნება.

შაჰინმა დამსწრეებს შეახსენა, რომ **დემოკრატმა სენატორმა ბენჯამინ კარდინმა, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო რუსეთის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი, ადრე განაცხადა, რომ არჩევნები საქართველოში, შესაძლოა, არასაკმარისად გამჭვირვალე და სამართლიანი აღმოჩნდეს.** სენატორმა ახალ ელჩს, რიჩარდ ნორლანდს სთხოვა, რომ **ინფორმაცია ამერიკის სენატის წევრთა შეშფოთებაზე ოპოზიციაზე ზეწოლის დაუშვებლობის შესახებ საქართველოს ხელისუფლებისთვის მიეწოდებია.**

თავის მხრივ, ნორლანდმა განაცხადა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში წინასაარჩევნო პროცესების ასპექტებით და ოპოზიციაზე არსებული ზეწოლით თავადაც ღრმად არის შეშფოთებული. **„ვიმედოვნებ, საქართველოს ხელისუფლება ხვდება, რომ გულმოდგინე დაკვირვების ქვეშ იმყოფება და ეს არჩევნები სერიოზული ტესტი იქნება ქვეყნის ნატოში გასაწევრიანებლად“,** — აღნიშნა მაშინ ნორლანდმა.

**ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოში წინასაარჩევნო პროცესების ასპექტებით და ოპოზიციაზე არსებული ზეწოლით თავადაც ღრმად არის შეშფოთებული**

## ამერიკაში უკვე დაისვა კითხვა: რის ხარჯზე შენდება საქართველო?

**გამოცემა New York Times-მა გამოაქვეყნა ჰელი სვიზლენდედვარდის სტატია სათაურით „საქართველოს კონსტრუქცია“, რომელშიც ავტორი ოთხი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ დასკვნაზე დაყრდნობით საქართველოს ტურისტულ ზონებში მესაკუთრეებისთვის ქონების ჩამორთმევის ფაქტებს აანალიზებს.**

ჟურნალისტი მიუთითებს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწის მფლობელთა საკუთრება სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ეს სწორედ იმ ადგილებში მოხდა, სადაც ხელისუფლება მშენებლობას გეგმავდა. ჟურნალისტი „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ანგარიშში მოტანილ ქონების „ჩუქება-მიტაცების“ ტექნოლოგიას განიხილავს. **2010 წლიდან, როცა საქართველოში საკუთრების ელექტრონული რეგისტრაცია დაიწყო, ახალი და ძველი მონაცემები ერთმანეთს არ დაემთხვა. მიწის მფლობელებმა აღმოაჩინეს, რომ მათი საკუთრება სხვას ეკუთვნის, სასამართლომ კი მესაკუთრეთა დავები სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაწყვიტა. ჟურნალისტი მიუთითებს, მსგავს ტურისტულ რეგიონებში მეპატრონეები ქონებას სახელმწიფოს „ჩუქნიან“.**

**„როდესაც პორტები, გზები, ტურისტული ობიექტები შენდება, მთავრობა ივიწყებს, რომ პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მიზანი. საქართველო რამდენიმე წელიწადში ახალ ქვეყნად იქცევა, მაგრამ რის ფასად?“** – სვამს კითხვას ე.წ. York Times-ის სტატიის ავტორი.

The New York Times



## პატიმრობაში მყოფ ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაძის განცხადება

**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ავრცელებენ ანზორ ქოქოლაძის განცხადებას. ბიზნესმენი აცხადებს, რომ მამუკა ხაზარაძისა და დავით კეზერაშვილის თაღლითური, არაკეთილსინდისიერი ქმედებების უკან ხელისუფლება დგას.**

„თიბისი ბანკი“, როგორც კრედიტორი, მოიპოვებს ინფორმაციებს კომპანიებიდან და პროკურატურასთან ერთად გეგმავს თაღლითურ სქემებს, რაც მთავრდება ბიზნესმენების დაპატიმრებით, კომპანიების დალუქვით, წართმევით და ა. შ. ჩემ გარდა კიდევ არაერთი მაგალითი არსებობს. „თიბისი ბანკი“ გადაიქცა პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის დამხმარე სტრუქტურად ბიზნესსა და ბიზნესმენებზე ზეწოლის საქმეში.

ჩემი პატიმრობა და ჩემ მიმართ წამოყენებული ბრალდებები განპირობებულია არა იმით, რომ მე რაიმე სახის დანაშაული ჩავიდინე, არამედ იმ უკანონო, თაღლითური გეგმის გაგრძელებაა, რომელიც „ელიტ ელექტრონიქსის“ საქმიანობაში მიზანმიმართული ხელის შეშლით დაიწყო, შემდეგ „ელიტ ელექტრონიქსის“ თაღლითური გზებით დაუფლებით, აბსურდული ბრალდებებით, ჩემი დაპატიმრებითა და საქმიდან ჩამოცილებით დასრულდა. ჩემ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული იყო მთელი სახელმწიფო სისტემა: პროკურატურა, ფინანსური პოლიცია, თბილისის მერი გიგი უგულავა, საგადასახადო სამსახური და სასამართლო სისტემა. მალხაზ ნაგერვაძის, თენგზ ნაგერვაძის და ლევან დუმბაძის დაპატიმრებაც ჩემზე ზეწოლის მიზნით განხორციელდა, რადგან მათ იბარებდნენ ფინანსურ პოლიციაში და ჩემ წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემას სთხოვდნენ. ისინი სინდისის პატიმრები არიან, რადგან ცრუ ჩვენების მიცემას არ დათანხმდნენ.

2008 წელს „ელიტ ელექტრონიქსს“ 15 მილიონი კრედიტი ჰქონდა „თიბისი ბანკისგან“, რომელიც წინასწარ განსაზღვრული და შეთანხმებული გრაფიკით იფარებოდა. 2009 წლის სექტემბრისთვის 6 მილიონი გვქონდა დარჩენილი, რომელიც ასევე ვადის დარღვევის გარეშე იფარებოდა, თუმცა ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით „თიბისი ბანკმა“ უკანონოდ მოიპოვა „ელიტ ელექტრონიქსის“ მართვის უფლება, შემდეგ ამ უფლებით დაითხოვა ჩემი მენეჯმენტი, საკუთარი „თიბისი ბანკის“ მენეჯმენტით განზრახ დაარღვია კრედიტის გადახდის გრაფიკი და ფარულად 116000 ლარად გადაიფორმა „ელიტ ელექტრონიქსის“ საკონტროლო პაკეტი. „თიბისი ბანკმა“ „ელიტ ელექტრონიქსის აქციების საკონტროლო პაკეტი ჯერ არაკეთილსინდისიერი თაღლითური გეგმით დაისაკუთრა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით სიმბოლურ ფასად გადაუფორმა დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორების — იოსებ მგელაძისა და მიხეილ ბენიამინის მიერ დაფუძნებულ „ელიტ ელფლაიენსს“ და „უნივერსალ კაპიტალ გრუპს“, ბოლო დღეებში კი — თითქოსდა ებრაულ კომპანია „ბრიმაგის ჯგუფს“. ყველაფერი შენიღბვის მიზნით ხდება, წილების გადაფორმებაც ფიქტიურია, სინამდვილეში კი რეალური მფლობელები მამუკა ხაზარაძე და დავით კეზერაშვილი არიან. მათ უკან კი ხელისუფლება დგას. ჩემი გრძელვადიანი პატიმრობაც სწორედ მათ ინტერესში შედის, თუმცა პატიმარიც გავაგრძელებ ბრძოლას, გამოვიყენებ ყველა სამართლებრივ მექანიზმს როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჩათვლით უკანონოდ დარღვეული უფლებებისა და ჩემი კანონიერი ინტერესების დასაცავად.

**ანზორ ქოქოლაძე**
11.05.2012

## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია გამოძიება დაიჯესტი
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru